კვირის პალიტრა

# გზა

სათვალთვალო ბიზნესი საქართველოში



N45 (230) 4/XI.-10/XI.2

1168
2004წ





ნინო კურატაშვილი:
„...ვიზაჟისტი პრეზიდენტმა წამართვა, სტილისტი კი პარლამენტის თავმჯდომარემ"

ტელეჟურნალისტს ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიაღებინეს

## ქურდყოფილის აღსარება — სამ ქალს შორის დაკარგული...



გზავნილები —
„ბელა აღმოჩნდა ბელა..."



პირველი პაემანი —
ძილი დიდ თეატრში და 90 წლის ქალისთვის ნაჩუქარი კოცნა

ნუ აჩუქებთ პომადას დიდი ხნის უნახავ პირველ სიყვარულს,

რატომ? – შეიტყობთ

**აკა მორჩილაძის** ახალ მოთხრობაში

# ლიტერატურული პალიტრა

- ჭაბუა ამირეჯიბი
  რაც იყო
- ირაკლი ლომოური
  ო, ეს საყვარელი ტელეღიპუცები!
- აკა მორჩილაძე
  ეკოტერინოს ნაჩუქარი ვითომ სულისშემძვრელი თავგადასავალი
- ოტია იოსელიანი
  ზღაპრად გაუგონარი ზღაპრები
- ბორის აკუნინი
  თურქული გამბიტი (ჯაშუშური დეტექტივი)

პოეზია:

- ბესიკ ხარანაული
- ზაზა თვარაძე
- გაგა ნახუცრიშვილი

**ნანა ქაციაშვილი**

**მონატრება: გიორგი შატბერაშვილი**

№2, ნოემბ…

ჟურნალი, რომელიც მწერალს მკითხველის სითბოსა და სიყვარულს დაუბრუნებს

№45 (230)
4 — 10 ნოემბერი 2004
ფასი 60 თეთრი

**მინიატურები**
„საათით წინ, ორი საათით უკან“, ანუ დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას 3

**ერთი კითხვა** 4

**პოლიტიკა**
„სეპარატისტები ზურგით კრემლის კედელს ეყრდნობიან...“ 5

**მადლი**
„ვინ იცის იქნებ, ამ ბავშვებს შორის პაატა ბურჭულაძეა?..“ 7

**პირველი პაემანი**
ძილი დიდ თეატრში და 90 წლის ქალისთვის ნაჩუქარი კოცნა 9

**საპატარძლო**
- მოკრძალებული და ეჭვიანი ბელა გიორგაძე მზითვის შეგროვებას იწყებს 10
- „...და შენს თავს ვერავინ წამართმევს“ 12

**კრიმინალი**
- მამა შვილის თვალწინ მოკლეს 14
- მკვლელობის მცდელობისთვის ნასამართლევმა მორიგი დანაშაული ჩაიდინა 16

**თამადა**
როდის იპარება ნუგზარ ჯულელი სუფრიდან, თუნდაც თამადა იყოს? 18

**ანტიდეპრესანტი**
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 20

**აღსარება**
ქურდყოფილის მოგონებები 20

**სალონი**
სწორი, გრძელი თმა, ბოლოს – ოდნავ ტალღოვანი... 24

**თამაში**
ვირტუალური ომები, ინტერნეტ-კლანები და ქსელურ „ოთახში“ თავმოყრილი ათასობით გუნდი 25

**გზავნილები**
სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო 27

**სამშობლო**
გამუსლიმანებული ლაზი თუ გაქართველებული თურქი 30

**ჯანმრთელობა**
- საკვერცხის კისტა 32
- რატომ ირღვევა კალციუმის ცვლა 33

**გარემო**
„ბონსაი“ – იაპონური ფილოსოფია: მშვენიერება მცირე ზომაში 34

## ვის ეძახიან ბერდვოჩერს



„ფრინველების თვალთვალის მიმართ ინტერესი იმდენად დიდია, რომ ტურიზმის ცალკე სახეობადაც კი ჩამოყალიბდა. არ გეგონოთ, ბერდვოჩერს ნებისმიერი სახეობის ჩიტი აინტერესებდეს. ის მხოლოდ იშვიათი სახეობის ფრინველებით არის დაინტერესებული... ასეთი სახეობის ფრინველი საქართველოშიც მრავლად ყოფილა.“

38

## „...ვიზაჟისტი პრეზიდენტმა წაართვა, სტილისტი კი პარლამენტის თავმჯდომარემ“

„ვფიქრობ, რომ ძალიან რომანტიკული ადამიანია. სურათიც კი გამოაგზავნა, სადაც, სამწუხაროდ, თვითონ არ ჩანდა *(იცინის)*... საერთოდ კი, ვთვლი, რომ დღევანდელ ქართველ მამაკაცებს ფანტაზიის უნარი შეზღუდული აქვთ და ვერაფრით გვაკვირვებენ.“



50

## ქურდყოფილის მოგონებები



„როიალს ახალგაზრდა გოგო მიუჯდა. სწორედ ეს იყო ქეთინო. ძალზე კარგად მღეროდა და გარეგნობითაც ულამაზესი გოგო გახლდათ, მაშინვე მიიპყრო ჩემი ყურადღება. ნანა სულ გადამავიწყდა... მოგვიანებით შევნიშნე, რომ ქეთინო გარეთ გავიდა. მეც გავყევი...“

20

## ძილი დიდ თეატრში და 90 წლის ქალისთვის ნაჩუქარი კოცნა

„საფრანგეთიდან ვბრუნდებოდი. პარიზის თავზე რომ მივფრინავდით, მომინდა, ბელასთვის საჩუქარი მეყიდა. მოგეხსენებათ, პარიზი სიყვარულის ქალაქია. სტიუარდესების დახმარებით ბელასათვის იქვე შევარჩიე საჩუქარი...“



9

**ტაძარი**
როგორ უნდა შეიქმნას მართლმადიდებლური ოჯახი? 35
**საგანძური**
„ვეფხისტყაოსნის“ კოლექცია ანუ რატომ ჩაუსაფრდნენ უნიკალური ბიბლიოთეკის სანახავად მისულ იტალიელებს კა-გე-ბეს აგენტები 36
**ეგზოტიკა**
ვის ემახიან ბერდვოჩერს 38
**სპორტული მოზაიკა** 40
**რომანი**
რუსუდან ბერიძე. მტაცებლის ინსტინქტი (გაგრძელება) 42
**ვარსკვლავი**
40-წლიანი ოჯახის ტყვედ ქცეული ჭირვეული ჩელენტანო 46
**ბომონდი** 48
**ავტო** 49
**სახე**
ნინო კურატაშვილი: „...ვიზაჟისტი პრეზიდენტმა წამართვა, სტილისტი კი პარლამენტის თავმჯდომარემ“ 50
**დეტექტორი**
პიროვნების დილემა — წარმატება თუ უსაფრთხოება 52
**ტესტი**
ერთგული მკითხველი 53
**ფსიქოლოგია**
ფერთა გამაში გამოხატული ხასიათის თავისებურებანი 54
**შიშველი სიმართლე**
ნიკა ქავთარაძე: „ეს ჩვენთვის ტრეფიკინგივით იყო“... 56
**შეამოწმეთ თქვენი ცოდნა**
ტესტი ერუდიციაზე 57
**შოუბიზნესი** 58
**ჰოროსკოპი**
კვირის (8-14 ნოემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 60
**სკანვორდი** 61
**იუმორი** 62
**ტესტი**
- რამდენად მზად ხართ მოულოდნელობებისათვის?
- შეამოწმეთ, რამდენად კარგი მახსოვრობის უნარი გაქვთ 63

**კალეიდოსკოპი**
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

## თემურ წიკლაურმა საქველმოქმედო ფონდი დააფუძნა



„გვინდოდა, რომ ბავშვები ძეგვის, კოჯრის ბავშვთა სახლებიდან და უფრო შორეული რაიონებიდანაც ჩამოგვეყვანა. მაგრამ მათი ტრანსპორტირება და სკოლის გაკვეთილებთან ამ მეცადინეობების შეთავსება საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ვფიქრობ, რომ სამომავლოდ ამ პრობლემასაც გადავჭრით.“

7

## „ეს ჩვენთვის ტრეფიკინგივით იყო...“

„არ იტყვიან ალბათ — თავში ავარდნილი აქვთო, — თუ ვიტყვი, რომ ჩვენ უკვე ძალიან პოპულარულები ვართ... რაც კი საქართველოში ტელევიზიებია, მათ შორის, ჯერ რომ არ გახსნილა, ისეთებიც, ყველამ მიგვიწვია. ერთ-ორ წარმომადგენელს უკვე შევხვდით...“



56

## „ბარუ ახალგაზრდაა, მაგრამ კუტუნიოს „ფერარი“ ჰყავს...“



მოსკოვში ჩატარდა კონცერტი სახელწოდებით — „იტალიელთა არაჩვეულებრივი თავგადასავალი კრემლში“. როგორც ცნობილი გახდა, იტალიური ესტრადის ვარსკვლავები სიმღერასთან ერთად, გზადაგზა პირადი ცხოვრების მოწყობასაც ცდილობდნენ...

48

## მტაცებლის ინსტინქტი

— მორჩა! — უცბად, მაგიდას მუშტი ისე გამეტებით დაჰკრა მეგიმ, რომ ირგვლივ მსხდომნი გაოცებული მიაშტერდნენ. — მორჩა... — ხმას ოდნავ დაუწია მან შემდეგ და თავადაც შენობით ლაპარაკზე გადავიდა: — ვისვის და შენ ჩემთვის ამის თქმის უფლება ნამდვილად არა გაქვს!..



42



# „საათით წინ, ორი საათით უკან", ანუ დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას

უკეთესი ცხოვრების ძიებაში რა არ „ვიჩალიჩეთ" ქართველებმა: ხან მთავრობა შევცვალეთ და ხანაც — პოლიტიკური წყობილება; ლამის კომუნიზმში ფეხშედგმულებმა უკან დავიხიეთ და კაპიტალისტური ქვეყნის იმიჯიც კი შევიქმენით, მაგრამ მაინც არაფერი გვეშველა. მერე საათს დავაბრალეთ ყველაფერი და წინ გადავწიეთ, ადრე უნდა ავდგეთ-თქო; ისე აშენდა ჩვენი მტერი, ჩვენ რომ ავშენდით!..

მოჩქარეს მოუგვიანდესო — ხომ გაგიგონიათ? სწორედ ისე დაგვემართა. ძილი ტყუილად კი არ გვიყვარს ქართველებს: ღამით, რა თქმა უნდა, გვძინავს; შუადღით წაძინება ხომ მისწრებაა და საღამოთი კიდევ, რაც შეიძლება, ადრე უნდა დააძინო ოჯახი, რომ ბავშვებმა იმ ტელესერიალებს არ მოჰკრან თვალი, რძალი რომ მამამთილს „ეჩალიჩება" და სიდედრი — სიძეს... მაგრამ ყველაზე ტკბილი, მაინც დილის ძილია და ჩვენ რატომ უნდა მოვიკლოთ ეს სიამოვნება?! თუ კარგად არ გამოვიძინეთ, მთქნარებითა და თვალების ფშვნეტით აშენებული ქვეყანა, ხელფასივით, თვის ბოლომდე არ მიგვყვება...



ჩვენთან შედარებით, 9 საათით გვიან დგებიან ამერიკელები, მაგრამ ხომ ხედავთ, როგორ ცხოვრობენ?! აი, რატომ გადაწყვიტა ახლა ხელისუფლებამ საათების უკან გადაწევა! თუმცა, ამან ბევრი გაუგებრობაც გამოიწვია მიუჩვევლობის გამო. მაგალითად, ჩემმა მეზობელმა საათის ისრები ერთი საათით უკან რომ დახია, მერე ცოლი მივიდა და იგივე გააკეთა, მერე შვილმა, რძალმა, შვილიშვილებმა და... იმ ოჯახს ახლაც სძინავს...

ვერც ჩემმა მამალმა აუღო ალღო ევროპისკენ ინტეგრაციის ამ პოლიტიკურ ნაბიჯს და ერთი საათით ადრე იხეთქავდა გლანდებს კივილით. მოკლედ, მანამ არ მოისვენა, სანამ ბაჟეში არ ამოყო თავი...

ზოგმა კი დროის უკან დახევა ასე ახსნა: პრეზიდენტმა რომ დედაქალაქის მერს საათი აჩუქა, ერთი საათით უკან ყოფილაო და ხომ ვეღარ შეცვლიდაო... ტყუილია, ბატონო, ტყუილი! ჩვენი მოგზაური მამამარჩენლის საათზე ხომ ხან კიევის დროა, ხან პარიზის და ხანაც — ვაშინგტონის და ასეთი ცვალებადი დროით თუ ვიცხოვრეთ ჩვენც, სამსახურში ძილი და ძილში ჭამა მოგვიწევს. ჩვენი დევიზია: „დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას" და ცხოვრებისეული დონით თუ არა, დროით მაინც მოვახერხებთ ამას.

ჯერ მხოლოდ ერთი საათით მივუახლოვდით და უკვე დაეტყო სასიკეთო ცვლილებები: ადრე ღამდება და ბოლო ორი გაკვეთილის ჩატარება სკოლებს ღამეში უწევთ. სამაგიეროდ, უფრო შინაარსიანად სწავლობენ თემატურ მასალას: „კაკო ყაჩაღს" და „შემოღამებას მთაწმინდაზე"... ეკონომიურობაცაა გათვალისწინებული ამ ჩანაფიქრში: ბავშვი შუაღამით ბრუნდება სკოლიდან და ვახშამსაც აღარ ითხოვს, პირდაპირ ჩანთიანად მიძვრება საწოლში — ეს პატარა შეღავათია?!

ვინც ყაჩაღობა-ჯიბგირობით ირჩენდა თავს, იმათ ხომ ეშველათ საცოდავებს: უფრო ადრე გამოვლენ სამუშაოდ და იქნებ, მათაც იშოვონ „ორი კაპიკი" პურის ფულად.

მოკლედ, თუ ასე გავაგრძელებთ და ყოველი თვის დასაწყისში თითო საათით გადავწევთ დროს უკან, მომავალ წელს, სასექტემბროდ, ამერიკის დროზეც დავჯდებით და მერე გვეშველება, თუ გვეშველება. მართალია, მზე ჩვენთან ისევ ისე ამოვა და ჩავა, როგორც ეს ბუნებამ დააწესა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს?! მთავარია, რომ ამერიკის დროით ვიცხოვრებთ: ღამით ვიმუშავებთ და დღისით დავიძინებთ; საღამოს ვისაუზმებთ და დილით ვივახშმებთ; სამსახურში მისულები „ღამე მშვიდობისას" ვიტყვით, „დილა მშვიდობისათი" კი დავემშვიდობებით. მერე სახელმწიფო სიმბოლიკებსაც შევასწორებთ: გერბსა და დროშაზე ბუს დავხატავთ; ჰიმნსაც უპრობლემოდ გამოვცვლით: ღამეზე სიმღერებს მიაქვს ქართული ესტრადა... ასე რომ, მალე ვიცხოვრებთ ბნელში, მაგრამ ამერიკულად!..

***P.S.** შვილიშვილი სოფლელ ბაბუას:*

*— ცოლი მომყავს, ბაბუ, ამერიკელი გოგოა.*

*— ამერიკელი სადაურს ნიშნავს, შვილო?*

*— შორეული ქვეყანაა ამერიკა. ჩვენთან რომ ღამეა, იქ დღეა და იქ რომ ღამეა, აქ დღეა.*

*— შეიშალე, ბაბუ?! რად გინდა მაგნაირი ცოლი: შენ რომ დაწვები, იგი ადგება და შენ რომ ადგები, იგი დაწვება!..*

*პროვოკატორი*

# „არასოდეს ვყოფილვარ რევოლუციის მომხრე, მით უმეტეს – გარეშე ძალების შეკვეთით...“

**— რამდენიმე დღის წინ განაცხადეთ, რომ ახალი ოპოზიციური გაერთიანების ჩამოყალიბებას გეგმავთ. როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, ეს ორგანიზაცია მოსკოვიდან დაფინანსდება...**

**ირაკლი ბათიაშვილი,** *პარლამენტის ყოფილი წევრი:*

— რუსულ ფინანსებზე ძველმა „მოქკავშირელებმა“ ილაპარაკონ. ჩემზე უკეთ მათ იციან, 1999 წლის არჩევნებზე ვისი ფინანსებით გაიმარჯვა ხალხმა, რომელიც დღეს „დაქირავებულ ხელისუფლებაში“ მუშაობს. მე არა ვარ ისეთი ადამიანი, რომ ჩასაფრებული ვიყო და როცა ჩემს ქვეყანას გაუჭირდება, უცხო სახელმწიფოს დაკვეთით გადატრიალება მოვაწყო... მე არასოდეს ვყოფილვარ რევოლუციის მომხრე, მით უმეტეს – გარეშე ძალების შეკვეთით... რაც შეეხება ახალ ოპოზიციურ ძალას, ძლიერი მოძრაობა აუცილებლად გაჩნდება. თუმცა, საზოგადოებრივი იქნება ის თუ პოლიტიკური, ჯერ გადაწყვეტილი არ არის. ჩანასახის მდგომარეობაში ეს მოძრაობა უკვე არსებობს. ჩვენ სერიოზული კონსულტაციები გვაქვს პროქართული ძალების წარმომადგენლებთან, ღირსეულ, პატრიოტ ადამიანებთან. გამორიცხული არ არის, ახალ ორგანიზაციაში ძველი სახეებიც გაერთიანდნენ. ხელისუფლება ერთმანეთის მიყოლებით სერიოზულ და გამოუსწორებელ შეცდომებს უშვებს. ასეთი „შეუწყნარებელი“ პოლიტიკის შედეგად, ძლიერი ოპოზიციური მუხტი აუცილებლად გაჩნდება. ჩვენ გადატრიალებაზე არ ვოცნებობთ, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენელთა ჰარმონიულ თანამშრომლობაში დისონანსი უნდა შევიტანოთ, უნდა დავანახვოთ მოსახლეობას, საით მიდის ქვეყანა და რაში უნდა ვეძებოთ გამოსავალი. ■

# „შს სამინისტროს თანამშრომლები იარაღის ბიზნესში არიან ჩაბმულნი“

**— სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, ერთიორად გაიზარდა მკვლელობების რიცხვი. მაგრამ შს სამინისტროს წარმომადგენლები შექმნილ სიტუაციაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავენ...**

**ელენე თევდორაძე,** *ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე:*

— სამწუხაროდ, ბოლო დროს, მკვლელობა მართლაც, გახშირდა. შს სამინისტრო ობიექტური სურათის გადმოცემას თავს არიდებს, მაგრამ ფაქტია, რომ ამ კვალიფიკაციის დანაშაულის დამალვა ვერ მოხერხდება. მე მიკავშირდებიან დაზარალებული ოჯახების წევრები და მეუბნებიან, რომ გამოძიება ტენდენციურად მიმდინარეობს, ცალკეულ შემთხვევებში კი, მკვლელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე საერთოდ არ არის აღძრული. ეს სერიოზული ეჭვის საფუძველს ბადებს. მკვლელობები ძირითადად, არარეგისტრირებული იარაღით ხდება, რაც საქმის გახსნას ართულებს. არაკვალიფიციური კადრებისთვის ეს ათუცნობიან განტოლებას წარმოადგენს, რომლის ამოხსნა უბრალოდ, არ შეუძლიათ. გარდა ამისა, შექმნილი სიტუაცია ძალოვანი უწყების წარმომადგენლების არალეგალურ საქმიანობასთანაც არის დაკავშირებული: ჩემი ინფორმაციით, შს სამინისტროს ცალკეული პირები იარაღის ბიზნესში არიან ჩაბმულნი. თუ ასეა, მაშინ კრიმინოგენური ვითარების გაუარესება აღარ უნდა გაგვიკვირდეს. ირაკლი ოქრუაშვილმა ამ საგანგაშო სიგნალს სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს. ■

# „უმრავლესობის რღვევა ბიუჯეტის განხილვისას დაიწყება“

**— საპარლამენტო ოპოზიცია გაერთიანებას ვერ ახერხებს. უმრავლესობის დაშლაზე კი, უკვე აქტიურად ალაპარაკდნენ. თქვენი აზრით, რამდენ ნაწილად გაიყოფა უმრავლესობა?**

**ლევან ბერძენიშვილი,** *პარლამენტის წევრი:*

— „რესპუბლიკელები“ საპარლამენტო ოპოზიციასთან აქტიურად თანამშრომლობენ. ჩვენ ერთნაირი პოზიცია გვაქვს მთელ რიგ საკითხებში, თუმცა, გასაერთიანებლად ეს არ კმარა. ერთიანი ოპოზიციური ფრაქციის შექმნა თვითმიზანი არ უნდა იყოს. მით უმეტეს, იმ პროცესების ფონზე, რომელიც პარლამენტში მიმდინარეობს. უმრავლესობაში პარტიული უთანხმოება ღვივდება. უკვე გამოიკვეთა იმ ადამიანთა წრე, რომელიც უმრავლესობის „თამაშის წესებს“ არღვევს. მათ შორის, ცალ-ცალკე ჯგუფებად ყალიბდებიან „ნაციონალები“, „დემოკრატები“, ბურჯანაძის მხარდამჭერები და ის ადამიანები, რომლებსაც ზემოთ ჩამოთვლილ ინტერესჯგუფებთან კავშირი არ სურთ. უმრავლესობაში პირველი სერიოზული რღვევა სავარაუდოდ, ბიუჯეტის განხილვის დროს მოხდება. ჩემი აზრით, ბურჯანაძის კვოტით პარლამენტში მოხვედრილი ხალხი ველარ გაუძლებს წნეხში ყოფნას და უმრავლესობას დატოვებს. არ გამოვრიცხავ, რომ ნინო ბურჯანაძის გუნდიდან რამდენიმე ადამიანი სახელისუფლებო ბლოკში დარჩება, მაგრამ უმეტესობა გამოვა. ვფიქრობ, სახელისუფლებო ფრაქციის წარმომადგენლები უკვე ფიქრობენ „ახალი უმრავლესობის“ შექმნაზე; ასეთ შემთხვევაში, ბურჯანაძე და ჟვანია იქნებიან სააკაშვილის გუნდში, მაგრამ დიდი, ამორფული ფრაქციის წევრებად აღარ მოგვევლინებიან. ეს ძალზე საშიში, ერთპარტიული მმართველობის დასასრულის დასაწყისი იქნება. ■



რუბრიკა მოამზადა ხათუნა მაღრაძემ

## „პანკისის ხეობიდან ქართველი მოსახლეობის წამოსვლა დაუშვებელია“

**— გავრცელებული ინფორმაციით, პანკისის ხეობის ქართული სოფლები მოსახლეობისგან იცლება. რატომ არ მიმართავს ხელისუფლება ამ რთული რეგიონის გასამაგრებლად საჭირო ზომებს?**

**ედვარდ სურმანიძე,** *რეგიონალური მოწყობის კომიტეტის თავმჯდომარე:*

— ამ თემაზე სერიოზული სჯაბაასი გაიმართა პარლამენტის ბიუროს სხდომაზე. მე ვთხოვე ნინო ბურჯანაძეს, რომ შეიქმნას დეპუტატთა ჯგუფი, რომელიც ადგილზე შეისწავლის შექმნილ სიტუაციას. თუმცა, პანკისში ჩასვლის გარეშეც ნათელია, რომ რთულ რეგიონებთან მიმართებაში კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაა საჭირო. უნდა შემუშავდეს სახელმწიფო პოლიტიკა და გამოიყოს დამატებითი ასიგნაციები, იქ არსებული სოციალურ-ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად. პანკისის ხეობიდან ქართული მოსახლეობის წამოსვლა დაუშვებელია. ეს პროცესი უნდა შეჩერდეს, უფრო მეტიც — ვალდებული ვართ, ხეობაში მოსახლეობის რაოდენობა გავზარდოთ. არაერთ თანამდებობის პირს ჩამოერთვას უკანონო ქონება, რომელიც ჯამში, ათობით მილიონ ლარს აღემატება; ამ ქონების 15-20% რთული რეგიონების მოწყობისა და გამაგრების საქმეს უნდა მოვახმაროთ. ჩვენ გვყავს სტიქიით დაზარალებული სვანეთის მოსახლეობა და თუ მას სათანადო პირობებს შევუქმნით, თუნდაც პანკისის ხეობაში ცხოვრებაზე უარს არ იტყვის. ამ ნაბიჯით რამდენიმე პრობლემას ერთდროულად მოვაგვარებთ. ადამიანმა შეიძლება წლების განმავლობაში აიტანოს უმძიმესი ყოფა, მაგრამ ხელისუფლებამ მისი მოთმინებით არ უნდა ისარგებლოს. ეს არის ძალიან სათუთი და საფრთხილო საკითხი, რომელიც დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვს. ■



# „სეპარატისტები ზურგით კრემლის კედელს ეყრდნობიან...“



**ნინო ბურჯანაძის ოფიციალური ვიზიტი მოსკოვში და ჟვანია-კოკოითის მომავალი შეხვედრა, საქართველოს ხელისუფლებას კონფლიქტის ზონებში შექმნილი უკიდურესად მძიმე სიტუაციის განმუხტვის გარკვეულ იმედს აძლევს. თუმცა, მოინდომებს თუ არა რუსეთი საქართველოსთან მიმართებაში პოლიტიკური კურსის შეცვლას, კვლავ გაურკვეველია. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აფხაზეთში შეიარაღებული დაპირისპირების რეალურ საფრთხეზე საუბრობს, პარალელურად სერგეი ბაღაფშს კრემლში იბარებენ და მასთან საიდუმლო მოლაპარაკებას მართავენ. ცხინვალის რეგიონში კი, რუსი სამშვიდობოების ხელშეწყობით, ინტენსიურად იბომბება ქართული სოფლები. მოსკოვი ჟვანია-კოკოითის შეხვედრას ოფიციალურად მხარს უჭერს, მაგრამ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად მიმართული ნაბიჯის გადადგმის უფლებასაც კი არ მისცემს... როგორც პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე აცხადებს, ამ ჯადოსნური წრის გარშემო საქართველო უკვე 12 წელია ტრიალებს. მისი აზრით, ვერც ერთი ოფიციალური შეხვედრა კარდინალურ შედეგს ვერ გამოიღებს, რადგან რუსეთი საქართველოსთან პოლიტიკურ საკითხებზე არ ვაჭრობს — მისი მიზანია, რაც შეიძლება ძვირად გაყიდოს კავკასია, „მყიდველი“ კი ამ ეტაპზე, საარჩევნო ციებ-ცხელებით არის დაკავებული...**

*ხათუნა მაღრაძე*

— ნინო ბურჯანაძე მოსკოვში ვიზიტამდე აცხადებდა, რომ კრემლში დაგეგმილი შეხვედრებისგან მნიშვნელოვანი ცვლილებების იმედი არ უნდა გვქონოდა. პარლამენტის თავმჯდომარე არც ვიზიტის დასრულების შემდეგ ჩანდა აღფრთოვანებული. როგორც ჩანს, რუსეთი პოზიციების შეცვლას არ აპირებს. რუსეთი ბოიკოტს ვერ გამოგვიცხადებს, თუ ქართული მხარე შეხვედრის სურვილს გამოთქვამს, მოსკოვი იძულებულია, დიალოგზე წამოვიდეს. მაგრამ კონფლიქტის დარეგულირებისთვის ასეთი ვიზიტების მნიშვნელობა მინიმალურია.

**— ნინო ბურჯანაძის ვიზიტის პარალელურად, მოსკოვში სერგეი ბაღაფში მართავდა შეხვედრებს. ეს ალბათ, უბრალო დამთხვევა არ იყო...**

— აფხაზეთი რუსეთისთვის ერთ-ერთი გუბერნიაა, ამიტომ დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს, როცა მოესურვება, მაშინ გამოიძახებს კრემლში. ბაღაფშის ვიზიტი მოსკოვში უკვე მინიშნებაა იმაზე, რომ პუტინის ადმინისტრაცია ახალ პოლიტიკურ ფიგურასთან თანამშრომლობას იწყებს. მათ უნდათ, გაარკვიონ, თუ რამდენად რადიკალური პოლიტიკის გამტარებელი იქნება ბაღაფში და შეძლებენ თუ არა მისგან პრორუსული ორიენტაციის მმართველის შექმნას.

**— თქვენი აზრით, ხაჯიმბას გაპრეზიდენტების შანსი აღარ დარჩა?**

— ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, შეძლებს თუ არა რუსეთი ბაღაფშის გადაბირებას და პრემიერ-მინისტრის პოსტზე მისთვის მისაღები კანდიდატურის დანიშვნას. არჩევნების შედეგებმა პუტინის მთავრობას სერიოზული დარტყმა მიაყენა, მაგრამ რუსეთს აფხაზეთში სიტუაციის გამწვავება არ აძლევს ხელს. ჩრდილო ოსეთს და

ინგუშებს შორის დაპირისპირება მწვავდება. ასეთ პირობებში, კავკასიაში შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირება მოსკოვს აშინებს, მაგრამ თუ ბაღაფში, ანქვაბი და ლაკობა კომპრომისზე არ წავლენ, მაშინ აფხაზეთში უმართავი პროცესების საშიშროება კიდევ უფრო გაიზრდება.

**— რუსეთს პრემიერ-მინისტრად ანქვაბის დანიშვნა, ბაღაფშის გაპრეზიდენტებაზე მეტად აშინებს, რა არის ამის მიზეზი?**

— ანქვაბი აფხაზეთში ერთ-ერთი ყველაზე ანგარიშგასაწევი და გავლენიანი ფიგურაა. მისთვის რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცათ, ყველა კონკურენტს უკან ჩამოიტოვებდა. ბაღაფშის გამარჯვებაში მან სერიოზული როლი ითამაშა, გარდა ამისა, ანქვაბი ნაკლებად პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსია, ის უფრო მეტად აფხაზების ინტერესების დამცველად გვევლინება. თუ ბაღაფშის გაპრეზიდენტების შემდეგ, ანქვაბი პრემიერის პოსტს დაიკავებს, ეს უკვე იმის მომასწავებელი იქნება, რომ მათი ტანდემის პირობებში აფხაზეთზე რუსეთის გავლენა საგრძნობლად შესუსტდება.

**— მუსირებს აზრი, თითქოს აფხაზეთში ბოლო დროს მიმდინარე პროცესებზე საქართველოს „შესაბამისმა" სტრუქტურებმა მოახდინეს გავლენა...**

— მეეჭვება, რომ ჩვენი სტრუქტურები ბაღაფშის სასარგებლოდ მუშაობდნენ. ჩემი აზრით, საქართველოსთვის უპრიანი იქნება, გაიმარჯვოს რუსეთის ხელდასხმულმა პირმა — დაე, ნახონ აფხაზებმა, რეალური რუსული პოლიტიკა!.. წლების განმავლობაში, ამ ადამიანებს ჰგონიათ, რომ მოსკოვის სიტყვების მიღმა რეალური ემოცია დგას და რუსებს მცირე ერის ბედი აწუხებთ... ხანგრძლივი დროის მანძილზე, რუსეთი აფხაზებისთვის წამქეზებელი და მოკავშირე იყო, მაგრამ როგორც კი აფხაზეთის ინტერესები მოსკოვის ინტერესებს არ დაემთხვევა, სეპარტისტებს დაუფიქრებლად გაწირავენ. რუსეთის მთავრობას ათასობით საკუთარი მოქალაქის სიცოცხლე არაფრად ულირს და აფხაზების ბედი დააინტერესებს?!. როგორც ჩანს, აფხაზებს ეს კითხვა ჯერ კიდევ არ გაჩენიათ, მაგრამ როგორც კი რუსული ჩექმის ქვეშ აღმოჩნდებიან, მაშინ უკვე რეალურად შეაფასებენ მოვლენებს.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ბაღაფში ის პოლიტიკოსია, რომელიც აფხაზეთში რუსეთის ინტერესებს საფრთხეს შეუქმნის?**

— მეეჭვება, მას ამის უფლება მისცენ. უკიდურეს შემთხვევაში, ყველაზე უხეში მეთოდების გამოყენებით, გზიდან ჩამოიშორებენ. თუმცა, რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ წასვლა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ბაღაფში ქართული პოლიტიკის წისქვილზე დაასხამს წყალს. ჩვენთვის, ქართველებისთვის მისი კანდიდატურა მისაღებია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ არძინბასგან განსხვავებით, მას ჩვენ მიმართ აგრესია და შიში არა აქვს. არძინბას ეშინოდა ქართველების, რადგან იცოდა, თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ჩადენილის გამო — მან ხომ უცხო ქვეყნის ჯარის ძალით განდევნა ქართველები აფხაზეთიდან, რაც სამართლებრივ მხარესაც რომ დავანებოთ თავი, „კავკასიური კანონებითაც" უზნეობაა. დისკომფორტი იმის გამო, რომ რაღაც არაკაცური ჩაიდინეს, აფხაზებს დღემდე აწუხებთ. ბაღაფში ამ პროცესებში მონაწილეობდა, მაგრამ ის პასუხისმგებელ მონაწილედ არ ითვლება, ამიტომ ქართველების მიმართ არ განიცდის ზომაზე მეტი შიშისა და აგრესიის გრძნობას...

**— მოსკოვში პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტის დროს, ჟვანიაკოკოითის შეხვედრაზეც იყო ლაპარაკი. საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ ამ მოლაპარაკებისას მთავარი თემა, საქართველოს ფარგლებში ოსეთის სტატუსის განსაზღვრა იქნება.**

— ჟვანიამ შეხვედრის დროს სწორედ ამ საკითხის გარშემო უნდა იტრიალოს. თუ მოხდა სასწაული და შეთანხმების მიღწევა მოხერხდა, ეს იქნება მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც ამ ეტაპზეა შესაძლებელი. თუმცა მეეჭვება, კონფლიქტის მოგვარებისთვის რუსეთს მწვანე შუქი ჰქონდეს ანთებული. მოსკოვმა, როგორც აფხაზეთთან, ისე ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში არაერთხელ დააფიქსირა, რომ კონფლიქტის მოგვარება არ სურს, უფრო მეტიც — მის მუდმივ ესკალაციას უჭერს მხარს. ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში, სეპარატისტები ზურგით კრემლის კედელს ეყრდნობიან...

**— არსებული ინფორმაციით, ცხინვალის რეგიონის ქართული სოფლები ინტენსიურად იბომბება, თუმცა, ბოლო პერიოდში ხელისუფლება ცდილობს, ამ თემაზე ნაკლებად ისაუბროს...**

— ხელისუფლება ცდილობს, დამალოს გარკვეული ინფორმაცია, რადგან სიტუაციის გართულებაში პასუხისმგებლობა თავადაც აკისრია. ერგნეთის ბაზრობის დახურვით რეგიონში სიტუაცია უკიდურესად გამწვავდა. მთავრობას უნდოდა, ამით კონტრაბანდა მოესპო და ეკონომიკური ხვრელი ამოევსო, მაგრამ დადებითი შედეგი ვერ მივიღეთ. კონტრაბანდული ტვირთი ქვეყანაში სხვა გზებით შემოედინება (ამას მთავრობაც არ მალავს), ცხინვალის რეგიონში კი, ვითარების სტაბილიზაცია ვეღარ მოხერხდა. ეს არასწორი პოლიტიკური ნაბიჯების ბრალი იყო, რაზეც ხელისუფლებას საუბარი არ სურს. მათი პოზიცია ადამიანურად სრულიად გასაგებია. ახლა კრიტიკით ვერაფერს ვუშველით, მთავარია, რომ არასწორი კურსი მალევე შეიცვალა და ფართომასშტაბიან კონფლიქტში ვერ ჩაგვითრიეს, თუმცა ამის მცდელობა დღემდე გრძელდება. ქართული სოფლების დაბომბვები სწორედ ამაზეა გათვლილი.

**— ...და არა ქართული მოსახლეობის იქიდან გამოდევნაზე?**

— იქ საკმაოდ ძარღვიანი მოსახლეობა ცხოვრობს. ვინც გამოსაქცევი იყო, გამოიქცა, დანარჩენები უმძიმეს სიტუაციაში ცხოვრობენ, მაგრამ იციან, როგორ დაიცვან თავი ამ პირობებში. მათ საქართველოს მთავრობაც სერიოზულად ეხმარება, ეს სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია.

**— იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი კოკოითთან შეხვედრის დროს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას მაინც მიაღწევს.**

— კოკოითთან შეთანხმება არაფერს ნიშნავს. სეპარატისტები ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ „ბატონის" ნება-სურვილს ასრულებენ. გარანტიების გაცემა მხოლოდ რუსეთს შეუძლია, მაგრამ ის საქართველოსთან არ ვაჭრობს. მისი ერთადერთი სურვილი, კავკასიის სოლიდურ ფასად „გაყიდვაა". ამ თემაზე რუსი მინისტრებიც კი საუბრობენ. მაგრამ კავკასიის „შესყიდვის" მსურველი აშშ, ერთი წელია, საარჩევნო ციებ-ცხელებითაა დაკავებული. როცა ამერიკის მართვას ახალი პრეზიდენტი შეუდგება, მაშინ უფრო რეალური გახდება ჩვენი პრობლემების მოგვარებაზე ფიქრი. ■



# თემურ წიკლაურმა საქველმოქმედო ფონდი დააფუძნა

## „ვინ იცის — იქნებ, ამ ბავშვებს შორის პაატა ბურჭულაძეა...“

**მართალი ყოფილა ის, ვინც ქართული სუფრა აკადემიას შეადარა. ხშირად კი ის, ახალი ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის საუკეთესო საშუალებადაც გვევლინება. სწორედ ერთ-ერთ ასეთ სუფრაზე გახლდით, როდესაც ბატონმა თამადამ მორიგი სადღეგრძელოსთვის განსხვავებული სასმისი შეავსო და „ყველა კარგი კაცისა და კეთილი საქმის“ სადღეგრძელო შემოგვთავაზა. აბა, რა თამადა იქნებოდა, სადღეგრძელოს წარმოთქმისას მხოლოდ მშრალი სიტყვებით რომ შემოფარგლულიყო და სადღეგრძელოს გასავრცობად, ერთი საინტერესო ამბავიც არ მოეთხრო სუფრის წევრებისთვის?..**

*ემა ტუხიაშვილი*

*მრავალი წლის წინ, საბჭოთა ჯარში ერთი თბილისელი ბიჭი გაუწვევიათ. ალალ-მართალ ყმაწვილს ძალზე გასჭირვებია მრავალ უსამართლობასთან შეგუება და უკიდურეს სასოწარკვეთილებას მისცემია. მძიმე ფიქრით დამძიმებულს, რადიოეთერიდან თემურ წიკლაურის სიმღერისთვის — „ჩემი თბილისი და ფიროსმანი“ — მოუკრავს ყური. ჯარისკაცს თვალწინ გადაშლია მშობლიური ქალაქი, საყვარელი ქუჩებითა და მონატრებული ნაცნობ-მეგობრებით, უმალ დაჰბრუნებია სიცოცხლის ხალისი და იმის სურვილი, რომ მალე ჩახუტებოდა სამშობლოს...*

*როგორც თამადამ გვიამბო, დღეს ეს ადამიანი წარმატებული ბიზნესმენია, რომელიც საქართველოს ფარლებს გარეთ მოღვაწეობს და სამშობლოში დიდ ქველმოქმედებას ეწევა. ერთ-ერთი საქველმოქმედო პროექტის განხორციელება ცნობილ ბიზნესმენს, ოდესღაც მისი გადამრჩენლის, ამჟამად კი — მეგობრისათვის, მომღერალ თემურ წიკლაურისთვის მიუნდვია. ბატონ თემურს საკუთარი ავადმყოფობაც დავიწყნია (სულ რაღაც ერთი თვის წინ, მას ხერხემალზე რთული ოპერაცია ჩაუტარდა საზღვარგარეთ) და უკვე ნოემბრის პირველსავე კვირას, პროექტის ოფიციალურ გახსნას გვპირდება. სწორედ ამ თემაზე სასაუბროდ ვეწვიე ცნობილ მომღერალს და როგორც აღმოჩნდა, ჩემი ინფორმირებულობით გამიკვირვებია კიდეც...*

— პროგრამა, რომელზეც ამჟამად ვმუშაობთ, საქველმოქმედო ხასიათს ატარებს და მზრუნველობას მოკლებული, დაბალი სოციალური ფენის ბავშვებისთვის, კომპიუტერისა და ინგლისური ენის სწავლებას ისახავს მიზნად. მაგრამ მინდა, ცოტა შორიდან დავიწყო თხრობა. დაახლოებით ნახევარი წლის წინ, დამიკავშირდა წარმატებული ბიზნესმენი — სოსო (სოსლან) ხარებოვი და მითხრა, რომ სურდა, რამით დახმარებოდა საქართველოში მცხოვრებ, გაჭირვებულ და გზააბნეულ ბავშვებს. უნდა გითხრათ, რომ სოსო თბილისში დაიბადა და გაიზარდა, პლეხანოველი ბიჭი იყო. ამჟამად სანქტ-პეტერბურგში ცხოვრობს, პროფესიით ქირურგია და ამავე დროს — წარმატებული ბიზნესმენი. ჰყავს მეუღლე (სხვათა შორის, მეგრელია) და 12 წლის ვაჟი გიორგი. სოსოს საქართველოში უამრავი მეგობარი ჰყავს, თბილისში სახლიც აქვს, სადაც დედამისი ცხოვრობს და ხშირად ჩამოდის. ძალზე ღვთისნიერი კაცია და ამიტომ ვერ აიტანა თბილისის ქუჩებში უამრავი მაწანწალა ბავშვის დანახვა... მისი დახმარებით მოხერხდა ისეთი პროგრამის შედგენა, რომელიც მრავალ წელზეა გათვლილი და ბავშვების სულის გადასარჩენადაა გამიზნული. მისი დახმარებით შევიძინეთ 60 ახალთახალი კომპიუტერი, 2 დიდი მონიტორი. აქვე მინდა აღვნიშნო, ბატონი ვასო ბოლაშვილის დიდი ღვაწლი, რომელმაც თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში უსასყიდლოდ დაგვითმო ფართი. უბედნიერესი კაცი ვარ, რომ ასეთ ადამიანებს შევხვდი და ამ საქმეს ვემსახურები.



— **რა კრიტერიუმებით ხდებოდა ბავშვების შერჩევა და როგორ წარიმართება სასწავლო პროცესი?**

— თავდაპირველად გვსურდა, რომ ორიენტაცია მაწანწალა ბავშვებზე აგვეღო. მაგრამ როდესაც უფრო საფუძვლიანად შევისწავლეთ ეს პრობლემა, აღმოჩნდა, რომ ქუჩაში გასული ბავშვის მობრუნება ძალიან ძნელია, ამას მთელი სისტემა სჭირდება. ამიტომ მივაშურეთ ბავშვთა სახლებს, სადაც მოზარდები რაღაც წესებს მაინც ემორჩილებიან და პირველი ნაკადი სწორედ ასეთი ბავშვებით შეივსო. რაც შეეხება მათ ასაკს — ისინი 13-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები არიან და უნდა გითხრათ, რომ აღნიშნული ასაკობრივი ზღვარი შემთხვევით არ შეგვირჩევია: ბავშვებს შევუქმნით ცოდნის ისეთ საფუძველს, რომლის მეშვეობითაც მომავალში მათ თავის რჩენა შეეძლებათ. მათი დასაქმების პრობლემა ჩვენი პროგრამითაც არის გათვალისწინებული. ჩვენ გვაქვს ურთიერთობა ცნობილ ქართულ საწარმოებთან, რომლებიც შემდგომში ამ ბავშვებს სამსახურით უზრუნველყოფენ. რაც შეეხება სასწავლო პროცესს, მინდა გითხრათ, რომ გაკვეთილების გარდა, ჩვენი მსმენელები უზრუნველყოფილი იქნებიან



**ბავშვებს აუცილებლად ჩაუტარდება ეთიკის გაკვეთილები, შევასწავლით ჩვენი ქვეყნის ისტორიას, ლიტერატურას და რელიგიის ისტორიას.**

ერთჯერადი კვებით. სასადილო ოთახი განთავსებულია სამეცადინო ოთახის გვერდით. ერთ-ერთი კაფე მათთვის უგემრიელეს და ნოყიერ საკვებს მოამზადებს. ამას გარდა, ჩვენ უზრუნველვყოფთ თითოეული ბავშვის სატრანსპორტო ხარჯებს. იმათ, ვინც სწავლის პროცესში თავს გამოიჩენს, უფრო ღრმად შევასწავლით კომპიუტერს და სტაჟირებაზე უცხოეთშიც კი გავაგზავნით. გასათვალისწინებელია, რომ ყოველივე ეს პროგრამაში სოსო ხარებოვის დაჟინებული მოთხოვნით არის შეტანილი. შესაძლოა, გაგიკვირდეთ, მაგრამ მათ, ვისი დაბადების დღეც სასწავლო პროცესის პერიოდს დაემთხვევა, სოლიდურ დღეობას გადავუხდით, თანაც დავასაჩუქრებთ — მაგალითად, შევმოსავთ თავიდან ფეხებამდე და ა.შ.

— **როგორც ვხედავ, ეს საქველმოქმედო პროექტი მხოლოდ თბილისზეა გათვლილი. არადა, ახლა სოფლად უფრო უჭირთ...**

— ამ საკითხზე საკმაოდ დიდხანს ვმსჯელობდით. თავდაპირველად გვინდოდა, რომ ბავშვები ძეგვის, კოჯრის ბავშვთა სახლებიდან და უფრო შორეული რაიონებიდანაც ჩამოგვეყვანა. მაგრამ მათი ტრანსპორტირება და სკოლის გაკვეთილებთან ამ მეცადინეობების შეთავსება საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ვფიქრობ, რომ სამომავლოდ ამ პრობლემასაც გადავჭრით. უკვე თებერვლის ბოლოს, პირველი ნაკადი — დაახლოებით 160 ბავშვი დაამთავრებს სასწავლო კურსს. შემდეგ ისევ და ისევ სოსო ხარებოვის სურვილის გათვალისწინებით, ანალოგიური სკოლის გახსნას ვაპირებთ რუსთავში, თელავში, ქუთაისში, ბათუმში და ასე თანდათან მოვიცავთ მთელ საქართველოს. აქვე მინდა დავძინო, რომ სასწავლო ცენტრში აუცილებლად იმორიგევებს ექიმი, რათა საჭიროების შემთხვევაში ბავშვებს სამედიცინო დახმარება გაუწიოს.

— **ახლა სოსო ხარებოვზეც გვიამბეთ უფრო ვრცლად.**

— სოსო თბილისელი, პლეხანოველი ვაჟკაცი გახლავთ. ის სრულიად აპოლიტიკური ადამიანია. მისი მოწოდებაა, სიკეთე აკეთოს. მას ბევრი კარგი საქმე აქვს საქართველოში გაკეთებული, მაგრამ თვითონ ყოველთვის ჩრდილში დგომას ამჯობინებს. მეგობრების გარდა, ჯერ არავის უნახავს, როგორია სოსო ხარებოვი ვიზუალურად. არადა, უკვე მრავალი წელია, საქართველოში ბევრ სიკეთეს აკეთებს.

— **მართალია, რომ მრავალი წლის წინ, თქვენმა სიმღერამ სოსო ხარებოვს სიცოცხლის ხალისი დაუბრუნა და ფაქტობრივად, მომავლის იმედი ჩაუსახა?**

— მე ძალიან მეუხერხულება ამაზე საუბარი, მაგრამ ვინაიდან გსმენიათ ამის შესახებ, უნდა გითხრათ, რომ ეს სულაც არ არის ჭორი. ყოფილა სოსოს ცხოვრებაში ეპიზოდი, როდესაც სულიერად და ფიზიკურად დაზაფრულმა, მოისმინა სიმღერა — ,,ჩემი თბილისი და ფიროსმანი“, — რომელმაც მისცა იმპულსი, რომ ცხოვრებისთვის სხვა თვალით შეეხედა. რა თქმა უნდა, მეამაყება ეს და შემიძლია გითხრათ, რომ ამ ამბის მოსმენის შემდეგ სოსო ჩემთვის სულიერი ძმა გახდა. ის რამდენიმე თვეში საქართველოში ჩამოსვლას აპირებს და უეჭველად შეგახვედრებთ. ვერ წარმოიდგენთ, რამდენად გათავისებული აქვს მას თავისი ქვეყნის სატკივარი; თვალზე ცრემლმომდგარი მეკითხება ხოლმე ამ ბავშვების ამბავს...

— **მიამბეთ, თქვენ როგორ შეხვდით მას, როგორ გაიცანით? ალბათ მაშინ, როდესაც იგი თქვენმა სიმღერამ იხსნა, სოსო არ გიცნობდათ, არა?**

— რა თქმა უნდა, არა. სოსო ჩემზე გაცილებით ახალგაზრდაა, ჯერ მხოლოდ 45 წლის გახლავთ. ალბათ შეუძლებელი იყო, სოსოს ის შემთხვევა დაევიწყებინა, რომელიც მრავალი წლის წინ გადახდა თავს და რომელზეც ასე ხაზგასმით მეკითხებით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სხვადასხვა ქვეყანაში ვცხოვრობდით, ალბათ ის თვალყურს ადევნებდა ჩემს შემოქმედებას. დაახლოებით 2 წლის წინ, მეგობრების დახმარებით შემომეხმიანა და სამოგზაუროდ დამპატიჟა. სწორედ იმ პერიოდში, ოპერა ,,აიდაზე“ ვმუშაობდი. რა თქმა უნდა, ვიკითხე, თუ სად მთავაზობდნენ მოგზაურობას. საპასუხოდ კი მივიღე: ნუთუ, ცოტაა დედამიწაზე საინტერესო ადგილიო?.. მოუცლელობის გამო, მიპატიჟება ვერ მივიღე.

— **მერე, მსოფლიოს რომელ კუთხეში გეპატიჟებოდათ შეძლებული ბიზნესმენი?**

— სამხრეთ ამერიკაში, სადაც მე ექვსჯერ მაინც ვარ ნამყოფი და ძალიან ბევრი იქაური სიმღერა ვიცი. შესაძლოა, მაშინ სწორედ ამიტომ შეარჩია სოსომ ეს კონტინენტი. მოგვიანებით, აფრიკაში დამპატიჟეს, მაგრამ ვერც იქ წავედი, რადგან ოპერის თეატრში ვამზადებდი პროექტს — ,,ღმერთო, იხსენ საქართველო!“ მოგვიანებით, ისევ თბილისში შედგა ჩვენი შეხვედრა.

— **...და ერთხელაც, საქველმოქმედო პროექტის განხორციელება შემოგთავაზათ...**

— ბუნებრივია, რომ მან შემომთავაზა, რადგან თანხის მფლობელი ის არის... როგორც საკუთარ ძმას, ისე მენდო და ამ საქმის განხორციელება მე მომანდო. ვფიქრობ, ამაზე მადლიანს ვერაფერს შევქმნიდით. აქვე მინდა გითხრათ, რომ ის თანხა, რომელსაც სოსლანი ამ ფონდისთვის ხარჯავს, საქართველოს ფარგლებს გარეთ არის მოპოვებული...

— **კომპიუტერისა და ინგლისურის სწავლება, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ გული როგორ მოგითმენთ, რომ ბავშვებს სიმღერა არ ასწავლოთ?..**

— *(იცინის)* ალბათ, სოსო უარს არ მეტყვის, თუ მომავალში, ამ ფონდთან ხელოვნების სკოლას დავაარსებ, სადაც საოპერო და საესტრადო სტუდიებიც იქნება... მადლიანია განგება: ვინ იცის, იქნებ ამ გაჭირვებულ ბავშვებს შორის, მეორე პაატა ბურჭულაძე, ალეკო ხომერიკი ან ლუჩანო პავაროტია?!. თუ უფალი ინებებს და დამცალდება, ბევრი ჩანაფიქრი მაქვს. სამომავლოდ მინდა, ამ მოზარდებს მარტივი პროფესიები შევასწავლოთ — ისეთები, როგორიცაა: დურგლობა, მეწაღეობა და სხვა მრავალი. ბავშვებს აუცილებლად ჩაუტარდება ეთიკის გაკვეთილები, შევასწავლით ჩვენი ქვეყნის ისტორიას, ლიტერატურას და რელიგიის ისტორიას.

— **ამ ფონდის ხელმძღვანელობა საკმაოდ ბევრ დროს წაგართმევთ. ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენი პროფესიონალური საქმიანობისთვის დრო აღარ დაგრჩებათ?**

— მოდით, გულახდილები ვიყოთ: ვის სჭირდება ახლა, ჩემი სიმღერები პატრიოტიზმსა და სამშობლოზე? არადა, ჩემს თავს ვერ ვუღალატებ და იმას ვერ ვიმღერებ, რაც ახლა მოსწონთ... თუმცა, მაინც ვწერ სიმღერებს, ვმღერი კიდეც და ვიდრე პირში სული მიდგას, ჩემს საქმეს მაინც გავაგრძელებ...

■



**ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარეს შალვა ნათელაშვილს ქალებში სიმპათიის მოპოვება თურმე, არასდროს უჭირდა. არნოლდ შვარცენეგერის და მაიკ ტაისონის რეიტინგი არ მომიხსნია, მაგრამ მანდილოსნების ყურადღება არასდროს მაკლდაო, — მითხრა. ბატონ შალვასთან საინტერესო საუბარი შედგა. ეგ იყო, მასთან პაემნებსა და სიყვარულზე საუბრის დროსაც, პოლიტიკას გვერდი ვერაფრით ავუარეთ.**

# ძილი დიდ თეატრში და 90 წლის ქალისთვის ნაჩუქარი კოცნა

*მერი კობიაშვილი*

— **ბატონო შალვა, სიყვარულის თქვენეული ახსნა როგორია?**

— აინშტაინის ფარდობითობის თეორია უფრო ადვილად ამოსაცნობია, ვიდრე სიყვარულის ფორმულა. ჩემი აზრით, ეს ამაღლებული სულიერი მდგომარეობაა, როდესაც ადამიანს სიცოცხლე ეხალისება.

— **ასეთ განწყობაზე ხშირად ყოფილხართ?**

— მე სულ შეყვარებული ვარ.

— **პირველი სიყვარული როდის გეწვიათ?**

— ბავშვობაში თანაკლასელი გოგონა მომწონდა. ყურადღება რომ მოექცია, თმას ვწიწკნიდი ხოლმე. საპასუხო რეაქციაც ანალოგიური იყო. მინდა გითხრათ, რომ ჩემი თანატოლი გოგონები კარგად ჩხუბობდნენ. ბიჭებს ტოლს არაფერში გვიდებდნენ. მამაკაცებს როგორც წესი, ხშირად გვიყვარდება ქალები. ზოგი, ერთი დღით გვიყვარდება, ზოგიც — ერთი თვით. თუ მუდმივად შეგიყვარდება, მაშინ ის შენი ცხოვრების თანამგზავრი ხდება.

— **პირველი პაემანი როგორ გახსენდებათ?**

— ძალიან ბევრი პაემანი მქონია. არც ერთი არ ჰგავდა ერთმანეთს. პაემანზე ყოველთვის ამაღლებული განწყობილებით მივდიოდი. სიმართლე გითხრათ, სარკის წინ ტრიალი არ მიყვარდა. არც პოეტურად სიყვარულის ახსნა მჩვეოდა. მართალია, სიყვარული ლექსებს მაწერინებდა, მაგრამ გოგოსთვის არასდროს წამიკითხებია. სიყვარულს ყოველთვის საქმით ვამტკიცებდი. ჩემს დროს, მოდაში იყო, შეყვარებულის სახელის ხელზე დაწერა, ჯიბით უნდა გეტარებინა სასიყვარულო ლექსებით სავსე ბლოკნოტი. ლექსებს დიდი რუდუნებით იწერდნენ, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის, ლადო ასათიანისა და სხვების პოეზიიდან. ეს ბლოკნოტი სიყვარულის სამყაროს სავიზიტო ბარათი იყო. მე ასეთ რამეებს არ ვაკეთებდი. აი, „ბითლზის" კასეტა კი მიჩუქებია გოგონასთვის. პაემანზე ყვავილით მისვლას, რა თქმა უნდა, ვერაფერი შეცვლის. ასე მეც ბევრჯერ მოვქცეულვარ. ისევე, როგორც სხვები, მეც პიჯაკის შიდაჯიბეში იების პატარა კონას ჩავიდებდი და პაემანზე ისე მივდიოდი. მაშინ რა ვიცოდი, წითელი ვარდები რა უბედურებას მოგვიტანდა?!. ახლა კი, ქალს ყვავილებს აღარასოდეს ვაჩუქებ...

— **ქართველ ბიჭებს რატომ ეთაკილებათ თაიგულის ხელში დაჭერა?**

— ასეთია ეროვნული ტრადიცია: მამაკაცი არ უნდა იყოს „გაყვავილებული" და განაზებული. ჩვენი პრეზიდენტი ვარდით ხელში რომ დადის, სამარცხვინოა. ეს არ არის ქართული საქციელი. ამიტომ ვამბობ, ჩვენი ხელისუფლება ქართული კი არა, ზემოდან პარაშუტით ჩამოსმულია-მეთქი... ყველა ქვეყანას თავისი წესები აქვს. მაგალითად, ბრიტანეთში მამაკაცები ქოლგით დადიან. ჩვენ ჩვენი ეროვნული ტრადიციები გვაქვს. ბრძნული ნათქვამია — სიყვარულსა მალვა უნდაო. ჩვენში ცოლქმარი ერთმანეთს არასდროს აქებდა. ახლა პოლიტიკოსის ოჯახის ინტერვიუებში ცოლ-ქმარი ერთმანეთს ხოტბას ასხამს. გრძნობების ასეთ აფიშირებას სკოლებში სექსოლოგიის შემოტანა მოჰყვება. მერე შეიქმნება კლუბები სექსუალური ორიენტაციის მიხედვით და ქართველი ერი გადაჯიშდება.

— **სასიყვარულო ამბებში რომ გარკვეულიყვნენ, მეგობრები რჩევის საკითხავად თუ გაკითხავდნენ ხოლმე?**

— ერთხელ სკოლაში მეგობარმა მთხოვა, ლექსი დამეწერა. ძალიან აკადემიური სასიყვარულო წერილი დავწერე. ადრესატმა გოგონამ ვერაფერი გაიგო და წერილი ჩემს მეგობარს თავზე გადაახია. მეგობარი მომივარდა, ეს რა დამიწერეო? — მისაყვედურა. ვუთხარი — მისი ინტელექტუალური დონე თუ დაბალ საფეხურზე იყო, გეთქვა და სხვანაირად დავწერდი-მეთქი.

— **შეყვარებულს, ბევრი სისულელე ჩაგიდენიათ?**

— სერენადები ნამდვილად არ მიმღერია შეყვარებულის ფანჯრების წინ. აი, უძილო ღამე კი, ბევრჯერ მქონია...

— **უძილობას დეპრესია ხომ არ იწვევდა?**

— დეპრესია არ მახასიათებს, თორემ, პოლიტიკიდან კარგა ხნის წასული ვიქნებოდი...

— **თქვენი და თქვენი მეუღლის შეხვედრებიდან ყველაზე მეტად რომელი დაგამახსოვრდათ?**

— ძალიან ბევრი პაემანი გვქონდა. ამჯერად ერთს გავიხსენებ. ერთხელ მოსკოვში ყოფნისას, ბელამ დიდ თეატრში „ევგენი ონეგინზე" დამპატიჟა. საშინელ „პახმელიაზე" ვიყავი. მთელი ღამის ნაქეიფარს, ძალიან მეძინებოდა. აქედან გამომდინარე, „ევგენი ონეგინი" სულ არ მაინტერესებდა. ამიტომ იყო, რომ წარმოდგენის დაწყებიდან 25 წუთის მერე, კარგად ჩამეძინა... რომ გავიღვიძე, დარბაზში მარტო მე და ბელა ვისხედით. ამას დღემდე მაყვედრის — დიდ თეატრში დაგპატიჟე და შენ ჩაგეძინაო!.. ბელას მეც ვეპატიჟებოდი თეატრებსა და კაფეებში. ძალიან მოსწონდა ბეჭდები და სამაჯურები. წავიყვანდი ხოლმე გამოფენაზე და ვყიდულობდი, რაც მოეწონებოდა. ის ყველაფერი სპილენძის იყო და ძალიან იაფი ჯდებოდა, ბელა კი დიდად კმაყოფილი რჩებოდა... ისინი ახლაც შენახული აქვს.

— **შეგიძლიათ გაიხსენოთ ყველაზე წონადი საჩუქარი, რომელიც ქალისთვის მიგიძღვნიათ?**

— ერთხელ საფრანგეთიდან ვბრუნდებოდი. პარიზის თავზე რომ მივფრინავდით, მომინდა, ბელასთვის საჩუქარი მეყიდა. მოგეხსენებათ, პარიზი სიყვარულის ქალაქია. სტიუარდესების დახმარებით ბელასთვის სუნამო შევარჩიე და იქვე გავუკეთე წარწერა, რომ პარიზის თავზე იყო ნაყიდი... ეს ყველაზე ორიგინალური საჩუქარი იყო, რაც კი ჩემს ცხოვრებაში გამიკეთებია. ბელას ის სუნამო დღემდე გაუხსნელად აქვს შენახული.

— **ტინეიჯერ ბიჭებს რა რჩევებს მისცემდით? როგორ მოიქცნენ პირველ პაემანზე წასვლის წინ?**

– ეს მართლაც, საპასუხისმგებლო ნაბიჯია. პირველ პაემანს შეიძლება მოჰყვეს ოჯახის შექმნა, ბედის გამრუდება ან ძალიან დიდი დეპრესია, ამიტომ პაემანზე წასვლის წინ, ახალგაზრდებმა კარგად უნდა გააცნობიერონ, რატომ სურთ მეორე ადამიანთან შეხვედრა. რაც არ უნდა ამაღლებული სიყვარული ჰქონდეთ, პირველი პაემანი მაინც სპექტაკლია. შემდგომი უფრო მეტად ავლენს ადამიანის სულს.

— **გჯერათ ბედისწერის?**

– ალბათ – კი. ასე რომ არ იყოს, ბაზალეთელი შალვა ნათელაშვილი როგორ გავიცნობდი სენაკელ ბელა ალანიას მოსკოვში?..

— **სიყვარულის მარადიულობის თუ გწამთ?**

– რასაკვირველია. დენის ძაბვა ხომ მუდმივია, მაგრამ შესაძლოა, ,,ქართლი 2“ააფეთქონ და სინათლეც გაითიშება. სიყვარულის მუდმივობას კი, ვერანაირი იარალი ვერ აქრობს. ყოფილა შემთხვევები, როცა მამაკაცს სამეფო ტახტზეც კი



**რაც არ უნდა ამაღლებული სიყვარული ჰქონდეთ, პირველი პაემანი მაინც სპექტაკლია**

უთქვას უარი ქალის გულისთვის.

— **თქვენ თუ იტყოდით უარს პოლიტიკოსობაზე ქალის გულისთვის?**

– *(იცინის)* ბელას რომ ვუჯერებდე, პოლიტიკიდან დიდი ხნის წასული უნდა ვიყო. პოლიტიკა თუ სიყვარულით არ აკეთე, მაშინ ის ფაშიზმში გადავა.

— **ალბათ პოლიტიკაში მოღვაწეობის მანძილზე, ბევრი თაყვანისმცემელი ქალი შეიძინეთ...**

– ძალიან ბევრი ფანატიკოსი ამომრჩეველი მყავს. ამას წინათ, კახეთის სოფელ ზემო მაჩხაანში ვიყავი დაკრძალვაზე წასული. ქალები ისხდნენ სოფლის ,,ბირჟაზე“. ,,ბირჟა“ ცოტა ამაღლებულ ადგილზე იყო. იქიდან ჩამომძახეს – მარტო შენი იმედიღა გვაქვსო. მეც კახურად ვუთხარი – კვერცხებს საააკაშვილის კალთაში აწყობთ და ჩემი იმედი გაქვთ-მეთქი?!. ერთმა გადმომძახა – 90 წლის ვარ, ისე ნუ მომკლავ, არ გაკოცოო. მაშინვე მასთან ავირბინე და ერთმანეთს ჩავეხუტეთ. ძალიან საყვარელი თეთრი პირისახის მანდილოსანი იყო... ■





**ჩვენი „საპატარძლო“, საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ წამყვანი ბელა გიორგაძე გახლავთ. შორიდან ისე ჩანს, რომ ბელა უკარება და ცოტათი ცივი ადამიანიც კია, მაგრამ მასთან პირველსავე შეხვედრისას დარწმუნდებით, რომ ძალზე თბილი და კონტაქტურია. თუმცა, ბელას თაყვანისმცემლები უნდა გავაფრთხილო — თუ მისი გულის დაპყრობა გსურთ, ჯერ გელას უნდა მოაწონოთ თავი... გელა ვინ არის?.. ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# mokrZalebuli da eWviani

# ბელა გიორგაძე

# mziTvis Segrovebas iwyebs

*მარი ჯაფარიძე*

— **ბელა, გაგვაცანი შენი ოჯახი.**

– მე ვცხოვრობ დედასთან, მამასთან და ძმასთან ერთად. დედა დიასახლისია, მამასა და ძმას კი, საკუთარი ბიზნესი აქვთ.

— **რამდენი წლის ხარ?**

– 30-ის.

— **დაახასიათე საკუთარი თავი.**

– ჩემი მეგობრები ჩემს ხასიათს არ უჩივიან, მაგრამ ვაღიარებ, რომ ძალზე მძიმე ხასიათი მაქვს. ჯიუტი ვარ. ეს სწორედ ის თვისებაა, რის გამოც ხშირად მსაყვედურობს დედა: – ნუ ხარ ასეთი ჯიუტი, ადამიანის არაფერი გესმის, ცხვირს წაიმტვრევო და ა.შ. სამაგიეროდ, ძალზე კეთილი და ერთგული ადამიანი ვარ. ამიტომ ჩემი ერთგულების სამაგიეროდ მინდა, გარშემო მყოფთაგანაც იგივე მივიღო. თუ ასე არ ხდება, ძალზე მწყდება გული.

— **ბუტია ხარ?**

– კი, ბუტია ვარ. მაგრამ სულ ცოტა ხნით ვიბუტები ხოლმე, წყენა დიდხანს არ მიმყვება, უცებ მიბრუნდება გული და არ ვიბოღმები. ხანდახან რამდენიმე დღეც საკმარისია იმისათვის, რომ წყენამ გამიაროს.

— **გაბრაზებას როგორ გამოხატავ?**

– ასეთ დროს არც ვტირი, არც ვყვირი, უბრალოდ, საკუთარ თავში ვიკეტები და ვცდილობ, რომ სიმარტოვეში გადავხარშო სიბრაზე და გულის ტკენა.

— **ხშირად ტირი?**

– არა. აღარც კი მახსოვს, ბოლოს როდის ვიტირე. ხანდახან ადამიანს გიგროვდება უარყოფითი ემოცია, გინდა, რომ იტირო და მისგან დაიცალო, მაგრამ მე ამას ვერ ვახერხებ. უკანასკნელად, ამ რამდენიმე წლის წინ ვიტირე, როდესაც ბებია გარდამეცვალა.

— **სიყვარულში იმედგაცრუება თუ გიგრძნია?**

– არა, არასოდეს. როგორღაც ისე მოხდა, რომ თაყვანისმცემლებში ყოველთვის მიმართლებდა და არ მოქცეულან ისე, რომ იმედგაცრუება მეგრძნო.

— **რატომ ხარ გაუთხოვარი?**

– ვაიმე, ეს არის ის კითხვა, რომლის დასმასაც ამ ბოლო დროს ყველამ მოუხშირა... დედაჩემი მამაჩემს მშობლების დაუკითხავად გაჰყვა. დედის მშობლები წინააღმდეგი იყვნენ; სასიძო არ მოსწონდათ, თუ კიდევ რაიმე მიზეზი არსებობდა, არ ვიცი. ამის გამო დედის ნათესავები მამას ყოველთვის ეუბნებოდნენ – აი, შენ რომ ასე გვატკინე გული, სამაგიეროს ბელა გადაგიხდისო... რომ წამოვიზარდე, ძალზე ბევრი თაყვანისმცემელი გამოიჩნდა. ამის გამო ფიქრობდნენ, რომ ადრეულ ასაკში გავთხოვდებოდი და სკოლის დამთავრებასაც კი ვერ მოვახერხებდი. ამ პერიოდში უფრო აქტიურად ეძუქრებოდნენ მამას – აი, ნახავ, ბელა როგორ გადაგიხდის სამაგიეროსო!.. მამა კი სულ მეუბნებოდა – ოღონდ, დაუკითხავად ნუ

გათხოვდები, ამათ ნუ ალაპარაკებ, მითხარი, თუ ვინმე შეგიყვარდება და მე თვითონ გაგათხოვებო. აი, ჩემი გაუთხოვრობის პირველი მიზეზი ეს გახლავთ — რომ მამას ხათრი ვერ გავუტეხე... მეორე — მიმაჩნია, რომ ეს იოლი გადასაწყვეტი სულაც არ არის და ოჯახის შექმნას ძალზე სერიოზულად ვუყურებ. მესამე — როგორც ჩანს, ჯერ არ გამოჩენილა ის ადამიანი, ვინც ასეთი ნაბიჯის გადადგმას გამაბედვინებს. ოჯახი უნდა შექმნა არა იმიტომ, რომ წლები გემატება, არამედ იმიტომ, რომ შენ ამისთვის მზად ხარ. ვფიქრობ, ყველაფერი ჯერ კიდევ წინ მაქვს და არც ახლაა გვიან ოჯახის შექმნა.

— **ამის გამო საყვედურებს ოჯახის წევრებიც გეუბნებიან ხოლმე?**

— ამ ბოლო პერიოდში, დედამ მოუხშირა ამ თემაზე საუბარს, მაგრამ პირდაპირ მაინც ვერ მეუბნება და შემაპარებს ხოლმე — გათხოვებაზე ხომ არ იფიქრებდი?.. დრო ხომ არ მოვიდა, ამ საქმეს სერიოზულად მოეკიდოო?..

— **ახლობლები ხომ არ ცდილობენ ხოლმე, ვინმე გაგირიგონ?**

— სხვათა შორის, ხშირად მეუბნებიან — ამას მოეწონე, იმას მოეწონე, მოდი, შეგახვედრებთო, — მაგრამ ყოველთვის უარს ვამბობდი. ახლა უკვე მე კი აღარ მეუბნებიან — შუამავლად დედას ირჩევენ და ის მიწყებს ჩიჩინს...

— **ცხადია, შეყვარებული ყოფილხარ, არა?**

— კი, როგორ არა?! რამდენიმე წლის წინ გახლდით სიყვარულით თავბრუდახვეული. მიუხედავად იმისა, რომ ეს ოჯახის შექმნით არ დასრულებულა, გული მაინც არ მწყდება: ის პერიოდი ძალზე კარგად მახსენდება და სიამოვნებით ვფიქრობ ხოლმე ამაზე...

— **შეყვარებულობისას იცვლები?**

— კი, სულ სხვანაირი ვხდები. სახეზე მეტყობა ხოლმე, რომ შეყვარებული ვარ: თვალები მიბრწყინავს, კარგ ხასიათზე ვარ, სულ ვიღიმი. მეგობრები, როგორც კი ამას შეამჩნევენ, მეუბნებიან — რა ხდება? აბა, მოყევი და არაფერი დაგვიმალოო... ძალიანაც რომ მინდოდეს დამალვა, ვერ მოვახერხებ.

— **როგორი მამაკაცები მოგწონს?**

— კონკრეტულ ტიპს ვერ დავახასიათებ, რადგან წინასწარ არ ვიცი, როდის, ვინ და როგორი ადამიანი შემიყვარდება. ჩემთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს შინაგან სამყაროს. ჩემ გვერდით ვისურვებდი ისეთ ადამიანს, ვისაც ძალზე ვეყვარებოდი და ჩემი ერთგული იქნებოდა.

— **ეჭვიანი ხარ?**

— კი, ძალიან ეჭვიანი ვარ. გარშემო მყოფების მიმართ ძალზე მომთხოვნი ვარ და ყოველთვის ერთგულებას მოვითხოვ.

— **ჩამოთვალე შენი მზითვი.**

— ო-ო, ამ მხრივ, ჩემი მომავალი მეუღლე უნდა გავაწბილოო, რადგან არანაირი მზითვი არა მაქვს, ჯერ არ შემიგროვებია. ახლა კი დროა, მართლაც მოვაგროვო...

— **საოჯახო საქმე გეხერხება?**

— კი, კარგად გამომდის. ამბობენ, რომ ძალზე გემრიელ კერძებს ვამზადებ, მაგრამ ოჯახში საქმიანობა არ მიწევს. მთელი დღე გამოსული ვარ შინიდან, ვმუშაობ. დედა აკეთებს ყველაფერს, მე კი იშვიათად ვეხმარები.

— **შენი ქორწილი როგორ გაქვს წარმოდგენილი?**

— ამაზე მართლაც, მიფიქრია. განსაკუთრებით ვცდილობ ხოლმე წარმოვიდგინო, თუ როგორი პატარძალი ვიქნები. მინდა, ცოტა ქართული და ცოტა ევროპული ქორწილი მქონდეს. აუცილებელი არ არის, ნეფე ჩემს წასაყვანად ლიმუზინით ან უახლესი მოდელის უცხოური მანქანით მოვიდეს, მაგრამ ვიმედოვნებ, თეთრი რაშით არ მოვა...

— **წინასწარმეტყველების გჯერა?**

— ადრე უფრო მჯეროდა, ახლა უკვე — აღარ. მკითხავმა რა უნდა მითხრას წინასწარ?..

— **როგორ გრძნობ თავს რესპონდენტის ამპლუაში? შენ ხომ ჟურნალისტი ხარ და ძირითადად, იქით სვამ ხოლმე კითხვებს?**

— მინდა გითხრათ, რომ ჟურნალისტის ამპლუაში უფრო თავდაჯერებულად ვგრძნობ თავს. ახლა ვხვდები, თურმე, რაოდენ ცუდ დღეში ვაგდებთ ხოლმე რესპონდენტებს. რაღაცნაირად დაძაბული ვარ და ვცდილობ, ისეთი პასუხები გაგცეთ, როგორიც საჭიროა...

— **პირდაპირ ეთერში მუშაობისას, ხშირად გადაგხდენია თავს კურიოზი?**

— კი, ხდება ხოლმე. ხანდახან კურიოზულ, ხანდახან კი, უხერხულ სიტუაციაშიც აღმოვჩნდებით ხოლმე. მახსოვს, ერთხელ, „მოამბის“ ბოლო ნაწილში, სპორტული გვერდის გამოცხადებისას ვთქვი — ახლა სპორტის სიახლეებს გაგაცნობთ ჩვენი კორესპონდენტი დავით მინაშვილი-მეთქი. უნდა



განსაკუთრებით ვცდილობ ხოლმე წარმოვიდგინო, თუ როგორი პატარძალი ვიქნები

მეთქვა — ჩემი კოლეგა... დათოს სახე შეეცვალა, მაგრამ მე ვერ მივხვდი, რა მოხდა. „მოამბე“ რომ დამთავრდა, დათომ მადლობა გადამიხადა — კიდევ კარგი, ჩემი კორესპონდენტი რომ არ თქვიო. ამას დღემდე მახსენებს ხოლმე.

— **სამიჯნურო წერილი თუ მიგიწერია ვინმესთვის?**

— არა, მე არასოდეს დამიწერია სასიყვარულო ბარათი. მაგრამ მახსოვს, მოსწავლეობის დროს, მე თვითონ უამრავ წერილსა და საჩუქარს ვიღებდი ხოლმე. ხომ გახსოვთ, წინათ როგორი მერხები იდგა სკოლაში? ასაწევი „ფრთა“ ჰქონდა და ქვეშ — პატარა თარო. სწორედ ამ თაროზე მხვდებოდა ხოლმე წერილი, სუნამო, ყვავილები ან სათამაშოები. როგორც წესი, საჩუქრის მომტანი ვინაობას არ ამჟღავნებდა. მერე ვიწყებდი მინიგამოძიებას და დავადგენდი ხოლმე ანონიმი თაყვანისმცემლის ვინაობას...

— **აქტიური ქალი ხარ? შეგიძლია, მამაკაცი შეაბა?**

— აქტიური არა ვარ. არ მიმაჩნია, რომ თუ ქალს მამაკაცი მოეწონება და მის შებმას დაიწყებს, ეს ცუდი ქცევაა, მაგრამ მე თვითონ ასე მოქცევა არ შემიძლია. ამას თავისებური ხასიათი სჭირდება, უფრო თამამი უნდა იყო. როგორც არ უნდა მომეწონოს მამაკაცი, ამას ვერ ვაგრძნობინებ. შესაძლოა, ეს ჩემი მცირე ნაკლია. სულ მეუბნებიან — გოგო, ცოტა უნდა იაქტიუროო, — მაგრამ არ შემიძლია და რა ვქნა?..

— **დავუშვათ, ვინმე შეგიყვარდა. ვის დაეკითხები აზრს, გაჰყვე თუ არა მას ცოლად?**

— ოჯახის წევრებს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას კი, ჩემი ძმის — გელას აზრს ვანიჭებ. ის არასოდეს ცდება. ერთხელ სწორედ ასეთი შემთხვევა მქონდა. გელას ვკითხე აზრი ერთ-ერთი ჩემი თაყვანისმცემლის შესახებ. მან სასიძო დაიწუნა. ბუნებრივია, მეწყინა და არ მინდოდა, მისთვის დამეჯერებინა, მაგრამ მის აზრს ანგარიში გავუწიე და თაყვანისმცემელს უარი ვუთხარი. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვფიქრობდი, რომ არასწორად მოვიქეცი, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ გელა მართალი იყო და რომ დავუჯერე, მოგებული დავრჩი.

— **შენს სახელზე მოსულ გამოხმაურებებს გაეცნობი?**

— ო-ო, ძალიან მაინტერესებს, ვინ გამომეხმაურება. ბუნებრივია, დავინტერესდები და გულდასმით გავეცნობი კიდეც...

*ბელას თაყვანისმცემლებს შეგიძლიათ დამირეკოთ ან დამიმესიჯოთ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. თქვენს გზავნილებს ჩვენს „საპატარძლოს“ გავაცნობ და ის მოისურვებს, ერთ-ერთ თქვენგანს შეხვდება კიდეც. წარმატებას გისურვებთ!*

■



**„სუხიშვილების“ მოცეკვავის, ნინო ჯოხაძის ინტერვიუზე გამოხმაურებად მოსული გზავნილების სიმრავლით თუ ვიმსჯელებთ, მოცეკვავეები არანაკლებ პოპულარულები ყოფილან, ვიდრე მომღერლები და პოლიტიკოსები. განსაკუთრებით ის მამაკაცები აქტიურობდნენ, ვისაც ტყუპისცალი დედმამიშვილი ან მშობელი ჰყავთ; ისინი ნინოს ხელსა და გულს სთავაზობენ. მათ შორის, ზოგი ძალზე მორიდებული ჩანს, ზოგი — საკმაოდ თამამი, ხოლო ზოგიერთზე ისიც კი ითქმის — „ნაგლიაო“...**

# „...და შენს თავს ვერავინ წამართმევს”

*მარი ჭაფარიძე*

„ნინიკო მომიკითხეთ, თუ კიდევ ვახსოვარ, ძალიან გამახარებს. მე ისევ სიგიჟემდე მიყვარს, სიცოცხლეზე მეტად! მიშკა“.

„ძალიან მომეწონა თქვენი „საპატარძლო“. ჯერ პატარაა გასათხოვრად, მაგრამ მაინც წარმატებას ვუსურვებ“.

„ნინო, ნამდვილი „საპატრაძლო“ ხარ. ძალიან მომწონხარ. ვისურვებდი შენთან დაახლოებას და შენი შინაგანი სამყაროს გაცნობას. ვნახოთ, ყველაფერი უფლის ნებაა. შავგვრემანი ადვოკატი, 25 წლის“.

„ძალზე მომეწონა ნინო. ვარ 19 წლის, ფოთელი ბიჭი. მომავალი იურისტი. თუ დაინტერესდები, დამირეკე: 8(93) 98.0...“

„ნინო, შენ რომ მოგწონს, სწორედ ისეთი ბიჭი ვარ, მაღალი და ცისფერთვალება. მყავს ტყუპი და და რამდენიმე ტყუპი ნათესავი. ოღონდ, ეგ არის — ცეკვა არ ვიცი. თუ დამირეკავ, გეფიცები, ვისწავლი“.

„ნინო ძალიან მომეწონა. ძალიან ლამაზია. თან მეც ტყუპისცალი ვარ. არც აზიატი ვარ, მაგრამ სამწუხაროდ, ცეკვა არ ვიცი. ასე რომ, მშვიდობით, გისურვებ წარმატებებს და დიდ ბედნიერებას“.

„ნინიკოს: მიყვარხარ და შენს თავს ვერავინ წამართმევს. თემო თ-უა ფოთიდან“.

„შენი მოთხოვნებიდან მარტო ერთს ვერ ვაკმაყოფილებ — თვალები არა მაქვს ლურჯი. თუმცა, შემიძლია, ლინზები გავიკეთო და იდეალური კანდიდატურა გავხდები. „აზიატი ტყუპისცალი“.

„ნინო, ძალიან მიყვარხარ. ცეკვაც ვიცი... ძალზე ლამაზი ხარ. მეც რაჭველი ვარ“.

„გენა, ისეთი გენისა და ჯიშის ბიჭი ვარ, ისეთ ტყუპს „ვაკეთებ“, გაოცდები... შენ გაჩენაზე იდარდე, დანარჩენი ჩემზე იყოს. კაი ბიჭი ჩუმლაყიდან. გკოცნი ტყუპად, ჩემო ტანწერწეტა გოგოვ“.

„თქვენი საპატარძლო ძალიან მომეწონა. ვარ მაღალი, შავგვრემანი, ხუჭუჭთმიანი ბიჭი. სიამოვნებით ვიმეგობრებდი ნინოსთან. მეგობრობას იმიტომ ვთავაზობ, რომ მოცეკვავეზე გათხოვება არ უნდა და აბა, სხვა რაღა დამრჩენია?!. გოგა, 22 წლის“.

„ნინო, მინდა იცოდე, რომ მთელი ვნებით, მთელი სიყვარულით, მთელი სინაზით, მთელი გულითა და სულით მიყვარხარ, მაგრამ შენზე მეტად ჩემი თავი მიყვარს...“

„ნინო, ძალზე სათნო და გულკეთილი გოგო ყოფილხარ. ვისურვებდი შენნაირ რძალს. კიკა“.

„ნინო, ჩემი სულის ბნელ კუნჭულში პატარა იმედის „ნაგლეჯი“ ვიპოვე და მინდა, ამან მაინც მომიტანოს ის, რაც თითქოსდა აკრძალულია ჩემთვის. ძალიან გთხოვ, გამესაუბრე სულ ერთი წუთით მაინც. ეს ჩემთვის უდიდესი სიხარულის მომტანი იქნება. დამიჯერე, გთხოვ, გულს ნუ მატკენ. შენ ხარ ის, ვინც დამაფიქრა. მარი, შენ კი ჩუმად გეტყვი — თუ სასწაული მოხდა და ნინო ჩემს ცხოვრებაში შემოვიდა, მე მას სიცოცხლეს მივუძღვნი. სამწუხაროდ, სასწაული ხომ მხოლოდ ზღაპრებში ხდება...“

„ნინო, მე მართლაც რომ მოხიბლული ვარ შენი „გენიალური“ ხასიათით, რაც ნათლად არის აღბეჭდილი შენს ინტერვიუში. ამ ყველაფერთან ერთად კი, მინდა, ერთი პატარა ლექსი მოგიძღვნა: ეჰ, მზე რატომ არ ვარ? ღრუბლებში სადმე, მე დავტოვებდი სამყაროს ფართოს; თვალს დავხუჭავდი ყველაფრისადმი, რომ თქვენს თვალებში მეცქირა მარტო. თემო“.

„მე ლუკა ვარ, ნინოსთან დაკავშირებით გიმესიჯებთ. უზომოდ მომეწონა და იქნებ, რამენაირად... თან, იტალიურსაც ვასწავლი — ნახევრად იტალიელი ვარ (დედით). მაღალი არა ვარ (177 სმ), მაგრამ როგორც ნინოს მოთხოვნაა, სპორტსმენი ვარ (ხელჩართული ბრძოლა, ათლეტიზმი). დავიბადე მილანში, გავიზარდე რუსეთში, მაგრამ ვარ ბოლომდე ქართველი“.

„წავიკითხე ნინოს ინტერვიუ. მინდა, ბედი ვცადო. მე ვარ ჯონი, 27 წლის. ვცხოვრობ ვერაზე. დედაჩემის და-ძმა ტყუპია“.

„მყავს ტყუპისცალი და. ასე რომ, ნინოს ტყუპი ქალ-ვაჟი გარანტირებული აქვს. უთხარით, დამირეკოს...“

■



**ფრაზები გენიალური**

იდეალური სიყვარული მხოლოდ მიმოწერითაა შესაძლებელი.

*ბერნარდ შოუ*




# განთავისუფლდით სახსრების ჭრიალისაგან

სახსროვანი დაავადებებით (ართროზი, ართრიტი, პოლიართრიტი) შეწუხ-ებულია ბევრი ხანდაზმული ადამიანი, მაგრამ სულ უფრო ხშირად მუხ-ლების ჭრიალი 30 წლის ასაკშიც აწუხებთ.

ართროზის დროს ზიანდება სახსრებსშორისი ხრტილი – ბუნებრივი ამორტიზატორი, და თქვენს ყოველ მოძრაობას თან სდევს ტკივილი და ჭრიალი.

ნუ ყლაპავთ ტყუილად ტკივილგამაყუჩებელ აბებს, რომლებიც მო-ქმედებენ შედეგზე და არა გამომწვევ მიზეზებზე. დღეს ექიმები გვირჩევენ ახალი თაობის პრეპარატებს, რომლებსაც შეუძლიათ ძირეულად შეცვალონ დაავადების სვლა – ეს არის ხონდროპრო-ტექტორები. კომპანია „ნუტრიმენტ ჰაუსი" გთავაზობთ უახლეს ნატურალურ პრეპარატს „გლუკოზამინ მსმ"-ს. იგი წარმოად-გენს იმ უნიკალურ ნაერთს, რომელიც აჩერებს სახსრების ნგრევას და ხელს უწყობს ძვლოვანი და სახსროვანი ქსოვილის აღდგენას.

***რითი განსხვავდება „გლუკოზამინ მსმ" სხვა ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები-სგან?***

ნებისმიერი ტკივილგამაყუჩებელი საშუალება სიმპტომურად ხსნის ტკივილს, ხოლო „გლუკოზამინი მსმ"-ით ახდენს ტკივილის გამომწვევ მიზეზებზე ზემოქმედებას. ტკივილის შემცირება და კლინიკური გაუმჯობესება განპირობებულია აღდგენითი პროცესებით სახსრებში და ხრტილში.

„გლუკოზამინ მსმ" მიაწვდის ორგანიზმს დაკარგულ ნივთიერებებს უშუალოდ მტკივნეულ წერტილებში. ამავე დროს მიაწვდის დაავადებულ სახსარს ანთების საწინააღმდეგო მცენარეულ კომპლექსს და რაც უფრო ადრე მოიშველიებთ „გლუკოზამინ მსმ"-ს მით უფრო სწრაფი და ეფექტური იქნება შედეგი!

***რა უპირატესობა აქვს „გლუკოზამინი მსმ"-ს სხვა მსგავსი პრეპარატებისაგან განსხვავებით?***

„გლუკოზამინ მსმ" არ აღიზიანებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს, ვინაიდან მასში შედის ისეთი მცენარეული ბოჭკოები, რომლებიც კუჭ-ნაწლავის ტრაქტში მოხვედრისთანავე აბის გარშემო ქმნიან ჟელესებრ პროტექტორს.

***რატომ ანიჭებენ ჰიპერტონული დაავადებისას „გლუკოზამინ მსმ"-ს უპირატესო-ბას?***

ვინაიდან ამ პრეპარატის შემადგენლობაში არის კალიუმის ქლორიდი და არა ნატრიუმის ქლორიდი,მისი დანიშვნა თამამად შეიძლება ჰიპერტონიკებისათვის,როგორც ცნობილია ნატრიუმის იონი იწვევს ორგანიზმში სითხის შეკავებას, რაც არ არის რეკომენდირებული ჰიპერტონული დაავადებებისას.

კომპანია „ნუტრიმენტ ჰაუს"-ში თქვენ გელით ექიმების გულისხმიერება და მზრუნველობა. კვალიფიციური ექიმები დაგეხმარებიან პრეპარატების სწორად შერჩევასა და დანიშვნაში.

**ნუტრიმენტ ჰაუსი**
**NUTRIMENT HOUSE**

მის. დ.აღმაშენებლის 150; ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები: ყოველ დღე კვირის გარდა 10.00 – 18.00

# მამა შვილის თვალწინ მოკლეს

## ბრალდებულებმა შემზარავი დანაშაულის განზრახვა უარყვეს

**სისასტიკითა და სადიზმით გამორჩეული მკვლელობა მოხდა შობის დღეს ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში. ბოროტმოქმედებმა მსხვერპლს ენით აღუწერელი ტანჯვა მიაყენეს — ჯერ დაუნდობლად წიხლებით სცემეს, შემდეგ, ძირს წაქცეულისა და ისედაც სიკვდილის პირას მისულის, შუშის ბოთლის გადანამტვრევითა და წვეტიანი ქლიბით დაჭრას მიჰყვეს ხელი. ჩადენილ დანაშაულში ყველაზე შემზარავი ის გახლავთ, რომ არყით გალეშილმა ახალგაზრდებმა სასიკვდილოდ გაიმეტეს მეზობელი, თანაც მას საკუთარი შვილის თვალწინ ამოხადეს სული...**

26 წლის დავით ფასენოვსა და 25 წლის პეტრე იორდანიშვილს სწორედ ამ დანაშაულისთვის ელის პასუხისგება. პროკურატურა აცხადებს, რომ სწორედ მათ გამოასალმეს სიცოცხლეს 41 წლის ელდარ ასაბაშვილი. ბრალდებულებმა მკვლელობის განზრახვა უარყვეს. მიუხედავად ამისა, პროკურატურამ ბრალი დადასტურებულად გამოაცხადა და აღნიშნული საქმე, ჯგუფური ხულიგნობისა და აგრეთვე, ჯგუფური მკვლელობის მუხლებით, უზენაეს სასამართლოს გადაუგზავნა.



საბრალდებო დასკვნის თანახმად, მკვლელობა, ბედობის დღეს – 2003 წლის 2 იანვარს მომხდარ ჩხუბს მოჰყვა. ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, გელა ასაბაშვილი (ელდარ ასაბაშვილის შვილი) თავის მცირეწლოვან ვაჟიშვილთან ერთად, თბილისიდან სოფელ შილდაში მშობლებთან ჩავიდა. საღამო ხანს სტუმრად ეწვია ამავე სოფელში მცხოვრებ სოლომონ ლომაურს. მის ოჯახში ივახშმა და დაახლოებით 10 საათისთვის შინისკენ გასწია. გზაში მთვრალი დავით ფასენოვი (იგივე შურიკა) შეხვდა. მან მაშინვე ჩხუბი დაუწყო ასაბაშვილს: ჩემს მეზობელს ალექსი ჭუნაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა რატომ მიაყენეო? თუმცა, როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, ეს ფასენოვმა უბრალოდ, საჩხუბრად მოიგონა და სინამდვილეში, ასაბაშვილსა და ჭუნაშვილს შორის მსგავსი არაფერი მომხდარა. იმ საღამოს ფასენოვს შემთხვევის ადგილზე მისულმა ჭუნაშვილმა და დავით მჭედლიშვილმა არ მისცეს ჩხუბის გაგრძელების საშუალება. მათ ახალგაზრდები გააშველეს. თუმცა, საქმის მასალების მიხედვით, ფასენოვმა მაინც მოასწრო ასაბაშვილის ცემა და მისი ტყავის ქურთუკის დახევაც.

2003 წლის 7 იანვარს, დავით ფასენოვი და პეტრე იორდანიშვილი მეზობლის ოჯახში აღნიშნავდნენ შობის დღესასწაულს. ქეიფს დაახლოებით საღამოს 11 საათისთვის მორჩნენ. შალოშვილების ოჯახიდან გამოსულებმა, ქუჩაში ასევე ნასვამი გელა ასაბაშვილი შენიშნეს. გადაწყვიტეს, რამდენიმე დღის წინ მომხდარი ჩხუბის გამო, მისთვის საქმე გაერჩიათ. გელა ასაბაშვილი იორდანიშვილმა ხელით შეაჩერა და უთხრა – შენთან სალაპარაკო მაქვსო! ასაბაშვილმა შეამჩნია, რომ ისიც და ფასენოვიც მთვრალები იყვნენ და მოსალოდნელი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, იორდანიშვილს ურჩია: ყველანი მთვრალები ვართ; თუკი ჩემთან სალაპარაკო გაქვთ, უმჯობესია, ხვალ შევხვდეთო. ასეთმა პასუხმა, როგორც ჩანს, საჩხუბრად განწყობილი ფასენოვი და იორდანიშვილი უფრო გაალიზიანა. საქმის მასალების თანახმად, ჯერ განაწყენებულმა ფასენოვმა შეაგინა ასაბაშვილს და თან სახეში მუშტი გაარტყა მას, შემდეგ ორივემ ერთდროულად დაუწყო ცემა იმ დროს უკვე წაქცეულ ასაბაშვილს. გამოძიების მასალების მიხედვით, ამ ფაქტს ასაბაშვილის ნათესავი – დავით მჭედლიშვილი შეესწრო. მან თავდაპირველად, ფასენოვსა და იორდანიშვილს მოუწოდა, შეეწყვიტათ ასაბაშვილის ცემა, მაგრამ შემდეგ, იმის შიშით, რომ თავადაც „შარში გაეხვეოდა“, თავი დაანება მოჩხუბრებს და იქაურობა საჩქაროდ დატოვა.

როცა გელას შინ მისვლა ძალიან დააგვიანდა, აღელვებული მამამისი – ელდარ ასაბაშვილი მის საძებნელად სახლიდან გავიდა. სოფლის ცენტრალურ გზასთან მიახლოებულს, ჩხუბისა და გინების ხმა შემოესმა, იქითკენ წავიდა და მალე დაინახა, რომ ორი ადამიანი გამეტებით ურტყამდა წიხლებს მის შვილს. აღშფოთებულმა წამოიძახა – უჰ, თქვენიო!.. – და შვილის საშველად გაეშურა.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ამ წამოძახების გაგონებისას, იორდანიშვილმა თავი დაანება გელას, იქვე, გზის პირას მიგდებულ, ბეტონის ბლოკზე ქუჩაში ნაპოვნი ბოთლი გადაამტვრია და იმით შეიარაღებული გაემართა ელდარ ასაბაშვილისკენ. ყოველივე ეს კარგად დაინახა (როგორც თავად ამბობს) ძირს წაქცეულმა გელა ასაბაშვილმა. „*...მამისთვის უნდა მეშველა. იმ მომენტში შურიკა ჩემსავე კაშნეს კისერზე მიჭერდა, მაგრამ მაინც მოვახერხე და ფეხებში გამოვკარი მას ხელი. ასე წავაქციე და თავად მაშინვე იორდანიშვილისკენ გავიქეცი. მთელი ტანით დავეჯახე მას და მგონი ორივენი ძირს დავცვივდით; მაშინ მე გონება დავკარგე...*“ – აღნიშნავს გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში **გელა ასაბაშვილი**.

იორდანიშვილთან დაჯახების შედეგად, ის წყლის პატარა არხში ჩავარდა და საშინლად ნაცემმა და ძალაგამოცლილმა, იქიდან ამოსვლა ველარ შეძლო. მამამისი, რომელიც წარსულში სპორტსმენი გახლდათ და ამიტომაც ფიზიკურად ძლიერი იყო (იმ დროს ის შილდის საშუალო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობდა) ერთხანს ახერხებდა ორი ახალგაზრდისთვის წინაალმდეგობის გაწევას. როგორც ჩანს, ამან კიდევ უფრო გააღიზიანა ფასენოვი და იორდანიშვილი. პროკურატურის მტკიცებით, გაბრაზებულებმა,


დავით ფასენოვი


პეტრე იორდანიშვილი

ელდარ ასაბაშვილის მოკვლა განიზრახეს. ფასენოვმა წამახვილებულწვერიანი და ალესილპირიანი სამკუთხა ქლიბი (რომელიც გამოძიების ინფორმაციით, მას თან ჰქონდა) ელდარ ასაბაშვილს გულმკერდში მარჯვენა მხარეს ძლიერად ჩაარტყა. ასაბაშვილი მაშინვე წაიქცა და წინააღმდეგობის გაწევა შეწყვიტა. „ამის მიუხედავად, მათ მაინც განაგრძეს დაჭრილის ცემა და მამის მკვლელობას აყურებინებდნენ დაუძლურებულ გელა ასაბაშვილს“, — წერია საბრალდებო დასკვნაში.

გამოძიების მტკიცებით, როცა ფასენოვი და იორდანიშვილი დარწმუნდნენ, რომ ასაბაშვილი მოკლეს, შეწყვიტეს მისი ცემა და შემთხვევის ადგილს გაეცალნენ.

პირველად პოლიციამ იორდანიშვილი დააკავა. მან კატეგორიულად უარყო ასაბაშვილის მკვლელობის განზრახვა და დანაშაულში, კერძოდ, ცემაში მონაწილეობაც. მისი თქმით, ის ასაბაშვილებსა და ფასენოვს უბრალოდ, აშველებდა... რაც შეეხება ფასენოვს, დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მან დატოვა ყვარლის რაიონი და სხვადასხვა ადგილს აფარებდა თავს. მართლმსაჯულებისთვის თავის არიდების მიზნით, საზღვარგარეთ გამგზავრება გადაწყვიტა, თუმცა იცოდა, რომ ამას თავისი პასპორტით ვერ შეძლებდა. იმისათვის, რომ არ დაეკავებინათ, ყალბი პასპორტი ესაჭიროებოდა. მის დასამზადებლად, ფასენოვი გამოძიებით დაუდგენელ პირს დაუკავშირდა და დახმარება სთხოვა. თავის თბილისელ ნაცნობს — გიორგი ყურაშვილს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა სთხოვა, რათა პასპორტი მის სახელზე აეღო. ყურაშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, თუ ფასენოვმა რა დანაშაული ჩაიდინა, დახმარებაზე მას უარი მაინც არ უთხრა. სწორედ ამის გამო — კერძოდ, ყალბი საბუთის დამზადებაში ხელშეწყობის გამო, — ფასენოვსა და იორდანიშვილთან ერთად, სასამართლოს წინაშე, როგორც განსასჯელი, 25 წლის გიორგი ყურაშვილიც წარდგება. თუმცა, მათგან განსხვავებით, ის პატიმრობაში არ იმყოფება. აღკვეთის ღონისძიება მას ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილით განუსაზღვრეს.

ყალბი პასპორტის დამზადების მიუხედავად, ფასენოვმა საზღვარგარეთ გამგზავრება მაინც ვერ მოახერხა, რადგან 2004 წლის 2 ივნისს, თბილისში ის პოლიციამ დააკავა. გამოძიებას ჩვენება ფასენოვმაც მისცა. ყალბი პასპორტის დამზადება მან აღიარა, მაგრამ ასაბაშვილის განზრახ ჩადენილი მკვლელობა უარყო. ჩვენებიდან გამომდინარე, ბრალდებულის პოზიცია ასეთია: ელდარ ასაბაშვილი პირველი დაესხა მათ თავს, ის კი იძულებული გახდა, თავი დაეცვა და მოეგერიებინა იგი.

„ელდარს ხელში ეჭირა მოკლე ჯოხი. ის ტელევიზორის ფეხი აღმოჩნდა, მას ერთ მხარეზე დამაგრებული ჰქონდა წვეტიანი საგანი. რამდენჯერმე მომიქნია, მეც არ ვიცი, როგორ ავიცდინე, თუმცა ერთხელ მარჯვენა ხელში მაინც მომხვდა. მოვახერხე და წავართვი. ის მცემდა, მბოჭავდა და ცდილობდა, წაერთმია ჩემთვის ის საგანი. მეც სწორედ იმ დროს ჩავარტყი ის სხეულში... ზუსტად სად მოხვდა, არ ვიცი. დავინახე, რომ წაიქცა. ამის შემდეგ მას არ მივკარებივარ. მის ცემაში იორდანიშვილს მონაწილეობა არ მიუღია“, — წერს **ფასენოვი**.

მაგრამ იორდანიშვილს ხელს აძლევს დაზარალებული — მოკლულის შვილი. წინასწარი გამოძიების პერიოდში, იორდანიშვილმა უარი განაცხადა გელა ასაბაშვილთან დაპირისპირებაზე. საინტერესოა, რას იტყვიან ისინი სასამართლოში... ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში, დავით ფასენოვსა და პეტრე იორდანიშვილს უვადოდ თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. ■

## ელენე თევდორაძე ბავშვთა მოსამართლეების ინსტიტუტის შემოღებას მოითხოვს

ელენე თევდორაძე ახალი ინიციატივით გამოდის და ბავშვთა მოსამართლეების ინსტიტუტის შემოღებას ითხოვს. ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის მხარდაჭერით, კომიტეტის თავმჯდომარე ამ წინადადების საკანონმდებლო ინიციატივად ჩამოყალიბებას გეგმავს და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში პროექტის შეტანას აპირებს.

ელენე თევდორაძის აზრით, დღევანდელ სასამართლოში არასრულწლოვანი განსასჯელები იჩაგრებიან. პარლამენტარის თქმით, მოსამართლეებს არ ესმით მათი, არ იციან მოზარდის ფსიქოლოგია და ისე ესაუბრებიან არასრულწლოვან პატიმრებს, როგორც პოტენციურ დამნაშავეებს. თევდორაძის თქმით, ეს დაუშვებელია, რადგან უმრავლეს შემთხვევაში ამას სავალალო შედეგები მოაქვს — მოზარდების ფსიქიკა კიდევ უფრო მახინჯდება და საბოლოოდ, ისინი ცუდ გზას ადგებიან.

თევდორაძე იდეის მხარდაჭერისკენ მოუწოდებს დეპუტატებს და ევროპის ქვეყნების კანონმდებლობაში არსებული პოზიტიური მუხლებისა და გამოცდილების გაზიარებას ითხოვს. ■

«დ ე ლ ტ ა»
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრებისა და
ლამინირებული ავეჯის
დამზადება
ბრტყელი გადახურვები
მის: მ.ლადიძის ქ.№9 ტ: 92 32 08; 92 14 95.

# მკვლელობის მცდელობისთვის ნასამართლევმა მორიგი დანაშაული ჩაიდინა

34 წლის რუსთაველმა კობა გოჯიაშვილმა, პროკურატურის ინფორმაციით, განზრახ სხეულის დაზიანება და მკვლელობა ჩაიდინა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი დანაშაული მას ადრეც ჩაუდენია. 1997 წელს გოჯიაშვილი რუსთავის სასამართლომ მეზობლის მკვლელობის მცდელობისთვის გაასამართლა, დამნაშავედ ცნო და სასჯელის ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. 2003 წლის ივნისში გოჯიაშვილი ციხიდან პირობით ვადამდე გაათავისუფლეს, მას 1 წელი და 2 თვე კიდევ ჰქონდა მოსახდელი. როგორც პროკურატურა აცხადებს, სწორედ ამ პერიოდში, ციხიდან სულ რამდენიმე თვის გამოსულმა გოჯიაშვილმა ზედიზედ ორი დანაშაული ჩაიდინა. პირველ შემთხვევაში, ცოლზე ეჭვიანობის გამო, მეორედ კი, მის ოჯახთან დაკავშირებული, წარსულში მომხდარი უსიამოვნებისთვის 30 წლის მამაკაცს სასტიკად აგებინა პასუხი – ცემით ამოხადა სული.

პირველი დანაშაული 2004 წლის 18 მარტს მოხდა. საბრალდებო დასკვნის თანახმად, საღამოს 11-ის ნახევარი იყო, როცა გოჯიაშვილმა რუსთავში, ახმეტელის ქუჩაზე მცხოვრებ შალვა წიკლაურს მიაკითხა და საქმის გარჩევა დაუწყო. როგორც გაირკვა, გოჯიაშვილი ეჭვობდა, რომ წიკლაურს მის ყოფილ ცოლთან (რომელსაც 2003 წელს გაეყარა) ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა. ჩხუბისას მან ჯოხი ჩაარტყა წიკლაურს და სხეულის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება მიაყენა.

წიკლაური გოჯიაშვილთან ჩხუბს ცოცხალი გადაურჩა, რუსთაველი რომან ბონდარენკო კი – ვერა. 2004 წლის 8 ივნისს, მთვრალი გოჯიაშვილი ზედგენიძის ქუჩაზე, ნაცნობის – ლეილა აზარიაშვილის საცხოვრებელ ბინაში მივიდა. შემთხვევით, იქ სწორედ ის დახვდა, ვისაც დიდი ხანია ეძებდა...

**გოჯიაშვილის ჩვენებიდან:**

*„ჯერ კიდევ ციხეში ვიხდიდი სასჯელს, როცა ჩემი ძმა – კახა გარდაიცვალა. დედაჩემს ექიმის მოსაყვანად და მიცვალებულის გასაპატიოსნებლად ფული რომასთვის მიუცია. მასაც გამოურთმევია, მაგრამ ექიმი არ მოუყვანია. ამის გამო მიცვალებული გაფუჭებულა. ეს ამბავი რომ გავიგე, ძალიან გავბრაზდი. ერთი სული მქონდა, როდის შევხვდებოდი რომას და ვკითხავდი, რატომ მოიქცა ასე...“*

იმ დღეს, ბონდარენკოც ნასვამი ყოფილა. გოჯიაშვილმა დაიანახა თუ არა იგი, მაშინვე პასუხი მოსთხოვა, წარსულში მომხდარის გამო და ჩხუბი დაუწყო. მისივე ჩვენების მიხედვით, ბონდარენკომ აღიარა, რომ ფული მართლაც, გამოართვა დედამისს ექიმის მოსაყვანად, მაგრამ პირადი საქმისთვის დასჭირდა და დახარჯა, ამიტომაც შემდეგ იქ აღარ მიბრუნებულა...

გოჯიაშვილმა ბონდარენკოს ხელებითა და ფეხებით ცემა დაუწყო. ბინაში იმ დროს იმყოფებოდა დიასახლისი თავის შვილთან ერთად. ჩხუბი რომ ატყდა, მათ შეეშინდათ და იქიდან გაიქცნენ... ამასობაში, გოჯიაშვილმა (როგორც პროკურატურა აცხადებს) წაქცეულ და დაუძლურებულ ბონდარენკოს წიხლები მანამ ურტყა, სანამ ის ადგილზე არ გარდაიცვალა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა გვამზე უამრავი დაზიანება დააფიქსირეს, აღნიშნეს, რომ დამნაშავე მსხვერპლს სასიცოცხლო ადგილებში – თავსა და გულმკერდის არეში ურტყამდა ძლიერად; ამის გამო, თავის ტვინის რბილ გარსებში ტოტალური სისხლჩაქცევა განვითარდა და ბონდარენკოს სიკვდილის მიზეზიც ეს გახდა.

თუმცა, თავად გოჯიაშვილი უარყოფს იმ ფაქტს, რომ მან ბონდარენკო სასიკვდილოდ სცემა. *„როცა წაიქცა, შევეშვი და ბინიდან გავედი, ის კი კარამდე მუხლებზე ხოხვით გამომყვა“*, – აღნიშნავს ბრალდებული. მისი თქმით, ბონდარენკო მან ბინაში ცოცხალი დატოვა, ხოლო მას შემდეგ რა მოხდა, არ იცის.

პროკურატურამ გოჯიაშვილს ორი მუხლი – 112-ე (სხეულის განზრახ, ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენება) და 109-ე (განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში, არაერთგზის ჩადენილი მკვლელობა) მიუყენა. პირველი მუხლი 5 წლამდე, მეორე კი 10-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ამ კვირაში გოჯიაშვილის სისხლის სამართლის საქმის განხილვა უზენაესმა სასამართლომ დაიწყო. განსასჯელმა კოლეგიას განუცხადა, რომ დუმილის უფლებას იყენებს და კითხვას – ცნობს თუ არა თავს დამნაშავედ? – პასუხი არ გასცა. ამ ეტაპზე კომენტარს არც მისი ადვოკატები აკეთებენ. ■

## დაწესებულებებს ძარცვავენ

მსგავსი ფაქტები ბოლო დროს განსაკუთრებით გახშირდა. შს სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს მასშტაბით ყოველდღე, ორი-სამი ფაქტი მაინც ფიქსირდება. მაგალითად, გასულ კვირას სოფელ ბაკურციხეში მდებარე აგრარული სამრეწველო-ეკონომიკური კოლეჯი გაძარცვეს. კოლეჯის დირექტორმა სამართალდამცავებს განუცხადა, რომ უცნობმა პირებმა აღნიშნული კოლეჯიდან გათბობის მილები მოიპარეს. რამდენიმე დღეში, გამოძიების შედეგად, ეჭვმიტანილის ვინაობა დადგინდა. სამართალდამცავთა ინფორმაციით, ის სოფელ ბაკურციხეში მცხოვრები, 1966 წელს დაბადებული დავით დარჩიაშვილი გახლავთ. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას საგამოძიებო დეპარტამენტის გურჯაანის განყოფილება აწარმოებს.

მსგავსი ფაქტი მოხდა თბილისშიც, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში. დაუდგენელმა პირებმა ჯანაშიას ქუჩაზე მდებარე სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი დააყაჩაღეს. დარაჯს – ბადრი ბარსონიძეს ბოროტმოქმედები დანით დაემუქრნენ, მან წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია თავდამსხმელებს და ცენტრიდან სამედიცინო აპარატურა წაიღეს. დარაჯის თქმით, თავდამსხმელი ორი იყო.

იმავე დღეს, მეტროპოლიტენის დეპოს „გლდანის“ მექანიკური საამქროს საშემდუღებლო ოთახიდან დაუდგენელმა პირმა აირშედუღების რეზინის მილები მოიპარა. ორივე ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს. ■


სპეციალური წინადადება
განსაკუთრებული ფასები
50%-იანი ფასდაკლება
ქართული წარმოების პროდუქციის რეკლამირებისას
ტელ. 33-78-07
„ჯვარის პალიტრა"
მიესალმება ყველა
ქართველ მეწარმეს
და უსურვებს
წარმატებებს!
ქართული ნაწარმი
ნდობით უნდა სარგებლობდეს

23235



**ცნობილ ტელედიქტორსა და მსახიობს, თბილისის ერთ-ერთ კოლორიტს ნუგზარ ჯუღელს სოლიდური თამადური ბიოგრაფიაც ჰქონია. მისთვის არც მრავალრიცხოვანი სუფრის გაძღოლა ყოფილა უცხო, 8-ლიტრიანი ყანწიც სჭერია ხელში და პრეზიდენტიც უდღეგრძელებია, უჩვეულო „ქართინაურის“ ჩართვით — ისე, რომ ბევრმა მისი ნათქვამი ექსპრეზიდენტის ქებად უფრო მიიჩნია. ყველაფერ ამის მიუხედავად, ბატონ ნუგზარს მცირერიცხოვან სუფრასთან, მეგობრების ვიწრო წრეში ქეიფი ურჩევნია...**

# როდის იპარება ნუგზარ ჯუღელი სუფრიდან, თუნდაც თამადა იყოს?..

ეკა მინდაძე

— **ბატონო ნუგზარ, რა ასაკიდან დაიწყეთ თამადობა?**

— სკოლის ასაკში მე და ჩემი მეგობრები თუ რაიმე ქეიფს გავმართავდით, თამადა ყოველთვის მე ვიყავი. ბავშვობიდან მჭექარე ხმა მქონდა და ალბათ ამიტომ მირჩევდნენ *(იცინის)*... სხვათა შორის, ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება. სკოლის დამთავრებიდან მოყოლებული, ყოველი წლის 12 ივლისს, 12 საათზე მთელი კლასი ვიკრიბებით და საქეიფოდ მივდივართ. აი, უკვე 40 წელია, სუფრის თამადა ვარ კლასელებში, რადგანაც მათ მიაჩნიათ, რომ ჩემზე კარგი თამადა არ არსებობს.

— **ახალგაზრდობაში თუ შეხვედრიხართ ცნობილ თამადებს?**

— ჩემს ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ, ასე ვთქვათ, ბოჰემური თბილისის წარმომადგენლები. მამაჩემი პროფესიით იურისტი იყო და ჩვენთან მოდიოდა მთელი ადვოკატურა. მინდა აღვნიშნო, რომ ეს ადამიანები სუფრაზე არაჩვეულებრივ დროს ატარებდნენ. მათი ქეიფი, დიდი სანახაობა იყო. განსაკუთრებით დამამახსოვრდა პროკურორი ანაპოტისტე ცხადაძე. ამ კაცს ძალიან უყვარდა ქართული სუფრა და ტრადიციების დაცვა. მახსოვს, ერთხელ მამამ მითხრა კიდეც — მე და ანაპოტისტე ვაპირებთ, შევქმნათ ქართული სუფრის კოდექსიო. მართლაც, მათ დაიწყეს კიდეც ამ საკითხზე მუშაობა, მაგრამ მერე ეტყობა, ვიღაცამ ჩაუშვა — ქართველი იურისტები ამ საქმით არიან დაკავებულნიო, — და როცა ამის გარკვევას შეეცადნენ, მასზე მუშაობა შეჩერდა... ბედნიერი ვარ, რომ დავსწრებივარ აკადემიკოსების სუფრას, სადაც სუფრის თავკაცი იყო ლეგენდარული თამადა სიმონიკა სხირტლაძე. ამ კაცმა იმდენად გააოცა თავისი თამადობით სუფრის წევრები, რომ მათ, როგორც აკადემიკოსებმა, ერთხმად აღიარეს: სიმონიკა სხირტლაძეს უნდა მიენიჭოს სუფრის აკადემიკოსის სახელიო... აგრეთვე მქონდა ბედნიერება, შევსწრებოდი ოთარ ლითანიშვილის საოცარ თამადობას. ამრიგად, იმ საუკუნის 50-იანი წლებიდან დღემდე, ყველა დიდი და გამორჩეული თამადა მინახავს და მომისმენია კიდეც მისთვის.

— **როგორი უნდა იყოს თამადა?**

— თამადა უნდა იყოს გონებაგახსნილი, მჭევრმეტყველი, კარგი მოქართულე, იუმორის გრძნობით დაჯილდოებული და უნდა შეეძლოს სიმღერა და ცეკვა. იმ უნარ-თვისებებიდან, რაც ჩამოვთვალე, განსაკუთრებით მიჭირს სიმღერა, ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ კლასიკური თამადა ვარ. მაგრამ შემიძლია ვიტრაბახო იმით, რომ ვყოფილვარ ისეთი სუფრის თამადაც, სადაც სუფრის წევრებს შორის კონსტანტინე გამსახურდიაც გახლდათ და მე, ნუგზარ ჯუღელს, წარმოთქმული მაქვს კონსტანტინე გამსახურდიას სადღეგრძელო!..

— **საყვარელი სადღეგრძელო თუ გაქვთ?**

— ჩემი ,,საფირმო“ სადღეგრძელო გახლავთ: ,,ვისი გული ვისთან იყოს, უნდოდეს და აქ არ იყოს, იმას გაუმარჯოს“.

— **რომელ ღვინოს ამჯობინებთ?**

— ძალიან მიყვარს წითელი ღვინო.

— **სუფრას რა სადღეგრძელოთი იწყებთ?**

— ,,მადლი ვუთხრათ უფალს, რამეთუ მოგვცა იმის საშუალება, რომ დღეს ერთად ვართ“.

— **არასოდეს დამთვრალხართ ისე, რომ მეორე დღეს საკუთარი საქციელის გამო გინანიათ?**

— არა. ადამიანის ყველაზე დიდ სირცხვილად მიმაჩნია სიმთვრალე. მახსოვს, ერთხელ პლეხანოვზე, იქ, სადაც ვცხოვრობდი, თეატრის წინ, იმ თეატრის მსახიობი ისე დათვრა, რომ უგონოდ, ქუჩაში იწვა. ამ ამბავმა იმდენად შემაძრწუნა, რომ მთელი ცხოვრება არასოდეს ისე არ ვსვამ, რომ თავს კონტროლი ველარ გავუწიო. როგორც კი შევამჩნევ, რომ ენა ან ფეხი მერევა, მაშინვე ვდგები სუფრიდან და მივდივარ.

— **მაშინაც, როცა თამადა ხართ?**

— დიახ, მაშინაც. არ მინდა, ჩემი სიმთვრალის გამო საზოგადოებისათვის მასხარად ვიქცე. ამიტომ, თუ ოდნავ მაინც შევამჩნევ ჩემს თავს დათრობას, სუფრიდან მანამდე მივდივარ, სანამ სხვა შეამჩნევს ამას! ამიტომაც, ხშირად დამიტოვებია პალტო, პიჯაკი და მანქანაც. მახსოვს, ერთხელ ,,კომუნისტების პერიოდში“, ზუგდიდში დამპატიჟეს 2000-კაციან ქორწილში. სუფრაზე თამადამ 12 მოადგილე დაასახელა, პირველ მოადგილედ კი მე დამნიშნა. რომ მივედით მე-4 სადღეგრძელომდე, თამადამ დაიყვირა — მომიტანეთ ყანწიო! გავიხედე და რას ვხედავ?.. ყანწი ორ კაცს უჭირავს. შიგ 8 ლიტრი ღვინო ჩაასხეს და მიაწოდეს თამადას. მან სადღეგრძელოს დამთავრებისთანავე აიღო ყანწი და ვაჟკაცურად ბოლომდე გამოცალა. შემდეგ დაიძახა: ყანწი ნუგზარს გადააწოდეთო! ღვინის ჩამოსხმისას, ერთმა კაცმა, ჩემი პატივისცემით, 8 ლიტრს, რომელიც ყანწში უნდა ჩაესხა, ნახევარი ლიტრი მოაკლო... ყანწი რომ გადმომცეს, შევამჩნიე, რომ ყველა გაჩერდა და მე მომაჩერდა — აინტერესებდათ, რას ვიზამდი. რა უნდა მექნა?.. ან უნდა გადაასხა, ან თავზე დაისხა, ან ,,ჩაისხა“... მეც ვიფიქრე: რაც მომივა — მომივა-მეთქი, — მოვიყუდე. ერთი სიტყვით, 5 ლიტრი ღვინო დავლიე, ცოტა, რა თქმა უნდა, ჩავტოვე. ამ მომენტში მხოლოდ ერთ რამეს ვნატრობდი და ღმერთს ვევედრებოდი — ოღონდ, ახლა გამიყვანა შეუმჩნევლად და სხვა არაფერი მინდა-მეთქი!.. მოკლედ, იმდენი მოვახერხე, რომ გარეთ გამოვედი; მართალია, წვიმდა, მაგრამ არ შევუშინდი და გზას ფეხით დავადექი. როგორც იქნა, სასტუმრომდე მივაღწიე და ოთახში შეს-

ვლისას პირდაპირ დავწექი დასაძინებლად. დილით, გაღვიძებისთანავე, მეგობრებმა მისაყვედურეს: რა ქენი, როგორ შეგვარცხვინე, სუფრა რომ მიატოვეო?!. მე კი მათ ვუპასუხე: კარგი ვქენი, დროზე რომ წამოვედი-მეთქი...

— **ოჯახი რას გეუბნებათ — როგორი სიმთვრალე გაქვთ?**

— ნორმალური. ოჯახში როცა ნასვამი მივდივარ, უხარიათ, რადგანაც ამ დროს ძალიან კეთილი ვხდები, ფულს ვარიგებ ხოლმე... ადრე, როცა ფული მქონდა და ვსვამდი, მეორე დღეს ყოველთვის რატომღაც ჯიბეში ფული აღარ მქონდა.

— **„პახმელიაზე" როგორ გამოდიხართ?**

— „პახმელიაზე" ვსვამ ბევრ ჩაის და მივირთმევ მურაბას.

— **ცუდი ღვინის გამო თუ იტყვით უარს თამადობაზე?**

— სუფრაზე თუ ღვინო არ ვარგა, ვცდილობ, არ დავლიო. როგორც კი შემაწუხებს ღვინო, უმალვე შინ მივდივარ, ოღონდ — ინგლისურად. სუფრაზე გაუთავებელი დამშვიდობება ჩემში გაღიზიანებას იწვევს. არ არის ზედმეტი ლაპარაკი საჭირო, დალიე, მადლობა თქვი და წადი.

— **წინასწარ გეგმავთ თუ არა, როდის, რა სადღეგრძელოს იტყვით?**

— თამადა სასმისს რომ დაიჭერს ხელში, მაშინ უნდა მოუვიდეს აზრი, თუ რა თქვას და არა წინასწარ დაგეგმილი სადღეგრძელო წარმოთქვას. მახსოვს, 3 წლის წინ, ჩემმა ძმამ ბესო ჯულელმა დაბადების დღე გადაიხადა, სადაც 50-კაციანი სუფრის თამადა გახლდით. იქ იყვნენ მისი თანაპარტიელებიც, მათ შორის — „ნაციონალური მოძრაობის" თავკაცებიც. მე ქეიფის დასაწყისშივე გამოვაცხადე, რომ პერსონალური სადღეგრძელოები არ შეისმებოდა. როცა ყველანი შევთვერით, მოითხოვეს, რომ მიშა სააკაშვილის სადღეგრძელო შემესვა. დავთანხმდი, — დავლევ ოღონდ, ბატონო მიშა, არ მიწყინოთ, რასაც ახლა ვიტყვი-მეთქი; ბატონებო, 20 წლის წინ, ქართველების ჯგუფი ვქეიფობდით მოსკოვში რესტორან „როსიაში", თამადა, რა თქმა უნდა, მე ვიყავი; უეცრად, შუა ქეიფში, ადგა სუფრის ერთ-ერთი წევრი — მურთაზ ხურცილავა და მთხოვა, ერთი სადღეგრძელო მათქმევინეო; მეც ნება დავრთე და მან ასეთი რამ თქვა: მოდით, გაუმარჯოს ფეხბურთის ბურთს, რა ვიქნებოდი მე, რომ არა ბურთი?.. მე ხომ ბურთმა შემომატარა მთელი მსოფლიო!.. ცოტა ხანში, ომის გმირმა მელიტონ ქანთარიამაც მთხოვა, ერთი სადღეგრძელოს თქმის უფლება. მეც დავთანხმდი. მან ასე დაიწყო: გაუმარჯოს ადოლფ ჰიტლერს, რომ არა ჰიტლერი, რა ვიქნებოდი მეო?.. ბატონო მიშა, არ გეწყინოთ, მაგრამ თქვენ რა იქნებოდით, ამქვეყნად ედუარდ შევარდნაძე რომ არ ყოფილიყო-მეთქი?.. ამის გამო, სრული სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ ამ სიტუაციიდან გამოგვიყვანა მისმა მეუღლემ სანდრამ, რომელსაც ჩემს ნათქვამზე გაეღიმა. ამ ამბის გენიალური ფინალი გახლავთ ის, რომ მეორე დღესვე ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ იცოდა ამ სადღეგრძელოს შესახებ...

— **ვინ არის დღესდღეობით კარგი თამადა?**

— მოგეხსენებათ, თითქმის ყველა ქართველი კაცი კარგი თამადაა. მაგრამ დღეს თბილისში ყველაზე კარგი თამადები არიან: ვახო ცხადაძე, გივი სიხარულიძე და გენო ონაშვილი. უდიდესი კონკურენციაა ვახო ცხადაძესა და გივი სიხარულიძეს შორის. გივის აქვს ერთი რეკორდი დამყარებული, რომელსაც ვერავინ მოხსნის: იგი ერთდროულად ორი სუფრის თამადა გახლდათ — ერთი სუფრა ვაკეში იყო გაშლილი, მეორე კი — პლეხანოვზე. ერთგან დალევდა თუ არა სადღეგრძელოს, მაშინვე ჩაჯდებოდა მანქანაში და მეორე სუფრაზე მიდიოდა. სანამ წინა სუფრაზე მომდევნო სადღეგრძელოს დრო მოვიდოდა, ის უკან ბრუნდებოდა. აი, ასე წაიყვანა ორი სუფრა ისე, რომ ამას ვერავინ მიხვდა. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ის რეკორდსმენია. ეს არის მსოფლიო რეკორდი!.. ამათ გარდა, დიდებული თამადები იყვნენ კოტე მახარაძე და ეროსი მანჯგალაძე. ბრწყინვალე თამადაა რამაზ ჩხიკვაძე. სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო, რომ თუ კახი კავსაძემ თამადობა იკისრა, ეს იმას ნიშნავს, რომ სიცილისაგან აუცილებლად სკამიდან გადმოვარდები...

— **ახლა ის მითხარით, რამდენის დალევა შეგიძლიათ?**

— თავის დროზე როგორც ყველა, მეც საშუალო კაცის დონეზე ვსვამდი. ყველაზე მეტი, ზუგდიდში მაქვს დალეული — 5 ლიტრი ღვინო. თუმცა, ახლაც ვნანობ, რატომ დავლიე ამდენი, მაგრამ მე ამით 2000 კაცს ვეცი პატივი... ჩემ გარშემო ისეთი ადამიანები ტრიალებდნენ, რომლებიც ჩემზე გაცილებით მეტს სვამდნენ. ერთხელ რუსთაველის თეატრში მე, გურამ საღარაძემ და კოტე მახარაძემ შევუბერეთ. ბატონი კოტე ჩემი პედაგოგი იყო თეატრალურ ინსტიტუტში და გაგონილი მქონდა, რომ მას ბევრის დალევა შეეძლო. ამიტომ უთხარი: ბატონო კოტე, შემიძლია, შეგეჯიბროთ-მეთქი. დავლიეთ 2 ბოთლი არაყი და ისე მაგრად დავთვერი, რომ ძლივს მიმიყვანა გურამ საღარაძემ ჩემი სახლის სადარბაზომდე. აი, ასე მაჯობა კოტემ სმაში. დღეს მე თამადობა იშვიათად მიწევს, რადგანაც 5 წელია, ხელი ავიღე სმაზე.

— **რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ სუფრაზე დიდი სასმისების გამოყენება?**

— განსაკუთრებულად დიდი ზომის სასმისებით დალევა უაზრობად მიმაჩნია. ჩემს ოჯახში მუდამ იყო ქეიფი. მამასთან იკრიბებოდნენ მისი მეგობრები, მაგრამ მათ არასოდეს გამოუყენებიათ დიდი სასმისი — ისინი ღვინოს მხოლოდ და მხოლოდ თლილი ჭიქებით სვამდნენ. ჩემი აზრით, დიდი ყანწით ღვინის დალევა სულაც არ არის ტრადიცია. ტრადიცია ის არის, რომ დალოცო შენი წინაპარი, შენი სამშობლო და არა ის, რომ მოითხოვო ჯიხვის რქით ღვინის დალევა.

— **როგორ ფიქრობთ — დღევანდელმა ახალგაზრდობამ თუ იცის ნამდვილი ქეიფი და დროს ტარება?**

— მე ამაზე ჩემი ფორმულა მაქვს. მე რომ მეცხოვრა ისე, როგორც ცხოვრობდა მამაჩემი, მამაჩემს რომ ეცხოვრა ისე, როგორც ცხოვრობდა მისი მამა, ბაბუას რომ ეცხოვრა ისე, როგორც ცხოვრობდა მისი ბაბუა, იმის ბაბუას რომ ეცხოვრა მისი ბაბუის მსგავსად და ასე შემდეგ — მივალთ გამოქვაბულამდე. აქედან გამომდინარე, არაფერია გასაკვირი. დრო იცვლება და ამასთან, ყველაფერი სხვაგვარი ხდება, მათ შორის — ქეიფიც. ახლა, როდესაც „ფართია", იმას რაში სჭირდება თამადა?.. ხოლო ჩვეულებრივ სუფრას რომ გაუძღვეს, კაცს თუ არა აქვს ამის გამოცდილება, არ მჯდარა ისეთ სუფრაზე, რომელსაც ძლიერი თამადა უძღვებოდა, ვერ ჩასწვდება ქართული სუფრის მადლს.

— **მოგწონთ თამადის ამპლუაში ყოფნა?**

— დიახ, მომწონს, ოღონდ — ჩემს მეგობრებში. აბა, რა სჯობია ჩემს კლასელებში ქეიფს და დროს ტარებას?!. ■



## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეთერ ღვალიძე

### უბის წიგნაკიდან:

1. ბელგია საქსოფონის სამშობლოა.
2. თენგიზ არჩვაძე სოფიკო ჭიაურელის ნათლიაა.
3. შალიაპინი ბრწყინვალედ თამაშობდა ბილიარდს.
4. იაკობ გოგებაშვილს პატარაობისას იას ეძახდნენ.
5. ინგა გრიგოლია ბალეტზე დადიოდა და გუნდშიც მღეროდა.
6. ქალები მამაკაცებზე ორჯერ უფრო ხშირად ახამხამებენ თვალებს.
7. სანქტ-პეტერბურგთან მდებარე ლადოგის ტბა ყველაზე დიდია ევროპაში.
8. ტარაკანი ცხრა დღე ცოცხლობს უთავოდ და შემდეგ შიმშილით იღუპება.
9. მსოფლიოში ყველაზე დიდ მდინარე ამაზონს 150000-ზე მეტი მცირე მდინარე ერთვის.



10. დევიდ ბექჰემის დედა პარიკმახერი იყო, მამა სამზარეულო მოწყობილობებით ვაჭრობდა.
11. ალექსანდრე ყაზბეგს თბილისში ბინა არ ჰქონდა და „დროების“ რედაქციაში ცხოვრობდა.
12. კოლმეურნეობა და კომუნალური საცხოვრებელი რუსული იდეალის საშუალო არითმეტიკულია.
13. ოპტიმისტები დღეს ინგლისურს სწავლობენ, პესიმისტები — არაბულს, რეალისტები — ჩინურს.
14. „ღამის შოუს“ რომ სცენარისტები ჰყავს, იმდენი სცენარისტი რომ მყავდეს, აფხაზეთს დავიბრუნებდი“ — ამტკიცებს ნიკა ქავთარაძე.
15. დენიკინი არასოდეს აჯილდოებდა თავის ჯარისკაცებს, რადგან სამოქალაქო ომში მიღწეულ გამარჯვებას ვაჟკაცობად არ თვლიდა.
16. „მხოლოდ უზარმაზარი სივრცე უზრუნველყოფს მსოფლიოში ერის თავისუფალ არსებობას“ — წერდა ადოლფ ჰიტლერი თავის „მაინ კამპფში“.
17. ამერიკული სტატისტიკა აჩვენებს, რომ იმ შტატებში, სადაც უფრო მაღალია ოჯახებში იარაღის შენახვის პროცენტი, ბავშვების თვითმკვლელობათა შემთხვევები ჩვეულებრივზე ორჯერ მეტია.
18. ავსტრიის დედაქალაქის მუნიციპალიტეტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, ვენის ქუჩებში მოსიარულე ცხენებს უნდა ეკეთოთ პამპერსი, რათა არ დასვარონ ასფალტი.
19. გამდიდრებული ოქროს მაძიებლე-




სპარტაკ ბურდულაძე

**ვინც ჟურნალ „გზას“ ადევნებს თვალყურს, უთუოდ ემახსოვრება სპარტაკ ბურდულაძის ინტერვიუ, რომელშიც ის საკუთარი ქურდული წარსულის შესახებ მოგვითხრობს. ბუნებრივია, საზოგადოებისთვის ძალზე საინტერესო აღმოჩნდა მისი ცხოვრების დეტალები. მკითხველები გვირეკავენ, აზრს გვიზიარებენ. ზოგი მიესალმება ქურდყოფილის აღსარებას, ზოგი პირიქით — საყვედურს არ იშურებს და კითხულობს — რატომ გადაწყვიტა, მკითხველისთვის გული გადაეშალაო?.. სპარტაკს კი მიაჩნია: განსაკუთრებული არაფერია იმაში, რომ მან თავისი ცხოვრების ეპიზოდები სააშკარაოზე გამოიტანა და იმისთვისაც მზად არის, რომ საჭიროების შემთხვევაში, მკითხველთა შეკითხვებს უპასუხოს... ახლა კი, სანამ განვაგრძობთ თხრობას იმის შესახებ, თუ როგორ გაიცნო სპარტაკმა თავისი მესამე ცოლი... უნდა გაცნობოთ, რომ ჟურნალის წინა ნომერში გაიპარა უნებლიე შეცდომა — თითქოს ქეთინო ნახევრად ლიტველი იყო და ისე დაიღუპა, რომ საკუთარი მამის ვინაობა არ იცოდა. სინამდვილეში, ყოველივე ეს სულ სხვა პიროვნებას შეეხება (მის ვინაობას მომდევნო პუბლიკაციაში გაგიმხელთ). ამჯერად კი, ფაქტების აღრევას ჰქონდა ადგილი, რაც თავად სპარტაკ ბურდულაძემაც დაგვიდასტურა...**

# ქურდყოფილის მოგონებები

მარი ხაზარიძე

*დასაწყისი იხ. „გზა“, №42-44*

— უკვე გითხარით, რომ ჩემი ცოლის, ქეთინოს გაცნობა საკმაოდ საინტერესო ვითარებაში მოხდა. მას შემდეგ, დაახლოებით 15-16 წელი გავიდა. ერთ-ერთი სასჯელის მოხდის დროს, წნორელი ახალგაზრდა გოგონა ნანა წერილებს მწერდა ხოლმე. ეს სასიყვარულო ბარათები იყო და მე ამ ყოველივეს არასერიოზულად ვუყურებდი, რადგან ნანა სკოლის მოსწავლე იყო და ვფიქრობდი, ბავშური ჭკუით რაღაცას ეშმაკობდა. რომ გავთავისუფლდი, შინ დავბრუნდი და ნანა ახლა უკვე სახლში მაკითხავდა ხოლმე; დაჯდებოდა, მიყურებდა და ოხრავდა... ვეუბნებოდი — გოგო, რამ შეგაყვარა ჩემი თავი?.. ერთი ოხერი კაცი ვარ-მეთქი. ის კი, ტირილს იწყებდა. იმ წელიწადს დაამთავრა სკოლა. ერთ დღეს, ძალზე ბევრი ველაპარაკე: — ჩემნაირი კაცი რაში გამოგადგება?.. მთელი ცხოვრება ციხეში მაქვს გატარებული და მომავალშიც ასე იქნება, შენ კიდევ, პატრონი გჭირდება, მე არ გამოგადგები-მეთქი. ისევ ტირილი დაიწყო. ამის შემდეგ, გავიდა რამდენიმე კვირა. წნორის ცენტრში ვიყავი მანქანით გაჩერებული. უცებ, წინა კარი გაიღო და მანქანაში ნანა ჩაჯდა. ვაა, შენ მაინც არ იშლი შენსას-მეთქი? ვუთხარი. — არაო. — მაშ, თანახმა ხარ, ჩემი ცოლი გახდე-მეთქი? — ოღონდ შენ გვერდით ვიყო და არაფერს ვჩივიო... დავქოქე მანქანა და გეზი წითელწყაროსკენ ავიღე. იქ ჩემი მეგობრის ოჯახში მივედით. მასპინძლებს ამ დროს სტუმრები ჰყოლიათ. ჩვენც მიგვიპატიჟეს, ოღონდ, მეგობარმა მთხოვა — ნუ გამჟღავნებ, რომ სპარტაკი ხარ, ვითომ ნოდარი გქვია, ასე დაგიძახებო. დავთანხმდი. ჩვენი სადღეგრძელოც დალიეს. ამ დროს, როიალს ახალგაზრდა გოგო მიუჯდა. სწორედ ეს იყო ქეთინო. ძალზე კარგად მღეროდა და გარეგნობითაც ულამაზესი გოგო გახლდათ, მაშინვე მიიპყრო ჩემი ყურადღება. ნანა სულ გადამავიწყდა... მოგვიანებით შევნიშნე, რომ ქეთინო გარეთ გავიდა. მეც გავყევი. დავეწიე, ჩემკენ მოვაბრუნე და ვუთხარი — იცი, ვინ ვარ-მეთქი? — ნოდარიო, — მიპასუხა. — ნოდარი კი არა, სპარტაკი ვარ-მეთქი. — მერე, რა გინდაო? — მე რამდენიმე დღეში დავბრუნდები და შენი გულისთვის, თუ დამჭირდა, წითელწყაროს მიწას სისხლით დავალბობ-მეთქი... არაფერი მიპასუხა. მეორე დღეს, ნანა შინ, წნორში ჩავიყვანე, მის მშობლებსაც შევურიგდი და ორი დღის შემდეგ, კვლავ ქეთინოს მივაკითხე. იქ ნარდი ვითამაშეთ და „რესტორანი“ წავაგე. წავედით რესტორანში, რომელსაც „ყირამალა“ ერქვა. თან ორი მეგობარი მახლდა. იქ ქეთინომ ისევ იმღერა... ამ დროს, იმ ოთახში, სადაც ჩვენ ვისხედით, ვიღაც ბიჭმა შემოიხედა და ჩვენ რომ დაგვინახა, თქვა — უჰ, შეშეშალა, აქ „ბოზებში“ რა მინდოდაო?!. ეს რომ გავიგონე, გავმწარდი და ბოთლი ვესროლე. იქ ისეთი ამბავი ატყდა,

რომ ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა... რესტორნიდან წამოვედით. ავტოინსპექტორებმა ჯოხი დაგვიქნიეს, მაგრამ არ გავუჩერეთ. გამოგვეკიდნენ. ამ დროს, მანქანას შევეჯახეთ. მე მალე მოვედი აზრზე და მაშინვე მანქანიდან გადმოვედი. სალონში რომ შევიხედე, დავინახე, რომ ჩემი მეგობრები კარგად იყვნენ, მაგრამ ქეთინო სისხლში ცურავდა. ხელში ავიყვანე, მანქანა გავაჩერე, უკანა სავარძელზე დავაწვინე, მეც იქვე მოვთავსდი და საავადმყოფოსკენ წავედით. ქეთინო ხმას არ იღებდა, თვალდახუჭული იწვა, მაგრამ მივხვდი, რომ გონზე უკვე მოსული იყო და ეშმაკობდა. ავდექი და მძღოლს ვუთხარი — ხომ ხედავ, ანგელოზივით ქალი ხელში მაკვდება, არ მინდა, ისე მოკვდეს, მაგის ალერსი ვერ ვიგემო, მოდი, აქვე, ტყეში გადაუხვიე, სანამ ჯერ კიდევ თბილია, მისი მოფერებით გულს ვიჯერებ-მეთქი... ამის თქმა იყო და ქეთინომ თავი წამოყო. სერიოზული დაზიანება არ ჰქონდა, ამიტომ უკან მივბრუნდით და ჩემს ერთ-ერთ სახლში მივიყვანე... იმ დღიდან, თითქმის განუყრელად ერთად ვიყავით. ჩემს პირველ მეუღლესთან, უფროსი შვილის — თამუნას დედასთან უკვე კარგა ხნის გაყრილი ვიყავი, მაგრამ მასთან მაინც მივდიოდი ხოლმე. მეორე ცოლი — ნანა შინ დედაჩემთან ცხოვრობდა. მესამე, ქეთინო გახლდათ. ამ სამ ქალს შორის დავიკარგე... დავიწყე ნანას შებმა: ძებნაში ვარ, ახლა ჯობია, დროებით შენს მშობლებთან გადახვიდე საცხოვრებლად-მეთქი. წავიდა. ავდექი და ქეთინო მივიყვანე სახლში. რამდენიმე ხნის შემდეგ, ასეთი რამ მოხდა: შინ ვარ და წამალს ვადუღებ. ქეთინო ჩემს ზურგს უკან დგას. ამ დროს, ნანა ჩუმად შემოიპარა და ქეთინოს ხანჯალი ჩაარტყა. კიდევ კარგი, რომ ქეთინომ გაწევა მოასწრო და ხანჯლის წვერი ღრმად კი არ ჩაერჭო, ზედაპირულად დაიჭრა. წავიყვანე საავადმყოფოში და ნაკერები დაადეს... ქეთინოს ეს ამბავი გულში ჩაუხვევია და ერთხელ, შინ მისულს, ასეთი სურათი დამხვდა: შუა ოთახში ნანა მუხლებზე იდგა, ქეთინო კი, ხანჯლით ხელში თავზე ადგა და — მოგკლავო! — ემუქრებოდა... გავაშველე და დავაშოშმინე. ასეთი ინციდენტების თავიდან ასაცილებლად, ქეთინო წითელწყაროში დავაბრუნე საცხოვრებლად... პირველი ცოლისგან გოგონა მყავდა. ძალზე მინდოდა ბიჭი, მაგრამ ქეთინო არ ორსულდებოდა. თბილისში წავიყვანე სამკურნალოდ და დაფეხმძიმდა. მისგან შემეძინა სოფო. ბავშვის დაბადებამდე 4 დღით ადრე, დამიჭირეს. ამის შემდეგ გარკვეული პერიოდი რომ გავიდა, ქეთინოს შევუთვალე — ჩემთან ჩამოდი-მეთქი. არ ჩამოვიდა. დედამისთან კაცი მივაგზავნე და ამბავი მომიტანა — ქეთინო დეიდასთან ერთად კიევშია წასულიო. სასამართლო გურჯაანში მქონდა. ამ პერიოდში ასეთი რამ მოხდა: სოფელ შაშიანში მოკლეს ახალგაზრდა, სოფლისთვის უსაყვარლესი ბიჭი. მკვლელი მიიყვანეს მილიციის განყოფილებაში, ეზოში კი უამრავი ხალხი შეიკრიბა და ითხოვდა ლინჩის წესით დამნაშავის გასამართლებას. ხალხმა იმდენი ქნა, რომ შენობაში შემოიჭრა და კამერების ჩხრეკა დაიწყო. ერთ ქალს გამოველაპარაკე — მკვლელს მაგ კამერებში რა უნდა?.. კარი გაგვიღეთ და მე მიგასწავლით იმის ადგილსამყოფელს-მეთქი. მართლაც, გასაღებები „დაითრიეს" და კამერების კარები გაალეს. გამოვიქეცი და ერთ-ერთ ახლობელთან შევაფარე თავი. ქეთინოს იქიდანაც შევუთვალე — ჩამოდი, გელოდები-მეთქი. არ ჩამოვიდა. თურმე, ნუ იტყვით და, თურქეთში ყოფილა წასული, იქვე აპირებდა ბავშვთან ერთად ცხოვრებას, მაგრამ მოგვიანებით ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ამის შემდეგ, ქეთინო თითქმის ყოველღამე მესიზმრებოდა და თავისთან მიხმობდა. მერე სიზმარში ვეჩხუბე — თავი დამანებე, აღარ დამესიზმრო-მეთქი, — და მას შემდეგ მართლაც, აღარ დამსიზმრებია... სასჯელი რომ მოვიხადე, მოსკოვში წავედი. იქ მაშინ დიდი ფული იშოვებოდა, წამალს ვყიდულობდი და განცხრომით ვცხოვრობდი. ერთ დღეს, წამალი გავიკეთე და ისე ცუდად გავხდი, ლამის მოვკვდი. რომ მოვმჯობინდი, ისევ „გავიჩხირე" და მეორედ გადავურჩი სიკვდილს. მერე „ციგნებმა" „გრევი" გამიკეთეს და ორი მუჭა წამალი მომცეს. ოთახში მარტო ჩავიკეტე, წამალი მაგიდაზე დავდე და ჩემს თავს ვუთხარი — აბა, სპარტაკ, თუ ვაჟკაცი ხარ, წამალს ახლოსაც არ გაეკარო-მეთქი!.. ორი კვირის განმავლობაში ვუყურებდი წამლის გორას და ცდუნებას ვუძლებდი. იმის შემდეგ, აღარასოდეს გამიკეთებია წამალი და ვიგრძენი, რომ კარგი ყოფილა, თავისუფლად, წამალზე დამოუკიდებლად ცხოვრება...

1993 წელს დამიჭირეს და რამდენიმე ხნის განმავლობაში, ციხის საავადმყოფოში ვიწექი. ეს გახლავთ მეორე სართულზე. მესამეზე კი ქალების საკნებია. მათთან კონტაქტი ჭერზე გაკეთებული ნახვრეტის საშუალებით მყარდებოდა. ვუგზავნიდი ჩაის, ყავას, წერილებს...



*ამ დროს, როიალს ახალგაზრდა გოგო მიუჯდა. სწორედ ეს იყო ქეთინო...*



## ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ

### ეოჩა ღვალის ფმის წიგნაკიდან:

ბი ალასკაზე ხელგაშლილობით გამოირჩეოდნენ. ერთმა ოქროს მაძიებელმა გვარად იოჰანსონმა ერთ მოცეკვავე ქალში მისი წონა ოქრო გადაიხადა.

20. ძველი ბერძნები ბრძოლის ველზე თავისი გამარჯვებისა და მოწინააღმდეგის გაქცევის აღსანიშნავად ქანდაკებებს დგამდნენ, რომელსაც ტროფეი ეწოდებოდა. „ტროპე" ბერძნულად გაქცევას ნიშნავს.

21. არტურ კონან-დოილი თავის ნაწარმოებში „ჭრელი ლენტი", დაწვრილებით აღგვიწერს იმ ნიშნებს, რისი დახმარებითაც შერლოკ ჰოლმსმა ეს საქმე გახსნა: იატაკზე დამაგრებული საწოლი, ზარის დასარეკი ზონარი, რომელიც არ მუშაობდა, მეზობელ ოთახში გამავალი სავენტილაციო ხვრელი, ჩუმი სტვენა, იატაკზე დადგმული რძით სავსე ლამბაქი, ბოლოში მარყუჟიანი მათრახი. მოკლედ ჰოლმსს ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ საქმე შხამიან გველთან და მის სასტიკ პატრონთან ჰქონდა. კონან-დოილმა არ იცოდა, რომ გველებს სმენა არა აქვთ, რის გამოც პატრონს არ შეეძლო მისთვის სტვენით მოეხმო. ამის გამო ფილმის გადაღებისას რეჟისორმა ჩუმი სტვენა ჩუმი კაკუნით შეცვალა. ამ შემთხვევაში გველი კაკუნით გამოწვეულ ვიბრაციას შეიგრძნობდა და პატრონთან ბრუნდებოდა.



22. საფრანგეთის ტყეებში იზრდება სოკო ტრიუფელი, რომელიც მიწის ქვეშ ხარობს. ტრიუფელების შესაგროვებლად სპეციალურად გაწვრთნილ ძაღლებს იყენებენ.

23. თუ იმ ჰონორარს, რომელიც არნოლდ შვარცენეგერმა ფილმისათვის „ტერმინატორი 2" აიღო, მის მიერ ფილმში წარმოთქმულ სიტყვათა რაოდენობაზე გავყოფთ, მივიღებთ, რომ ტერმინატორის თითო სიტყვა 310.645 დოლარი ღირს.

24. ნიუ-იორკის ერთ-ერთი რესტორანი კლიენტის რესტორანში ყოფნის დროს აღრიცხავს და ამას ბეჭდით ადასტურებს. რესტორანს „სრული ალიბი" ჰქვია.

25. ინგლისის მეფე ჰენრი VI 1422 წლის სექტემბერს, 9 თვის ასაკში გამეფდა. იგი პირველი ბავშვი იყო, რომელმაც გამზრდელს ოფიციალურად უფლება დართო საჭიროების შემთხვევაში გაეტყიპა იგი.



გულადი გოგო იყო, მაგრამ ციხეში რომ მოიყვანეს, ეს აღარ მოეწონა და სულ ტიროდა. თვალზე ცრემლი არ აშრებოდა. გავუგზავნე წერილი

ერთხელ მაცნობეს, ახალი პატიმარი მოიყვანესო. სრულიად ახალგაზრდა გოგო იყო. ვიღაც მამაკაცს მისთვის შეურაცხყოფა მიუყენებია და ამას მისი იარაღით მოუკლავს... გულადი გოგო იყო, მაგრამ ციხეში რომ მოიყვანეს, ეს აღარ მოეწონა და სულ ტიროდა. თვალზე ცრემლი არ აშრებოდა. გავუგზავნე წერილი — აქ მხეცებში ხარ, მაინც არავის შეეცოდები და ტყუილად ნუ ტირი-მეთქი, თან ლექსი დავუწერე... პასუხი გამომიგზავნა და გავაბით მიწერ-მოწერა. მალე, ჩემი სასამართლო უნდა ყოფილიყო. წინადღეს მივწერე — ხვალ სასამართლო მაქვს, აუცილებლად გავიქცევი, ცოტა ხანში კი, შენც გაგაქცევმეთქი... სიცილით მოკვდა — ყველა კაცი ერთნაირი გათახსირებულია, თქვენი სიტყვა დასაჯერებელი არ არისო... მაშინ გურჯაანში მასამართლებდნენ და გავიქეცი. ქუსლში დავიჭერი და კარგა ხანს ვმკურნალობდი. თან ვიმალებოდი. ამასობაში გავიდა დრო. ამ გოგოს ამბის გასაგებად კაცი გავგზავნე. მითხრა — გაასამართლეს და ზონაში იხდის სასჯელსო. ეს ის პერიოდია, როცა აფხაზეთში ომი მძვინვარებს. ჩემთან ნაჯდომი ბიჭები გაგრაში იბრძოდნენ. ერთ-ერთი დაიღუპა და მის გასვენებაში თბილისში ჩამოვედი. ქელეხის შემდეგ, შინაურები დავრჩით. უკვე ნასვამი ვიყავი და ტვინში ეშმაკი შემიჯდა. ბიჭებს ვუთხარი — ერთ გოგოს ასეთი და ასეთი პირობა მივეცი და დამეხმარეთ, ზონიდან მოვატაცებინეთ-მეთქი. მეც იარაღით ვიყავი, ისინი ხომ კბილებამდე იყვნენ შეიარაღებული... იმ სუფრასთან გავიცანი ბორის კაკუბავა, რომელმაც მითხრა — ახლა აფხაზეთში მივდივარ, ეცადე, ჩემს ჩამოსვლამდე არ დაგიჭირონ, მერე მე მოგხედავო... მოკლედ, წავედით ზონაში, თამუნას მოსატაცებლად. მივაღწიეთ იმას, რომ პაემანი მოგვცეს. მაგრამ ეს გოგო მკვლელობისთვის იჯდა, შესაძლოა, შურის საძიებლად მისულიყო ვინმე, ამიტომ, მხოლოდ იმ შემთხვევაში შემახვედრებდნენ, თუ გოგო იტყოდა — ვიცნობ და შემოუშვითო... ამ დროს, პასპორტი სხვის სახელსა და გვარზე მქონდა აღებული, სურათი კი, ჩემი იყო ჩაკრული. ციხის თანამშრომელმა პასპორტი გამომართვა და თამუნას ის სახელი და გვარი უთხრა, რომელიც პასპორტში ეწერა. მან თქვა — ასეთ კაცს არ ვიცნობო. მივხვდი, რაშიც იყო საქმე და შევატყობინე — სპარტაკი ვარ-მეთქი. პაემანზე დაგვთანხმდა. შიგნით შევედით თუ არა, ციხის თანამშრომლის საფეთქელზე იარაღი მივადე — ხმა არ ამოიღო-მეთქი. ჩემი ბიჭებიც იქვე იყვნენ. თამუნა გაგიჟდა, ეს რომ დაინახა. ვუთხარი — შეპირებულ დროს ვერ მოვედი, მაგრამ საპატიო მიზეზი მქონდა, ახლა კი უნდა წაგიყვანო-მეთქი. არ გამომყვა, „უდოს“ (პირობითი ვადამდელი გათავისუფლება. — ავტ.) ველოდები, ორ თვეში გამათავისუფლებენ და ნუ დამღუპავო, — მეხვეწებოდა. რაღას ვიზამდი? ავდექით და წამოვედით. მერე გავიგე, რომ თამუნა გათხოვილა და ბედნიერი ოჯახიც ჰქონია...

*„გზის“ შემდეგ ნომერში გიამბობთ, თუ როგორ გადაყლაპა სპარტაკმა მილიციელების მიერ მის სახლში „ჩადებული“ წამალი და რა გადახდა თავს აზიურ ციხეში...*


WROCŁAW Herbapol®

**ᲒᲣᲠᲛᲐᲜᲔᲑᲝ! ᲛᲘᲘᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲨᲕᲘᲓᲐᲓ**

**ᲠᲐᲤᲐᲥᲝᲚᲘᲜ-ᲪᲔ-ᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ!**

ვროცლავი ჰერბაპოლი®



**ᲠᲐᲤᲐᲥᲝᲚᲘᲜ-ᲪᲔ** მცენარეულ ექსტრაქტებზე დამზადებული კომბინირებული მოქმედების პრეპარატია. მისი მრავალმხრივი მოქმედება განაპირობებს მიღებული საკვების უკეთ მონელებას და ათვისებას.

გააქტივებული ნახშირის შემცველობის გამო **ᲠᲐᲤᲐᲥᲝᲚᲘᲜ-ᲪᲔ** ახდენს ნაწლავებში წარმოქმნილი აირების, ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერებების შთანთქმას და ამ გზით ხსნის შებერილობას, ინტოქსიკაციას და მასთან დაკავშირებულ დისკომფორტს.

მოუნელებელი საკვების ტოქსიური ნარჩენების სისხლში შეწოვა ხშირად გაურკვეველი წარმოშობის შეკრულობის მიზეზი ხდება. **ᲠᲐᲤᲐᲥᲝᲚᲘᲜ-ᲪᲔ** აქაც დაგეხმარებათ, რადგან იგი ამცირებს ტოქსინების შეწოვას და თავიდან აგაცილებთ მოსალოდნელ პრობლემებს.

**ᲠᲐᲤᲐᲥᲝᲚᲘᲜ-ᲪᲔ** შეიცავს პიტნისა და შავი ბოლოკის ფესვის ექსტრაქტს. ასეთი შემადგენლობის გამო მას გააჩნია ნაღვლმდენი, ნაღვლწარმომქმნელი, ანტიმიკრობული, ანტისპაზმური მოქმედება და აქედან გამომდინარე, ხელს უწყობს ჭარბად მიღებული საკვების მონელებას და ათვისებას, მოგიხსნით ისეთ სიმპტომებს, როგორიცაა გულძმარვა, ბოყინი, გულისრევა, ღებინება.

**ᲠᲐᲤᲐᲥᲝᲚᲘᲜ-ᲪᲔ**-ს გააჩნია ღვიძლის დამცავი ფუნქციაც, რის გამოც მისი მიღება რეკომენდებულია იმ პრეპარატებთან ერთად, რომელთაც გააჩნიათ მავნე ზემოქმედება ღვიძლის უჯრედებზე.

**ᲠᲐᲤᲐᲥᲝᲚᲘᲜ-ᲪᲔ** ფართოდ გამოიყენება ხანდაზმულ პირებში კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ასაკობრივი ცვლილებების დროს, ნაღვლის ბუშტზე ჩატარებული ოპერაციის შემდგომ პერიოდში ნარჩენი მოვლენების არსებობისას, მწვავე და ქრონიკული ქოლეცისტიტის და ნაღვლის შეგუბებისას.

**ᲠᲐᲤᲐᲥᲝᲚᲘᲜ-ᲪᲔ**-ს აქვს ანტიქოლესტერინული მოქმედება, აუმჯობესებს ცხიმოვანი ნივთიერებების მონელებას და ჭარბი მასის მქონე პირებში ხელს უწყობს წონის დაქვეითებას.




ჰერბაპოლი

**ᲛᲘᲘᲦᲔᲗ ᲠᲐᲤᲐᲥᲝᲚᲘᲜ-ᲪᲔ ᲓᲐ ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲔᲗ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ!**

**ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲒᲐᲔᲪᲐᲜᲘᲗ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐᲡ. ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲔᲑᲨᲘ.**

**ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲔᲙᲔᲗ: 25 00 99 ᲐᲜ 96 72 27**

რეგისტრირებულია




# ვირტუალური ომები, ინტერნეტ-კლანები და ქსელურ „ოთახში" თავმოყრილი ათასობით გუნდი

**ჩვენს ცხოვრებაში სულ უფრო მეტად იჭრება კომპიუტერი. ახალგაზრდობამ გართობის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ საშუალებად კომპიუტერული თამაშები აქცია. თუმცა, არა მარტო გასართობად, არამედ უკვე შემოსავლის წყაროდაც. გვესაუბრება ქსელური თამაშების ერთ-ერთი გამოცდილი მონაწილე და ოსტატი — გიორგი გოგოლაძე.**

*ლევან ებრალიძე*

— **რა დონეზეა განვითარებული საქართველოში კომპიუტერული თამაშები?**

— მსოფლიოსთან შედარებით, ძალიან დაბალი დონეა. თუმცა, საზღვარგარეთაც არ არის სრულყოფილად ჩამოყალიბებული. ყველაზე ძლიერი კომპიუტერული კომპანიები ცდილობენ, რომ თამაშები სპორტად აღიარონ. მუშაობენ, რომ შექმნან მსოფლიო სტრუქტურა, სადაც ხალხს მიიზიდავენ და ერთგვარად მართავენ ამ პროცესს. ჩვენთან კომპიუტერული თამაშების ფედერაციაცაა ჩამოყალიბებული, მაგრამ მისი ცდის მიუხედავად, ჯერჯერობით სერიოზული არაფერი გამოდის, რადგან მისგან დამოუკიდებლად მრავალი ჩემპიონატი ტარდება. ასე რომ, ერთიანი სტრუქტურა არ არსებობს.

— **რომელი თამაშებია ყველაზე მეტად გავრცელებული?**

— ყველაზე გავრცელებულია ბანქოს თამაშები, რითიც ჩვეულებრივ, მანდილოსნები ერთობიან ხოლმე. ხოლო ინტელექტუალურ, რთულ თამაშებში ასპარეზზე მამაკაცები გამოდიან. სწრაფი მანქანების მოყვარულები „Needfordspeed"-ს ამჯობინებენ. თამაშობენ აგრეთვე თვითმფრინავისა და ვერტმფრენის სიმულატორებს, რისთვისაც, სრული ეფექტის მისაღწევად, არსებობს სპეციალური აპარატურა, ხოლო ვისაც ამ ფუფუნების საგნის შეძენა არ შეუძლია, ჩვეულებრივად, კლავიატურით სარგებლობს. არის თამაშები, სადაც ყურადღება გამახვილებულია გრაფიკასა და ხმებზე — აუდიო და ვიზუალურ ეფექტებზე. როდესაც ესა თუ ის ფიგურა მოძრაობს, მისი ყოველი მოქმედება — ვთქვათ, ხელის მოქნევა, გასროლა, გადახტომა — ისე არის გამოსახული და გახმოვანებული, რომ მაქსიმალური რეალობის ეფექტს ქმნის. ასევეა წყლის წვეთებისა თუ გარემოს სხვა მოვლენების ამსახველი ხმაური, რათა ადამიანი ამ რეალობაში შევიდეს.

— **ეს ალბათ, დიდ გავლენას ახდენს მოთამაშეზე, არა?**

— ერთი მხრივ, საშიშიცაა, რადგან დიდი ხნის თამაშის მერე, ადამიანი იმდენად ეფლობა ამ ეფექტებში, რომ შემდეგ, გარკვეული დროის მანძილზე ისევ ჩაესმის გონებაში ის ხმები და შეიძლება, თამაშებში არსებული საშინელებათა სხვადასხვა პერსონაჟიც კი მოელანდოს. ზოგ ასეთ თამაშს — მაგალითად „Doom III",„Uneal Tournaments",„Quauke III" — სუსტი ფსიქიკის მქონე ადამიანებს უკრძალავენ კიდეც. არსებობს კიდევ სპორტული თამაშები: ფეხბურთი, კალათბურთი, ჰოკეი და ასე შემდეგ. პიროვნებას თავისი საყვარელი საფეხბურთო გუნდი, რომელიც სინამდვილეში შეიძლება ვერასოდეს გახდეს, ვთქვათ, ჩემპიონთა ლიგის თასის მფლობელი, შეუძლია, ვირტუალურ სამყაროში ათამაშოს და გაამარჯვებინოს, ამით კი მოჩვენებით დაიკმაყოფილოს თავისი ამბიციებიც. დღესდღეობით ყველაზე პოპულარულია „Counter strike". ნებისმიერ ინტერნეტ-კაფეში ათიდან შვიდი ამ თამაშს თამაშობს. ამის მიზეზი ისიცაა, რომ მსოფლიოში ყველაზე აქტუალური თემა ტერორიზმია: თამაში სწორედ ტერორისტებსა და პოლიციას შორის ორთაბრძოლაზეა. აქ მთავარია სწრაფი რეაგირება. ბევრისთვის ეს თამაში შემოსავლის წყაროდაც იქცა. იმართება პატარ-პატარა ჩემპიონატები და ეს ცალკეული ნაძლევები ე.წ. კლანებს (კომპიუტერულ მოთამაშეთა გუნდების გაერთიანება) შორის. როდესაც ახალი, კარგი მოთამაშე გამოჩნდება, კლანები ცდილობენ, გადაიბირონ და თავიანთ ჯგუფში ჩარიცხონ. თითოეულ კლანს თავისი სახელი აქვს, ხოლო კლანის ცალკეულ მოთამაშეს — თავისი. მაგალითად, ჩვენს კლანს „Geo" ეწოდება, ხოლო მის მოთამაშეებს გეომაზარა, გეოაკელა და ა.შ.

— **რაც შეეხება ე.წ. სტრატეგიულ თამაშებს?**

— არსებობს თამაშები, სადაც, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა სისწრაფეს ენიჭება, მაგრამ მთავარია, სტრატეგიის შემუშავება. აქ, როგორც ჭადრაკში, ყოველი სვლა წინასწარ უნდა გათვალო. 2-3 წლის წინ, აღიარებული იყო „Heroes", რომლის სათამაშოდაც მართლაც, დიდი სტრატეგიის შემუშავება იყო საჭირო. დღესდღეობით პოპულარულია „Warcraft III". ამ თამაშში ზღაპრული პერსონაჟები და მითური არსებებია გაცოცხლებული. კომპანია „მაიკროსოფტის" „Age of Empires" — იმპერიათა ეპოქა ისტორიული სტრატეგიაა. მასში არა ზღაპრების პერსონაჟები, არამედ ისტორიული პირები — სალადინი, ჩინგიზ-ყაენი და ყველა ის იმპერია გვხვდება, რომელიც სინამდვილეში არსებობდა და ერთიმეორესთან ომობდა. თამაშში გათვალისწინებულია რეალობის აღსადგენად საჭირო ყოველი ნიუანსი, მეომრებისა და საბრძოლო იარაღის უპირატესობები თუ ნაკლოვანებები. მაგალითად: მონღოლებს ისეთი მოწესრიგებული ჯარი ჰყავთ, რომ სადაც არ უნდა დააყენო, არ გაიქცევიან — მაშინ, როცა სხვა ერების მეომრები თავს უკან დახევით შველიან. ფრანკების ცხენოსნები მტკიცე აბჯრით არიან აღჭურვილნი და მათი მოკვლა ძნელია; ბრიტანელი მშვილდოსნები შორს ტყორცნიან ისარს. სპარსელებს მებრძოლი სპილოები ჰყავთ და ასე შემდეგ. თითოეული მოთამაშე ირჩევს ბრძოლის იმ სტილის მქონე ერს, რომელიც დამუშავებული აქვს და ყველაზე კარგად ეხერხება.

— **საიდან გაჩნდა „Age"-ში ჩემპიონატის ჩატარების იდეა?**

— ეს თამაში დღეს უკვე ბევრმა შეისწავლა ისეთ დონეზე, რომ ისევე, როგორც ჭადრაკში, შეიძლება გროსმაისტერი ვუწოდოთ. ამიტომ გაჩნდა აზრი, ჩატარებულიყო ჩემპიონატი, რომელიც უძლიერესს გამოავლენდა. 2003 წელს ჩატარდა პირველი შეხვედრები, რომლებშიც 16 გუნდი მონაწილეობდა. ჩემპიონატი თავად მოთამაშეთა და მოყვარულთა ორგანიზებით გამ-

ართა. 3-3 კაცისგან შემდგარი გუნდები განთავსდნენ ჯგუფებში. ჯგუფიდან გასულები თამაშს ოლიმპიური სისტემით აგრძელებდნენ. საბოლოოდ, გაიმარჯვა „Agulias“-მა. მომდევნო ჩემპიონატზე ხალხის მოზიდვასთან დაკავშირებით პრობლემები გვქონდა. ინფორმაცია ბანერებსა და ინტერნეტ-კაფეებში გავავრცელეთ. შევუთანხმდით ერთ-ერთ ინტერნეტ-კაფეს და „Age“-ის სათამაშო კლუბი ჩამოვაყალიბეთ. სამწუხაროდ, მხოლოდ 10 გუნდის თავმოყრა მოხერხდა. ფინალში შეხვდნენ „Armagedon“ და „Corona“. გაიმარჯვა „Armagedon“-მა. ჩემპიონატზე 2 კლანის დაპირისპირება მოხდა. პირველში გაერთიანებული იყვნენ შემდეგი გუნდები: „Aniketi“, „Armagedon“, „Fatal“ და კიდევ რამდენიმე, ხოლო მეორეში: „Puskai“, „Agulias“, „Corona“ და სხვები. წინა ჩემპიონატი ერთმა კლანმა მოიგო, ბოლო – მეორემ. ასე რომ, გამოვლინდა, რომ ეს ორი კლანი თანაბარი დონისაა.

— **მოგებული გუნდი რა რაოდენობის თანხას იღებს?**

– თითო გუნდი 30 ლარს დებდა. შეკრებილი თანხა მთლიანად პირველ 3 ადგილზე გასულ გუნდებზე ნაწილდება.

— **რა დროს ტარდება ჩემპიონატი?**

– ჩემპიონატის ჩატარების დრო მკაცრად განსაზღვრული არ არის, რადგან დიდხანს გრძელდება და დროში ვერ ვეტევით ხოლმე. მაგალითად, ბოლო ჩემპიონატისთვის, გეგმის მიხედვით, ერთი შაბათ-კვირა გამოიყო, მაგრამ საბოლოოდ, 5 შაბათ-კვირაზე




განაწილდა, რადგან ზოგი შეხვედრა 3-4 საათსაც გრძელდებოდა.

— **მსოფლიოში სხვადასხვა ქვეყნის კლანებს თავ-თავიანთი ვებ-გვერდები აქვთ. თქვენთან როგორ არის?**

– ჩვენც გადავწყვიტეთ, ქვეყნის პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოს კლანის ვებ-გვერდის შექმნა, რაზეც უკვე დაწყებულია მუშაობა. ამ გვერდების საშუალებით on-line-ში მოთამაშეებს ეცოდინებათ, თუ რომელი ქვეყნის კლანთან და მოთამაშესთან აქვთ საქმე.

— **ინტერნეტში როგორ ხდება თამაში?**

– არსებობს „მაიკროსოფტის“ მიერ შექმნილი ვებ-გვერდი (www.zone.com) რომელზეც განთავსებულია მრავალი on-line თამაში. ამ გვერდზე არის ასევე „Age“-ის „ოთახი“, სადაც ეკონტაქტები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან შენსავით შემოსულ მოთამაშეებს. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იქმნება გუნდები და იწყებენ თამაშ-ბრძოლას. ამ გვერდზე საშუალოდ ყოველთვისაა შემოსული 5000-მდე მოთამაშე. არსებობს აგრეთვე სარეიტინგო თამაშის „ოთახები“, სადაც ე.წ. მეფეები, რამდენიმე წელია, თამაშობენ. ყველაზე ძლიერებს ამ დროის მანძილზე ათასობით ქულა აქვთ დაგროვილი – მაშინ, როცა თითო გამარჯვებაზე სულ 10-15 ქულა იწერება. როცა ახალბედა, დამწყები სარეიტინგო მოთამაშე შეერკინება ვთქვათ, 8000 ქულის მქონე „მეფეს“, მოგების შემთხვევაში, ქულების მაჩვენებელი მომენტალურად ძალიან მაღლა აიწევა, შეიძლება ათასებსაც მიაღწიოს. ამიტომ „მეფეები“ თავიანთ ტოლებთან შერკინებას ამჯობინებენ, რომ შემთხვევით ვინმე „ახალთან“ ათასობით ქულა არ დაკარგონ.

— **თქვენი გუნდები ერკინებიან on-line-ის „მეფეებს“?**

– ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი დრო გვჭირდება „მეფეების“ დონეზე ასასვლელად. როგორც წესი, თითქმის ყველა კომპიუტერულ თამაშში ლიდერები რუსები არიან. მაგალითად, „Age“-ის ერთ-ერთი ცნობილი რუსი გროსმაისტერი, მეტსახელად – Ceter, ჩვენს 3 საუკეთესო მოთამაშეს ერთად ამარცხებს!

— **რუსების გარდა, რომელი ქვეყნების კლანებია ძლიერი?**

– ესპანელებიც კარგად თამაშობენ, ასევე ინგლისელები და თურქები, მაგრამ რუსები ყველგან დომინირებენ. მათი კლანის ვებ-გვერდზე უამრავი მოთამაშეა გაერთიანებული.

— **დამწყებ მოთამაშეს რამდენი დრო სჭირდება, რომ ნორმალურ დონეზე აითვისოს „Age“?**

– პირადად მე, 2 წლის სტაჟი მქონდა, როცა ჩემპიონატში ვმონაწილეობდი და ჩვენმა გუნდმა გაიმარჯვა.

— **მომდევნო ჩემპიონატი როდის ჩატარდება და მონაწილეობის მსურველები როგორ უნდა მოიქცნენ?**

– შემდეგი ჩემპიონატი გაიმართება 2005 წლის გაზაფხულზე მსურველებმა ინფორმაციისთვის შეუძლიათ მიმართონ ინტერნეტ-კაფეს – „ობობა“.

*მსოფლიოს უდიდესი კომპიუტერული კომპანიები მუშაობენ საოცარ პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს თამაშების გაერთიანებას და ერთი ვირტუალური სამყაროს შექმნას. ამრიგად, ვირტუალურ ქალაქში, ვთქვათ, სტადიონზე საფეხბურთო მატჩი გაიმართება, გარეთ, ქუჩაში პატრული გადაჭარბებული სიჩქარით მიმავალ მანქანებს აედევნება; ამ დროს, ქალაქის სხვა უბნებში, ითარეშებენ ტერორისტები, რომლებიც შეიძლება, სტადიონზე შეიჭრან და დაარბიონ... ამგვარად, ყველა დღევანდელი, ცალკეული თამაში ერთ დიდ ქალაქში გაერთიანდება. მოთამაშე სურვილისამებრ აირჩევს რაღაც კონკრეტულ როლს, მაგრამ ამავე დროს, აბსოლუტურად ყველა სხვა თამაშის მონაწილესთან ექნება შეხება.* ■

სტომატოლოგიური კლინიკა

ჩიქო-დენტი



1. უმტკივნეულო მკურნალობა მოკლე ვადებში;
2. 100% სტერილიზაცია;
3. დაბალი ფასები;
4. ულტრა თანამედროვე მასალები აშშ-სა და გერმანიიდან;
5. მაღალკვალიფიციური მედ-პერსონალი;
6. უფასო კონსულტაცია;
7. მკურნალობა გარანტიით.

მის: თავისუფლების მოედანი №4ა
(ახლაშენებული სასტუმრო „მერიოტის“ ეზოში)
☎ 98-64-83

# უძრავი ქონების სეზონი გრძელდება




ჟურნალში იხილეთ: უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი, ტენდენციები, ფასები, პროგნოზები, პროფესიონალთა რჩევები... და რა თქმა უნდა, უამრავი განცხადება

## ჟურნალშია — ორი სუპერრუბრიკა




## ყველაზე რეალური ინფორმაცია



თუ ვარცხნილობის შეცვლა გადაწყვიტეთ და გაინტერესებთ, ამჟამად როგორი ვარცხნილობები და რა ფერის თმაა მოდაში, თავად კი ამის გასარკვევად ჯერ ვერ მოიცალეთ, სტილისტ რომან სამადაშვილის რჩევები დაგეხმარებათ.

# სწორი გრძელი თმა, ბოლოს — ოდნავ ტალღოვანი...

ეკა მინდაძე

— **რომან, შენ თვითონ ვისთან იჭრი თმას?**

— მე თმას ჩემით ვიჭრი. იმიტომ კი არა, რომ ვერავის ვენდობი, არა — უბრალოდ, მირჩევნია, საკუთარ თავს თავად მოვემსახურო. და თუ რაიმე არ მომეწონება, ვერავის დავაბრალებ. სხვათა შორის, ერთი რამ ცხადია: მე რომ კლიენტი ვყოფილიყავი, ძალიან მიზეზიანი და ურჩი ვიქნებოდი.

— **შენი აზრით, ქალის სტილისტობა ვის უფრო კარგად გამოსდის — მამაკაცს თუ ქალს?**

— ჩემი აზრით, მამაკაცს და ვფიქრობ, მანდილოსნების უმეტესობაც ასე ფიქრობს. მამაკაცმა ყველაზე კარგად იცის, ქალს რა უფრო მოუხდება.

— **კლიენტები ყოველთვის ენდობიან შენს გემოვნებას?**

— გარკვეულწილად — კი. მე არაერთი ქალბატონისთვის შემირჩევია ვარცხნილობა. ისინიც უმეტეს შემთხვევაში, ჩემს რჩევას ენდობიან და ჩემი შერჩეული ვარცხნილობით კმაყოფილნი რჩებიან.

— **რა სტილის ვარცხნილობაა დღეს მოდაში?**

— მოდაშია გრძელი თმა, ზევით — სწორი, ბოლოში კი, ოდნავ ტალღოვანი. ძალიან სწორი თმა მოდაში აღარ არის. აგრეთვე, ბუნებრივად დავარცხნილი თმა, გვერდული „ჩოლკით“.

— **თმის ფერზე რას იტყვი?**

— მოდაში შემოდის წითური და შავი ფერის თმა. თუმცა აქტუალურია ქერა თმაც, ძირითადად — ჩალისფერი და ფერფლისფერი.

— **რამდენად განსხვავდება საღამოს ვარცხნილობა ყოველდღიური ვარცხნილობისგან?**

— თუ წვეულებაზე მიდიხართ და საღამოს კაბას იცვამთ, ამ შემთხვევაში, აწეული თმა უნდა გქონდეთ; თუ დისკოთეკაზე აპირებთ წასვლას, შეგიძლიათ, წვრილი ნაწნავების ხვეული ვარცხნილობა გაიკეთოთ (იხ. ფოტო №1). ყოველდღიურ ვარცხნილობად, ოპტიმალურია ბუნებრივად გამშრალი, არეული თმა.

— **ტინეიჯერები რა სტილზე იჭრიან?**

— ისინი ხშირად ავანგარდულ სტილზე იჭრიან: ზევით აჭრილი, ხოლო დაბლა, გრძელი, შეთხელებული თმით.

— **რას ურჩევდი მანდილოსნებს — როგორ უნდა მოუარონ თმას?**

— თუ შინ იღებავთ თმას, ეცადეთ, საღებავის წასმა მაქსიმუმ 15 წუთში დაასრულოთ და 30-35 წუთზე მეტხანს არ გაიჩეროთ. წასმისას, აიღეთ წვრილკბილებიანი სავარცხელი და თმის ძირებიდან ბოლოებამდე ჩამოისვით. დაბანამდე 15 წუთით ადრე, შეისხურეთ წყალი და ისე დაივარცხნეთ სავარცხლით. ამის შედეგად, საღებავი თმის ღერებზე თანაბრად განაწილდება. ამის შემდეგ გააჩერეთ 15 წუთი და ჩამოიბანეთ. დაუშვებელია, დავარცხნამდე ბალზამის გამოყენება, რადგან ბალზამის თმაზე გაჩერება თმის ცვენას იწვევს. აქედან გამომდინარე, ბალზამი მხოლოდ დაბანის შემდეგ გამოიყენეთ და 20 წუთში ჩამოიბანეთ. გარდა ამისა, არ შეიძლება, თმაზე მუსისა და ჟელეს გაჩერებაც. ისინი თმის ცვენასა და ქერტლის გაჩენას იწვევს. გახსოვდეთ — ბალზამის, ჟელესა და მუსის წასმისას, თმის ძირებში არ მოგიხვდეთ ხელი: თუ ძირებში შეიზელთ, აუცილებლად გამოიწვევს თმის ცვენას. ბალზამი, მუსი და ჟელე მხოლოდ თმის ბოლოებში უნდა წაისვათ, რათა თმა უფრო დრეკადი და დამყოლი გახდეს. ძალიან კარგია, თუ თმას წვიმის ან გამოხდილი წყლით დაიბანთ. თუ თმის ცვენა შენიშნეთ, მოამზადეთ დაფნის ნაყენი, რომელიც ასე მზადდება: აიღეთ დაფნის 20 ფოთოლი, დაასხით ორი ლიტრი წყალი და ადუღეთ მანამდე, სანამ ლიტრამდე არ დაშრება. შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან და ცოტა ხნით შეფუთეთ. გადაივლეთ ეს ნაყენი დაბანის შემდეგ და შეიშრეთ თმაზე. თუ მშრალი თმა გაქვთ, შეგიძლიათ, შეიზილოთ მაიონეზი და ნახევარ საათში ჩამოიბანეთ.

ცხიმიანი თმისთვის კარგია ლიმონის წვენი. აიღეთ ორი ლიმონი, გამოწურეთ და შეიზილეთ თმაში. ლიმონი მოუხდება შენალებ, დამწვარ თმას. ლიმონის წვენი შეიძლება გამოიყენოთ ჟელესა და მუსის მაგივრადაც, რადგან იმავენაირად აფიქსირებს თმას. თუ ქერტლმა შეგაწუხათ, აიღეთ ერთი კვერცხის ცილა, ერთი ჩ/კ კონიაკი და ერთი ს/კ თაფლი, აურიეთ ერთმანეთში, წაისვით თმის ძირებში და გაიჩერეთ ნახევარი საათი, ხოლო შემდეგ ჩამოიბანეთ ნელთბილი წყლით. ეს ნიღაბი უებარია დამწვარი თმისთვის. თუ გინდათ, რომ თქვენი თმა ბზინავდეს, დაბანის შემდეგ, გადაისხით ძმრიანი წყალი ან გვირილის ნაყენი, რომელიც შემდეგნაირად მზადდება. აიღეთ 3 ს/კ გვირილა და დაასხით 0,5 ლ ადუღებული წყალი, შეფუთეთ და გააჩერეთ 45 წთ, ხოლო შემდეგ, გადაწურეთ და გამოიყენეთ დაბანის მერე თმაზე გადასავლებად. გვირილის ნაყენი კარგია აგრეთვე ღია ფერის თმისთვისაც, რადგან ის უფრო აბაცებს თმას. თუ თმის ცვენა გაგიხშირდათ, თმის ძირების სამკურნალოდ წაისვით ღორის ქონი ან აბუსალათინის ზეთი, შეიზილეთ თმაში და გაიჩერეთ ნახევარი საათი. ეს შეგიძლიათ გაიმეოროთ ზედიზედ სამჯერ; შემდეგ რამდენიმე დღე შეისვენეთ. გახსოვდეთ, რომ თავის დაბანა ყოველდღე არ შეიძლება, მხოლოდ კვირაში ორჯერ დაიბანეთ. თუ სტილისტთან მისვლას აპირებთ, აუცილებლად წინასწარ უნდა იცოდეთ, თუ რა გინდათ. გირჩევთ, გაითვალისწინოთ თქვენი სტილისტის რჩევები, აგრეთვე, არ გაიკეთოთ შაბლონური ვარცხნილობა. ■



ფოტო №1



# სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო



**მინდა შეგახსენოთ ზღაპარი ცრუპენტელა მეცხვარეზე, ტყუილად რომ გაიძახოდა — მგელი-მგელიო!.. — და ისე დაკარგა ყველას ნდობა, კარს მომდგარ გასაჭირში აღარავინ რომ არ დაეხმარა... ჭკუის დარიგებად ნუ ჩამომართმევთ — უბრალოდ, დღევანდელი „გზავნილების“ თემას შეგახსენებთ, რომელმაც ბევრ ჩვენს მკითხველს საინტერესო მოგონებები აღუძრა.**

*მარი ჯაფარიძე*

## „...ახლა ეგ დრო წარსულს ჩაჰბარდა... ნუ გეშინიათ, გოგოებო“

### „50-ჯერ მაინც ვყავარ გალახული...“

„20 წლის ვიყავი, როდესაც ერთი გოგო შემიყვარდა — ლენა. მანამდეც მყავდა რამდენიმე შეყვარებული, მაგრამ ასე ძლიერად არასოდეს მყვარებია. საერთოდ გადამავიწყდა ყველაფერი, აღარც ჭამა მინდოდა, აღარც სმა, აღარც ლექციებზე სიარული და აღარც შინ მისვლა. დღე და ღამე მის სახლთან და ინსტიტუტთან დავბორიალებდი. ის ჩემი ნათესავის დაქალი იყო და მისგან გავიცანი. ჩავრიე საქმეში ნათესავი, მივუგზავნე და სიყვარული გავუმხილე. ის ისევ ვერ მამჩნევდა. იძულებული გავხდი, გზაზე გადავდგომოდი. ასეც მოვიქეცი. გავაჩერე და ვუთხარი — მიყვარხარ-მეთქი, თან ყავაზე დავპატიჟე. უარი არ უთქვამს. რამდენიმე საათის განმავლობაში ვუხსნიდი სიყვარულს, ბოლოს შევთავაზე, ახლავე გამომყევი ცოლად-მეთქი. — არაო, — თავი გადააქნია. დაბადების დღეზე დაუპატიჟებლად ვეწვიე შინ. სწორედ მაშინ გავიცანი მისი ძმა, რომელიც სიმაღლითა და სიგანით ხუთი ჩემხელა გახლდათ. ბუღასავით ატრიალებდა თვალებს, ხმას არ იღებდა და ყველა სტუმარს მდუმარედ ზვერავდა. ცოტა კი შევცბი, მაგრამ მისი ბღვერა ვერ შემაშინებდა. ლენას ჩემ მიმართ სიმპათია გაუჩნდა, მერე მითხრა — მეც მიყვარხარო, მაგრამ დიდხანს არ მიჩერდებოდა სასაუბროდ, არც პაემანზე მთანხმდებოდა. მიზეზი კი მისი ძმა იყო: — მომკლავს, რომ გაიგოს, ვინმეს შევხვდიო. ავდექი და ვასიკოს (ასე ერქვა ლენას ძმას) სამსახურში მივაკითხე, გარეთ გამოვიყვანე და ჯიქურ ვუთხარი — ლენა მიყვარს, ცოლად უნდა მოვიყვანო და შენ რა აზრის ხარ-მეთქი? — მეგონა, თავის უშველებელ მუშტს თავში ჩამცხებდა, მაგრამ სასწაული მოხდა: ჯერ კუშტად გამომხედა, თვალით მზომავდა, შემდეგ თვალებში შემომხედა და ნელ-ნელა სახე გაებადრა. ზამბარასავით დაჭიმული ვიდექი. ცოტა მოვეშვი... ნახევარი საათის შემდეგ, ორივენი რესტორანში ვისხედით და ახლა მას ვუხსნიდი, როგორ მიყვარდა მისი და. ამის შემდეგ, ლენასთან შეხვედრა თუ მინდოდა, ვასიკოს ვთხოვდი ნებართვას და ისიც უშვებდა, ოღონდ დროს უნიშნავდა, რამდენ ხანში უნდა დაბრუნებულიყო შინ. ყოველთვის დროზე მივაცილებდი ლენას, რადგან არ მინდოდა, ვასიკო გამებრაზებინა. მათთან შინ სტუმრადაც მივდიოდი ხოლმე. შემდეგ მოხდა ისე, რომ სმა დავიწყე. ყოველდღე ვთვრებოდი და ლენასთანაც ნასვამი მივდიოდი ხოლმე. ხანდახან ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, პირში ენას ვერ ვაბრუნებდი. ვასიკო შეშფოთდა და გამაფრთხილა — ერთხელ კიდევ ნასვამი რომ მოხვიდე, იცოდე, გცემო. არ მოვიშალე. ჰოდა, ერთხელ, ღამის თერთმეტ საათზე მათ კარზე რომ მივაკაკუნე, ვასიკომ ეზოში ჩამიყვანა და სულ ერთიანად დამალილავა. თან მითხრა — დღეიდან ლენას ახლოს აღარ გაეკარო, მე რომ კაცს ხელს დავარტყამ, იმას დას ცოლად ველარ გავაყოლებო. არც სმა მოვიშალე და არც ლენას დევნა. ის კი ახლოს აღარ მიკარებდა, ჩემს დანახვაზე ჩიტივით დამფრთხალი გარბოდა. ერთხელ, სადარბაზოსთან ველოდი მთვრალი და ამ დროს ვასიკომ შემნიშნა. ისევ მცემა. მიხვდა, რომ ლენას თავს არ ვანებებდი და მარტოს აღარსად უშვებდა. ისეთ დღეში ჩავვარდი, თავის მოკვლა მინდოდა. სმას მოვუმატე, გამოუფხიზლებლად დავდიოდი. გადავწყვიტე, რამდენიმე თვით რუსეთში წავსულიყავი და ასეც მოვიქეცი. ეს რამდენიმე თვე 7 წლად იქცა და ამ ორი წლის წინ დავბრუნდი. გეფიცებით, 3 წელია, სასმელს აღარ გავკარებივარ. მაშინ უკვე ერთი წელი იყო გასული და თამამად დავიწყე ლენას ძებნა. მისამართი შეცვლილი ჰქონდათ. მთელი 7 თვე ვეძებდი. ბოლოს მივაგენი და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგე, რომ ისევ გასათხოვარი იყო. პირველად რომ დამინახა, თვალებს არ დაუჯერა. მალე ვასიკომ გაიგო ჩემი დაბრუნების ამბავი, დამიბარა და ისევ მაგრად მცემა. თან მითხრა — რამდენჯერაც ჩემი დის ახლომახლო დაგინახავ, იმდენჯერ მოგხვდებაო. ვუთხარი — აღარ ვსვამ, ლენა ძველებურად მიყვარს და ჩვენს ბედნიერებას ხელს ნუ შეუშლი-მეთქი. მაგრამ ისევ მომხვდა. ასე გრძელდება დღემდე. 50-ჯერ მაინც ვყავარ გალახული, მაგრამ ლენას გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია. მასაც ვუყვარვარ, მაგრამ ძმის შიშით ვერ ამხელს. ასეა, სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობდა, მაგრამ მაინც არ მოვიშლი ლენას სანახავად მათთან შინ სტუმრობას. ვიცი, რამდენჯერაც მათ კარზე მივაკაკუნებ, იმდენჯერ გავილახები, მაგრამ ეს არაფერი, მე ჩემსას მაინც მივაღწევ... რეზო“.

*იშვიათად მინახავს ასეთი ოპტიმისტი. ვფიქრობ, ან ერთს მოჰბეზრდება ძირს კოტრიალი, ან მეორეს — მუშტის ქნევა და*

*ვასიკოს გალახული სიძე შერჩება... იმედი მაქვს, რეზო ამ ამბის დასასრულსაც დაგვიმესიჯებს, ჩვენ კი, თქვენ შეგატყობინებთ. ახლა კი შემდეგ რესპონდენტს მოვუსმინოთ, რომელსაც წარსული ცოდვები უკვე მოუნანიებია და ახლა ძალზე ნერვიულობს, რომ ხალხი მის განვლილ ცხოვრებას არ ივიწყებს.*

## „თავის რჩენა გამიჭირდა და მდიდარი საყვარელი მოვძებნე...“

„პირველად თბილისში რომ ჩამოვედი და ტექნიკუმში ჩავაბარე, შუბლზე მეწერა, რომ სოფლის მატარებელს 5 წუთის წინ ჩამოვყევი. მახსოვს, აგვისტოს თვე იდგა, ცხელოდა, მე კი ბამბის რეიტუზი მეცვა და დახეულ-დაკერებული „ბათინკი“. რეიტუზი დედამ ძალით ჩამაცვა, — ქალაქში შიშველი ფეხის გამოჩენა არ შეიძლებაო. მგზავრობისას რეიტუზი დაიბრიცა, წვივებზე ჩამომეჩაჩა, ნაწნავები ამებურდა... მოკლედ, სწორედ ასეთ ფორმაში გამოვცხადდი ტექნიკუმის მიმღებ კომისიაში, საბუთების შესატანად. იქიდან რომ გამოვედით, დედამ სურათიც გადამიღო, — სამახსოვროდ დაგრჩებაო. სწორედ ამიტომ მახსოვს კარგად, როგორ გამოვიყურებოდი მაშინ. გამოცდები ჩავაბარე, სასწავლებელში ჩავირიცხე და პირველი სექტემბერიც მოვიდა. პირველსავე დღეს ჩემი ჯგუფელების დაცინვის ობიექტად გადავიქეცი. ბიჭები მომაძახებდნენ ხოლმე: „რეიტუზი აიწიე, გოგო... კაბა გაისწორე, სოფლელო...“ ჩემ გარდა კიდევ უამრავი გოგო და ბიჭი იყო რაიონიდან ჩამოსული, მაგრამ ჩემსავით გოიმურად არავინ გამოიყურებოდა. ალბათ ამის გამო იყო, რომ ჯგუფელებთან ურთიერთობა ვერ ავაწყვე. თბილისში ჩემს შორეულ ნათესავთან ვცხოვრობდი. მათ 23 წლის ბიჭი ჰყავდათ. ყველამ ვიცოდით, რომ ეს ბიჭი ნაშვილები იყო, მაგრამ გაფრთხილებული ვიყავი, არ წამომცდენოდა. ლერიმ თავიდანვე კარგი თვალით შემომხედა და დავმეგობრდით კიდეც. საახალწლოდ სასწავლებელში კარნავალს აწყობდნენ, მე წასვლა არ მინდოდა. ლერიმ მიზეზი რომ მკითხა, არ დავუმალე და დაწვრილებით მოვუყევი, როგორ დამცინოდნენ და მაქილიკებდნენ სტუდენტები. — მე ვიცი, როგორც უნდა მოვიქცეთო, — მითხრა და მირჩია, უარი არ მეთქვა კარნავალზე წასვლაზე. ახალი წლის წინა დღეებში თავისი მეგობარი გოგო გამაცნო. ფული მისცა და უთხრა: — ისე გამოაწყვე, მტერს თვალი დაუბრმავოსო. ნინო დამეხმარა, ვიყიდეთ ქსოვილი, მივედით მკერავთან და კაბის შეკვეთა მივეცით. მე გრძელი კაბა მინდოდა, მაგრამ ნინომ არ დამანება და ბოლოს, ისეთი მოკლე კაბა შევაკერინეთ, რომ თითქმის შიშველი ვიყავი. ვიყიდეთ კოლგოტი და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი. კარნავალის დღეს კი ნინო ჩვენთან შინ მოვიდა, ოქროსფერი ნაწნავები დამიშალა, თმა გამაშლევინა, გამომაწყო და სარკეში რომ ჩავიხედე, იქიდან „კინოვარსკვლავი“ მიყურებდა. ლერი გარშემო მივლიდა და — მაგარიაო, გაიძახოდა. საღამოს ტაქსიში ჩამსვა და სასწავლებელში მიმიყვანა. სტუდენტები გარეთ შეკრებილიყვნენ. ლერიმ მანქანის კარი გამიღო, გადმოსვლაში დამეხმარა, ხელზე მაკოცა და ჰაეროვანი კოცნაც გამომიგზავნა. ჯგუფელებს რომ მივუახლოვდი, ვხედავდი, როგორი გაოცებულები მიყურებდნენ და გული სიამაყით მევსებოდა. სულ რამდენიმე საათი დავრჩი მეჯლისზე და წამოვედი. იმ დღიდან გარდერობი გავაახლე, სტილი შევიცვალე. ერთ სიტყვით, მაგარი ქალი დავდექი. ჩემი პირველი მამაკაცი კი ლერი გახლდათ... შემდეგ ლერიმ ცოლი მოიყვანა, მე — ცალკე გადავედი საცხოვრებლად. გამიჭირდა თავის რჩენა და მდიდარი საყვარელი მოვძებნე... ის სხვამ შეცვალა და ასე გავიდა წლები... მამაკაცები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, ჩემი ცხოვრება კი უკეთესობისკენ არ მიდიოდა. ერთხელ, წვეულებაზე გავიცანი მღვდელი, რომელიც ლურჯ მონასტერში მოღვაწეობდა. დამიმარტოხელა და საუბარი ზნეობაზე ჩამომიგდო. იმდენი მელაპარაკა, რომ დამითანხმა, ეკლესიაში მივსულიყავი... ამის შემდეგ კარგა ხანი დამჭირდა, რომ ძველი ცხოვრება მიმეტოვებინა და ახალი დამეწყო. მაინც ვძლიე ეშმაკს და ყველა კაცს ზურგი ვაქციე. უკვე 4 წელია, მონაზონივით ვცხოვრობ, მაგრამ ძველი ნაცნობები ვერ ივიწყებენ ჩემს წარსულს. ვგრძნობ, როგორ დამცინიან და ჭორაობენ ჩემზე. ახლა ერთი კარგი ადამიანი შემიყვარდა. ისიც იმავე ეკლესიის მრევლია. ბუნებრივია, მან ჩემს წარსულზე არაფერი იცის. მინდა, ოჯახი შევქმნა, მაგრამ თან მეშინია. ვინმემ რომ ამბავი მიუტანოს? ეს ბედნიერება რომ დავკარგო, ცხოვრებისკენ ვეღარაფერი შემომაბრუნებს. აი, როგორ ვიწვნიე ამ ანდაზის სიბრძნე — სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო...“

*მოკლედ, ერთი რამ ცხადია — სახელის გატეხას ყველაფერი სჯობია. ეს ძველებური ანდაზა არ გახლავთ, მაგრამ შემდეგი რესპონდენტის ნაამბობს რომ წაიკითხავთ, ამ გამონათქვამის ჭეშმარიტებაში დარწმუნდებით. გვიამბობს 28 წლის დათო.*

## „გელა იყო ბელა...“

„უკვე 8 წელია, რაც ცოლი მოვიყვანე. ვერ გეტყვით, ცოლისთვის არასოდეს მიღალატია-მეთქი, ყოველთვის დავძვრებოდი ქალებში, მაგრამ ამ ორი წლის წინ ერთი ქალი უზომოდ შემიყვარდა. მე თვითონ არ ვიცი, რა დამემართა... სულ მასთან მინდოდა ყოფნა, გამუდმებით მასზე ვფიქრობდი და ოჯახში მხოლოდ ღამის გასათევად მივდიოდი. მისი სიყვარულით იმდენად ვიყავი მოჯადოებული, რომ შინაც ვერ ვიკავებდი თავს და მასზე ვსაუბრობდი. ამ ქალს ბელა ერქვა. ავდექი და ოჯახში გამოვაცხადე — ერთი კაცი გავიცანი, ძალზე კარგი პიროვნებაა და დავუმეგობრდი, თანაც ცოლს გაშორებულია და ორ შვილს მარტო ზრდის-მეთქი. ჰოდა, ამ ჩემს ბელას დავარქვი გელა და ოჯახში გამუდმებით მასზე ვლაპარაკობდი. ერთხელ ცოლმა ფული მთხოვა. — რამდენი გჭირდება-მეთქი? — ასი ლარიო... გადავირიე და ხმამაღლა წამოვაყრანტალე — შენ რომ ასი ლარი მოგცე, გელას რაღა მივცე-მეთქი? — ცოლი გაოცებული მიყურებდა. ბოლოს, მხრები აიჩეჩა... კიდევ ასეთი რამ შემემთხვა: ჯიბეში ფული მქონდა. ათი ლარი დავიტოვე, დანარჩენი კი ბელას მივეცი. როგორც ჩანს, ჩემმა ცოლმა იცოდა, რომ ფული მქონდა და მთხოვა: 50 ლარი მომეციო. — უარი რომ მიიღო, დაინტერესდა, — გუშინ რომ ფული გქონდა, რა უყავიო? — არც ვაციე და არც ვაცხელე — გელას მივეცი-მეთქი. — რად უნდოდაო? — ტანისამოსის საყიდლად და თმის შესაჭრელად-მეთქი. — აქ კი დიდი სკანდალი ატყდა. — ვინ არის ეს ოხერი გელა? რატომ ინახავ მის ოჯახს? რა ვალდებული ხარ, ფული აძლიოო? — რაღა უნდა მეთქვა? მერე გაიგო, რომ ქალი მყავდა და მისი სახელი რომ შეიტყო, მაშინვე მიხვდა, რომ გელა, ბელა იყო... მერე მე და ბელა დავშორდით, რადგან მას სხვა შეუყვარდა. მე ძნელად გადავიტანე ეს ამბავი. იმის შემდეგ, სხვა ქალს არ გავკარებივარ, მაგრამ ვინ გიჯერებს? თუ ცოტა შემაგვიანდება, იწყება ჩხუბი და აყალმაყალი. ვერავის ვაჯერებ, რომ ცოლის ერთგული ვარ. პატივისცემით, დათო“.

*ღვინო და არაყი ვის არ დაულევია, მაგრამ თუ ვერ შეირგებ, ცოტათი უნდა მოერიდო. კარგია, როცა ცდილობ, სიმთვრალეში აღარ დააშავო ის, რაც წინა ქეიფის დროს დააშავე და თუ ამას მიაღწიე, მართლაც სამაგალითო ადამიანი ყოფილხარ, მაგრამ დაგიჯერებენ, რომ ძველებურად აღარ იჩხუბებ და იარაღის სროლას არ დაიწყებ? ვნახოთ, როგორ გაუტყდა სახელი ჩვენს მომდევნო რესპონდენტს.*

## „ჩემზე ამბობენ – „ჭედავსო“...

„უკვე შუახანს მიტანებული კაცი ვარ. ახალგაზრდობიდანვე მიყვარს ქეიფი და დროს ტარება, მაგრამ ერთი „მინუსი“ მაქვს — არაყს ვერ ვიტან. ეს სასმელი უარყოფითად მოქმედებს ჩემზე და აგრესიულს მხდის. ღვინო თუ დავლიე, ყველაფერი მშვენივრად ჩაითვლის ხოლმე, მაგრამ თუ არყით დავთვრები, ყველა მერიდება. სიფხ-

იზლეში მშვენიერი ხასიათი მაქვს. ყველას ვუყვარვარ და მეუბნებიან — ოქროკაცი ხარო, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, როცა ჩემს საკუთარ მეგობარს სიმთვრალეში იარაღი ვესროლე. არავის არაფერს ვერჩი, თუ ვინმე არ ამიშარდა, მაგრამ თუ სიფხიზლეში არ ავყვები ხოლმე შარს, სიმთვრალეში რა მომდის? მოკლედ, ვინც მიცნობს, ყველასთვის ცნობილია ჩემი სიმთვრალის ამბავი. ჩემზე ამბობენ — სიმთვრალეში „ჭედავსო". სანამ ახალგაზრდა ვიყავი, ამას ყურადღებას არ ვაქცევდი. მერე და მერე კი მივხვდი, ასე არ შეიძლებოდა მოქცევა. გადავწყვიტე, გამოვსწორებულიყავი. სპეციალურად ვსვამდი არაყს და კარგად ვიქცეოდი, თუმცა ყოველთვის არ გამომდიოდა, მაგრამ ნაწილობრივ გამოვსწორდი. ამ ბოლო დროს კი საერთოდ აღარაფერს ვაშავებ, მაგრამ ჩემზე მაინც ამბობენ — „ჭედავსო".

*ახლა კი ტრადიციისამებრ მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.*

## „ყველას გადასარევი ბიჭი გვეგონა..."

„ადრე, როცა „მწარედ" ვიყავი შეყვარებული, მამაჩემს ჩუმად ვპარავდი არაყს და დარდის გასაქარვებლად ვსვამდი ხოლმე. სხვათა შორის, მშველოდა... ახლა ეგ დრო წარსულს ჩაჰბარდა. როგორც იქნა, განვიკურნე სიყვარულისგან და ახლა ჩემი დაქალები გალოთდნენ. ახლა ისინი სვამენ ჩუმ-ჩუმად. ყველაზე სასაცილო ის არის, რომ მათი გალოთება მე მბრალდება. ყველა გაიძახის, შენ გაალოთეო, არადა, ასე არ არის. ჩემი კი არა, მაგათი შეყვარებულების ბრალია, ამისთანა გოგოებს რომ ვერ ამჩნევენ. ნუ გეშინიათ, გოგოებო! ასეა, სახელის გატეხას თავის გატეხა მართლა სჯობია".

„მგონი, თავის გატეხა მართლა ჯობია. ჩემმა მეგობარმა ისეთი რამ ჩაიდინა, რომ თავი სამუდამოდ შეირცხვინა. ვერც სოფელში ჩამოვა და საცემრადაც დასდევენ. ყველას გადასარევი ბიჭი გვეგონა, მაგრამ... მოკლედ, ასეა სახელი არ უნდა გაიტეხო..."

„პარაზიტო, თბილისში კი ნუ გაიპარე, ვიდრე შენს ოჯახს რამე ეჭვი გაუჩნდება, გავიქცეთ სადმე და ახალი ცხოვრება დავიწყოთ, თორემ „დავიწვებით". აღარ შემიძლია ამოდენა სიყვარულის დამალვა. ენამ რომ არ თქვას, თვალები გამცემენ, სახელთან ერთად თავის გატეხაც მოგვიწევს. მიყვარხარ. ვიცი, წაიკითხავ „გზის" ამ ნომერს. მიპასუხე, რა ვქნათ? მაკა".

„ამ ანდაზის ჭეშმარიტებაში მწარე მაგალითმა დამარწმუნა. არასოდეს ვიფიქრებდი, რომ ოდესმე პლატონური სიყვარულით დავიტანჯებოდი, მაგრამ ერთხელ მეც აღმოვჩნდი სასიყვარულო სამკუთხედის მოჯადოებულ წრეში. ლაშას ვიღაც გოგო სიგიჟემდე უყვარდა, თუმცა ის გოგონა მასთან მხოლოდ ფულის გამო იყო. ცხადად ვხედავდი, რომ ვერაფერს გავაწყობდი, მაგრამ ათასნაირი ინტრიგითა და სკანდალური ქცევით მისი ყურადღების მიპყრობას მაინც ვცდილობდი. ამაოდ. ისინი მხოლოდ 2 წლის შემდეგ დაშორდნენ ერთმანეთს და სულ მალე, ლაშა სიყვარულში გამომიტყდა. მე კი ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე. შურისძიება გადავწყვიტე — რომანი მის საუკეთესო მეგობართან გავაბი და საკუთარი თავით დიდად კმაყოფილმა, სულ მალე გავიგე, რომ ისინი შერიგდნენ. ასე ხდება, როცა თავის გატეხას სახელის გატეხას ამჯობინებ. ნინი".

*დღეს „გზავნილებს" ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — სასიყვარულო სამკუთხედი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.*

ვაზიანი VAZIANI ВАЗИАНИ

# ნდობის რეიტინგში ს.ს. „ვაზიანი" მეორეა

კომპანიის ცქრიალა ღვინოებს მოსახლეობის 18 პროცენტი იდეალურად მიიჩნევს.

საქართველოს ახალგაზრდა ფინანსისტთა და სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევების ცენტრი „რეიტინგი-კავკასია" საზოგადოებას დროდადრო სიურპრიზებს სთავაზობს. ამ ორი ორგანიზაციის ახალი პროექტის სპონსორობა ამჯერად ჰოლდინგურმა კომპანია „აგრიტექნიკს ჯგუფმა" იტვირთა.

კვლევითი ცენტრის ინტერესის სფეროში საბანკო სექტორი და კერძო ბიზნესი მოექცა, რადგან ეს ორი სფერო საქართველოში განვითარების სტადიაშია და ექსპერტების ინტერესი ამ სეგმენტების მიმართ ბუნებრივიცაა.

პროექტის ფარგლებში გამოკითხული იქნა საქართველოს მასშტაბით (აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარდა) ათასი რესპონდენტი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. აქედან ხუთასი თბილისში, ხუთასი კი საქართველოს რეგიონებში. ცალკე გამოკითხულ იქნა ასამდე ექსპერტი (ფინანსისტები, ექსპერტების, საბანკო საქმის სპეციალისტები, მეცნიერები, ანალიტიკოსები, ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები).

სოციოლოგიური და მარკეტინგური კვლევის ცენტრმა „რეიტინგი კავკასია" ლიდერები საბანკო სექტორში და სადაზღვევო კომპანიებში გამოავლინა. პარალელურად ექსპერტები იკვლევდნენ სამომხმარებლო ბაზარს. კვლევის საგანი გახდა კვების, რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანიები. ექსპერტებმა გვერდი ვერ აუარეს გამაგრილებელი და სპირტიანი სასმელების მწარმოებლებსაც. როგორც „რეიტინგი კავკასიას" ექსპერტები ამბობენ, მოქალაქეები ყველაზე ხალისიანად დასმულ კითხვებზე პასუხს სწორედ ამ სფეროების შესახებ სცემდნენ, რადგან ჩვენში როგორც ალკოჰოლიანი, ისე გამაგრილებელი სასმელები საკამოდ პოპულარულია. კვლევა ორი მიმართულებით ჩატარდა. ჩვეულებრივი მოქალაქეების პარალელურად საკუთარი პოზიცია ექსპერტებმაც დააფიქსირეს.

ძნელი სათქმელია, რამდენად მოხვდნენ გამოკითხულთა შორის ღვინის ჭაშნაგირები, მაგრამ ისინი, ვისაც გაუმართლა და სოციოლოგთა კითხვაზე პასუხის გაცემის საშუალება მიეცათ, ამტკიცებენ, რომ GWS-ს ღვინოები ყველაზე სანდოა და ამ კომპანიის პროდუქციას საზოგადოების სულ მცირე 29 მაინც ენდობა. მეორე ადგილზეა სააქციო საზოგადოება „ვაზიანი", რომელიც სულ ახლახანს გამოჩნდა ბაზარზე და ხარისხიანი პროდუქციისა და აგრესიული რეკლამის დახმარებით ძალიან მალევე აღმოჩნდა ქართული ალკოჰოლიანი სასმელების სათავეში. ამ კომპანიის პროდუქციას მოსახლეობის 18 ენდობა. მესამე ადგილზეა თელავის ღვინის მარანი. ხოლო მეოთხე და მეხუთე ადგილებს „თბილღვინო" და „ბაგრატიონი 1860" ინაწილებენ.

მოკლედ, ნდობის ფაქტორი ფალსიფიკაციის მაღალი დონის მიუხედავად, ალკოჰოლიანი სასმელების მიმართ კვლავაც მყარი რჩება.

სოციოლოგიური და მარკეტინგური კვლევის ცენტრმა „რეიტინგი კავკასიამ" კვლევის შედეგები პრესკონფერენციის საშუალებით უკვე გააცნო ფართო საზოგადოებას, საქართველოში ალკოჰოლიანი სასმელების ბაზარზე არსებული მძაფრი კონკურენციის მიუხედავად, კვლევაში მონაწილე კომპანიები ამ კვლევის შედეგებს ობიექტურად მიიჩნევენ.

R



**თბილისში ერთი კვირით ჩამოსული მეჰმედ მელექი საქართველოში დიდი ხნით დარჩა. იგი ხოდაში დაიბადა და საქართველოს საერთოდ არ იცნობდა. მელექების მთელი ოჯახი ლაზები არიან, მიუხედავად ამ კუთხის ისტორიული წარსულისა, უმეტესი გათურქებული, გამუსლიმანებული ლაზიკების ხსოვნაში აღარაფერია შემორჩენილი.**

# გამუსლიმანებული ლაზი თუ გაქართველებული თურქი

*სოფო ჩიბურდანიძე*

— აი, გაგიმხელთ ერთ, ძალიან სერიოზულ ამბავს, რომელიც, მე მგონი, საქართველოშიც არავინ იცის, — გვესაუბრება მეჰმედ მელექი. — საქართველოს თურქეთში ძალიან ცოტა იცნობს. ჩემი ქალაქი პირველია, საზღვრის შემდეგ, მაგრამ მოსახლეობის თხუთმეტმა პროცენტმაც კი არაფერი იცის საქართველოსა და თავისი უძველესი ფესვების შესახებ. უფრო მეტიც, დღეს რომელიმე ჩემნაირ ლაზს ის რომ უთხრა, ქართველი ხარ და მართლმადიდებელი წინაპრები გყავდნენო, შეიძლება გცემოს.

— **ე.ი. ის იციან, რომ ლაზები არიან, მაგრამ საქართველოზე წარმოდგენაც არა აქვთ.**

— იმიტომ, რომ ამის შემდეგ დიდი დრო გავიდა. მათ ახლა ისეთი ვინმე სჭირდებათ, ვინც ეტყვის და აუხსნის ამ ყველაფერს. მეც არაფრის აზრზე არ ვიყავი აქ ჩამოსვლამდე.

— **საქართველოში შენი ჩამოსვლა როგორ მოხდა?**

— საქართველოში სრულიად შემთხვევით მოვხვდი. ჩემმა მეგობარმა აქ მოსამზადებელი კურსები დაამთავრა და ზაფხულში თურქეთში ჩამოვიდა. გადამეკიდა, მოდი ორი დღით თბილისში წავიდეთ, გავისეირნოთო. მე საქართველოს არ ვიცნობდი, არც ენა ვიცოდი და ამიტომაც თავს ვიკავებდი. ბოლოს, მაინც დამითანხმა. ერთი კვირით წამოვედით სასეირნოდ. სარფში საზღვარი რომ გადმოვკვეთე, ძალიან მომეწონა, თუმცაღა იყო უდიდესი შიში იმისა, როგორი ქვეყანა, ხალხი და რა კულტურა იქნებოდა. ერთი-ორი დღე ვისეირნეთ. რა თქმა უნდა, თბილისი ძალიან მომეწონა.

— **მგონი, ამ დროს, უკვე თურქეთის ტელევიზიაში მუშაობდი?**

— კი, თუმცა ინსტიტუტი არ მქონდა დამთავრებული. სახელმწიფო გამოცდებამდე მივედი, მაგრამ ვერ ჩავაბარე. თურქეთში სწავლა ძალიან ძნელია. ტელევიზიაშიც ამ პერიოდში დავიწყე მუშაობა.

— **სამაგიეროდ, თბილისში ხელმეორედ ჩააბარე.**

— მოკლედ, ერთი კვირით სასეირნოდ ჩამოსული, ჩემმა მეგობარმა საბოლოოდ დამტოვა. თეატრალურ ინსტიტუტში მიმიყვანა და მირჩია, რადგანაც ჩემს პროფესიასთან ახლოს იყო, კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე ჩამებარებინა. გოგი და ზვიად დოლიძეებს დაველაპარაკე. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გოგი დოლიძეს დახმარებისათვის. ასე, ერთ დღეში გადავწყვიტე საქართველოში დარჩენა.

— **ქართული იცოდი?**

— ერთადერთი სიტყვა რაც ვიცოდი, „გაუმარჯოს" იყო. ისიც თურქეთში ჩამოსული ქართველებისგან მქონდა მოსმენილი. დანარჩენი, ექვს-შვიდ თვეში შევისწავლე. პირველად მხატვრულ კინოზე ჩავაბარე, მერე დოკუმენტურზე გადავედი. ახლა უკვე ვამთავრებ. შეიძლება ითქვას, დღეს უფრო მეტი ქართველი მეგობარი მყავს, ვიდრე თურქი. უკვე ექვსი წელია, რაც აქ ვარ და ძალიან მომწონს.

— **ახლა მუშაობ სადმე?**

— ახლა „ბეკოს" ფირმაში ვარ კლიენტებთან ურთიერთობისა და მომსახურების ცენტრის უფროსად.

— **თავს ალბათ ბევრი კურიოზიც გადაგხდა.**

— როცა პირველად ჩამოვედი, მეგობრებმა რესტორანში წამიყვანეს. რადგანაც ქართული არ ვიცოდი, ჩემთან „გაკაიფება" მოინდომეს და მითხრეს, რომ ოფიციანტს უნდა დაუძახო — „ერთი წუთით მოდი-წადი". მეც დავუძახე. ის გოგო ახლაც მახსოვს, გაოცებული მიყურებდა.

ერთხელ, კიდევ დაბადების დღეზე დამპატიჟეს ამხანაგთან ერთად. ამ დროს ქართული ცოტათი ვიცოდი. ზაფხული იყო და ოთახში რომ შევედი, უამრავი ბუზი შემომეხვია. მე შუბლზე ხელი ვიტკიცე და „ბუზის" ნაცვლად, რამდენი „ბოზია"-მეთქი ვიყვირე. გვერდით ოთახში გოგოები იყვნენ და ყველა მე შემომყურებდა.

— **შენმა მეგობრებმა უკვე იცოდნენ ქართული?**

— კი. თვითონაც ლაზები არიან. მეც ლაზი ვარ. მელეკ — თურქული გვარია და ანგელოზს ნიშნავს. ჩემი ძველი ლაზური გვარი კი, მურღუსხან არის და ქართულად ვარსკვლავს ნიშნავს.

ჩვენთან და მის ირგვლივ სოფლებში ბევრი ქართული, მართლმადიდებლური ეკლესიაა. ზოგი ინგრევა, მაგრამ უვლიან. ახლა ისინი უფრო მუზეუმებადაა ქცეული, სადაც მხოლოდ ტურისტები დადიან.



მეჰმედ მელექი მეუღლესთან ია თადიაშვილთან ერთად

**— ახლა ქართულ-თურქული ტრადიციების ერთმანეთთან შეთავსებას როგორ ახერხებ?**

— განსხვავება მათ შორის ძალიან დიდია. მაგალითად, ჩვენ ღვინოს საერთოდ არ ვსვამთ.

**— საქართველოში ღვინო არ დაგილევია?**

— აბა, ეს ღიპი საიდან იქნებოდა? მე სასმელები ძალიან მიყვარს, ღვინო, არაყიც. ჩვენთან, თურქეთში ცნობილი სასმელია „რაქ" — არყის მსგავსია. ერთხელაც, ჩამოვიტანე და ჩემი ორი ქართველი მეგობარი დავპატიჟე, რომლებიც ძალიან მიყვარს. ხომ ამბობენ „ტრუსიკის" ძმაკაცებიო, ესე ვართ. მოკლედ, დავპატიჟე. ჯერ არ იციან, როგორია სასმელი. ოთხმოცი გრადუსი და ერთი უცნაური თვისება აქვს: რომ დაასხამ, ჩვეულებრივი არყის ფერია, მაგრამ როცა წყალს ამატებ, რძისფერი ხდება. ამათ წყლის გარეშე დაიწყეს დალევა. ვუთხარი, გაითიშებით-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერეს — ქართველები ვართო. სამ ჭიქაში ერთი ისე გაითიშა, რომ მისი ცოლი, რომელსაც „ნიკალასთან" უნდა შევხვედროდით, ვერ იცნო. ვუთხარი — დათო, ეგ არ არის შენი ცოლი-მეთქი?

**— თვითონ პირველად როდის მოინათლე ქართული სასმლით?**

— პირველად რომ ჩამოვედი, მაშინ ყიფშიძეზე ვცხოვრობდი. კიდევ ერთი ძალიან კარგი ამხანაგი მყავდა არტურა, სომეხი. მოკლედ, თბილისის ყველა კუთხეში მყავს ახლობელი და სწორედ ამ არტურასთან დავლიე. მეც იგივე „დათო" დამემართა.

**— ცოლი გყავს?**

— თანაც ქართველი — ია თადიაშვილი. შვიდი-რვა თვეა, რაც დავქორწინდით. ერთმანეთს სამი წელი ვიცნობდით. ჩვენი გაცნობა ძალიან საინტერესოდ მოხდა. ერთხელ, კაფეში ვსხედვართ მე და ჩემი მეგობრები. გვერდით მაგიდასთან სამი გოგონა იჯდა. ერთი ძალიან მივამსგავსე ჩემს მაშინდელ თანამშრომელს (მაშინ კაზინოში ვმუშაობდი) და მისი ტყუპისცალი მეგონა. ვკითხეთ, მაგრამ შორეული ნათესავიც კი არ აღმოჩნდა. ჩვენ ბოდიში მოვუხადეთ და მაგიდასთან დავბრუნდით. ამ დროს ერთ-ერთი მათგანი, ანუ ჩემი ცოლი, გარეთ გამოვიდა. მეც მივედი და ეგრევე — რა ლამაზი თვალები გაქვს-მეთქი, ვუთხარი. ვთხოვე, თუ შეიძლებოდა სადმე დამეპატიჟა, მაგრამ უარი მითხრა. მე მაინც მოვახერხე ჩემი ტელეფონის მიცემა. სამი დღის შემდეგ მისი დაქალი მირეკავს. მერე რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ არაფერი. ოთხი-ხუთი თვე აღარ დაურეკავს. ხუთი თვის შემდეგ ისევ განვაახლეთ ურთიერთობა, ბოლოს, რადგანაც ერთმანეთთან კარგად ვიყავით და ერთმანეთს ვუგებდით, რატომ არ უნდა დავქორწინებულიყავით?!. ახლა, ორივენი კმაყოფილები ვართ. იას დედ-მამაც.



**თავიდან ჩემი მუსლიმანობის გამო, წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ ავუხსენი, რომ ჩემთვის მთავარი ადამიანობაა და არა რელიგია**

**— თავიდან, მშობლები როგორ შეხვდნენ თქვენს გადაწყვეტილებას?**

— თავიდან ჩემი მუსლიმანობის გამო, წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ ავუხსენი, რომ ჩემთვის მთავარი ადამიანობაა და არა რელიგია. ამიტომაც, მყავს ბევრი მეგობარი, როგორც აქ, ისე ჩემს სამშობლოშიც.

**— შენი მშობლები?**

— ჩემებიც არ იყვნენ მთლად კმაყოფილები. მაგრამ, ახლა მათ ავუხსენი, რომ მე არ მქონია მუსლიმანი ცოლის შერთვის პრინციპი. მამაჩემი შეეგუა ამ ამბავს. აი, დედაჩემი კი...

**— ალბათ, პირველი სიყვარული სამშობლოში დატოვე...**

— სულაც არა. ისიც ქართველი იყო. თეატრალურში რომ მივედი, პირველი, რაც მოხდა — ის მომეწონა. მეგობარს ვთხოვე, ჩემთვის გაეცნო. მეორე დღესვე გავიცანი. ეს ის პერიოდია, როცა ქართული ჯერ კიდევ არ ვიცი. კაფეში რომ დავპატიჟე, თვითონვე გაუკვირდა, რაზე უნდა ვისაუბროთო? მერე ხან ხელებით, ხან ცოტა ინგლისურით ვაგებინებდით ერთმანეთს, ხან თარჯიმნად მეგობარი მიმყავდა. ბოლოს, ვუთხარი, რომ მართლა მომწონდა. მან უარი მითხრა, გათხოვებას არ ვაპირებო. ერთი თვის შემდეგ გათხოვდა. სულ ბოლოს, 2001 წლის 2 მარტს ვიყავით რესტორანში.

**— სიყვარული თარჯიმნის დახმარებით აუხსენი?**

— არა, მაგისთვის სპეციალურად ვისწავლე სიტყვები.

**— ქართველ გოგოებზე რა აზრისა ხარ?**

— ჩაცმა და სტილი მომწონს, მაგრამ ძალიან თავისუფლები არიან. შეიძლება მე მხოლოდ თბილისელ გოგოებს ვიცნობ.

**— თავისუფლება რას ნიშავს?**

— დამოუკიდებლები არიან. არ უნდათ ოჯახთან ცხოვრება. თვრამეტი წლის გოგო მარტო ცხოვრობს, ასევე ბიჭებიც. თან დღემდე ვერ გამირკვევია ერთი რამ — ხელფასი ასი ლარი აქვთ, ხოლო ფეხზე ათასდოლარიანი ფეხსაცმელები აცვიათ. ჩვენთან, ყველას მაინც ოჯახთან ცხოვრება ურჩევნია. მაინც ასე ჯობს.

**— მახსოვს შენ მიერ წაკითხული გალაკტიონის ლექსი „უსიყვარულოდ".**

— ეს ლექსი ჩემმა მეგობარმა თურქულად თარგმნა და წამიკითხა. ისე მომეწონა, ვთხოვე, ქართული ვარიანტი ეჩვენებინა. მერე ჩემი ხმით ჩემს პირველ სტუდენტურ ფილმს დავადე — „სიყვარულის ძალა". ახლა, ბოლო კურსზე ვარ. სადიპლომო სცენარი გავამზადე და ბატონ გია ჭუბაბრიას ჩავაბარე. იმედია, მოეწონება. სცენარი ლაზებზეა. გადაღებები სარფში მაქვს დაგეგმილი. ფილმი დოკუმენტურ მასალაზე იქნება აგებული და საპატრიარქოს მხრიდანაც დიდ დახმარებას და მხარდაჭერას ველით.

**— თანხებს ალბათ ინსტიტუტიც გამოყოფს.**

— ინსტიტუტს არაფერი შეუძლია. თუმცა მარტო მე, წელიწადში 1.000 დოლარს ვიხდი. ერთი კამერა არის და ისიც წყობიდან გამოსული. წელს გოგი დოლიძესა და მაკა ხარებავასთან ერთად თურქეთში გვაქვს წასვლა დაგეგმილი, სადაც ჩაფიქრებულია პირველი გრძელმეტრაჟიანი ქართულ-თურქული ფილმის გადაღება.

**— ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რას აპირებ?**

— ალბათ ოთხი-ხუთი წელი კიდევ ვიქნები საქართველოში. საქართველოში ჯერჯერობით ძალიან კარგად ვარ. ძალიან მინდა გორის ნახვა, ჩემი ცოლი იქიდან არის. კიდევ ერთი, დასასვენებლად არც ანტალიაში, არც სადმე სხვაგან დავდივარ, არამედ ქობულეთში. საბოლოოდ, მაინც ჩემს სამშობლოში მინდა დაბრუნება. ეს შეიძლება ხუთი წლის შემდეგ მოხდეს. მაინც იქ არის ჩემი ოჯახი. ■

# საკვერცხის კისტა

**_რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი_**

**საკვერცხის კისტა საკვერცხეში წარმოქმნილ ღრუში სითხის დაგროვების შედეგად ვითარდება. კისტები დიდდება და უმეტესად, ქირურგიულ ჩარევას საჭიროებს. მათი წარმოქმნა ჰორმონული დარღვევებით და მენჯის ღრუს ორგანოების ანთებითი ცვლილებებითაა განპირობებული. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია გენეტიკური ფაქტორი. არჩევენ საკვერცხის სხვადასხვა სახის კისტას. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება ადგილმდებარეობით, შემადგენლობით, გამომწვევი მიზეზებით და სხვა.**

ყვითელი სხეულის კისტა შედარებით იშვიათია. ყვითელი სხეული წარმოადგენს საკვერცხის შემადგენელ ნაწილს, რომელიც აკონტროლებს ორსულობის მიმდინარეობასა და მენსტრუალურ ციკლს. კისტა ყვითელ სხეულში სხვადასხვა მიზეზით — სისხლისა და ლიმფის მიმოქცევის დარღვევის გამო წარმოიქმნება.



***ყვითელი სხეულის*** კისტა ხშირად თავს არ იჩენს რაიმე განსაკუთრებული სიმპტომით. იშვიათად ქალს აღენიშნება ტკივილი მუცლის ქვედა ნაწილში. ამ ტიპის კისტა 20-45 წლის ასაკში ვითარდება. მისი სიდიდე 3-დან 8 სმ-მდეა. ეს კისტა ფუნქციური ხასიათისაა და შეიძლება, თვითონვე განიკურნოს.

***ფოლიკულური კისტა*** ყველაზე ხშირია და ქალებს ძირითადად 21-40 წლის ასაკში უვითარდებათ. მიმდინარეობს უსიმპტომოდ. შეიძლება, ქალს აწუხებდეს ტკივილი მუცლის ქვედა არეში, სიმძიმის შეგრძნება, მენსტრუალური ციკლის მოშლილობა, შორს წასულ შემთხვევაში შესაძლოა, განვითარდეს უნაყოფობა. ფოლიკულური კისტის მინიმალური ზომა 1,5 სმ-ია, მაქსიმალური — 10 სმ. იგი ყოველთვის ერთკამერიანია. ამ სახის კისტა შესაძლებელია, ფუნქციური ხასიათისა იყოს, ანუ ჰორმონული დარღვევების, საკვერცხეების „მსუბუქი“ პათოლოგიის შედეგად, წარმოიშვას და ძირითადი დაავადების აღკვეთის შედეგად, უკვალოდ გაქრეს. თუ ფოლიკულური კისტა სამი თვის შემდეგ არ გაქრება, საჭიროა ოპერაციული ჩარევა.

***დერმოიდული კისტა*** უპირატესად 20-40 წლის ასაკში ვითარდება. იგი ხშირად ცალმხრივია, იშვათად — ორმხრივი. შედგება ცხიმოვანი სითხის, გამკვრივებული უჯრედების და ჩანასახოვანი ელემენტებისაგან. დერმოიდული კისტა აუცილებლად უნდა ამოიკვეთოს.

***საკვერცხის კისტომები*** საკვერცხის კეთილთვისებიან სიმსივნეებს განეკუთვნება. კისტომურ წარმონაქმნს აქვს ფეხი, რომლის სიგრძე სხვადასხვაგვარია და რაც უფრო გრძელია, მით მეტია შემოგრეხის და კისტის გასკდომის საშიშროება. კისტომებს ხშირად თან ახლავს ტკივილის შეგრძნება მუცლის არეში, წონაში დაკლება. კისტა საკვერცხისგან იკვებება — მარაგდება სისხლით. შემოგრეხისას ვითარდება მწვავე ხასიათის ძლიერი, უეცარი ტკივილი მუცლის ქვედა ნაწილში, გულისრევის შეგრძნება, პირღებინება, ქვეითდება არტერიული წნევა, პულსი გახშირებულია, კანი ფერმკრთალია, მუცლის კუნთები დაჭიმულია; მატულობს ტემპერატურა. ასეთ შემთხვევაში რაც შეიძლება სწრაფად უნდა ამოიკვეთოს კისტა. სპეციალისტის მოსვლამდე დაუშვებელია ტკივილგამაყუჩებლების მიცემა, ოყნის გაკეთება, სათბურას ან ყინულის დადება მუცელზე.

***დიაგნოსტიკა***. კისტის აღმოჩენა ულტრაბგერითი გამოკვლევით საკმაოდ იოლია, ხოლო მისი შემადგენლობის შესასწავლად მიმართავენ ჰისტოლოგიურ კვლევას.

***მკურნალობა***. ფუნქციური კისტები თუ თავისთავად არ გაიწოვა 3 თვის განმავლობაში, საჭიროა დაზიანებული საკვერცხის ამოკვეთა ლაპარასკოპიული მეთოდით. კონსერვატიული მკურნალობისთვის ჰორმონულ საშუალებებს და ფიზიოთერაპიას იყენებენ. ■


გაქვთ სურვილი გამოიყურებოდეთ ლამაზად?!

გთავაზობთ!!!



წონაში დაკლებას
კომფორტული მეთოდით
5-დან 12კგ.-მდე
ყოველგვარი ვარჯიშისა
და შიმშილის გარეშე.

თქვენ მოგემსახურებათ
კვალიფიციური სპეციალისტი.

ტელ.: 893-20-33-76
მდივანი: 76-66-04
ბ-ნი. კობა




| მექსიკის დედაქალაქი | ქალაქი, სადაც მოკლეს ჯონ კენედი | ქალაქის ელექტროტრანსპორტი | „ჟიგულის“ ერთ-ერთი მოდელი | მიმართვა ინგლისელი ქალისადმი | „მეგობრობა გზად და (...)“ | ყვა-ვილი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ელექტრული განმუხტვა ღრუბელსა და მიწას შორის | ტყის სანიტარი ფრინველი | ხილის გაზიანი უალკოჰოლო სასმელი | რუმინული ფული | ღამის ფრინველი | ალიყური | „(...), დამალევინე, ეს ღვინო ოხერ-ტიალი“ | სამეგრელოს მთავართა გვა |
|---|---|---|---|---|---|---|---|

# რატომ ირღვევა კალციუმის ცვლა

**ფარისებრახლო ჯირკვალთა არსებობასა და მათ მნიშვნელობაზე ბევრს მწირი წარმოდგენა აქვს. არადა, მათი დისფუნქციით გამოწვეული პათოლოგიები არცთუ ისე იშვიათია. ისინი ადვილად ემორჩილება მკურნალობას, მთავარია, დროულად დავსვათ დიაგნოზი.**

ფარისებრახლო ჯირკვლებს, რომლებიც ენდოკრინულ სისტემას მიეკუთვნება, ორგანიზმში კალციუმის ცვლის რეგულირება აკისრია. ადამიანს 2 წყვილი ფარისებრახლო ჯირკვალი აქვს. მათი დიამეტრი არ აღემატება 5 მილიმეტრს, მაგრამ მიუხედავად სიმცირისა, ძალზე დიდი როლი აკისრია ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისთვის.

კალციუმის შემცველობაზეა დამოკიდებული ნერვული იმპულსის გატარება, კუნთების შეკუმშვა, სისხლის შედედება, რაც მთავარია, კალციუმის შემცველობაზეა დამოკიდებული ძვლების სტრუქტურა და სიმკვრივე. კალციუმს შეიცავს უჯრედებიც და უჯრედშორისი სითხეც. ზრდასრული ადამიანის ძვლოვან სისტემაში 1 კგ-მდე კალციუმია. ძვლებში, ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე, მიმდინარეობს ძველი ქსოვილის დაშლა და ახლის წარმოქმნა – დემინერალიზაცია და რემინერალიზაცია. სწორედ ამ პროცესზე ახდენს გავლენას ფარისებრახლო ჯირკვლები.

## პარათირეოიდული ჰორმონი

ფარისებრახლო ჯირკვლები გამოიმუშავებს ე.წ. პარათირეოიდულ ჰორმონს, რომლის მეშვეობითაც ორგანიზმში კალციუმის ცვლის რეგულირება ხდება. როცა პარათირეოიდული ჰორმონის სეკრეცია დაქვეითებულია, ვითარდება კალციუმის დეფიციტი – ჰიპოკალციემია, ხოლო ჰორმონის გაძლიერებული წარმოქმნისას – ჰიპერკალციემია, კალციუმის სიჭარბე.

ამ ჰორმონებს შემდეგი ფუნქციები აკისრია:

- ზრდის თირკმლებიდან კალციუმის შეწოვას;
- ამცირებს ფოსფატის შეწოვას (ფოსფატი კალციუმთან შეწყობილად მოქმედებს. მისი დაქვეითება კი კალციუმის მომატებას იწვევს);
- ახდენს ძვლის წარმომქმნელი უჯრედების სტიმულირებას;
- ხელს უწყობს ნაწლავებდან კალციუმის შეწოვას.

პარათჰორმონი კალციუმის რეგულაციას D ვიტამინთან ერთად ახდენს. D ვიტამინს, ისევე, როგორც კალციუმს, ადამიანი საკვებთან ერთად იღებს, თუმცა ორგანიზმს, ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებისას, თავადაც შეუძლია ამ ნივთიერების წარმოქმნა.

კალციუმის მთავარი წყარო, რძის პროდუქტებია. გარდა ამისა, იგი ბევრია ბოსტნეულში, მწვანილში, წვენებში. კალციუმი განსაკუთრებით სჭირდებათ 45 წელს გადაცილებულ ქალებს, რადგან ამ ასაკში დიდია ოსტეოპოროზის საშიშროება.

## ოსტეოპოროზი

ოსტეოპოროზი ძვლოვანი მასის შემცირებით მიმდინარე დაავადებაა. ამ დაავადების მქონე ადამიანისთვის მთავარ საფრთხეს ძვლის მოტეხილობა წარმოადგენს. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მართებულ კვებას, D ვიტამინისა და კალციუმის საკმაო რაოდენობით მიღებას. კალციუმის „ძვლებში ჩალაგებას“ ხელს უწყობს ზომიერი ფიზიკური დატვირთვაც.

**რისკჯგუფს მიეკუთვნებიან:**

- პაციენტები, რომლებიც გლუკოკორტიკოიდებით (ჰორმონებით) მკურნალობენ რაიმე ქრონიკულ დაავადებას (რევმატიზმს, სისტემურ პათოლოგიებს, ასთმას). მათთვის აუცილებელია სისხლში კალციუმის დონის განსაზღვრა და პროფილაქტიკისთვის ამ ნივთიერების მიღება.
- ქალები კლიმაქსის შემდგომ პერიოდში. 45 წლის შემდეგ, ქალებში აქტიურად მიმდინარეობს ძვლებიდან კალციუმის გამოლექვის პროცესი. წელის ტკივილი, ტკივილი ძვლებში, მხრებში მოხრა, სიმაღლის მოკლებაც კი, ძვლის სტრუქტურის ცვლილებებითაა გამოწვეული.

ოსტეოპოროზის გამოვლენა ძვლის ექოსკოპიური გამოკვლევითაა შესაძლებელი. პროფილაქტიკისთვის კარგია კვერცხის ნაჭუჭის მიღება, რადგან ის მდიდარია კალციუმით. დაფქულ ნაჭუჭს დაასხით ლიმონის წვენი და ისე მიირთვით.

## რას იწვევს პარათჰორმონის ჭარბი სეკრეცია

***ზოგადი ნიშნები:*** სისუსტე, უმადობა, გულისრევის, ღებინების, წყურვილის შეგრძნება, გახშირებული შარდვა, შეკრულობა, სიგამხდრე, ტკივილი ძვლებში ან კრუნჩხვები.

***თირკმლებში*** – თირკმელკენჭოვანი დაავადება, რომლის რეციდივი საკმაოდ ხშირია.

***კუჭ-ნაწლავში*** – კუჭის წყლული, პანკრეატიტი, ქოლეცისტიტი. ავადმყოფთა 10%-ს კუჭის წყლული იმის გამო ემართება, რომ ჰიპერკალციუმის ფონზე მომატებულია კუჭის წვენის სეკრეცია. ასეთ დროს, რძის პროდუქტების დიეტა დაუშვებელია.

***ნერვული სისტემის*** მხრივ კი, ვითარდება ფსიქონევროლოგიური დარღვევები: დეპრესია, მეხსიერების გაუარესება, ზოგჯერ კომური მდგომარეობა.

***სისხლში*** მომატებულია კალციუმის დონე.

## პარათჰორმონის დაქვეითებული სეკრეცია

პარათჰორმონის დაქვეითებულ სეკრეციას სისხლში კალციუმის დონის კლება (ჰიპოკალციემია) მოჰყვება. ეს პათოლოგია შედარებით იშვიათია.

ჰიპოკალციემია ნერვულ და კუნთოვან აგზნებადობას იწვევს. კლინიკურად იგი ტეტანიის შეტევებით (კრუნჩხვით) მიმდინარეობს.

თუ კრუნჩხვით პროცესში სისხლძარღვებიც ჩაერთო, ვითარდება სტენოკარდია. შაკიკი, რეინოს სინდრომი. აღინიშნება ფრჩხილების და კბილების ტროფიკული ცვლილებები, ზოგჯერ – თმის ცვენაც.

მართებული მკურნალობის შემთხვევაში, შესაძლებელია კარგი შედეგების მიღწევა. ■

| ს. სიგალის კინოგმირი | მაძღარს (...) არ ესმის | მსახიობი (...) ჰეჩი | ხე, აქვს ეკლები და ყვავილებს ამწნილებენ | იაპონური თეატრი | ზურგიანი რბილი ავეჯი | ტროპიკული ხვიარა მცენარე | სამშენებლო მასალა |
|---|---|---|---|---|---|---|---|

| ბია | იგივეა, რაც ნაცია | მდინარე პარიზში | (...) ბჭობდა, ღმერთი იცინოდა | დადებითად დამუხტული ელექტროდი | საკონდიტრო სანელებელი | სოსოიას რუსი ნ. დუმბაძის რომანის მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|




# იაპონური ფილოსოფია: მშვენიერება მცირე ზომაში

ლევან ებრალიძე

მცენარეების ყოველი მოყვარული ცდილობს, თავისი კოლექციის მწვანე წევრები რაც შეიძლება დიდი გაზარდოს. საყვარელი ყვავილის ზომაში მატება ყველას უხარია. თუმცა, არიან ისეთი მებაღეები, რომლებიც პირიქით, მიისწრაფვიან, რომ მათი მცენარეები, რაც შეიძლება მცირე ზომისანი იყვნენ და ყოველგვარი საშუალებით ხელს უშლიან ზრდას.

წარმოიდგინეთ თქვენი ოთახის ფანჯრის რაფაზე თავმომწონე ჭადარი, წაბლი, ნეკერჩხალი... თითქოს ველურ ბუნებაში ნანახი გიგანტები გალილიპუტებულან და ერთ მუჭა მიწაში გადაუწყვეტიათ ცხოვრება. ასაკით თავის დიდ ძმებსაც არ ჩამოუვარდებიან, მაგრამ იერი განსხვავებული და იდუმალი აქვთ. წარმოგიდგენთ ოთახის მცენარეთაგან განსაკუთრებით რთულად გასაზრდელებს. საქართველოში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი პიროვნება, ვისაც ჰობად ჯუჯა ხეების გამოზრდა აურჩევია. იაპონიაში ასეთ მცენარეებს „ბონსაის" (ხე ლანგარზე) უწოდებენ. თუმცა ჩვენში ზოგიერთი არასწორად მოიხსენიებს — „ბანზაი", ეს სიტყვა სინამდვილეში იაპონურად გამარჯვების შეძახილია. საოცარი „ბონსაი" ერთი ნახვით ხიბლავს მცენარეების ნებისმიერ მოყვარულს. პატარა, კოხტა ქოთნებში შეგიძლიათ გაახაროთ მუხა, ნაძვი, ბროწეული, ფიჭვი და ასე შემდეგ. ხის ჯუჯად გადაქცევა დიდ დროს და ყურადღებას მოითხოვს. თითოეული მინიატურული ხე წარმატებით დასრულებულ ექსპონატად შეიძლება ჩაითვალოს. აღმოსავლეთ მზის ქვეყანაში „ბონსაის" გამოყვანა უძველესი ტრადიციაა. ჯუჯები საუკუნეების მანძილზე ცოცხლობენ და თაობიდან თაობას გადაეცემიან.

ჯუჯა ხეებს გარეგნული იერის მიხედვით სამ ტიპად ყოფენ: სწორად მდგომი — „ჰოკანი", დაგრეხილი — „ბანკანი", ქარიშხლის მიერ გადახრილის იმიტაცია — „ჰანკანი". ასეთ ფორმებს თავიდანვე ხელოვნურად ქმნიან. მავთულების და თოკების მეშვეობით ტოტებს სასურველი მიმართულებით ღუნავენ.

ჩვეულებრივ, „ბონსაი" მიიღება ძველი, უკვე ნაყვავილები მცენარიდან შემოდგომაზე აჭრილი, საშუალოდ 3 სანტიმეტრის სისქის კალმის დაფესვიანებით. აგრეთვე კალმის ფესვები უნდა მოიღუნოს და თიხანარევი მიწით სავსე, ვიწრო ქოთანში ჩაირგოს. კარგად დატკეპნილ მიწას იშვიათად რწყავენ. ზედაპირი ხავსით იფარება, ეს მეტ სილამაზეს მოგანიჭებთ და მორწყვისას მიწის გადაყრასაც აგაცილებთ თავიდან. მავთულების კარკასით







ფორმამიცემული ტოტები ძირისკენ უნდა მიმართოთ. ამის შემდეგ გამოსაზამთრებლად სამხრეთის ფანჯარაზე ათავსებენ. გაზაფხულსა და ზაფხულში ამოყრილი ყლორტები უნდა მოიჭრას. ასევე უნდა შემოკლდეს მთავარი ფესვები. ამგვარად შესაძლებელია კიდევ უფრო პატარა ქოთანში გადაირგოს. უჩვეულო სივიწროვეში სიცოცხლის უნარიანობის გასაძლიერებლად ზოგჯერ საჭიროა სასუქის მიწოდებაც. მრავალი წლის მანძილზე „ბონსაის" შთამბეჭდავი ფორმები უყალიბდება.

იაპონიაში ჯუჯა ხეების გაზრდის სხვა, უცნაური ხერხიც არსებობს. პემზის ნამტვრევზე, რომელსაც კლდის სახეს აძლევენ, აშენებენ მინიატურულ ფიჭვებს, იელის ბუჩქებს და ასე შემდეგ. კენჭებითა და ხავსით გაფორმებული პემზა პატარა კუნძულის სახეს იღებს. ამ სავანეს დგამენ წყლიან ლანგარში, სადაც პემზის ლოდზე გაშენებული მცენარეულობა ლამაზად ირეკლება. წყალი პემზის ფორებში ჟონავს, რაც პატარა კუნძულის მკვიდრთა კვების წყაროა. მცენარეები ასე ათეული წლობით ძლებენ.

ზოგი „ბონსაი", ისევე, როგორც ჩვეულებრივი ხეები, ყვავდება და ნაყოფსაც გამოიღებს, ოღონდ, გაცილებით პატარას.

თითოეული ჯუჯა ხე ინდივიდუალურ მოვლას საჭიროებს. ისინი ძალიან მგრძნობიარენი არიან. თუ პატრონის სიყვარული მოაკლდათ, კვდებიან. ამიტომ მათი გახარება შრომატევადი საქმეა. სამაგიეროდ, გულშემატკივრებს „ბონსაი" სიმშვიდეს ჰგვრის და საოცარი სილამაზით ატკბობს. მართლაც, ჯუჯების გარემოცვაში თავი ზღაპრულ სამყაროში გეგონებათ.

იაპონელები „ბონსაის" ფილოსოფიურადაც უდგებიან. მათი თქმით, მინიატურული ხეები გვანიჭებენ უნარს დავინახოთ მშვენიერება მცირე ზომაში.

ჯუჯა ხის შემყურე იფიქრებ — ამას ყველაფერში გამორჩეული იაპონელების გარდა ვერავინ მოიგონებდაო. სინამდვილეში ჯუჯები ბუნებაშიც გვხვდებიან. კლდოვან, ქარიან, მშრალ ადგილებში აღმოცენებული ხე გარემოს ცუდი პირობების გამო ჯუჯად იქცევა. მცირე ნიადაგის, უწყლობისა და მშრალი ქარებისგან თავდასაცავად, ხე იძულებული ხდება, არსებობისათვის იბრძოლოს და ასე ვთქვათ, ყოველგვარ ხერხს მიმართოს. უვითარდება განსაკუთრებით მტკიცე, გამძლე ტოტები, რომლებიც კლდეზე ქარის მიმართულებით განირთხმებიან. საკვების სიმცირის გამო კი პატარები იზრდებიან.

ერთი სიტყვით, ოთახის მცენარეთა ჭეშმარიტ მოყვარულებს ჯუჯა ხეების სახით საუკეთესო მეგობრების გაჩენა შეუძლიათ. ■



# როგორ უნდა შეიქმნას მართლმადიდებლური ოჯახი?

**ოჯახი არის ცოლ-ქმარი, რომელიც შემდეგ „შვილთა სხმით“ მრავლდება. ოჯახი აუცილებელია ადამიანისთვის, რათა იქ პოვოს სიმშვიდე და ბედნიერება. მაგრამ იმისათვის, რომ ოჯახურ სიმშვიდეს და ბედნიერებას მივაღწიოთ, დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახური ცხოვრების სწორად წარმართვას, რაც აუცილებლად ქრისტიანულ მცნებებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს...**

*შორენა მერკვილაძე*

**როგორ უნდა შეიქმნას ოჯახი?**

ოჯახი აუცილებლად უნდა შეიქმნას ჯვარდაწერილ მეუღლეთა მიერ, რადგან ქორწინების საიდუმლოს აღსრულების დროს, მომავალ მეუღლეებზე გადმოედინება სულიწმიდის მადლი, რომლის ძალითაც მათი მომავალი საოჯახო ცხოვრება იკურთხება და განიწმინდება, ამასთანავე ეძლევათ ძალა, იცხოვრონ ქრისტეს მცნებების დაცვით. ქორწინების საიდუმლოს აღსრულების დროს მიღებული ღვთიური მადლი, ქალისა და მამაკაცის კავშირს ახალ სულიერ ერთობად — ქრისტიანულ ოჯახად აერთიანებს: „ჯვრისწერის საიდუმლოს საშუალებით ცოლ-ქმარი ეკლესიისაგან, ღვთისგან კურთხევას იღებს ოჯახის შესაქმნელად, არა ჩვეულებრივი ოჯახისა, თუნდაც ძალიან მხურვალე, მაგრამ მაინც ადამიანური სიყვარულით შემტკიცებულის, არამედ ქრისტიანული ოჯახისა. ისინი განსაკუთრებულ მადლს იღებენ სულიერი ოჯახის აღსაშენებლად, რომელშიც ქმრისა და ცოლის ურთიერთობას, მოციქული პავლე ადარებს ურთიერთობას ქრისტესა და ეკლესიას შორის. ჯვრისწერის საიდუმლოს საშუალებით, ერთი შეხედვით უბრალო და ადამიანური წარმონაქმნი — ოჯახი, იქცევა მცირე ეკლესიად“ („როგორ მოვიპოვოთ ოჯახური ბედნიერება“).

**რა არის ქრისტიანული ქორწინების უმთავრესი მიზანი?**

ქრისტიანული ქორწინების უმთავრესი მიზანი არის შვილების გაჩენა, ადამიანთა მოდგმის გასამრავლებლად და მათი ქრისტიანული აღზრდა. ამის შესახებ მინიშნებულია ქორწინების საიდუმლოს აღსრულების დროსაც: „ქორწინების საიდუმლოს აღსრულებისას, როდესაც იკურთხება მომავალ მეუღლეთა ცოლქმრული კავშირი — სახედ ქრისტეს სულიერი კავშირისა ეკლესიასთან, გამოითხოვება მადლი მათი წმინდა ერთსულოვნებისათვის, ბავშვების კურთხეული შობისა და ქრისტიანული აღზრდის საქმეში“ — განმარტავს წმინდა ფილარეტი, მიტროპოლიტი მოსკოვისა. გარდა ამისა, ქორწინების კანონი დადგენილია სიძვის თავიდან ასაცილებლად — ე.ი. სიწმინდის დასაცავად: „ქორწინება არის დაწესებული შვილების გასაჩენად და იმიტომაც, რომ სხეულის ბუნებრივი მოთხოვნილებები დაიოკო. ამაზე მიუთითებს პავლე მოციქულიც: „ხოლო სიძვისათვის კაცად-კაცსა თავისი ცოლი ესვინ“ (I კორ. 7, 2)... თავდაპირველად ქორწინების უმთავრესი მიზანი, გამრავლება იყო, მაგრამ მოგვიანებით, როდესაც მთელი დედამიწა დასახლდა ადამიანებით, მისი ძირითადი მისია ავხორცობის თავიდან აცილებაც გახდა, რადგან თუ ადამიანი უქორწინებლად მიეცემა ვნებას, სულს დაიღუპავს, ქორწინება კი გაათავისუფლებს მას სიბილწისგან და ძალას მისცემს შეინარჩუნოს სიწმინდე“ — განმარტავს წმინდა იოანე ოქროპირი.

**რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ოჯახის შექმნამდე მომავალმა მეუღლეებმა კარგად გაიცნონ ერთმანეთი და მომავალი მეუღლის რომელ თვისებებზე უნდა გავამახვილოთ განსაკუთრებულად ყურადღება?**

იმისათვის, რომ ოჯახის შექმნას თან ახლდეს ბედნიერება და ჩვენი ქორწინება მართალი იყოს ღვთისა და ეკლესიის წინაშე, დაოჯახებამდე ქალმა და მამაკაცმა კარგად უნდა გაიცნონ ერთმანეთი, რათა გაარკვიონ, შეძლებენ თუ არა ერთად ცხოვრებას. სასურველია, რჩევა ვკითხოთ სულიერ მოძღვარსაც და მისი რჩევამითითებების გათვალისწინებით და კურთხევით გადავწყვიტოთ ოჯახის შექმნა. დაქორწინებისას გამოუსწორებელი შეცდომა რომ არ დავუშვათ, ოჯახი არ უნდა შევქმნათ ღვთისმგმობ და ღვთისთვის არასათნო საქმეებით მცხოვრებ ადამიანთან. ასევე არ უნდა შევქმნათ ოჯახი ანგარებით, ხორციელი სილამაზისა და ვნებების კარნახით: „ნუ ეძებ ფულს, ბრწყინვალებას, წარმომავლობას, დიდგვაროვნებას, ეს ყოველი ზედმეტია, არამედ ეძიე სულის სათნოება, ჭეშმარიტი სიბრძნე და შიში ღვთისა“ — ასე მოძღვრავს ოჯახის შექმნის მსურველებს წმინდა იოანე ოქროპირი.

**როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახი უკვე შექმნილია და მეუღლეთაგან ერთერთი ურწმუნოა?**

კორინთელთა მიმართ მიწერილ პირველ ეპისტოლეში პავლე მოციქული მიუთითებს, რომ ოჯახი არ უნდა დაინგრეს, თუკი ურწმუნო მეუღლე თანახმაა, იცხოვროს მორწმუნესთან და აღნიშნავს, რომ მორწმუნე ცოლს უსიტყვოდ, თავისი ცხოვრების წესით შეუძლია ურწმუნო ქმრის უფალთან მიყვანა: „რამეთუ განიწმინდების ქმარი იგი ურწმუნო, ცოლისაგან მისგან მორწმუნისა, და განიწმინდების ცოლი იგი ურწმუნოი ქმრისა მისა მორწმუნისა“ (I კორ. 7, 14), თუკი ცოლსა და ქმარს გულწრფელი გრძნობა აკავშირებთ ერთმანეთთან, ასეთ შემთხვევაში ურწმუნო მეუღლე დროთა განმავლობაში მიხვდება, რომ სიმართლე მორწმუნის მხარესაა, რადგან რწმენა მთავარია ადამიანის ცხოვრებაში, რომლის ძალითაც ყოველგვარი განსაცდელი დაიძლევა. მაგრამ ვიდრე მორწმუნე მეუღლე, ურწმუნო მეორე ნახევარს ღვთის რწმენის აუცილებლობას შეაცნობინებს, მართებს მოთმინება, მორჩილება, დიდსულოვნება. ამასთანავე გულწრფელი ლოცვა უფლის წინაშე, რათა ღვთის შეწეობით გაუნათდეს გონება ურწმუნო მეუღლეს და შეიცნოს ჭეშმარიტება.

**როგორია მართლმადიდებლური ოჯახი იერარქიული თვალსაზრისით — ანუ ვინ უნდა უხელმძღვანელოს ოჯახს?**

ეკლესიური სწავლებით, ოჯახი მცირე ეკლესიაა, ამიტომ მასში, როგორც ეკლესიაში, უნდა არსებობდეს ურთიერთობათა იერარქია. თავი ეკლესიისა არის ქრისტე, ამიტომ მართლმადიდებლური ოჯახის თავი უნდა იყოს მამა, რომელსაც ისე უნდა ემორჩილებოდნენ ოჯახის წევრები, როგორც ეკლესია ემორჩილება ქრისტეს: „ეკლესია მიიჩნევს, რომ მამა — ოჯახის თავია. მამა ოჯახის თავია, მიუხედავად იმისა, ვინ იღებს მეტ ფულს და ვინ არის ქონების მფლობელი. ქორწინება სულიერი ცნებაა და არა ეკონომიკური. მამა იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას და პასუხს აგებს მასზე“ („როგორ მოვიპოვოთ ოჯახური ბედნიერება“). ამრიგად, მამას უნდა ემორჩილებოდნენ და პატივს სცემდნენ ცოლი და შვილები. შვილები უნდა ემორჩილებოდნენ აგრეთვე დედასაც. მაგრამ ოჯახის ყველა წევრი უნდა დაემორჩილოს სულიერ მამას, რადგან უფალი სწორედ სულიერი მამის მეშვეობით გვიცხადებს თავის ნებას და მისი საშუალებით გვაძლევს სწორ რჩევას ამა თუ იმ ყოფითი თუ სულიერი საკითხის გადასაჭრელად.

ოჯახის წევრები მხოლოდ იმ შემთხვევაში არ არიან ვალდებულნი, დაემორჩილონ ოჯახის თავს, თუკი იგი მათგან უფლის საწინააღმდეგო საქმის აღსრულებას ითხოვს.

*P.S. რა ვალდებულებები აქვს მართლმადიდებელ ცოლ-ქმარს ერთმანეთის მიმართ? როგორ უნდა წარმართონ ცხოვრება მართლმადიდებლური ოჯახის წევრებმა, რათა ოჯახი იქცეს სახლის ეკლესიად? რომელი წმინდანები ითვლებიან ოჯახის მფარველ წმინდანებად? — ამ საკითხებზე „გზის“ მომდევნო ნომერში გესაუბრებით.* ■


სპარტაკ ბურდულაძე

*„გზის“ წინა ნომერში შემოგთავაზეთ ინტერვიუ ქურდყოფილთან, სპარტაკ ბურდულაძესთან, სადაც მოთხრობილი იყო იმის შესახებ, თუ როგორ გახდა ის ქურდი 15 წლის ასაკში, რა პრობლემას წააწყდა იმის გამო, რომ ნარკოტიკს მიეძალა, რისთვის დააპატიმრეს პირველად და როგორ გადაურჩა არასრულწლოვანთა კოლონიაში დამნაშავეთა რისხვას...*

*როგორღაც ისე დაემთხვა, რომ სწორედ „გზის“ წინა ნომრის გამოსვლის შემდეგ, რუსეთის ტელეკომპანია HTB-ზე აჩვენეს რუსი კრიმინალის, კანონიერი ქურდის იაპონჩიკის ინტერვიუ. ასეთი რამ პირველად მოხდა... სპარტაკს ვთხოვე, რედაქციაში მოსულიყო და ორიოდე სიტყვით მასზე ესაუბრა..., მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის იაპონჩიკს არ იცნობდა. „ის „სოლნცევოს“ ჯგუფს ხელმძღვანელობდა. მაგრამ ერთმანეთს არასოდეს შევხვედრივართ. როგორღაც, ისე ხდებოდა, რომ როცა მე ვიყავი დაჭერილი, ის გარეთ იყო და — პირიქით... კანონიერი ქურდი წესით, ინტერვიუს არ უნდა იძლეოდეს. რატომ გადაწყვიტა იაპონჩიკმა ტელევიზიით გამოსვლა, არ ვიცი. მე შევხვედრივარ ცნობილ რუს ქურდს ბორია ბრიანსკის, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული რუსი ავტორიტეტი გახლდათ...“*

*ბორია ბრიანსკის შესახებ „გზის“ მომდევნო ნომერში მოგითხრობთ. ახლა კი, სპარტაკ ბურდულაძესთან ჩემი საუბრის მეორე ნაწილს გთავაზობთ.*

# ქურდყოფილის მოგონებები

*მარი ჯაფარიძე*

## პატიმარი 75 კაპიკი ღირდა...

— უკვე გითხარით, რომ პირველი „სროკი“ 16 წლის ასაკში ქურდობისთვის მომისაჯეს და გალის რაიონში, სოფელ სიდაში მდებარე ზონაში გადამიყვანეს. იქ მყოფი 14 ქურდიდან, ბუნებრივია, ყველაზე უმცროსი მე ვიყავი. სიდაში სასჯელს იხდიდა ორი კაცი, რომლებიც დაპატიმრებამდე მტრები იყვნენ და ერთმანეთს ზონაში შეხვდნენ. გადაწყვიტეს, კამათელი — ე.წ. ზარი ეთამაშათ. ერთ-ერთმა, რაც რამ ებადა, ყველაფერი წააგო, მაგრამ მოწინააღმდეგეს არ ეშვებოდა — მეთამაშე და მეთამაშეო... ის ეუბნებოდა — რაღაზე გეთამაშო? უკვე ყველაფერი წააგე, ჯერ წაგებული ჩამაბარე და მერე გეთამაშებიო. წაგებულმა კიდევ — „კონში“ საკუთარ თავს, საკუთარ სიცოცხლეს ჩავდებო... შეთანხმდნენ და ეს ხელიც წააგო. ბუნებრივია, მოგებული თავის მისაღებს ითხოვდა. წაგებული საგონებელში ჩავარდა. შემდეგ ვიღაცას უთქვამს — სპარტაკასთან მიდი, მაგ საქმეს ის გადაწყვეტს, სხვას ნურავის ჩარევო. ისიც ადგა და ჩემთან მოვიდა. ახლა მე ჩავვარდი საგონებელში. როგორ გინდა, ასეთი საკითხი მოაგვარო?.. თან გამიკვირდა — რაღა მაინცდამაინც ჩემთან მოვიდა-მეთქი?.. ასეთ შემთხვევაში, სირცხვილად ითვლება, სხვა ქურდთან რომ გაგზავნო ან ვინმეს რჩევა ჰკითხო. მთელი ზონა სულგანაბული ადევნებდა თვალყურს ამ ამბავს და თავის შერცხვენა არ შეიძლებოდა. მოვაყვანინე მოგებული. ვუთხარი — „გაურაშოტე“-მეთქი — არა, მისაღები უნდა მივიღოო... ავდექი და ორივე მაგრად ვაცემინე. თან, მოგებულს ვუთხარი — შენ იმიტომ მოგხვდა, რომ ამის უტვინო თავზე ითამაშე; კაცი რო თავს წააგებს, ის თავი რაში გამოგადგება-მეთქი?.. წაგებულს კი იმიტომ მოხვდა, რომ ბაყბაყდევი ხომ არ იყო, 9 თავი ჰბმოდა?! ერთი ება და ისიც ზარში წააგო. მიუხედავად ამისა, მოგებული მაინც იძახდა, არ „გავარასხოდებ“, თავანი ჩამაბაროსო. ორივეს მოხვდა კიდევ ერთხელ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ერთ საღამოს, დავიბარე მოგებული, ერთ-ერთი პატიმარი უფროსთან გავგზავნე და ციხის „უსტავი“ ჩამოვატანინე, სადაც შავით თეთრზე ეწერა, რომ პატიმრის სიკვდილის შემდეგ, მთავრობამ მის ოჯახს უნდა გადაუხადოს 75 კაპიკი — ასე იყო შეფასებული დამნაშავე. მოგებულს მივუბრუნდი და ვუთხარი — ეს პატიმარი მთლიანად ღირს 75 კაპიკი, უტვინო თავი და ხელ-ფეხი რომ გამოვაკლოთ, დარჩება 40 კაპიკი, აქედან 20 კაპიკი, წესის მიხედვით, „ობშიაკში“ უნდა გადაიხადო, დარჩა სულ 20 კაპიკი, აჰა, შენ ეს 20 კაპიკი და თავისუფალი ხარ-მეთქი... ამდგარა და ნაცნობი ქურდებისთვის მიუწერია ეს ამბავი. სოხუმიდან ჩამოვიდნენ გოგია გოგოლაძე და იური ლაკობა, ცნობილი ქურდები, ვისაც მოგებულმა მისწერა, მაგრამ ისინი მის დასახმარებლად კი არა, ჩემს სანახავად ჩამოსულან. მითხრეს — გაოცებული ვართ, ბავშვმა როგორ მოახერხე, ასეთი საქმის გადაწყვეტა; რომ გათავისუფლდები, სოხუმში ჩამოდი, ბინას „ჩაგახუტებთ“, და იქ დარჩი საცხოვრებლადო... მაგრამ ჩემი კახეთი მე ყველაფერს მერჩივნა.

## გაქცევა სასამართლოდან

— გავიდა წლები... მე თავისუფალი ვიყავი, მაგრამ სასამართლომ დამინიშნა „ნადზორი“. ეს იმას ნიშნავდა, რომ საღამოს 8 საათის შემდეგ, აუცილებლად სახლში უნდა ვყოფილიყავი. მილიციელებმა შეიტყვეს, რომ თავანი მქონდა ჩასაბარებელი. გადაწყვიტეს, დავეჭირე, რომ ფული ვერ მიმეტანა და ქურდულ სამყაროში ჩემი ადგილი აღარ ყოფილიყო. მომდეს შარი, თითქოს შემამოწმეს და სახლში არ ვიყავი. ამის გამო დამიჭირეს. წესი ასეთია, ორჯერ თუ გამოგიჭირეს „ნადზორის“ წესების დარღვევაში, ჯარიმა უნდა გადაიხადო, მესამედ — გაგასამართლებენ. კანონი ასეთ შემთხვევაში 2 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ძალოვნების მიზანი გახლდათ ის, რომ ეს 2 წელი მოესაჯათ, შემდეგ კიდევ რამეს „შემტენიდნენ“. არადა, მართლა სუფთა ვიყავი და არანაირი დანაშაული არ მქონდა ჩადენილი. გადავწყვიტე, სასამართლოდან გავქცეულიყავი. როდესაც „კამერიდან“ გამიყვანეს, იქ ყველას გამოვემშვიდობე — მე აქ აღარ დავბრუნდები, ან მომკლავენ, ან გავიქცევი-მეთქი. დაჭერამდე რამდენიმე ხნით ადრე, ავარიაში მოვყევი. ფეხი მტკიოდა და ჯოხით დავდიოდი. ამ დროისთვის ფეხი აღარ მაწუხებდა, მაგრამ ციხის თანამშრომ-


რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის" კოლექციას, იგი მამამ ჩვენ – მე, ჩემს მეუღლესა და ჩემს ქალიშვილს დაგვიტოვა

– ბიბლიოთეკაში ბევრია ავტოგრაფიანი „ვეფხისტყაოსნის" გამოცემა. აკაკი შანიძემ 1912 წლის ე.წ. ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის" აღდგენილი ტექსტის ეგზემპლარი ასეთი წარწერით აჩუქა: „სახსოვრად შოთა რუსთაველის გენიის დიდ თაყვანისმცემელსა და მისი შესანიშნავი და ყველა ქართველის საამაყო პოემის ქართული გამოცემებისა და სხვა ენებზე ნათარგმნების თავდადებითა და სიყვარულით შემკრებს, ცნობილ მწიგნობარს, ბატონ ვახტანგ ნათენაძეს აკაკი შანიძისაგან". ასევე ნაჩუქარია ვენერა ურუშაძისგან მისივე, 1968 წელს ინგლისურ ენაზე თარგმნილი, წიგნი და 1964 წელს ესპანურ ენაზე გამოცემული პოემა, რომლის თავფურცელზე იოსებ ნონეშვილი წერს: „დაე, ესპანურმა გამოცემამაც დაამშვენოს შენი დიდებული კოლექცია, ჩემო ვახტანგ!" ქეთრინ ვივიენმა პოემა ინგლისურ ენაზე თარგმნა მას დიდი სურვილი ჰქონდა, გაეცნო მამა. 1977 წელს შეძლო თბილისში ჩამოსვლა და ეწვია ჩვენს ოჯახს. თავისი ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი" ასეთი წარწერით აჩუქა: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია".

— **კიდევ რით არის გამორჩეული ბიბლიოთეკა?**

– არ შეიძლება, არ აღვნიშნო 1739 წელს მოსკოვში გამოცემული „სახარება", 1741 წელს დასტამბული „საქრისტიანო" მოძღვრება, 1902 წელს გამოცემული მ. თამარაშვილის „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", იოანე ბატონიშვილის „კალმასობა", ექვთიმე თაყაიშვილის „საქართველოს სიძველეთა" სამტომეული, „ძველი საქართველოს" ოთხტომეული და „არქეოლოგიურ მოგზაურობათა" ოთხტომეული. ასევე, მრავალრიცხოვან პოეტურ კრებულებს შორის, განსაკუთრებული ადგილი უკავია საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით გამოცემული მინიატურული წიგნების დიდ ოჯახს. მათ შორის აღსანიშნავია „ვეფხისტყაოსანი" ჭედურობით შესრულებული ყდით.

— **თქვენ აღნიშნეთ, ინგლისელი ქეთრინ ვივიენი ესტუმრა მამასო. კიდევ თუ გყავდათ უცხოელი სტუმრები და მაშინდელ დროს, კა-გე-ბე რა თვალით უყურებდა ამგვარ სტუმრობებს?**

– ამასთან დაკავშირებით, ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო. თბილისში იტალიელი ლიტერატორების დელეგაცია ჩამოვიდა. მამისთვის უნდა გადმოეცათ ელიზავეტა ბლაზისა და მარიო პიკის მიერ გამოგზავნილი „ვეფხისტყაოსანი". ეს, 70-იან წლებში ხდება, როცა კომუნისტური რეჟიმი მძვინვარებდა. მოგეხსენებათ, მაშინ უცხოური დელეგაციების ყოველი წუთი და ნაბიჯი დაგეგმილი იყო და მათ კა-გე-ბე აკონტროლებდა. დელეგაციის დღის წესრიგში არ შედიოდა ჩვენი ბიბლიოთეკის მონახულება. მიუხედავად ამისა, მთელი დელეგაციის წევრებმა კატეგორიულად მოითხოვეს ჩვენს ოჯახში მოსვლა. გიდს დრო არ რჩებოდა, შესაბამის ორგანოებში შეეთანხმებინა ეს დაუგეგმავი ვიზიტი და იძულებული გახდა, გამოჰყოლოდა მათ. სტუმრად მოსულმა იტალიელებმა მამას ძვირფასი საჩუქარი გადასცეს. სანამ ისინი ჩვენთან იყვნენ, აფორიაქებულმა უშიშროების თანამშრომლებმა ჯავახიშვილის ქუჩა შავი მანქანებით გაავსეს. თუმცა, შიგნით არ შემოსულან, მათ გარეთ ელოდნენ. დელეგაციის წასვლის შემდეგ, მამას ახსნა-განმარტების მიცემა მოუხდა ზოგიერთ პირთან. რა თქმა უნდა, მამა აღაშფოთა ამ ფაქტმა...

— **ისე, თუ ინტერესდებოდა სახელმწიფო მამის კოლექციით?**

– ხშირად ეწყობოდა გამოფენა. წიგნის მოყვარულთა საზოგადოების II რესპუბლიკური ყრილობის და წიგნის დღესასწაულის დღეს მოეწყო მამის უნიკალური წიგნების გამოფენები. 1982 წელს მოსკოვში, ა. ფადეევის სახლ-მუზეუმში მოეწყო მამის წიგნების გამოფენა, რომელიც მოსკოვის ლიტერატურული საზოგადოებისთვის იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ 1983 წელს განმეორებით მოეწყო იგივე ექსპოზიცია. ამ გამოფენაზე მამამ საინტერესო ლექცია წაიკითხა, ქართული წიგნისა და საკუთარი ბიბლიოთეკის შესახებ.

— **თქვენი მეუღლე თვალსაჩინო მწერალი და პუბლიცისტი, ჯემალ აფციაური თუ მონაწილეობდა მამის გატაცებაში?**

– ჩემს მეუღლეს არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდა მამასთან. მათ საერთო ინტერესი – ლიტერატურისადმი სიყვარული აკავშირებდათ. ჯემალის დახმარებით მამამ არაბულ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი" შეიძინა. ეს წიგნი დამასკოში ბატონ ლევან საღარაძის ძალისხმევით იქნა გამოცემული და მამას დამასკოში მომუშავე ბატონებმა, შოთა შარვაშიძემ და იუზა ჩხეიძემ გამოუგზავნეს.

— **პაპისა და მამის გენებმა და ოჯახურმა გარემომ თუ მოახდინა გავლენა თქვენი ქალიშვილის ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბებაზე?**

– მამა შინ რომ ბრუნდებოდა, ჩემი პატარა ქალიშვილი, მარიამი, მუხლებზეააცოცდებოდა და პირველად ამას ჰკითხავდა: „პაპული, მოიტანე „ვეფქისტკაოსანი?" და ჩანთისკენ გაურბოდა თვალი. დღეს მარიამი 19 წლისაა, პრეზიდენტის სტიპენდიანტი, თბილისის უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი. ლექსების კრებულების ავტორი, თან მუსიკას ეუფლება, ფორტეპიანოს განხრით. ჰყავს ღირსეული მეუღლე და პატარა შვილი ანი.

— **ახლა ვინ ჰპატრონობს ვახტანგ ნათენაძის ბიბლიოთეკას?**

– ბიბლიოთეკა ინახება მამისეულ სახლში, სადაც ცხოვრობს ჩემი ძმა, გელა ნათენაძე ოჯახით. რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის" კოლექციას, იგი მამამ ჩვენ – მე, ჩემს მეუღლესა და ჩემს ქალიშვილს დაგვიტოვა.

— **პროფესიით ინჟინერ-ხუროთმოძღვრის გატაცება ბიბლიოფილობა იყო და მაინც, იქნებ კიდევ ჰქონდა ჰობი?**

– სახვითი ხელოვნებით იყო გატაცებული, განსაკუთრებით კი ცნობილი ნიდერლანდელი მხატვრის, იერონიმ ბოსხის შემოქმედებით. ბიბლიოთეკის ეს ნაწილი, მილანში, პარიზში, ლონდონსა და სხვა ქალაქებში გამოცემული წიგნებითა და ალბომებითაა წარმოდგენილი.

— **როგორც კოლექციონერს თუ დარჩა აუხდენელი ოცნება?**

– დარჩა აუხდენელი ოცნება. ეს იყო მისთვის, ალბათ, მიუწვდომელი, 1912 წლის პირველი ბეჭდური, „ვეფხისტყაოსნის" ე.წ. ვახტანგისეული გამოცემა.

■



**თურმე ამერიკაში არსებობს საბავშვო ბაღი... უფროსებისთვის. მდიდარი ბიძიები და დეიდები გარკვეული თანხის (დაახლოებით 10 ათასი დოლარი) საფასურად დილიდან საღამომდე დროს იქ ატარებენ. ისევე, როგორც 4-5 წლის ბავშვები, ისინიც იატაკზე სხედან, გულზე წინსაფარი აქვთ აფარებული, მანქანებით თამაშობენ და — ვაუ-ს იძახიან, ღამის ქოთანზე სხდებიან, ზოგიერთი კი თურმე შარვალში მოსაქმებასაც ახერხებს. მასწავლებლები მათ ყურს უწევენ, კუთხეში დაყენებით სჯიან და ხანდახან ერთმანეთს თურმე თამაშიც კი სწვდებიან ხოლმე...**

# ვის ეძახიან ბერდვოჩერს ანუ ბერდვოჩინგი – უახლესი ბიზნესი საქართველოში, რომლითაც გამდიდრება ნებისმიერს შეუძლია

*მარი ჯაფარიძე*

მოკლედ, ამ ამბით იმის თქმა მინდოდა, რომ მდიდარმა ადამიანებმა აღარ იციან, ფული რაში დახარჯონ და ათასგვარ გასართობს იგონებენ. ერთ-ერთი ასეთი გასართობი გახლავთ ბერდვოჩინგი (Birdwatching), რაც ფრინველებზე თვალთვალს ნიშნავს. ფრინველების ჩვეულ, საარსებო გარემოში სულგანაბული თვალთვალის მიმართ ინტერესი იმდენად დიდია, რომ ტურიზმის ცალკე სახეობადაც კი ჩამოყალიბდა. არ გეგონოთ, ბერდვოჩერს (ადამიანი, რომელიც ფრინველებს უთვალთვალებს ანუ ბერდვოჩინგის მიმდევარი) ნებისმიერი სახეობის ჩიტი აინტერესებდეს. ის მხოლოდ იშვიათი სახეობის ფრინველებით არის დაინტერესებული და მზად არის, ამისთვის სოლიდური თანხა გაიღოს. ასეთი სახეობის ფრინველი საქართველოშიც მრავლად ყოფილა: კავკასიური როჭო, ქორი, მიმინო, მთის არწივი, ბატკანძერი, ფასკუნჯი (რომელიც ბევრს ალბათ მხოლოდ ზღაპრული ფრინველი ეგონათ) და მრავალი სხვა — სულ 360 სახეობაზე მეტი. ამიტომ, საქართველო ბერდვოჩერებისათვის ძალზე მიმზიდველი და ბერდვოჩინგისთვის ხელსაყრელი ადგილი ყოფილა. ჩვენში ამ საქმის პიონერი ველური ბუნების შენარჩუნების ქართული ცენტრი და მისი ხელმძღვანელი, ბატონი **რამაზ გოხელაშვილი** გახლავთ.

**— ბატონო რამაზ, გვიამბეთ თქვენი საქმიანობის შესახებ.**

— ველური ბუნების შენარჩუნების ქართული ცენტრი (ან — საქართველოს ბუნების შენარჩუნების ცენტრი) გახლავთ არასამთავრობო ორგანიზაცია. გადავწყვიტეთ, მხარი აგვება ევროპაში საკმაოდ პოპულარული ტურიზმის სახეობისთვის, რომელსაც ბერდვოჩინგი ჰქვია. საქართველოს აქვს უნიკალური ბუნება, სადაც ბინადრობენ ცხოველთა და ფრინველთა უნიკალური სახეობები, რომლებიც სხვაგან არ გვხვდება. ეს გახლავთ ქვეყნისთვის დიდი რესურსი. იმის გამო, რომ არსებული რესურსი სწორად გამოვიყენოთ, დავიწყეთ ბერდვოჩინგის განვითარება. ეს ტურიზმის ახალი სახეობა გახლავთ. ადამიანები საგანგებოდ იშვიათი სახეობის ფრინველების სანახავად ჩამოდიან საზღვარგარეთიდან. ბერდვოჩერები ფრინველებს მათ საცხოვრებელ გარემოში, ბინოკლებით უთვალთვალებენ — ეს არის და ეს. ტურიზმის ეს, დღეს უკვე საკმაოდ პოპულარული სახეობა ძალზე სწრაფად ვითარდება. დღესდღეობით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 10 მილიონამდე ბერდვოჩერია დარეგისტრირებული. ეს 10 მილიონი ადამიანი პოტენციურად ჩვენი მომავალი კლიენტია. ისინი მზად არიან, საკმაოდ სოლიდური თანხა გადაიხადონ და სასურველი სახეობის ფრინველი იხილონ. წარმოიდგინეთ, რამხელა მოგებას მოუტანს სახელმწიფოს მათი აქ ჩამოსვლა!.. ჩვენში გავრცელებულია ფრინველთა ისეთი სახეობები, რომლებსაც სხვაგან ვერსად ნახავს კაცი. ბერდვოჩერებს შექმნილი აქვთ სპეციალური კლუბები, სადაც ისინი იკრიბებიან და ერთმანეთს უამბობენ, თუ ვინ რომელი სახეობის ფრინველი ნახა, ვის უფრო მეტი სახეობა აქვს ნანახი და ა.შ. მათ სპეციალური ინტერნეტ-საიტიც კი შექმნეს, რომლის მეშვეობითაც ეძებენ ისეთ ქვეყნებს, სადაც იშვიათი სახეობები ბინადრობენ. მაგალითად, ევროპაში, თითქმის ყველგან ერთსა და იმავე სახეობებს თუ შეხვდებით. კავკასია კი ამ მხრივ გამორჩეული გახლავთ.

**— საქართველოში კონკრეტულად რომელ ადგილებში გვხვდება იშვიათი სახეობების ფრინველები?**

— ძირითადად, ყაზბეგის რაიონში. როგორც გითხარით, ბერდვოჩერის მთავარი ინსტრუმენტი, ბინოკლი გახლავთ. შეიარაღდებიან დურბინდით და მიგვყავს მთაში, რომ ვუჩვენოთ მათ სასურველი ფრინველი. ადგილობრივი მცხოვრებნი თავდაპირველად გაოცებული უყურებდნენ ხოლმე ბინოკლით შეიარაღებულ ამდენ ადამიანს, ახლა უკვე მიეჩვივნენ და იციან, რომ კავკასიური როჭო, ბუნებაში ნანახი, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოკლული. ამიტომ შეწყვიტეს მათი ხოცვა...

**— თქვენ თვითონ როგორ აგნებთ ამ ფრინველებს?**

— ვატარებთ სპეციალურ მონიტორ-

ტურისტი-ბერდვოჩერები




როჭო

ინგს, კვლევას; ვიცით მათი ქცევის წესები, თუ სად შეიძლება ბუდობდნენ. ბუნებაში მათი მიგნება და პოვნა ჩვენთვის არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს.

**— საქართველოში ბევრი ადამიანია ბერდვოჩინგით დაინტერესებული?**

— ქართველები საერთოდ არ იჩენენ ინტერესს ამ სფეროს მიმართ. აქ მცხოვრები უცხოელების 50% კი, ჩვენი კლიენტია. მაგალითად, ამერიკის საელჩოს თანამშრომელთა უმეტესობა ძალზე დაინტერესებულია ბერდვოჩინგით. მათ ძირითადად, აინტერესებთ კავკასიური როჭო, შურთხი, არწივის სხვადასხვა სახეობა, ქორი, ფასკუნჯი...

**— ბევრისთვის ფასკუნჯი, მხოლოდ ზღაპრული ფრინველია. არადა თურმე, ნამდვილად არსებობს ბუნებაში...**

— მართალი ბრძანდებით. ფასკუნჯის ლორმუცელობის შესახებ ბევრ ჩვენგანს მხოლოდ ბებიების ნაამბობი ზღაპრებიდან თუ სმენია, გულიც კარგად დაგვეთუთქვია საწყალი ბიჭის გამო, რომელიც ბარძაყიდან ხორცს იჭრიდა ფასკუნჯის გამოსაკვებად, მას ქვესკნელიდან რომ ამოეყვანა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ფასკუნჯი ბევრი ჩვენგანის მეხსიერებას მაინც კეთილ ზღაპრულ პერსონაჟად შემორჩა და ბევრს იმის დაჯერებაც უჭირს, რომ ეს ზღაპრული ფრინველი მართლაც, არსებობს. ის ლეშიჭამიების ოჯახის ღირსეული წარმომადგენელია და საქართველოში უხვად გვხვდება. ფასკუნჯი საშუალოზე დიდი ზომის ფრინველია და მისი გაშლილი ფრთების სიგრძე 2 მეტრამდე აღწევს. ბუდეს ბალნითა და ნაირგვარი ნარჩენით ამოფენს, სხვა ფრინველებისგან განსხვავებით, არასოდეს ასუფთავებს და წლიდან წლამდე ნაგროვები ნაგვის გამო, მის ბუდეში საშინლად მყრალი სუნია. ჩვენში ფასკუნჯის 140-150 წყვილი სახლობს.

**— ეს საიდან იცით?**

— საქართველოში, კერძოდ, ბათუმში ფრინველების გადაფრენის „დერეფანია"; სწორედ აქ იყრის თავს ყველა ის ფრინველი, რომელიც სკანდინავიიდან და რუსეთიდან ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში მიფრინავს ზამთრობით. ეს დერეფანი ცნობილია, როგორც „აღმოსავლეთ შავი ზღვის სამიგრაციო მარშრუტი". ამ გზით წელიწადში 100000-ზე მეტი მტაცებელი ფრინველის გადაფრენა ხდება. სწორედ ამ ადგილზე ვაწარმოებთ ხოლმე ფრინველთა რაოდენობის დადგენას. ეს ძალზე მარტივად, ჰაერში ფრინველების დათვლით ხდება და თვალის სისწრაფეზეა დამოკიდებული. ბუნებრივია, ამგვარად მიღებული მონაცემები ზუსტი ვერ იქნება, მაგრამ მიახლოებულ შთაბეჭდილებას ქმნის... ბათუმში უამრავი ბაზიერი ცხოვრობს. მათ ჩავუტარეთ სპეციალური ტრენინგი, ვასწავლეთ ფრინველების ამოცნობა და სწორედ მათი საშუალებით ხდება დათვლა.

**— დავუბრუნდეთ ბერდვოჩინგს. რა თანხა უნდა გადაიხადოს ბერდვოჩერმა, რომ სასურველი ფრინველი აჩვენოთ?**

— ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, მიუხედავად იმისა, რომ ბერდვოჩერებს არ უყვართ ხუთვარსკვლავიან სასტუმროში ცხოვრება და ფუფუნება — მათ საველე პირობებში ურჩევნიათ ყოფნა... განვიცდით გიდების ნაკლებობას. საქართველოში სულ 2-3 ადამიანია, ვისაც შეუძლია, ტურისტების ჯგუფს გაუძღვეს და სასურველი სახეობის ფრინველი უჩვენოს. ახლა უნდა გამოვცეთ წიგნი, სადაც შესული იქნება საქართველოში არსებული ყველა იშვიათი სახეობის ფრინველი. ასეთი წიგნი აუცილებელია ყველა ბერდვოჩერისთვის და მას „გაიდ-ბუქ" ჰქვია. ეს გახლავთ მათი მეგზური. ქართველი ძნელად დაიჯერებს, რომ არსებობს უამრავი ადამიანი, რომელიც სოლიდურ თანხას იხდის იმისათვის, რომ ჩიტები ნახოს, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრი უცხოელი მზად არის, ეს თანხა გაიღოს და მერე სხვა ბერდვოჩერებთან იტრაბახოს, რომ სხვადასხვაგვარი უნიკალური სახეობის ფრინველი ნახა... ■


ზრდასრული ბატკანძერი


წლევანდელა ფასკუნჯი


ზრდასრული შაკი


როჭოები კლდეზე



## ირანში გრძელთმიან ფეხბურთელებს შეუტიეს



ირანის ფეხბურთის ფედერაციამ მოთამაშეებს არატრადიციული ფორმის ვარცხნილობისა და წვერის ტარება აუკრძალა. ამიერიდან, მოედანზე დაუშვებელი იქნება „ბენდენით" გამოსვლაც. „ახალი კანონის დამრღვევნი დაისჯებიან და მათ ეროვნულ ჩემპიონატში თამაშის უფლებაც ჩამოერთმევათ, — განაცხადა ფუნდამენტური მუსლიმანური ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, — ჩვენ ტრადიციების მიმდევარ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, რომელსაც საკუთარი ფასეულობები აქვს. ხოლო ის ფეხბურთელი, რომელიც ამ ფასეულობებს უარყოფს, ცუდ მაგალითს აძლევს ახალგაზრდობას". როგორც ცნობილია, ირანში ფეხბურთი დიდი პოპულარობით სარგებლობს. ადგილობრივი პროფესიონალური კლუბების არაერთი ფეხბურთელი კი, თავის ევროპელ კოლეგათა მიბაძვით გრძელ თმასა და არატრადიციული ფორმის წვერს ატარებდა. ამჟამად ორი მათგანი უკვე გააფრთხილეს. სხვათა შორის, გრძელი თმის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება მხოლოდ ირანელ საფეხბურთო მოხელეებს როდი აქვთ. მაგალითად, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ არგენტინის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, დანიელ პასარელამ პირდაპირ განაცხადა — ჩემს გუნდში გრძელთმიანი მოთამაშეები არ დავინახოო. ამის გამო გაბრიელ ბატისტუტას ისლა დარჩენოდა, ვარცხნილობა შეეცვალა, ხოლო რედონდომ საერთოდ არ ისურვა ნაკრებში თამაში. ანალოგიური ვითარება შეიქმნა ჩეხეთში გამართულ ჰოკეისტთა ბოლო მსოფლიო პირველობაზეც. ამჯერად მოთამაშეთა ვარცხნილობის, კერძოდ კი, იარომირ იაგრის გრძელი თმის გამო ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის თავკაცებმა გამოთქვეს უკმაყოფილება. ჩეხი ვარსკვლავი მათ საკუთარი იმიჯის შეცვლას შეჰპირდა... ■

## დევიდი და ჯენიფერი Pepsi-ს რეკლამაში



დევიდ ბექჰემი Pepsi-ს სარეკლამო რგოლის გადაღებაში მიიღებს მონაწილეობას. ამ კომპანიასთან ფეხბურთელმა ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის ღირებულებაც 10 მილიონი გირვანქა სტერლინგია. ამასთან პირველად გადაღებების დროს, მისი პარტნიორები არა სპორტის ვარსკვლავები, არამედ მომღერლები იქნებიან. მათ შორის ვიხილავთ ბეიონს ნოულზსა და სუპერსექსუალურ ჯენიფერ ლოპესს. ვიდეორგოლის სიუჟეტი პოპულარული ფილმის — „მოკალი ბილი" მოტივებზეა აგებული. შეგახსენებთ, რომ Pepsi-ს სარეკლამო გადაღებებში ბექჰს უკვე მიუღია მონაწილეობა. მაშინ „რეალის" ნახევარმცველს პარტნიორობას მისივე თანაგუნდელი, რობერტო კარლოსი და „ბარსელონელი" რონალდინიო უწევდნენ. ამჟამად ტრავმირებული დევიდი (მას ნეკნი აქვს დაზიანებული) მადრიდში იმყოფება (ფეხმძიმე ვიქტორია იაპონიაში წასულა) და მთელ დროს ვაჟიშვილებს — ხუთი წლის ბრუკლინსა და ორი წლის რომეოს — უთმობს. ■

## როდემდე გასტანს კოკოსა და სანტაგიდის რომანი?



ცოტა ხნის წინ, „ინტერის" მცველი, ფრანჩესკო კოკო თავის გელფრენდ მანუელ არსურს დაშორდა, მაგრამ უმალვე გაიჩინა სხვა საყვარელი. როგორც მიღებულია, ცნობილი ფეხბურთელის პარტნიორი გოგონა აუცილებლად ფოტომოდელი უნდა იყოს. სწორედ ამიტომ, კოკომაც არჩევანი ლინდა სანტაგიდზე შეაჩერა, რომელიც რეგულარულად მონაწილეობს მამაკაცთათვის განკუთვნილი ჟურნალების ფოტოსესიებში. მიუხედავად ამისა, იტალიელმა ფეხბურთელმა მაშინვე განაცხადა, რომ თავის რჩეულს, პირველ რიგში, მისი ხასიათით აფასებს. ამასთან, კოკოს თქმით, წყვილის ურთიერთობა ხანგრძლივი იქნება და შეიძლება ქორწინებითაც დასრულდეს. აი, ბულვარული პრესის წარმომადგენლებს კი, ამაში ეჭვი ეპარებათ. იტალიური მასმედია ხაზს უსვამს იმას, რომ კოკო ყოველთვის სიახლის ძიებაშია და ლინდას მასთან ერთად ყოფნა ძალიან გაუჭირდება. ■

## ვისი დახვრეტა სურს სერ ალექსს

„მანჩესტერის" მთავარმა მწვრთნელმა, ალექს ფერგიუსონმა საჯაროდ აღიარა, რომ დიდი სიამოვნებით დახვრეტდა თავის კოლეგას „არსენალიდან", არსენ ვენგერსა და ბექჰემის ცოლს — ვიქტორია ადამსს. „მხოლოდ ერთი ტყვია რომ გქონდეთ, მაშინ ვილას დახვრეტდით — ვენგერს თუ ადამსს?" — დაინტერესებულან ჩეშირში (ინგლისის ერთ-ერთი საგრაფო) მოწყობილ საქველმოქმედო საუზმეზე ჟურნალისტები. „ხალხო, არ შეიძლება, ორი ტყვია რომ მომცეთ?!" — უთქვამს სერ ალექსს, რის შემდეგაც აბეზარ კორესპონდენტებს მისთვის კითხვა შეუბრუნებიათ — თქვენს ნათქვამში რამდენი პროცენტია სიმართლეო? ფეხბურთის ქომაგებმა იციან, რომ ფერგიუსონს მართლაც აქვს არსენ ვენგერისა და ვიქტორია ადამსის სიძულვილის მიზეზი. ლონდონური კლუბის თავკაცთან მორიგი უთანხმოება მას ცოტა ხნის წინ გამართული „მანჩესტერ"—„არსენალის" მატჩის შემდეგ მოუხდა, თანაც შოტლანდიელს მეტოქის ბანაკიდან საკვები პროდუქტებიც კი ესროლეს. რაც შეეხება „სპაის გელზის" ყოფილი წევრისადმი სიძულვილს, ალექსი ვიქტორიას ჯერ კიდევ წლების წინ ვერ იტანდა, როდესაც დევიდ ბექჰემი „მანჩესტერის" ღირსებას იცავდა. ფერგიუსონი მიიჩნევდა, რომ ვიქტორია ქმარს ფეხბურთზე კონცენტრირებაში უშლიდა ხელს. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ შარშან გაზაფხულზე „იუნაიტედის" თავკაცმა ბექჰემს ბუცით წარბი გაუხეთქა, რის შემდეგაც ფეხბურთელს ისლა დარჩენოდა, კარიერის გასაგრძელებლად სხვა კლუბი მოეძებნა. ■



# სენას ყოფილი საყვარელი ბავშვის გაჩენაზე ოცნებობს



ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მრბოლელის, ბრაზილიელი აირტონ სენას ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ 10 წელი გავიდა. ის ნამდვილი სუპერვარსკვლავი იყო და თავისი სტატუსის შესაბამისადაც ცხოვრობდა. აირტონი ახალგაზრდობაშივე დაქორწინდა ბავშვობის მეგობარ, ლილიან ვასკონსელოსზე, მაგრამ მათ ერთად მხოლოდ 14 თვე იცხოვრეს, ხოლო 1982 წელს გაიყარნენ. იმ პერიოდში სენა სარბოლო ტრასებზე უკვე სასწაულებს ახდენდა. ლილიანი მილიონებზე ოცნებობდა. თუმცა ისე გაშორდა აირტონს, რომ მის დიდებასა და უსაზღვროდ გამდიდრებას ვერ მოესწრო. მათ არც შვილები ჰყოლიათ, რის გამოც ვასკონსელოსს სენას ქონებიდან არაფერი ერგო. გავიდა წლები და „ფორმულა-1“-ის ბრაზილიელი ლეგენდა შეჯიბრების დროს საშინელ ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მაშინ მის ცხედართან ორი ლამაზმანი ქვითინებდა — მრბოლელის ყოფილი საყვარელი, „სამბას“ პროფესიონალი მოცეკვავე, მარსელა პრადო და მისი კიდევ ერთი მეგობარი გოგონა, ასევე ბრაზილიელი მოდელი ადრიანა გალისტა. 1993 წელს, დაღუპვამდე ერთი წლით ადრე, მარსელას სენასთვის უცნობებია, რომ მისგან შვილს ელოდა, მაგრამ ექსპერტიზის შედეგმა მოცეკვავის გეგმას საფუძველი გამოაცალა (ბუნებრივია, პრადოს, ავტოპილოტის ქონების ნაწილის მიღება სურდა). ადრიანა გალისტა კი, აირტონის სიკვდილის შემდეგ, ჯერ ერთ-ერთ მილიონერს ხვდებოდა, შემდეგ ტელემაგნატთან, ფეხბურთელთან და მექსიკელ პოპმომღერალთანაც გაიყო სარეცელი, თანაც როგორც თავად ამბობს, თითოეული მათგანი უყვარდა. ამჟამად გალისტას სატელევიზიო ტოქშოუ „შარმი ადრიანასთან ერთად“ მიჰყავს და თვეში 150.000 ევროს გამოიმუშავებს. 31 წლის ლამაზმანის ახლანდელი საყვარელი, „ფლუმინენსეს“ 26 წლის მოთამაშეა. ამას წინათ, Bild-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მოდელმა განაცხადა, რომ შვილის ყოლასაც აპირებს. ■

# გოლფმა ოჯახი დაანგრია



14-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, ცოლს გაეყარა ცნობილი შოტლანდიელი გოლფისტი, კოლინ მონტგომერი. „ეს ორივე ჩვენგანისთვის მართლაც საშინელი გადაწყვეტილებაა“, — განაცხადა ევროპული გოლფის ვარსკვლავმა, რომელიც მცირე ხნით, 2000 წელსაც გაეყარა ცოლს. „გოლფს დიდი დრო მიჰქონდა ჩემს ცხოვრებაში. სახლში ყოფნის დროსაც, თამაშზე ვფიქრობდი და ცოლს, აიმერსა და ბავშვებს სათანადო ყურადღებას ველარ ვაქცევდი. ერთი სიტყვით, ცუდი მეუღლე და მამა ვიყავი“, — ამბობს კოლინი, რომელმაც უკვე გააბა რომანი ცნობილ მოდელ, ინეს სასტრთან. Sun-ი იუწყება, რომ ისინი თითქმის ყოველთვის ერთად არიან. როგორც ჩანს, გოლფი მონტგომერის საყვარელს უფრო ნაკლებად აღიზიანებს, ვიდრე მის ყოფილ მეუღლეს. ■



# ამერიკული ფეხბურთი

ამერიკული ფეხბურთი პირველ რიგში შოუა, რომელშიც მოთამაშეებზე არანაკლებ აქტიურად, მათი მხარდამჭერი ჯგუფები — ე.წ. ჩირლიდერები მონაწილეობენ. არც ის წარმოადგენს საიდუმლოებას, რომ სპორტის ამ სახეობის ქომაგთა დიდ ნაწილს სწორედ მატჩის დაწყებამდე თუ შესვენებებზე მოედანზე გამოსული მოცეკვავე ლამაზმანების ცქერა უფრო იზიდავს, ვიდრე თავად თამაში. ამას წინათ, ამერიკულ ფეხბურთში მნიშვნელოვანი შეჯიბრება ჩატარდა, რომელშიც ჩირლიდერთა ოთხი გუნდი იღებდა მონაწილეობას. ბუნებრივია, ტურნირმა პირველ რიგში, მამაკაცთა აუდიტორია დააინტერესა. მათ ხომ ფოტომოდელთა შორის გამართული ნამდვილი ბრძოლის ყურების საშუალება მიეცათ. ■

# რობინსონს ცოლმა ღალატი არ აპატია

ხუთი თვის წინ „ტოტენჰემისა“ და ინგლისის ნაკრების მეკარე, პოლ რობინსონი 25 წლის რებეკაზე დაქორწინდა. თავის მომავალ მეუღლეს ბრიტანელი გოლკიპერი რამდენიმე წლის მანძილზე იცნობდა, ამიტომ მათი ქორწინება არავის გაჰკვირვებია, თუმცა ოჯახური იდილია მხოლოდ 13 დღე გაგრძელდა, რის შემდეგაც რობინსონმა მეუღლეს მოულოდნელად განუცხადა, — ცეკვის მასწავლებელ, ჯოანა კილმინსტერთან გიღალატეო. როგორც ჩანს, „გულუბრყვილო“ ფეხბურთელი იმედოვნებდა, რომ ცოლი გადაეხვეოდა და ცოდვას დიდსულოვნად შეუნდობდა. ამ უკანასკნელმა კი, ტირილით დატოვა სახლი. „ამ ხნის მანძილზე იგი გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა, — განაცხადა რებეკას ერთ-ერთმა მეგობარმა, — ის პოლს ძალიან ენდობოდა, ამიტომ ქმარს ღალატი ვერ აპატია“. ■





(დასაწყისი იხ. „გზა“ №26-44)

# მტაცებლის ინსტინქტი

## რუსუდან ბერიძე

*მკვლელობის ბრალდებით დაპატიმრებული ახალგაზრდა ბიზნესმენის ანდრო სვანიძის დასაცავად, მისი საყვარელი დალი ხაჩიძე, წარსულში თავის უახლოეს მეგობარს, ადვოკატ მეგი ლაღიძეს მიმართავს. ანდროს კახეთში მიწის ნაკვეთი აქვს, სადაც ნავთობის საბადო უნდა იყოს და მეგი ხვდება, რომ შესაძლოა, ვიღაცები სწორედ ამის გამო ცდილობენ გზიდან მის ჩამოცილებას. ანდროს „ჩაძირვით“, წარსულში მეგის შეყვარებული კახაცაა დაინტერესებული. არც კახამ და არც მეგიმ (რომელიც მშობიარობის შემდეგ მოატყუეს — ბავშვი დაიღუპაო) არ იციან, რომ მათ საერთო შვილი ჰყავთ. ამ ამბავს მეგის, კახას დედა გაანდობს, სიკვდილის წინ. ბედის ირონიით, მეგის შვილი — მიშიკო, ანდროსა და მისი ყოფილი ცოლის — ლანას ოჯახში მოხვედრილა...*

*ამასობაში, ციხეში ანდროს კრიმინალები დაჭრიან, კახას კი, დედა მოუკვდება. სწორედ ამის შემდეგ შეიტყობს იგი მიშიკოს არსებობის ფაქტს, შინ მიუვარდება მეგის და ეტყვის, რომ შვილის დაბრუნებას აპირებს... მეორე დღეს, ციხიდან პატიმართა ჯგუფი გაიქცევა, მათ შორის — ჭრილობამოუშუშებელი ანდრო სვანიძეც, რომელიც ღამით მოულოდნელად, მეგის მიადგება კარზე... მეგი და ანდრო ნახევარ ღამეს საუბარში გაატარებენ. მისდა გასაოცრად, ქალი შეიტყობს, რომ ანდროსთვის ცნობილია, თუ ვინ არის მიშიკოს ბიოლოგიური დედა. ბავშვის მამის ვინაობას კი მეგი მას თავად გაუმხელს. მიუხედავად იმისა, რომ ანდრო ძალზე დასუსტებულია, ის მეორე დილით, ჯერ კიდევ მეგის გაღვიძებამდე მის სახლს დატოვებს. საკუთარ საწოლში, რომელიც დაჭრილ ანდროს დაუთმო, მეგი ბარათს აღმოაჩენს, რომელშიც მისი აღსარებით თავზარდაცემული ანდრო სწერს — სრული სიმართლისთვის მიშიკოს მაინც ნუ გაიმეტებო...*

*მეორე დღეს, კახას დედის დაკრძალვის შემდეგ, დალი და მისი ყოფილი ქმარი ზაზა აბაშმაძე (რომელიც დროებით, ცოლყოფილის ცხოვრებაში ანდროს ადგილს იკავებს...), რესტორანში წასვლაზე დაიყოლიებენ მეგის. იქ ზაზა მეგის შებმას ცდილობს, მაგრამ ამაოდ. გვიან ღამით კი, მეგის მთვრალი კახა დაადგება შინ და ეჭვიანობის სცენასაც გაუმართავს: ის დარწმუნებულია, რომ ციხიდან გაქცეული ანდრო მასთან იმალებოდა. ნერვებმოშლილი და გაბრაზებული მეგი, რომელსაც კახას წასვლის იმედი გადაეწურება, გამოუცხადებს — სააბაზანოში შევდივარ და რომ გამოვალ, აქ აღარ დამხვდეო...*

*სააბაზანოდან გამოსულ მეგის, სავარძელში მოკუნტული, დაძინებული კახა შერჩება ხელში და იძულებული გახდება, თავადაც დასაძინებლად წავიდეს... დილით მასა და კახას შორის ცხარე კამათი გაიმართება. კახა სთავაზობს — ჩემი ცოლი გახდი და შვილიც ერთად დავიბრუნოთო, — მაგრამ მეგისგან კატეგორიული უარის მიღების შემდეგ, დაემუქრება — მაშინ, ლანას შევირთავო... კახას წასვლის შემდეგ, მეგის მეზობელი, ხნიერი ქალი ეწვევა და მოუყვება, რომ მასთან სამართალდამცავები იყვნენ მისული და ძებნილი ახალგაზრდა მამაკაცის ფოტოსურათი უჩვენეს...*

მეგიმ ფოტო ფრთხილად აიღო, დახედა და მაშინვე პირკატა ეცა: მასზე ანდრო სვანიძე იყო გამოსახული.

— იცანი? — მკაცრად ჰკითხა თამარმა.

— ვიცანი, — აღიარა მეგიმ.

— მეც მაშინვე ვიცანი. — დასძინა თამარმა.

— თქვენ?.. — დაიბნა მეგი. — თქვენ — საიდან?

— იქიდან, ჩემო გოგონი, რომ ეს კაცი გუშინ, გამთენიისას, შენი ბინიდან გამოსული ვნახე, — თვალი თვალში გაუყარა თამარმა.

— დეიდა თამარ, ეს... ეს ის არ არის, რაც თქვენ იფიქრეთ... — დაიწყო მეგიმ.

— შენ რა იცი, მე რა ვიფიქრე?.. — გააწყვეტინა თამარმა. — მაგრამ რაც არ უნდა მეფიქრა, შენ ვერ გაიგებდი, ჩემი გაზრდილი ის ორი მაიმუნი რომ არ შემხვედროდა დღეს დილით...

— დეიდა თამარ, — ფოტო მაგიდაზე ფრთხილად დადო და მეზობელს თვალი მტკიცედ გაუსწორა მეგიმ: — მე ამ კაცის ადვოკატი ვარ და უკვე ისიც ზუსტად ვიცი, რომ მას არავინ მოუკლავს.

— მართლა? — სახეზე წამით კმაყოფილება გაუკრთა თამარს, თუმცა მაშინვე, ისევ შუბლი შეიკრა: — ასეც რომ იყოს, როდის იყო, ადვოკატი ციხიდან გამოქცეულ კლიენტებს საკუთარ სახლში მალავდა?.. ხომ შეიძლებოდა, ის შენი ანდროა თუ სანდრო, მე კი არა, სულ სხვას ენახა, მერე რაღა გეშველებოდა?..

— მაშინ — აღარაფერი... — აღიარა მეგიმ. — მაგრამ დაჭრილი იყო და ხელი ველარ ვკარი... თანაც, სხვაგან რომ ჰქონოდა წასასვლელი, მე ხომ არ მომადგებოდა?..

— კარგი, — გააწყვეტინა თამარმა. — ახლა სად არის?

— ზუსტად არ ვიცი.

— მისი ზუსტი ადგილსამყოფელი არც მე მაინტერესებს. უბრალოდ, ხმა მიაწვდინე, აქ აღარ გამოჩნდეს, თორემ მერე, მარტო მას კი არა, შენც ვეღარაფერს გიშველი...

— ნუ ღელავთ, დეიდა თამარ, აღარ გამოჩნდება... — დანანებით ჩაილაპარაკა მეგიმ.

— მოიცა, მოიცა... — თვალები ეშმაკურად მოჭუტა თამარმა. — მე კი არა, შენ ღელავ. მითხარი, შემთხვევით, შენი კლიენტი ხომ არ შეგიყვარდა?.. არა, ისე, კაცად კაცი ნამდვილად არ დაიწუნება... — ანდროს ფოტოს გულმოდგინედ დააკვირდა თამარი.

— არა, დეიდა თამარ, აქ სულ სხვა პრობლემაა, — ამოიოხრა მეგიმ.

— მაინც? — ჩაეძია თამარი. — ყველაფერი მითხარი. იქნებ, კიდევ რამეში დაგეხმარო?

— კარგი, გეტყვით... — კიდევ ერთხელ ამოიოხრა მეგიმ. — თორემ, თუ ვინმეს გული არ გადავუშალე, შეიძლება გამისკდეს კიდეც! — დასძინა მან და თავისი ბოლოდროინდელი თავგადასავალი თამარს სულ პირწმინდად გადმოულაგა.

...როცა მეგიმ მოყოლა დაასრულა, ოთახში

ერთხანს, სრული სიჩუმე ჩამოწვა. შემდეგ თამარი ფეხზე ნელ-ნელა წამოდგა და ოთახში დინჯად გაიარ-გამოიარა.

— არა, არა! — დაიწყო მან. — როცა მასწავლებელი ვიყავი, ჩემს მოსწავლეებს სულ იმას ვუმტკიცებდი, ცხოვრებაში ისეთი უჩვეულო რამეები ხდება, ვერც ერთ წიგნში რომ ვერ ამოიკითხავთ-მეთქი. — სამაგიეროდ, სერიალებში ვნახავთო, — მექილიკებოდნენ ის ცუღლუტები და მგონი, მართლები იყვნენ... ამ გოგოს თავგადასავალი რამდენიმე სერიალსაც კი სულ თავისუფლად გასწვდებოდა...

— დეიდა თამარ, — ხმამაღალი ფიქრი გააწყვეტინა მეგიმ მეზობელს, — მირჩიეთ, რა, როგორ მოვიქცე?

— მრჩევლად ნამდვილად არ გამოგადგები, მაგრამ შვილი რომ აუცილებლად უნდა დაიბრუნო, ეს ალბათ, უჩემოდაც იცი.

— ვიცი, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ! — გააწყვეტინა მეგის თამარმა. — ღმერთს რომ ჩემთვის შვილი მოეცა, სიტყვა „მაგრამს" ჩემი ლექსიკონიდან საერთოდ ამოვიღებდი... იმიტომ, რომ შვილისთვის დედამ შეუძლებელიც უნდა შეძლოს!

— მართალი ხართ, მაგრამ მიშიკო ხომ ჯერ ძალიან პატარაა?!. ამიტომაც, ვერ გადამიწყვეტია, თავად მისთვის რა უფრო აჯობებს — სიმართლის თქმა თუ?..

— რაგინდ მწარეც არ უნდა იყოს, მაინც სიმართლე უნდა უთხრა!.. — სასწრაფოდ უპასუხა თამარმა. — თუმცა, ჯერ ამ სიმართლის გასაგებად მართლაც, ძალიან პატარაა, — აღიარა მან შემდეგ. — არადა, დროც რომ აღარ ითმენს?.. ჰო, მართლა, რა მითხარი — მამამისს რა ჰქვიაო?

— ანდრო, — დაუფიქრებლად უპასუხა მეგიმ.

— ანდრო მამობილია, — შეუსწორა თამარმა. — მე ნამდვილ მამაზე გეკითხები.

— კახა, — ამოიოხრა მეგიმ. — თუმცა საკითხავია, ვინ უფრო ნამდვილი მამაა...

— მაგ საკითხის გარკვევა სამომავლოდ გადავდოთ. ახლა კი, ჯერ კახას უნდა მივხედოთ. თუმცა, არა, — დაფიქრდა თამარი, — პირველ რიგში, ის ბებიაქალი უნდა მოვძებნოთ, ვინც შენ გამშობიარა.

— ჰო, მაგრამ მისამართი რომ არ ვიცი?.. სამშობიაროში კი, უკვე აღარ მუშაობს. ისე, რომც მუშაობდეს, იქ მისვლა ძალიან გამიჭირდებოდა.

— ეგ საქმე მე მომანდვე!.. ნათესავი მყავს გინეკოლოგი და ვთხოვ, ყველაფერი შინაურულად დამიდგინოს.

— ძალიან დამავალებთ! — გამოცოცხლდა მეგი.

— შენ კი მანამდე, კახას მიხედე, რომ მართლა რაღაც სისულელე არ ჩაიდინოს. გასაგებია?

— გასაგებია, თამარა მასწ.! — გაეღიმა მეგის.

— აბა, აბა, ეგეთები არ იყოს! — ხმა მოჩვენებითად გაიმკაცრა თამარმა. — თორემ იცოდე, კუთხეში დაგაყენებ!..

ცოტა ხანში მეგიმ თამარ იმედაძე კარამდე მიაცილა, მადლიერების ნიშნად, გულში ჩაეკრა და ისე დაემშვიდობა...

რაიონულ სასამართლოში დანიშნულ პროცესზე მეგი ფრთაშესხმული მივიდა. მაგრამ თავისდა გასაკვირადაც კი, საქმე პირწმინდად წააგო და კლიენტისა და მისი ახლობლების მთელი რისხვაც თავს დაიტეხა.

— ნუ ღელავთ, ბატონო კოტე, — მაინც ამშვიდებდა კლიენტის ხანდაზმულ მამას მეგი. — საოლქოში გავასაჩივრებთ. აი, ნახავთ, თუ თქვენი შვილი უსამართლოდ კიდევ ვინმეს დავაჩაგვრინო...

— ეჰ! — ობოლი ცრემლი ხელის კანკალით მოიწმინდა მოხუცმა. — ცოლი რომ მყავდეს ცოცხალი, ჩვენს შვილს მართლა არავის დააჩაგვრინებდა. შენ კი, რა გენაღვლება? მოიგებ — მთელ ფულს მიიღებ, წააგებ — ნახევარს მაინც...

რაიონული სასამართლოს შენობიდან მეგი საშინლად გულდამძიმებული გამოვიდა და ქუჩას ფეხით გაუყვა. გადასასვლელთან ვილაცამ მანქანა ზედ ფეხებთან გაუჩერა და კარიც მაშინვე გაუღო. მეგიმ მანქანის სალონში კუშტად შეიხედა და ცბიერად მოღიმარი სულიკო ქვანია დაინახა.

— დაბრძანდი, ჩემო მეგი, და სადაც მიბრძანებ, იქ მიგიყვან, — მაშინვე გაილექსა იგი.

აბეზარ გამომძიებელს სხვა დროს მეგი ალბათ, ცივ უარს სტკეცდა, მაგრამ ახლა ამის თავიც აღარ ჰქონდა და გვერდით მორჩილად მიუჯდა.

— საით? — იკითხა ქვანიამ.

— თავად საით მიბრძანდებით? — დაინტერესდა მეგი. — არ მინდა, გზა გაგიმრუდოთ.

— შენ დარდი ნუ გაქვს! — აცმუკდა ქვანია. — სადაც მიბრძანებ, იქ მიგიყვან.

— მაშინ აქვე, პარალელურ ქუჩაზე მიმიყვანეთ, — გამომძიებლის გადაკრულ სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია მეგიმ და თავისი ბინის მისამართი დაუსახელა.

კმაყოფილმა ქვანიამ სიჩქარეს უმატა და რამდენიმე წუთში, მანქანა მეგის სახლის სადარბაზოსთან დაამუხრუჭა. მეგიმ მას მადლობა ცივად გადაუხადა და მანქანის კარი გააღო.

— ყავას მაინც არ დამალევინებ?.. — მაინც ითავხედა სულიკომ.

— სხვა დროს, ბატონო სულიკო! — თავი შორს დაიჭირა მეგიმ. — დღეს ძალიან დაღლილი ვარ.

— ახლა მე მკითხე, როგორ დავიღალე... — მაშინვე აწუწუნდა სულიკო. — მაინც, რა დღეში ჩაგვყარა იმ დამპალმა, არა, ჩემო მეგი?

— ვის გულისხმობთ? — შუბლი შეიკრა მეგიმ.

— ვის ვიგულისხმებ?.. დამპალ ანდრო სვანიძეს, — დაუკონკრეტა სულიკომ. — მაგრამ არა უშავს, კაცი არ ვიყო, თუ „სროკი" არ გავუორმაგო!

— ჯერ დაიჭირეთ და მერე იტრაბახეთ! — გაღიზიანდა მეგი.

— დავიჭერთ, ჩემო გოგონი, დავიჭერთ! — უკან მაინც არ დაიხია ქვანიამ. — და ამაში შენც დაგვეხმარები!

— საინტერესოა, ეს როგორღა წარმოგიდგენიათ, ბატონო სულიკო? — გამომძიებელი ინტერესით შეათვალიერა მეგიმ. — ან იქნებ, იმასაც ფიქრობთ, რომ საკუთარი კლიენტის დაჭერაში მართლა დაგეხმარებით?

— მე კი არა, მართლმსაჯულებას დაეხმარები, ქალბატონო მეგი! — ხმა გაიმკაცრა ქვანიამ. — თორემ...

— თორემ — რა? — ხმას აუწია მეგიმაც.

— რა, ჩემო კარგო და იცი, რომ ციხიდან გაქცევის ღამეს სვანიძეს შენს სახლთან მოჰკრეს თვალი?

— მერე? — აგდებულად ჰკითხა მეგიმ. — რატომ არ დაიჭირეს? ან იქნებ, ჩემს ნებართვას ელოდნენ?

— იმათ მარტო თვალთვალის უფლება ჰქონდათ. დასაჭერად მისულებს კი, ის დამპალი თვალსა და ხელს შუა გაუსხლტა. თუმცა, პირადად მე კარგად ვიცი, ვისთანაც ავიდოდა... — მეგის დახვეწილ პროფილს თვალი ვეღარ მოსწყვიტა სულიკომ.

— თქვენ წარმოიდგინეთ, მეც, — გვერდულად გახედა მას მეგიმ.

— მართლა? — ისევ აცმუკდა ქვანია. — მაინც ვისთან?

— ანდრო სვანიძე ჩემთან მოდიოდა, — გამომძიებლისკენ მთელი ტანით შებრუნდა მეგი და თვალი თვალში გაუყარა. — იმიტომ, რომ ჩვენს კორპუსში, ჩემ გარდა, არავის იცნობს...

— მერე?.. — მოთმინება დაელია ქვანიას.

— მერე — არაფერი... — ღიმილი ვეღარ შეიკავა მეგიმ. — კარი არ გავუღე...

— კი, მაგრამ რატომ? — ბავშვივით დასწყდა გული იმედგაცრუებულ გამომძიებელს.

— იმიტომ, რომ სტუმარი მყავდა და არავისთვის მეცალა...

— ვინ სტუმარი? — უკვე დაკითხვაზე გადავიდა სულიკო.

— ძალიან ახლობელი და სასურველი.

— რამდენად სასურველი?

— იმდენად სასურველი, ბატონო გამომძიებელო, რომ ანდრო სვანიძეს კი არა, იმ ღამეს კარს მამაზეციერსაც კი არ გავუღებდი!

— არ გეჩვენება, რომ მკრეხელობ?.. — საბოლოოდ ჩაქრა ქვანია.

— თქვენ კი, არ გეჩვენებათ, რომ უკვე დაკითხვას მიწყობთ?.. — ხმა გაიმკაცრა მეგიმ.

— კარგი!.. ბოდიშს გიხდი!.. — მაშინვე უკან დაიხია სულიკომ. — მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს...

— თქვენ კი, იქნებ, ის გაიხსენოთ — კოკასა შიგან რაცა სდგას, ყოველთვის იგივე რომ გადმოსდინდების... — საკუთარ ინტერპრეტირებულ პასუხზე გულში თავადვე გაეღიმა მეგის და მანქანიდან სწრაფად გადავიდა.

— დაილუპები, ჩემო მეგი, იცოდე, დაილუპები! — დაადევნა გამომძიებელმა...

— არა, არა!.. — უცბად ხმამაღლა წამოიძახა სასტუმრო ოთახში ბოლთის ცემით მოღლილმა მეგიმ და ტახტზე ჩამოჯდა. — რაღაც მართლა უნდა ვიღონო, თორემ, ჟვანია თავს ისე არაფრით დამანებებს. მაგრამ რა?.. — მაგიდიდან პულტი მექანიკურად აიღო მან და ტელევიზორი ჩართო.

ეკრანზე მარიკა პერტაიას გადიდებული სურათი გამოჩნდა.

— ესღა მაკლდა! — ტელევიზორი სასწრაფოდ სხვა არხზე გადართო მეგიმ, მაგრამ მალევე უკან დააბრუნა: — ვნახოთ, ერთი, როგორ ხოტბას შეასხამენ ქალბატონ მარიკას.

გადაცემის წამყვანი, მარიკა პერტაიას საქებარ სიტყვებს მართლაც, არ იშურებდა.

„აი, რას ნიშნავს ფულიანი შვილიკო! — ბოღმიანად გაიფიქრა მეგიმ. — ნეტავ, რამდენი დაუჯდა ჩვენს კახუჩელას უგემოვნოდ გაკეთებული სიუჟეტი?..“

ეკრანზე კადრი კადრს ცვლიდა და ხან წამყვანი და ხანაც კოლეგები მარიკას ქებით აღარ იღლებოდნენ. მეგიმ ტელევიზორის გამორთვა დააპირა, მაგრამ უეცრად, ეკრანზე ნაცნობი სახე გაკრთა.

„მოიცა, მოიცა! — თვალებს არ დაუჯერა მეგიმ. — ეს... ეს ხომ ციხის საავადმყოფოსთან მოჩვენებასავით რომ გამომეცხადა, ის ქალია... კი, კი, სწორედ ისაა... წუხანდელ სიზმარშიც ანდროს საჩუქარი ამან არ მომიტანა?.. მაგრამ მარიკა პერტაიასთან რა კავშირი აქვს?..“

— ის არის! — ხმამაღლა წამოიძახა უცბად მეგიმ და ციებიანივით აცახცახდა. — კატო მახარობლიძე — მარიკას ბებიაქალი!.. სწორედ ამან და მარიკამ მამშობიარეს!.. ახლა რაღა ვქნა?.. — აქეთ-იქით ფეთიანივით მიმოიხედა მან შემდეგ.

მოულოდნელად, შემოსასვლელ კარზე ენერგიული კაკუნი გაისმა. უამისოდაც წონასწორობიდან გამოსულ მეგის, კაკუნზე გული კინაღამ მართლა საგულედან ამოუხტა. შემდეგ კარს კანკალით მიუახლოვდა და საჭვრეტელში გაიხედა. კართან თამარ იმედაძე იდგა. მეგიმ მაშინვე შვებით ამოისუნთქა და მეზობელს კარი სწრაფად გაუღო.

— წეღან ნათესავმა დამირეკა, ტელევიზორი ჩართეო და... — შორიდან დაიწყო თამარმა.

— ვიცი, დეიდა თამარ, — გააწყვეტინა მეგიმ და თან, სადარბაზოში გაიხედ-გამოიხედა. — მეც ვუყურე... სახლში მობრძანდით... — განზე გადგა ის და მეზობელს გზა დაუთმო.

— ჰო, რა თქმა უნდა! — შეწუხდა თამარი და მაშინვე ჰოლში შევიდა. — ისე ვარ გახარებული, რომ ველარაფერს ვზომავ. იცანი?

— ვიცანი, — უპასუხა მეგიმ.

— ესე იგი ნამდვილად ის კატო მახარობლიძეა?

— კი, ნამდვილად ის არის.

— მაშინ, აგერ მისი მისამართი და ტელეფონი, ნათესავმა ჩამაწერინა, — ოთხად მოკეცილი ფურცელი გაუწოდა თამარმა.

— რომელმა ნათესავმა? — ვერ მიუხვდა მეგი.

— ხომ გითხარი, გინეკოლოგი ნათესავი მყავს და წეღან დამირეკა-მეთქი...

— ჰო, უცბად, აღარ გამახსენდა... — ფურცელი სწრაფად გაშალა მეგიმ და მისამართი რამდენჯერმე გადაიკითხა. — მოიცა, მოიცა! — ჩაფიქრდა ის შემდეგ. — ეს სულ სხვა მისამართია!.. გამოდის, რომ მაშინ, ციხის საავადმყოფოსთან ეს ქალი შემთხვევით სულაც არ შემხვედრია და ისიც მომატყუა, აქვე ვცხოვრობო... ესე იგი სპეციალურად მომძებნა, რომ ჩემთვის რაღაც ნიშანი მოეცა...

— მეგი, შვილო, რა ნიშანი? — გააწყვეტინა შეწუხებულმა თამარმა. — წესიერად ამიხსენი, რას ამბობ?

მეგიმ მეზობელს ამჯერადაც ყველაფერი დაწვრილებით უამბო...

— ახლა რას იზამ? — ჰკითხა თამარმა. — იმ ქალს შინ მიაკითხავ?

— რა თქმა უნდა, თანაც — ხვალვე.

— მეც შენთან ერთად წამოვალ.

— არა, დეიდა თამარ, არ გეწყინოთ, მაგრამ კატო მახარობლიძე მარტომ უნდა ვნახო, პირისპირ ველაპარაკო და ისიც ვკითხო — შენი გვარის პატრონმა, შვილის გამოგონილი სიკვდილი მაინც რა გულით „მახარე“-მეთქი?..

— კარგი, შვილო, როგორც შენ იტყვი... — დაეთანხმა თამარი. — ისე, მართლა რა სიმბოლური გვარი აქვს ამ ქალს!..

როგორც კი მეზობელი გაისტუმრა, მეგი მაშინვე ტელეფონს ეცა და კატო მახარობლიძის ნომერი აკრიბა. ზარი მალევე გავიდა და ყურმილში ახალგაზრდა ქალის სასიამოვნო ხმაც გაისმა:

— ალო, გისმენთ!

— მახარობლიძის ბინაა? — ხმა ძლივს დაიმორჩილა მეგიმ.

— დიახ.

— ქალბატონი კატო მინდოდა.

— ბებია მეზობელთანაა, ტელევიზორს უყურებენ... დავუძახო?

— არა, არა!.. — სასწრაფოდ იუარა მეგიმ. — ხვალ დავურეკავ.

— ხომ არაფერი გადავცე? — მაინც არ მოეშვა ქალი.

— არა, არაფერი... — თავი ისევ შორს დაიჭირა მეგიმ, მაგრამ მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, მაინც დაუმატა: — თუმცა, იცით რა?.. გადაეცით, მეგი ლალიძემ დაგირეკა-თქო!

— ვინ?

— მეგი ლალიძემ, — კიდევ ერთხელ გაუმეორა მეგიმ და ყურმილი სწრაფად დადო...

იმ ღამეს, მეგის თითქმის არ სძინებია, რადგან ჩათვლემდა თუ არა, მაშინვე კოშმარი კოშმარზე ესიზმრებოდა... ბოლოს, ერთმანეთს ვნებიანად ჩახუტებული კახა და ლანაც ესიზმრნენ. ისინი მეგის პატარა ბავშვებივით ეჭყანებოდნენ და ენასაც უყოფდნენ. „რაო? — ბოროტად ხითხითებდა ლანა. — გაზრდილი შვილი მოგინდა?.. ვერ მოგართვეს, ქალბატონო!..“

დილით მეგის, ოფლში გახვითქულს გამოეღვიძა, ლოგინიდან წელი ძლივს აითრია, სააბაზანოში ლასლასით გავიდა, თავი ოდნავ მოიწესრიგა და წასასვლელად მოემზადა. შინიდან გასვლამდე, კედლის გრძელი სარკისკენ თვალი ინსტინქტურად გაექცა.

— სულ ესა ხარ, მეგი ლალიძევ?!. — მხრებჩამოყრილი და თვალებამოღამებული საკუთარი გამოსახულება გაკვირვებით შეათვალიერა მან და უმალ წელში გასწორდა. შემდეგ კარი ხმაურით გაიხურა და კიბეზე სწრაფად დაეშვა.

პირველ სართულამდე რომ ჩავიდა, მისკენ ზურგით მდგარი ქალი შენიშნა, რომელიც ერთ-ერთ მეზობელს რაღაცას ეკითხებოდა.

— გამარჯობა, ლია დეიდა! — მიესალმა მეგი მეზობელს და გზა განაგრძო.

— მეგი, შვილო, შენ გკითხულობენ... — დაადევნა მეზობელმა.

— მე? — გაუკვირდა მეგის, უკან მიიხედა და მაშინვე ტყვიანაკრავივით შედგა: მის წინ საგანგებოდ მორთულ-მოკაზმული ლანა სვანიძე იდგა და იქედნურად იღიმებოდა.

— ვერ მიცანით, ქალბატონო მეგი? — ჰკითხა მან.

— გიცანით, მაგრამ... — დაბნეულად ჩაილაპარაკა მეგიმ.

— არ მელოდით, ხომ?

— ნამდვილად არ გელოდით...

— ალბათ, წინასწარ უნდა გამეფრთხილებინეთ, მაგრამ აქეთ მოვხვდი და ვიფიქრე — მოდი, შევუვლი, იქნებ, შინ დამხვდეს-მეთქი... — თავის მართლება დაიწყო ლანამ და მერე ისევ ლიას მიუბრუნდა: — თავს აღარ შეგაწყენთ, ქალბატონო, დიდი მადლობა!..

— არაფრის! — უპასუხა ლიამ, შინ შებრუნდა და ქალები ერთმანეთის პირისპირ დატოვა.

— სადმე ხომ არ დავმსხდარიყავით? —



ჰკითხა ლანამ მეგის. — სალაპარაკო მაქვს.

— ჩემთან ავიდეთ, — შესთავაზა მეგიმ.

— არა, ამდენად ვერ შეგაწუხებთ, — იუარა ლანამ, — თანაც, თქვენი არ ვიცი და მე, როცა საქმეზე მივდივარ, შინ შებრუნება ცუდად მაქვს დაცდილი...

— თქვენ წარმოიდგინეთ, მეც, — დაეთანხმა მეგი. — მაშინ, აქვე ახლოს ერთი პატარა მყუდრო კაფეა და იქ დავსხდეთ.

— კი, ბატონო, — დაეთანხმა ლანა.

ქალები მაგიდას მიუსხდნენ და მეგიმ ყავა შეუკვეთა...

— ვგიჟდები კარგ ყავაზე! — სასიამოვნო სურნელი კმაყოფილი სახით ჩაისუნთქა ლანამ და თვალები ვნებიანად მინაბა.

— გისმენთ, ქალბატონო ლანა, — სიამოვნება სწრაფად შეუმოკლა მეგიმ. — ბრძანეთ, რა მოხდა?

— ბევრი რამ მოხდა! — თვალი სწრაფად გაახილა ლანამ. — თანაც, მხოლოდ ცუდი.

— კერძოდ?

— რომელი ერთით დავიწყო?..

— რომლითაც გაგიხარდებათ.

— მაშინ, ჩემო კარგო... — მთელი ტანით წინ გადაიხარა და მეგის თვალი თვალში გაუყარა ლანამ. — იქნებ, ჯერ ის მიბრძანოთ, ჩემს ქმარს მარტო ადვოკატობას უწევთ თუ?..

— მანამდე იქნებ, დამიკონკრეტოთ, თქვენი ქმარი ვინ არის? — მშვიდად ჰკითხა მეგიმ.

— დამცინით?.. ვინ და ანდრო.

— თუ მახსოვრობა არ მღალატობს, ჩვენი პირველი შეხვედრისას, „მოქმედი“ ქმარი არ გყავდათ, ანდრო სვანიძეს კი, მხოლოდ ქმარყოფილად თუ მოიხსენიებდით...

— „ქმედითობის“ თვალსაზრისით, ახლაც ქმარყოფილია, — თვალები ეშმაკურად მოჭუტა ლანამ. — ოფიციალურად კი, მაშინაც და ახლაც, ჩემს კანონიერ ქმრად ითვლებოდა და ითვლება.

— მერე... ვინმე გედავებათ თუ?..

— შემომედავება და კაი ჩიტსაც დაიჭერს!

— ქალბატონო ლანა, — ყავის რამდენიმე ყლუპი დინჯად მოსვა მეგიმ და ფინჯანი ლამბაქზე უხმაუროდ დადგა, — თუ მხოლოდ ამის გარკვევა გაინტერესებდათ, ჩათვალეთ, რომ საკითხი ამოწურულია... — წამოდგომა დააპირა მან.

— მოიცათ! — შეაჩერა ლანამ. — ხომ გითხარით, ბევრი რამ მოხდა-მეთქი!.. და ანდროს სტატუსი მათ შორის, მთავარი სულაც არ არის.

— მაშინ არ შეიძლებოდა, რომ მთავრით დაგეწყოთ?.. — გაღიზიანდა მეგი.

— რა თქმა უნდა, შეიძლებოდა... უბრალოდ მეგონა, რომ ამით თქვენ გაგიწევდით კეთილ სამსახურს. თუ ანდროსთან ჩვენ-ჩვენს დამოკიდებულებას ბოლომდე გავარკვევდით, მერე სხვა ყველაფერიც უფრო იოლად დალაგდებოდა, — იქით დაადო ვალი ლანამ. — თანაც...

— ქალბატონო ლანა! — გააწყვეტინა მეგიმ. — ჩვენი პირველი შეხვედრისას, ისეთი აზრი გამიჩნდა, რომ მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი დიდად არ უნდა გიყვარდეთ და დღეს რაღა დაგემართათ?.. არ შეგიძლიათ, პირდაპირ და გასაგებად ამიხსნათ ყველაფერი?.. თუ სათქმელს თავს ვეღარ უყრით, მოგეშველებით და რამდენიმე კითხვას დაგისვამთ.

— მაინც რამ დაგაინტერესათ?

— თუნდაც იმან, ჩემი მისამართი საიდან გაიგეთ?

— ვერ ხვდებით, ვინ მეტყოდა?

— ვხვდები, მაგრამ ზუსტი პასუხი საქმეს ნამდვილად გააიოლებდა.

— მაშინ შემიძლია გაგახაროთ: კახა სუთიძემ.

— კახას გაქანების ამბავი რომ ვიცი, მარტო ჩემი მისამართის მოცემით არ შემოიფარგლებოდა...

— რა თქმა უნდა. ჩემმა ბავშვობის განუყრელმა მეგობარმა სხვაც ბევრი ყურადსაღები და გასათვალისწინებელი რამ მითხრა, — მრავალმნიშვნელოვნად გაეღიმა ლანას. — მაგალითად, თუნდაც ის, რომ თქვენ და ანდროს..

— ერთი წუთით! — ხელის აწევით შეაჩერა ლანა მეგიმ. — თუ გინდათ, რომ საერთოდ რამე გავარკვიოთ, მაშინ ფაქტებით ვილაპარაკოთ! ფაქტი კი ერთია და მარტივი: მე ანდრო სვანიძის ინტერესებს მხოლოდ როგორც ადვოკატი, ისე ვიცავ, ის კი ამაში ფულს მიხდის. გაკმაყოფილებთ ასეთი განმარტება?

— სავსებით. თუმცა, ერთი კითხვა კიდევ მაქვს.

— ბრძანეთ!

— ძალიან მაინტერესებს, ციხიდან გამოქცეული კლიენტის დახმარება თუ შედის ადვოკატის მოვალეობაში?

— რა თქმა უნდა, არ შედის! — წარბიც არ შეუხრია, ისე უპასუხა მეგიმ. — მაგრამ კიდევ ერთხელ გიმეორებთ, რომ თუ კახა სუთიძის ავადმყოფური ფანტაზიით იხელმძღვანელებთ, ჩვენი საუბარი, უბრალოდ, არ შედგება!

— კარგი, მაშინ ასე გკითხავთ: იმ ღამით, როცა ციხიდან პატიმრები გაიქცნენ, ანდრო რომ კარზე მოგდგომოდათ, შეიფარებდით? — თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა ლანამ.

— შევიფარებდი, — მშვიდად უპასუხა მეგიმ.

— რატომ?.. წეღან არ თქვით, რომ...

— იმიტომ, რომ დაჭრილი იყო... კიდევ იმიტომ, რომ თუ მე მომადგებოდა კარზე, ეს უკვე იმის ნიშანი იქნებოდა, რომ სხვამ ყველამ ხელი ჰკრა...

— მე ანდროსთვის ხელი არასოდეს მიკრავს! — წამოენთო ლანა. — მაგრამ იმ ღამეს, ჩემთან ნამდვილად არ მობრძანებულა.

— სწორადაც მოქცეულა: პოლიცია ხომ, პირველ რიგში, თქვენთან მოძებნიდა!

— პირველ რიგში, ჩემთან კი არა, მის კახპასთან ეძებდნენ, — კვლავ ბოღმიანად წამოიძახა ლანამ.

— ვიცი... მაგრამ ბატონი ანდრო ხომ არც დალისთან გამოჩენილა... თუმცა, დარეკვით კი, ნამდვილად დაურეკავს, — ფრთხილად შეაპარა მეგიმ.

— მართლა? — უმალ ყურები ცქვიტა ლანამ. — ხომ არ უთქვამს, სად ვარო?

— კონკრეტულად — არა, მაგრამ საქართველოში რომ აღარ არის, ეს ფაქტია.

— არ ვიცი, არ ვიცი... — ჩაფიქრდა ლანა. — კახა მარწმუნებს, ჯერ თბილისიდანაც კი ვერ გააღწევდა, ისეთი მძიმე ჭრილობა აქვსო...

— ხომ არ იცით, კახას შემთხვევით, ქირურგობაც ხომ არ დაუწყია?.. — ღიმილი ვეღარ შეიკავა მეგიმ.

— ალბათ, არა, — ირონიას უცბად ვერ მიუხვდა ლანა, — რატომ მეკითხებით?

— აბა, საიდან იცის, ანდროს რამდენად მძიმე და მოურჩენელი ჭრილობა აქვს? — კითხვაზე კითხვითვე უპასუხა მეგიმ.

— კარგი, მოვეშვათ კახას! — აღარც ლანამ ისურვა პირდაპირი პასუხის გაცემა. — მე ახლა ანდროს ამბავი უფრო მაღელვებს.

— სიმართლე გითხრათ, ცოტა კი მიკვირს, — ქვეშ-ქვეშ გაეღიმა მეგის, — სულ ცოტა ხნის წინ, ანდროსთვის ლამის საბოლოო განაჩენიც კი გამოტანილი გქონდათ...

— კი, მქონდა, — აღიარა ლანამ, — მაგრამ ახლა სიტუაცია შეიცვალა.

— თუ საიდუმლო არ არის, მაინც რა მოხდა?

— გავიგე, რომ ანდროს ანდერძი ჰქონია დაწერილი, სადაც ყველაფერს მიშიკოს და დედამისს უტოვებს.

— მაშინ, გშველებიათ და ეგ არის!

— ჩემს შვილს — კი, მაგრამ ჩემი საქმე უფრო რთულადაა...

— პირადად მე, აქ ვერანაირ სირთულეს ვერ ვხედავ, — თავი მოიკატუნა მეგიმ.

— მე კი ვხედავ! — უცბად, თვალები ბოროტად დააკვესა ლანამ. — მაგრამ ამაზე — ცოტა მოგვიანებით.

— როგორც გენებოთ!.. — დაეთანხმა მეგი და მაშინვე დასძინა: — შეიძლება, ერთი დეტალი მაინც დავაზუსტო?

— რა დეტალი? — კოპები შეკრა ლანამ.

— ანდერძის ამბავიც კახამ გითხრათ?

— არა, შალვა ოშხერელმა და მას შემდეგ, მოსვენებას აღარ მაძლევს — გინდა თუ არა, ცოლად უნდა გამომყვეო... გუშინდელს აქეთ, შალვას კახაც მიემატა და ლამისაა, მართლა გამარეკინონ!..

— კახას რაღა უნდა? — ხმა შეეცვალა მეგის.

— ალბათ, რაც ოშხერელს. თუმცა, კახას თავისი სურვილები ჯერ ამდენად არ დაუკონკრეტებია... — ქვეშ-ქვეშ გაეღიმა ლანას. — მაგრამ ვერ მივართვი! განა არ ვიცი, ორივეს ანდროს ქონებაზე რომ უჭირავს თვალი, თორემ, მე რაში ვჭირდები?!.

— რატომ? — მრავალმნიშვნელოვნად გაეღიმა მეგის. — მშვენიერი ქალი ხართ — ლამაზი, ტანადი... თანაც, თუ ამას ზედ, ყოფილი ქმრის დანატოვარი ათასებიც დაემატება, მამაკაცების თვალში თქვენი ფასი ერთიათად მოიმატებს. ასე არ არის?

— ძალიან კარგად იცი, რომ ასე არ არის! — უეცრად „შენობით“ ლაპარაკზე გადავიდა გაალმასებული ლანა.

— რას გულისხმობთ? — შეცბა მეგი.

— ყველაფერს!.. არა, მაინც როგორ კოხტად მოიწყვე ცხოვრება?!. გამოტყდი, ანდროს ანდერძიც შენ დააწერინე, ხომ, ერთგულო ადვოკატო?

— მე-ე? — მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი გულზე პატარა ბავშვივით მიიდო, ლანას უსწრაფესი სახეცვლილებით დამფრთხალმა მეგიმ. — მე ის ანდერძი თვალითაც კი არ მინახავს...

— ტყუი! — გააწყვეტინა წონასწორობიდან საბოლოოდ გამოსულმა ლანამ. — ანდერძიც ნანახი გაქვს და ისიც იცი, მიშიკოს დედაში ანდრო ვისაც გულისხმობდა!.. მაგრამ არც იოცნებო!.. მიშიკოს ნამდვილი დედა მე ვარ და ყოველთვის მე ვიქნები! შენ კი... შენ მხოლოდ იმ ბიოლოგიურ არსებად დარჩები, ვინც თავისი შვილი გაჩენისთანავე ბედის ანაბარად მიაგდო!..

— მორჩა! — უცბად, მაგიდას მუშტი ისე გამეტებით დაჰკრა მეგიმ, რომ ირგვლივ მსხდომნი გაოცებული მიაშტერდნენ. — მორჩა... — ხმას ოდნავ დაუწია მან შემდეგ და თავადაც შენობით ლაპარაკზე გადავიდა: — ვის-ვის და შენ ჩემთვის ამის თქმის უფლება ნამდვილად არა გაქვს! რადგან ძალიან კარგად იცი — მე ჩემი შვილი კი არ მივაგდე — გულიდან დაუნდობლად ამაგლიჯეს, რომ შენთვის გულის გადასაყოლებლად გადმოელოცათ!..

***გაგრძელება იქნება***





**მთელ იტალიაში არ მოიძებნება ადამიანი, ჩელენტანოს რომ არ იცნობდეს. როგორც ამბობენ, ის ესტრადის მომღერალთა შორის, ერთადერთია, ვინც იტალიელთა საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა. მას უცხოეთშიც კარგად იცნობენ. ერთნი მისმა სიმღერებმა მოხიბლა, მეორენი კინოროლებმა, მესამენი კი, მას, როგორც დრამატურგს, ისე იცნობენ.**

# 40-წლიანი ოჯახის ტყვედ ქცეული ჭირვეული ჩელენტანო

იგი იმდენად მრავალმხრივი და უჩვეულო ადამიანია, რომ იტალიელები ამბობენ: ყველას თავისი ჩელენტანო ჰყავსო. ისეთებიც არიან, რომლებიც მას უტიფარ მეტიჩარად, „მოურჯულებელ მომრჯულებლად“ მიიჩნევენ. მიუხედავად ამისა, ადრიანოს მორჯულება მისმა მეუღლემ, კლაუდია მორიმ შესანიშნავად შეძლო.

წელს, მან და 66 წლის ჩელენტანომ ოჯახური თანაცხოვრების 40 წლის იუბილე იზეიმეს. ამ მოვლენის აღსანიშნავად გამართულ საზეიმო ვახშამს ესწრებოდნენ მათი ქალიშვილი, ცნობილი ტელეწამყვანი როზინა, ვაჟიშვილი ჯაკომო, ოჯახის რამდენიმე მეგობარი და პადრე უგოლინო, რომელმაც სპეციალური წირვა ჩაატარა. ღრმად მორწმუნე ჩელენტანო წირვის დაწყებამდე ერთი საათით პადრესთან განმარტოვდა. მამა უგოლინო საიუბილეო ვახშამზე შემთხვევით არ აღმოჩენილა. 40 წლის წინათ, ღამის 3 საათზე, პაპარაცებისგან მალულად სწორედ მან დასწერა ჯვარი ადრიანოსა და კლაუდიას. ჟურნალისტები არც ახლანდელ ზეიმზე დაუშვეს. მოწვეულ სტუმრებს ისინი ნახევარი კილომეტრის სიშორიდან ადევნებდნენ თვალს.

ადრიანოსა და კლაუდიას ხანგრძლივი ოჯახური კავშირი შოუბიზნესის სამყაროში საკმაოდ იშვიათი მოვლენაა. ისინი 1963 წელს ფილმ „უცნაური ტიპის“ გადაღებებზე შეხვდნენ და ერთმანეთი დანახვისთანავე შეუყვარდათ. ერთი წლის შემდეგ დაქორწინდნენ და დღემდე განუყრელნი და ბედნიერნი არიან.

მაყურებლის მომავალი კერპი ჩრდილოეთ იტალიის ერთ-ერთი ინდუსტრიული ქალაქის მუშათა კვარტალში დაიბადა, სადაც სიღარიბეს გამოქცეული მისი ოჯახი სამხრეთიდან გადასულა საცხოვრებლად. თავდაპირველად, ჩელენტანო საათების სახელოსნოში შეგირდად მუშაობდა (თავისუფალ დროს დღესაც უყვარს საათების შეკეთება) და სცენისმოყვარულთა სპექტაკლებში გატაცებით მონაწილეობდა. მუსიკალური ნიჭიც გამოავლინა და იმპრესარიოს ყურადღება მიიპყრო. ადრიანო როკ-ენ-როლის კონკურსებზე საკუთარ სიმღერებს ასრულებდა და სახელიც მალე გაითქვა. ერთხელ, რომელიღაც სატელევიზიო გადაცემაში მონაწილეობისას მაყურებელს მიმართა: „მე მშვიდობის მომხრე ვარ, თუ თქვენც მეთანხმებით, მაშინ, ორი წუთით ტელევიზორები გამორთეთ!“ — და ორმილიონიანმა აუდიტორიამ ტელევიზორები მაშინვე გათიშა.





მეუღლესთან ერთად

20-წლიანი შესვენების შემდეგ, 1999 წელს ჩელენტანო „დიდ მუსიკას“ დაუბრუნდა. დაუოკებელი ჭირვეულის იერის ერთგული, ესტრადაზე ისევ ხმაურით აიჭრა და „რადიო-დუე“-ს ტელეარხზე 60-70-იანი წლების სიმღერებით უფროსი თაობის მაყურებელს, მთელი დღის განმავლობაში, ნოსტალგიური ცრემლი ადინა. ის ახალ შლაგერებს ასრულებდა, მხიარულად ოხუნჯობდა, გესლიან სატელეფონო ზარებს მახვილგონივრულად იგერიებდა და რაღა თქმა უნდა, ბევრს ჰყვებოდა თავისი კარიერის პერიპეტიებზე.

მას შემდეგ ყოველწლიურად უშვებს კომპაქტდისკს, რეგულარულად მართავს კონცერტებს. მის კარიერაში ოცწლიანი პაუზის შესახებ დასმულ შეკითხვებზე პირდაპირ პასუხის გაცემას კი, რატომღაც თავს არიდებს. როდესაც 60 წელი შეუსრულდა, მან სრულიად გულწრფელად განაცხადა: „ჯერ მხოლოდ ნახევარი ცხოვრება გავლიე“. სხვათა შორის, სწორედ იუბილეს წინ, ქურდებმა მისი ვილა გაძარცვეს და კლაუდიას ძვირფასეულობა მოიპარეს. მძარცველთა საბედნიეროდ, სახლის პატრონი შინ არ იყო. „თორემ, ისეთივე დღე დაადგებოდათ, როგორიც ჩელენტანოს მტრებს კინოში ადგებათ ხოლმე“ — განაცხადა შემთხვევის ადგილზე მისულმა ერთ-ერთმა კარაბინერმა.



მეუღლესთან ერთად

ერთი შეხედვით აწოწილი, მაგრამ საოცრად მოძრავი ჭაბუკის, მაყურებელთან პირველი შეხვედრის შემდეგ, თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა. ჩელენტანოს უწინდელი პლასტიკურობა არ დაუკარგავს, მისი გონება უფრო სხარტი, სიტყვა კი მახვილი გახდა.



შოუბიზნესში ტრიუმფულ დაბრუნებას უსიამოვნებების გარეშე არ ჩაუვლია. წარმოდგენის დროს, რომელსაც „125 მილიონი ბოდვა“ ერქვა, მან ფეხი მოიტეხა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც მეორე სახელოვან იტალიელთან დარიო ფოსთან (რეჟისორი, ლიტერატორი, ნობელის პრემიის ლაურეატი) ერთად ცეკვავდა. ცეკვის დროს ჩელენტანოს ფეხი დაუცდა და დაეცა. დარიო ფოს ეგონა, ხუმრობსო და წამოყენება დაუპირა, მაგრამ ადრიანო სიმწრისგან აბლავლდა.

იტალიურ შოუბიზნესში ჩელენტანომ პირველაღმომჩენის ტიტულიც მიიღო, როდესაც პირადი არტისტული სავაჭრო მარკა „კლანის“ პატენტი აიღო.

ადრიანო ჩელენტანოს ღრმად მორწმუნე ადამიანად იცნობენ, მიუხედავად ამისა, მას კათოლიკურ ეკლესიასთან ფრიად გართულებული ურთიერთობები აკავშირებს. როგორც ჩანს, წმინდა მამები ვერასოდეს აპატიებენ დაუფიქრებლად წამოსროლილ ამგვარ ფრაზას: „ჩემთვის ღმერთი ყველა დროის უდიდესი კომიკოსია, მთელი ჩვენი ცხოვრება ხომ მისი შექმნილია“. ვატიკანი ხომ მსგავს გამოთქმებს ფრიად მტკივნეულად აღიქვამს. ჩელენტანოს მრავალგზის სდებდნენ ბრალს „სატელევიზიო პროტესტანტიზმის“ დამკვიდრებაში, რაც ქვეყნის კათოლიკურ საფუძვლებს ძირს უთხრის.

მიუხედავად იმისა, რომ ჩელენტანო ხშირად საუბრობს თავისუფლებისადმი უდიდეს სიყვარულზე, ცხოვრებაში იგი ოჯახის ტყვე აღმოჩნდა. ის აღმერთებს მეუღლეს, რომელსაც რამდენიმე სიმღერა მიუძღვნა. კლაუდია, თავის მხრივ, განსაკუთრებით აღნიშნავს ადრიანოს აბსოლუტურ პატიოსნებას. „კონფლიქტური სიტუაციის მოსაგვარებლადაც კი, იოტისოდენა ტყუილის თქმაც არ შეუძლია“ — გამოტყდა ერთ-ერთ ინტერვიუში კლაუდია მორი. მეუღლის ყველაზე დიდ ნაკლად კი სიჯიუტე მიაჩნია. „არავის არაფერში ეთანხმება, ვინც რა უნდა იფიქროს მასზე, ის მაინც თავისას აწვება“. ქმრის სიჯიუტე, რასაც სხვაგვარად შესაძლოა, მიზანსწრაფვაც ვუწოდოთ, როგორც ამბობენ, კლაუდიასაც გადაედო. ის ხომ 40 წელია, ქმართან ერთად იზიარებს ჭირსაც და ლხინსაც. 1970 წელს მათ ერთად გაიმარჯვეს სან-რემოს ფესტივალზე სიმღერით „ვინც არ მუშაობს, მისთვის სექსიც აკრძალულია“.

ბოლო წლებში კლაუდიამ უარი თქვა სამსახიობო კარიერაზე და მთლიანად ოჯახზე გადაერთო. მთელ დროს ქმართან ერთად ატარებს. ერთდროულადაა მისი ადვოკატიც, იმპრესარიოც და მდივანიც. ადრიანო მეუღლეს „მფარველ ანგელოზს“ უწოდებს, რომლის წყალობითაც შეძლო სახელის მოხვეჭა. ■



## ლიუკ ბესონი მულტფილმს გადაიღებს



ფრანგმა რეჟისორმა და პროდიუსერმა საკუთარი საბავშვო წიგნების სერიის მიხედვით სრულმეტრაჟიანი მულტფილმის გადაღება გადაწყვიტა. ეს სერია, საერთო სათაურით „არტური“, პარიზში უკვე რამდენიმე წელია, რაც გამოდის და 10 წლის განძის მაძიებელ ბიჭუნაზე მოგვითხრობს, რომელიც ზღაპრული ჯუჯების სამყაროში აღმოჩნდა.

ფილმში ერთ-ერთ მთავარ როლს მადონა გაახმოვანებს. მულტფილმის ინგლისურენოვანი ვერსიის ბიუჯეტი 80 მლნ დოლარს გადააჭარბებს და მისი პრემიერა 2006 წელს შედგება. ■

## მადონა გაი რიჩის კიდევ ერთ შანსს აძლევს

ბოლო ფილმის მარცხის მიუხედავად, ვარსკვლავური წყვილი ფარ-ხმალს არ ყრის და ახალი ოჯახური პროექტის განსახორციელებლად ემზადება. ამ დღეებში, ლონდონში ახალი განგსტერული ფილმის — „რევოლვერის“ გადაღება იწყება, რომლის რეჟისორი გაი რიჩია („ბანქო, ფული და ორი ლულა“, „დიდი მოგება“), მაფიის ბოსის მთავარ როლს კი, მადონა შეასრულებს. სურათში, გაი რიჩის წარმატებული ფილმების ვარსკვლავი ჯეისონ სტატემიც ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ გაი რიჩის მიერ 2002 წელს




გადაღებული ფილმის — „წაღებულნის“ რიმეიკი, რომელშიც მთავარ როლს მადონა თამაშობს, კრიტიკამ და მაყურებელმა ცუდად მიიღო. ერთ-ერთი ჟურნალისტი იმასაც კი წერდა — სიტყვა „ცუდის“ ათჯერ უფრო ძლიერი სინონიმი უნდა მოიძებნოს, რომ ამ ფილმის შესაფასებლად გამოდგესო... სურათმა „ოქროს ჟოლოს“ კონკურსზე ანტიპრემიების უხვი მოსავალი მოიწია. ■

## ბენ აფლეკი და ჯენიფერ გარნერი ხალხში გამოჩნდნენ

ეჭვები ბენ აფლეკისა და ჯენიფერ გარნერის სავარაუდო რომანის შესახებ მაშინ გაიფანტა, როდესაც შეყვარებული წყვილი ბეისბოლის ერთ-ერთ მატჩზე ერთად გამოჩნდა.

ბენი Boston Red Sox-ის ძველი თაყვანისმცემელია და რა გასაკვირია, თუ მატჩის მღელვარე წუთების გასაზიარებლად ახალი გელფრენდი დაპატიჟა?.. ვარსკვლავურ წყვილს გრძნობების დაფარვა არც უცდია, პრესისა და მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლის ყურადღების მიუხედავად, ერთმანეთს თავდაუწყებით კოცნიდნენ და ეალერსებოდნენ. ბენ აფლეკი ახალ რომანს უკანასკნელ დრომდე მკაცრად ასაიდუმლოებდა. ჯენიმ და ბენმა ერთმანეთი ფილმის — „Daredevil“ გადაღებებზე გაიცნეს, მაგრამ გრძნობებმა გაცილებით გვიან იფეთქა — მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბენ აფლეკი ჯენიფერ ლოპესს დაშორდა. ■



## „გარუ ახალგაზრდაა, მაგრამ კუტუნიოს „ფერარი“ ჰყავს“...

ცოტა ხნის წინ, მოსკოვში ჩატარდა კონცერტი სახელწოდებით — „იტალიელთა არაჩვეულებრივი თავგადასავალი კრემლში“. როგორც ცნობილი გახდა, იტალიური ესტრადის ვარსკვლავები სიმღერასთან ერთად, გზადაგზა პირადი ცხოვრების მოწყობასაც ცდილობდნენ. გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ ცნობით, წარსულში პოპულარული იტალიელი მომღერალი ტოტო კუტუნიო, მიუზიკლში — Notre Dame de Paris ესმერალდას პარტიის შემსრულებელს, რუს მომღერალ სვეტ-



ლანა სვეტიკოვას სიყვარულში გამოუტყდა. სვეტიკოვას ხილვით გაოგნებული კუტუნიო პირველ დღეს, ხშირ-ხშირად იმეორებდა იტალიურად: „მზეთუნახავი... მზეთუნახავი...“ მეორე დღეს კი, უკვე რუსულად ახერხებდა: „მე შენ მიყვარხარ“... ტოტო ამ მწირი ლექსიკონით სვეტიკოვას პირდაპირ სცენაზე გამოუტყდა სიყვარულში, ხელი, გული და ამასთანავე, იტალიაში გამგზავრებაც შესთავაზა და როდესაც ოთხსაათიანი კონცერტი მათი დუეტით დასრულდა, იტალიელმა მომღერალმა მისთვის მირთმეული ყვავილები, უკლებლივ, გულის სწორს გადასცა. როგორც გაზეთმა გაარკვია, კუტუნიო ერთადერთი არ არის მათ შორის, ვინც „ესმერალდას“ გულის დაპყრობას ცდილობს. რამდენიმე თვის წინ, მან Notre Dame de Paris-ის ფრანგულ ვერსიაში კვაზიმოდოს პარტიის შემსრულებელი, კანადელი პიერ გარუსაგან უკვე მიიღო ანალოგიური წინადადება. მაშინ მათ შორის „საკმაოდ თბილი ურთიერთობა“ დამყარდა და წყვილმა პეტერბურგშიც კი გაისეირნა. შეკითხვაზე — თუ ვის სასარგებლოდ გააკეთებს არჩევანს, სვეტლანა ჯერ მხოლოდ მერკანტილური ხუმრობით პასუხობს: „გარუ ახალგაზრდაა, მაგრამ ტოტოს წითელი „ფერარი“ ჰყავს...“ ■

## პეკინური ჩამოსხმის Prius

იაპონურმა კორპორაცია Toyota-მ გამოაცხადა, რომ 2005 წლიდან, ჰიბრიდულამძრავიანი (ელექტრომოტორისა და შიგაწვის ძრავას კომბინაცია) Prius-ს პეკინშიც ააწყობენ. ოღონდ მანამდე, ჩინეთის მხრიდან იაპონელ ავტომწარმოებელთა პარტნიორს, კომპანია FAW-ს „ტოიოტამ“ ამ მოდელის საკუთარი მოდიფიკაციის წარმოების უფლება უნდა მისცეს. ერთობლივი პროექტი, იაპონური კომპანიის თავისებური პასუხია ჩინეთის მთავრობის საგანგებო პროგრამაზე, რომლის მიხედვითაც, ამ ქვეყანაში გამოშვებულმა ავტომანქანებმა 2010 წლისთვის, 15%-ით ნაკლები საწვავი უნდა მოიხმაროს, ვიდრე 2003 წელს.



ერთობლივი საწარმოს ჩამოყალიბება იაპონიის მთავრობამ უნდა დაამტკიცოს, რადგან საქმე მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტს შეეხება. როგორც ცნობილია, „ტოიოტამ“ პირველმა შექმნა ჰიბრიდული ამძრავი. მისი ლიცენზიები იაპონურმა ავტოგიგანტმა უკვე მიჰყიდა თავის კონკურენტებს – „ნისანსა“ და „ფორდს“. ამასთანავე, განხილვის პროცესშია „პრიუსის“ აშშ-ში გამოშვებაც. საქმე ის გახლავთ, რომ ჩრდილოეთ ამერიკაში აღნიშნული მოდელი დიდი პოპულარობით სარგებლობს და მოთხოვნა ბევრად აჭარბებს მიწოდებას, რის გამოც, ბევრ მომხმარებელს მის საყიდლად თვეობით ცდა უწევს. აშშ-ში Prius-ის ფასი 20 ათას დოლარს შეადგენს. „ტოიოტას“ ჰიბრიდული მოდელის დებიუტი იქ ჯერ კიდევ 1997 წელს შედგა, ხოლო ევროპაში მისი ექსპორტირება 2000 წელს დაიწყო. მხოლოდ შარშან აშშ-ში 43 ათასი „პრიუსი“ გაიყიდა. კომპანიის მესვეურების ვარაუდით, უახლოეს პერსპექტივაში, ჰიბრიდული ავტომანქანების მოცულობა მსოფლიო ბაზარზე 300 ათასს მიაღწევს. ცოტა ხანში, მსგავსი მანქანების გამოშვებას კომპანიები – „ფორდი“, „ნისანი“ და „ჯენერალ მოტორსი“ გეგმავენ. მათ გაუსწრო „ჰონდამ“, რომელიც ჰიბრიდულამძრავიან მოდელს – Civic-ს უკვე აწარმოებს. ■

## Bentley მომხმარებლებს ახალ პაკეტს სთავაზობს




ინგლისური ფირმა „ბენტლი“ თავის კლიენტებს სთავაზობს ოპციათა ახალ პაკეტს მოდელისთვის Continental GT. მასში შედის: 220-დუიმიანი მსუბუქშენადნობიანი საბორბლე დისკები, ალუმინის პედლები, სალონისთვის განკუთვნილი ორფერიანი ტყავის კომბინაცია და მუქი კაკლის ხის დეკორაციული პანელი. „კონტინენტალის“ მყიდველებს საშუალება ექნებათ აგრეთვე, შეუკვეთონ ტყავგადაჭიმული საჭე, ალუმინით მოპირკეთებული ხელსაწყოთა პანელი და საწვავის ავზის დეკორაციული თავსახური. ოპციათა პაკეტი შემუშავებულია ფირმა Mulliner-ის მიერ, რომელიც „ბენტლის“ ეკუთვნის და საავტომობილო აქსესუარების სფეროშია დახელოვნებული. აღნიშნული პაკეტის ფასია 7.350 ევრო, რაც შეეხება თვით ავტომანქანას – Continental GT, ის 141.555 ევრო ღირს (ამ თანხაში არ არის გათვალისწინებული გადასახადები). ■

## სრულამძრავიანი VW Transporter

გერმანული კონცერნი Volkswagen პირველი ევროპელი მწარმოებელია, რომელმაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და რუსეთში სრულამძრავიანი ე.წ. კომერციული ავტომანქანის ექსპორტირება დაიწყო. Volkswagen Transporter 4Motion 3,2 ლ მოცულობისა და 235 ცხ.ძ. სიმძლავრის ბენზინის ან 2,5 ლ მოცულობის ორ (130 ცხ.ძ. და 174 ცხ.ძ. სიმძლავრის) დიზელის ძრავებითაა აღჭურვილი. სისტემის – 4Motion წყალობით, ძრავა გზის ხარისხის მიხედვით ირჩევს მუშაობის ოპტიმალურ რეჟიმს, რისი წყალობითაც, დატვირთვა თანაბრად ნაწილდება მანქანის ოთხ ბორბალზე. VW Transporter-ს რამდენიმე, მათ შორის სატვირთო ვერსიაც აქვს.



■



# ნინო კურატაშვილი: „...ვიზაჟისტი პრეზიდენტმა წამართვა, სტილისტი კი პარლამენტის თავმჯდომარემ“

**მომხიბვლელი ტელეწამყვანი ნინო კურატაშვილი აღიარებს, რომ სამზარეულოსთან შეხება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში აქვს. ასეთი შემთხვევა კი, ნინოს ცხოვრებაში დიდ იშვიათობას წარმოადგენს. უმეტესად, გარეთ სადილობს. თუკი მოხდა საოცრება და სადილის დროს შინ მივიდა, საყვარელი კერძი უკვე გამზადებული ხვდება. საოჯახო საქმეებს, ძირითადად, დედა და ბებია აკეთებენ... ნინოს ერთი რეცეპტი მაინც გამოვტყუეთ, თუმცა მხოლოდ რჩევების ჩაწერით არ შემოვიფარგლეთ და ისიც შევიტყვეთ, რომ მშვენიერ ჟურნალისტი შეყვარებულია.**

*ნინო მურღულია*

– არც კი ვიცი, რა გითხრათ. როდესაც ჩემს კულინარიულ შესაძლებლობებზე მეკითხებიან, ყოველთვის ვპასუხობ – ვაიმე-მეთქი!.. საოჯახო საქმეებს დედაჩემი და ბებია აგვარებენ. შინ, ფაქტობრივად, არ ვარ. სამზარეულოში მხოლოდ ზაფხულში თუ მნახავთ. სალათების მომზადება მეხერხება და ზოგჯერ ვაკეთებ ხოლმე. ძალიან მიყვარს სალათი „ცეზარი“, რომელიც შემდეგი ინგრედიენტებით მზადდება: შემწვარი ქათამი, მაიონეზი, ორცხობილას პატარა ნაჭრები, სოკოს მარინადი; ამ ყველაფერს ერთმანეთში ავურევთ და სალათა მზად არის.

**— ახლა ოჯახის წევრებთან ერთად ცხოვრობ. ცალკე საცხოვრებლად გადასვლას არ აპირებ?**

– ასე ცხოვრება ჩემთვის კომფორტულია. მომწონს, როცა ოჯახში საქმიანობა არ მიწევს, რადგან ამ პრობლემას სხვები მიგვარებენ *(იცინის)*. ახლო მომავალში – არა, მაგრამ საერთოდ, საცხოვრებლად ცალკე გადასვლაზე ვფიქრობ. ასეც რომ მოხდეს, არა მგონია, რომ სამზარეულოს მოწყობაზე გამორჩეულად ვიზრუნო. სამსახურში საკმაოდ გადატვირთული გრაფიკი მაქვს, მთელი დღე სახლში ვერ ვიქნები. ამას ისიც ემატება, რომ ვცდილობ, გარეთ ვისადილო ხოლმე და აქედან გამომდინარე, სამზარეულოში ბევრი საქმე მაინც არ მექნება. განსაკუთრებით მიყვარს ჩინური სამზარეულო და ხშირად ვსტუმრობ ჩინურ რესტორანს.

**— შენ და პრეზიდენტს ერთნაირი გემოვნება გქონიათ. მიხეილ სააკაშვილიც ხშირად დადის ჩინურ რესტორანში. შემთხვევით იქ ხომ არ შეგხვედრია?**

– რამდენადაც ვიცი, უპირატესობას იაპონურ სამზარეულოს ანიჭებს. არასდროს შევხვედრივარ ჩინურ რესტორანში.

**— როდესაც რაიმე კერძს გასინჯავ, მისი მომზადების წესით ინტერესდები?**

– ერთი პერიოდი, მართლაც, ვინტერესდებოდი. მაგრამ ეს მაშინ იყო, როდესაც არ ვმუშაობდი. დედაჩემს ხშირად ვურეკავდი და ამა თუ იმ კერძის რეცეპტს მისგან ვიწერდი. საერთოდ ვფიქრობ – როცა მთელი დღე სახლში ყოფნა გიწევს და იძულებული ხარ, იმაზე იფიქრო, თუ რა უნდა გააკეთო სადილად, უფრო უხალისოდ ამზადებ. როცა განწყობილების მიხედვით და შენი სურვილისამებრ მოქმედებ, მაშინ უფრო გემრიელი გამოგდის.

**— ალბათ, შენს კულინარიულ საქმიანობასთან დაკავშირებით რაიმე სასაცილო ამბავსაც გაიხსენებ.**

– როგორც გითხარი, ერთი პერიოდი, ამ სფეროში ძალიან მონდომებული ვიყავი. იმ დროს ჩემთან სახლში სტუმრიანობა იყო ხოლმე. მეგობრების ერთი პარტია მიდიოდა და სხვები მოდიოდნენ. დედაჩემმა და ჩემმა ნათლიამ ხელი წამაშველეს და ნიგვზიანი ხარჩო დიდი ქვაბით მომიმზადეს. რასაკვირველია, ამით აღფრთოვანებული დავრჩი და ჩემს მეგობრებს შევთავაზე. როცა სადილობას მოვრჩით, ჭურჭლის რეცხვას შევუდექი. უეცრად ბრახუნი გაისმა, შემოვტრიალდი და რას ვხედავ?.. ხარჩოთი გავსებული ამხელა ქვაბი გადმოვარდნილა და მთელი სამზარეულო ნიგვზიანი მასითაა მოსვრილი: რატომღაც გაზქურის თავსახური თავისით დაკეტილა და ქვაბს დასცემია!.. რაღას ვიზამდი?.. რამდენიმე საათი დამჭირდა, რომ კედლები და იატაკი გამეწმინდა, თვითონაც ამოვიგანგლე... ნერვიულობისგან ისტერიკული სიცილი ამიტყდა, ისეთი სახე მქონდა, რომ ვერავინ მიახლოვდებოდა... ჩემი და სამზარეულოს ურთიერთობა, ძირითადად, ასეთი შედეგით მთავრდება ხოლმე.

**— სახლის დალაგებაც არ გიყვარს?**

– აუცილებელია და ვაკეთებ. არ მესმის, რატომ უნდა გიყვარდეს სახლის დალაგება. ზოგ ქალს ჭურჭლის რეცხვა, გარდერობის დალაგება სტრესის დაძლევაში ეხმარება. მაგრამ დეპრესიის გადასატანად, მე სამსახური მაქვს, სადაც თავიდან ბოლომდე ვიხარჯები, ამიტომ სხვა საშუალებებს არ მივმართავ...

ხშირად წამიკითხავს, რომ ქალს ხასიათს მაღაზიებში სიარული და თუნდაც უმნიშვნელო რაღაცის შეძენა გამოუკეთებს ხოლმე. ეს ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი. თუმცა, თბილისში ტანსაცმლის მაღაზიებში სიარული არანაირ სიამოვნებას არ მანიჭებს. პარფიუმერია კი, საათობით შემიძლია ვათვალიერო და საკმაო თანხაც დავხარჯო თავის მოვლის საშუალებებში... ვიცი აგრეთვე, რომ როცა ქალი ცუდ გუნებაზეა, მისთვის ზედგამოჭრილია სილამაზის სალონში ვიზიტი. მთელი ცხოვრება მოკლე ვარცხნილობაზე ვოცნებობ, მაგრამ მეტისმეტად ხუჭუჭი თმა ამის საშუალებას არ მაძლევს. არც თმის ფერს ვიცვლი ხოლმე რადიკალურად. ამ თვალსაზრისით, სტაბილური ადამიანი ვარ.

იშვიათად ხდება, რომ ჩემს სტილისტს არ სცალია და სხვასთან წასვლა მიწევს. თუმცა, ამ ბოლო დროს, ნინო ბურჯანაძემ ჩემს სტილისტთან დაიწყო სიარული და ხშირად ისეც ხდებოდა, რომ ჩვენი ვიზიტი ერთსა და იმავე დროს ემთხვეოდა. ამასთან დაკავშირებით ვხ-

უმრობ კიდეც — ვიზაჟისტი პრეზიდენტმა წამართვა, ხოლო სტილისტი — პარლამენტის თავმჯდომარემ-მეთქი.

**— სახლიდან ყოველთვის მოწესრიგებული გადიხარ?**

— ალბათ, ქალისთვის სავალდებულოა, რომ სულ ფორმაში იყოს და მეც ვცდილობ, მოუწესრიგებელი არ გავიდე. გამორიცხულია, რომ ვინმემ ჩუსტებში გამოწყობილი დამინახოს, პურის მაღაზიასთან *(იცინის)*... თავს ვუვლი იმ საშუალებებით, რომლებსაც პარფიუმერიის მაღაზიებში ვყიდულობ. მაქვს სურვილი, რომ თვითონაც დავამზადო სხვადასხვა კომპონენტისგან ნიღბები და მოვსინჯო, მაგრამ ამისთვის დრო არ მყოფნის. ვიცი, რომ თმისთვის კარგია მაიონეზი, მაგრამ არასდროს მიცდია. ზეითუნის ზეთი კანისთვისაა კარგი.



***ამ შემთხვევაში, ჩემმა რჩეულმა დიდხანს ფიქრის დრო და საშუალება არ მომცა***

**— ქალები თავს იმიტომ უვლიან, რომ მამაკაცებს მოაწონონ თავი. რას ურჩევ ჩვენს მკითხველს — როგორ უნდა შეაყვარონ თავი სასურველ მამაკაცს?**

— საერთოდ, უნივერსალური რეცეპტი არ არსებობს. როცა ადამიანის მიმართ კარგად ხარ განწყობილი, გარეგნულად აუცილებლად გეტყობა. რასაკვირველია, ქალი მომხიბვლელად უნდა გამოიყურებოდეს. ისე, საინტერესოა, ამ კითხვაზე მამაკაცები რა პასუხს გასცემენ?.. სპეციალურად არაფერს ვგეგმავ, რომ სასურველ ადამიანს თავი მოვაწონო, თავისთავად ხდება ხოლმე...

**— აბეზარ თაყვანისმცემლებს როგორ იშორებ თავიდან?**

— მირჩევნია, რომ ასეთებთან საერთოდ არ მქონდეს ურთიერთობა. რასაკვირველია, უხეშად არავის ვექცევი, მაგრამ აშკარად ვაგრძნობინებ, რომ მისდამი სიმპათია არა მაქვს. სახეზეც მეტყობა ხოლმე *(იცინის)*. ასე რომ, თავის მობეზრებას ვერ ასწრებენ. ერთ-ერთ ჟურნალში დაბეჭდილ ჩემს ინტერვიუს ბათუმელი ბიჭი გამოეხმაურა, რომელმაც მომწერა — შენს სანახავად ფეხით მოვდივარო. რასაკვირველია, ჩვენი შეხვედრა არ შედგა, სრულიად უცნობ ადამიანს არც შევხვდებოდი. მაგრამ ვფიქრობ, რომ ძალიან რომანტიკული ადამიანია. სურათიც კი გამოაგზავნა, სადაც, სამწუხაროდ, თვითონ არ ჩანდა *(იცინის)*... საერთოდ კი, ვთვლი, რომ დღევანდელ ქართველ მამაკაცებს ფანტაზიის უნარი შეზღუდული აქვთ და ვერაფრით გვაკვირვებენ.

**— ამას წინათ მითხრეს — ნინო კურატაშვილი ფრიად სიმპათიურ კავალერთან ერთად დავინახეთო. გათხოვებას ხომ არ აპირებ?**

— როგორც ჩანს, ბევრს აქვს სურვილი, რომ დამაკვალიანოს. ჩემ შესახებ იმდენჯერ გამიგონია — თხოვდებაო, რომ ვერც დავითვლი. მინდა გითხრა, რომ გათხოვებას ამ ეტაპზე არ ვაპირებ, მაგრამ არსებობს ადამიანი, რომელიც მიყვარს. ტელევიზიასთან, შოუბიზნესთან, პოლიტიკასთან არანაირი კავშირი არა აქვს. ზუსტად ვიცი, რომ არ ესიამოვნება, თუკი მის სახელსა და გვარს გამოვაცხადებ, ამიტომ თავს შევიკავებ.

**— კარგი. საინტერესოა, რით მოგხიბლა?**

— ჩემი მეგობრები ყოველთვის მეუბნებიან, რომ როცა რომელიმე თაყვანისმცემელთან დაკავშირებით ფიქრს და სიტუაციის აწონ-დაწონას ვიწყებ, წინასწარ იციან, რომ ეს ურთიერთობა განწირულია და არ გაგრძელდება. ამ შემთხვევაში, ჩემმა რჩეულმა დიდხანს ფიქრის დრო და საშუალება არ მომცა, ამიტომ იძულებული გავხდი, ჩქარა მომეფიქრებინა *(იცინის)*. კითხვაზე — როგორი ტიპის მამაკაცი მომწონს? — არასდროს არ მქონდა გარკვეული პასუხი. შესაბამისად, არც იმაზე ფიქრით გამიცხელებია ტვინი, შეეფერებოდა თუ არა ჩემს იდეალს; ყველაფერი ექსპრომტად მოხდა.

**— შენი აზრით, სრულყოფილი ოჯახის შესაქმნელად რა არის საჭირო?**

— პირველ რიგში, სიყვარული. თუ ადამიანთან ყოფნა გსიამოვნებს და ამის გაგრძელებას ცხოვრების ბოლომდე ისურვებდი, ოჯახის შექმნა თავისუფლად შეგიძლია. იგულისხმება, რომ წყვილს შორის ურთიერთპატივისცემა და გაგება უნდა სუფევდეს. როცა საყვარელ ადამიანს კარგად იცნობ, იცი, თუ რა არ ესიამოვნება და ცდილობ, გარკვეულ დათმობებზე წახვიდე.

**— დათმობა ხშირად გიწევს?**

— ძალიან ჯიუტი ვარ. ამაში გენეტიკა მიწყობს ხელს, სიჯიუტე და პრინციპულობა სისხლში მაქვს გამჯდარი. არ ვთვლი, რომ ყველა შემთხვევაში, ქალმა უნდა დათმოს. ეს უნარი მამაკაცსაც უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთად თავს კარგად ვერ იგრძნობენ. სრულყოფილი ურთიერთობისთვის მხოლოდ ერთი ადამიანი არ უნდა მიდიოდეს მსხვერპლზე. სიჯიუტის გამოვლენა განსაკუთრებით, პატარა, შედარებით უმნიშვნელო საკითხებში მიყვარს. ეს ქალის ბუნებასაც შეიძლება დავაბრალოთ. როცა სერიოზული საკითხი წყდება, უფრო ფრთხილი ვარ.

**— როდესაც გათხოვდები, საყვარელი ადამიანის მოთხოვნით ცხოვრების სტილს თუ შეიცვლი?**

— ვერ ვიგებ, რატომ უნდა მოსწონდეს კაცს, როცა მისი მეორე ნახევარი მთელი დღე სახლშია გამოკეტილი. რასაკვირველია, სამსახური და ოჯახის საქმე ერთმანეთს უნდა შეუთავსო. თუმცა, გათხოვების შემთხვევაში, ჩემს ცხოვრებაში რადიკალური ცვლილებები არ მოხდება. შეიძლება, იმ დროისთვის ტელევიზიაში არც ვმუშაობდე, მაგრამ შინ ნამდვილად ვერ დავჯდები.

**— ეჭვიანი თუ ხარ?**

— მოჩვენებები არ მტანჯავს, თუმცა ზომიერების ფარგლებში ეჭვიანი ვარ. ■



***ვთვლი, რომ დღევანდელ ქართველ მამაკაცებს ფანტაზიის უნარი შეზღუდული აქვთ და ვერაფრით გვაკვირვებენ.***

# პიროვნების დილემა – წარმატება თუ უსაფრთხოება



ამჯერად ჩვენი რუბრიკის სტუმარია საქართველოს ყოფილი გენპროკურორი, ამჟამად პარლამენტარი **გია მეფარიშვილი**, რომელიც წინა რესპონდენტის (ლადო გეგელაშვილი. „გზა“, №43) მსგავსად, „გამოცდას“ აბარებს გამძლეობასა და გამჭრიახობაზე. მისი ფსიქოტიპის შეფასებას კი, კვლავ ფსიქოლოგს ვანდობთ, რომელმაც ამჯერადაც არ იცის თავისი „პაციენტის“ ვინაობა. მაშ ასე, ვნახოთ როგორ იქცევა ბატონი გია ექსტრემალურ სიტუაციებში...

*სოფო ყარალაშვილი*

**— წარმოიდგინეთ, რომ მიდიხართ უღრან ტყეში. შორიახლო ჩუხჩუხებს წყარო, ჩიტები ჟღურტულებენ და საამოდ შრიალებს ხშირი ფოთლები. საცალფეხო ბილიკზე თქვენს შესახვედრად მოდის გია მეფარიშვილი. რას მოიმოქმედებთ?**

— საშიში შეკითხვაა. ალბათ, ხელს ჩამოვართმევ და გავივლი.

**— დაასრულეთ წინადადება: ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა იყო...**

— ...სამოღვაწეოდ პოლიტიკაში გადასვლა.

**— წარმოიდგინეთ, რომ დიქტატორულ სახელმწიფოში ცხოვრობთ და ქვეყნის მმართველის განკარგულებით, სახრჩობელაზე აჰყავხართ. გეძლევათ ორი წუთი უკანასკნელი სიტყვის წარმოსათქმელად. რას ეტყოდით იქ შეკრებილ ხალხს?**

— რა ხდება, ხალხო, გამაგებინეთ!.. სანამ ამიხსნიან, ორი წუთიც გავა.

**— წარმოიდგინეთ, რომ წინა საღამოს გქონდათ დაბადების დღე, კარგად მოილხინეთ, საკმარისზე მეტიც დალიეთ. დილის 8 საათზე დანიშნული გაქვთ შეხვედრა პრეზიდენტთან ან პრემიერ-მინისტრთან, არადა „პახმელია“ გაწუხებთ. როგორ მოიქცევით?**

— შეხვედრას გადავდებ, რომ უხერხულ სიტუაციაში არ ჩავვარდე.

**— ზიხართ რესტორანში, წყნარი მუსიკაა, მიირთმევთ თქვენს საყვარელ კოქტეილს...**

— არა, ქართულ ღვინოს მივირთმევ...

**— ...უეცრად გვერდით მოგიჯდათ ახალგაზრდა მამაკაცი, რომელმაც გაგიმხილათ, რომ არატრადიციული ორიენტაციისაა და ძალიან მოეწონეთ. როგორ მოიქცევით?**

— შეიძლება ფანჯრიდან მოვისროლო. ასეთი ადამიანები ძალიან მეცოდებიან, მაგრამ სამწუხაროდ, მათ მიმართ მთლად ტოლერანტული ვერ ვარ. ჯანდაბა მაგათ თავს!

**— წარმოიდგინეთ, რომ ერთ მშვენიერ დილას თქვენს საბანკო ანგარიშზე აღმოაჩინეთ 4 მილიონი დოლარი, რომლის წარმომავლობაზე წარმოდგენა არა გაქვთ...**

— შევეცდები გავარკვიო, საიდან აღმოჩნდა ანგარიშზე 4 მილიონი. თუ ვერ გავარკვევ, ფულის დახარჯვას არ გადავწყვეტ. კეთილი ფერიების, დიდი ხანია, აღარ მჯერა, ამიტომ შეიძლება ეს პროვოკაციის მიზნით იყოს გაკეთებული... თუმცა, ისეთი სამსახური არა მაქვს, რომ ქრთამი შემომთავაზონ...

**— შეიძლება თუ არა ქართველმა კაცმა შეირთოს თავისი გარდაცვლილი ცოლის და?**

— არავითარ შემთხვევაში. ეს არც ჩვენს ტრადიციაში ჯდება და არც მართლმადიდებლურ მორალს მიესადაგება. ამის გაფიქრებაც კი არ შეიძლება.

**— წარმოიდგინეთ, რომ მომხიბლავ ქალბატონთან ერთად გვიან ღამით მიდიხართ ქუჩაში, თავს დაგესხნენ მძარცველები, რომლებიც ქალბატონს სამკაულებსა და ჩანთას ართმევენ. როგორ მოიქცევით?**

— მაგის გამოცდილება უკვე მაქვს... დავიცავ, რადაც არ უნდა დამიჯდეს. თუ პრეტენზია გაქვს მამაკაცობაზე, ასე უნდა მოიქცე!

**— თქვენი ბავშვობის მეგობარი მძიმე დანაშაულისთვის იძებნება და აი, ღამით მოგიკაკუნათ კარზე და თავშესაფარი გთხოვათ. რას იზამთ?**

— დავმალავ, აუცილებლად!

**— ოკეანეში გემი იძირება. გადარჩით მხოლოდ თქვენ. შეგიძლიათ, მიცუროთ უკაცრიელი კუნძულის ნაპირამდე, მაშველი რგოლის მეშვეობით. რას წაიღებდით თან, თუ სამზე მეტი ნივთის წაღება**

**ალბათ, ეს ქალი პროვოკატორია ან ნერვებმოშლილი პიროვნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მეცოდინებოდა, რომ შვილი ჩემია...**

არ შეგიძლიათ?

– რა თქმა უნდა, კავშირგაბმულობის საშუალებას, იარაღს და საკვებ პროდუქტს.

**— 100 დღით აგირჩიეს პრეზიდენტად. რა საკითხებს გადაწყვეტდით იმის გათვალისწინებით, რომ ამ 100 დღის შემდეგ, პრეზიდენტის სავარძელს ისევ სააკაშვილს დაუბრუნებთ?**

– მაგ თანამდებობას არავითარ შემთხვევაში არ დავთანხმდებოდი, ფეხებს გავაფართხალებდი. ეგ ჩემი საქმე არ არის.

**— ბოთლი და საცობი ერთად ღირს 10 თეთრი; ბოთლი 8 თეთრით ძვირია საცობზე, რა ღირს ცალ-ცალკე ბოთლი და საცობი?**

– ბოთლი 8 თეთრი ღირს და საცობი 2 თეთრი. არა?.. აბა, როგორ?.. მოითმინეთ, დავფიქრდები... საინტერესო რაღაცაა. მოკლედ, პირველ მოსაზრებას ვტოვებ.

**— წარმოიდგინეთ, რომ თქვენს სამუშაო კაბინეტში შემოვარდა უცნობი ქალი, შემოგაჩეჩათ 2 წლის ბავშვი, გითხრათ, რომ ის თქვენი შვილია და მაშინვე გაიქცა. რას იზამთ?**

– რთული შეკითხვაა, მაგრამ უნდა გიპასუხოთ... ალბათ, ეს ქალი პროვოკატორია ან ნერვებმოშლილი პიროვნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მეცოდინებოდა, რომ შვილი ჩემია... ამ ქალბატონს დავეწეოდი, ბავშვს დავუბრუნებდი და ავუხსნიდი, რომ ასეთი რამის გაკეთება არ შეიძლება. თუ ვერ დავეწეოდი, არსებობს სხვა ორგანოები, სადაც ბავშვს მივიყვანდი, ანდა ამ ქალის მშობლებს მოვძებნიდი. თუ ესეც ვერ მოხერხდებოდა, სასიკვდილოდ ბავშვს ნამდვილად არ გავიმეტებდი... ასეთი შემთხვევა ხშირია, განსაკუთრებით, თუ ჩინოვნიკი ხარ. რას იზამ, გაჭირდა ცხოვრება!..

**— წარმოიდგინეთ, რომ პაემანი გაქვთ ქალთან, რომელიც დიდი გაჭირვებით დაითანხმეთ ამაზე. მასთან შეხვედრამდე 10 წუთით ადრე, გირეკავთ მეგობარი და სასწრაფოდ გთხოვთ მასთან მისვლასა და დახმარებას. რას იზამთ?**

– თუ სერიოზულად ესაჭიროება დახმარება, მაშინ პაემანს გადავდებ. თუმცა, ძალიან ძნელი კი იქნება. მაგრამ თუ მეგობარი ლექსების კითხვის ან უბრალოდ დალევის ხასიათზეა, მის წინადადებას საფუძველშივე ჩავახშობ.

**— არის თუ არა 7 ნოემბერი ავსტრალიაში?**

– დღესასწაული არ იქნება, ნოემბრის რევოლუციას ისინი არ აღნიშნავენ, ალბათ, იქნება 7-იც, 8-ც და 9 ნოემბერიც.

**— რა იყო მარკ ტვენის ნამდვილი სახელი და გვარი და რატომ დაერქვა მას მარკ ტვენი.**

– ებრაული გვარია... ერთი წუთით, გავიხსენებ... მეხსიერება მღალატობს, სახელს თუ მეტყვით, გვარი გამახსენდება.

**— სემუელი.**

– სემუელი... ნამდვილად ებრაული გვარია, მაგრამ ვერ ვიხსენებ, არადა, ბავშვობის დროს, ჩემი საყვარელი მწერალი იყო. გავიხსენე, კლემენსი!

**— ვისი სიტყვებია: „მხოლოდ ქაოსს შეუძლია შვას მოცეკვავე ვარსკვლავი“?**

– არ ვიცი. ეტყობა, ფრთიანი ფრაზაა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, არც გამიგონია.

**— წარმოიდგინეთ, რომ თქვენმა საყვარელმა ქალმა პერანგის საყელოზე პომადის კვალი აღმოაჩინა და სადაცაა, ეჭვიანობის სცენას გაგიმართავთ...**

– ვინაიდან ქალი უფრო ოპერატიულია, ვიდრე მამაკაცი, ვეტყვი: „ე გოგო, მოიფიქრე რამე, თორემ, დაგვენგრა ოჯახი!..“

**ვახტანგ ჯაფარიძე,** *ფსიქოლოგი:*

– ამ ადამიანს აქვს უნარი, აღიაროს საკუთარი პრობლემური მხარეები, ჩადგეს ანალიტიკურ პოზიციაში, გარეშე თვალით შეაფასოს და დასკვნაც გამოიტანოს. ადამიანების მიმართ კეთილგანწყობასა და ნდობას იჩენს. თუმცა, კარგად რეაგირებს არაკეთილსინდისიერების ერთი შეხედვით შეუმჩნეველ გამოვლინებაზე. ინფორმაციის შეფასებისას, უპირატესობას ანიჭებს „როგორ“ ტიპის შეკითხვებს, გარკვეულწილად ყურადღებას აქცევს „რატომ“ ტიპის შეკითხვებსაც და ამ შეკითხვებზე ადეკვატური პასუხების არარსებობის შემთხვევაში, დისკომფორტს განიცდის. ამ ადამიანის მოტივაციის სტრუქტურა უფრო არიდების და შენარჩუნების ტიპისაა, ვიდრე მიღწევის. ფასეულობათა სისტემაში წარმატება უფრო მაღალ საფეხურზე დგას, ვიდრე უსაფრთხოება. თუმცა, ასეთი მოტივაციის ტიპი ხშირად, რისკზე წასვლის ხელის შემშლელ ფაქტორად გვევლინება. კრიტიკულ სიტუაციებში ადეკვატური აზროვნება და სწრაფი ადაპტირების უნარი ახასიათებს. პირად ურთიერთობებში საკმაოდ გულღია და თბილი ადამიანია, რომელიც გრძნობს პასუხისმგებლობას ირგვლივმყოფების წინაშე. ამ ადამიანს შეუძლია პრობლემურ საკითხს მრავალი კუთხით შეხედოს და არ ჩაიკეტოს აზროვნების ერთ შაბლონში. ■



# ერთგული მკითხველი

*თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...*

***1. ერთმა რუსმა კონდიტერმა 1912 წლის სამამულო ომის 100 წლისთავთან დაკავშირებით დღესდღეობით საქართველოში, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნამცხვარი გამოუშვა. რომელია ეს ნამცხვარი?***



ა) „ნაპოლეონი“;

ბ) „შუ“;

გ) „ტარტალეტი“.

***2. ჩარლზ დარვინის ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ, ვორჩესტერის ეპისკოპოსმა განაცხადა: იმედი ვიქონიოთ, რომ ყოველივე ეს მართალი არ არის, მაგრამ თუ მართალია, მაშინ უნდა ვილოცოთ, რათა...“ დაასრულეთ წინადადება:***



ა) ყველაფერი ეს ფართო მასებისთვის უცნობი დარჩეს;

ბ) უფალმა გვიხსნას გონების დაბნელებისგან;

გ) მეცნიერებაში ამ თეორიას მომხრეები არ გამოუჩნდეს.

***3. სად გაჩნდა პირველად ჰალსტუხი?***



ა) იტალიაში;

ბ) საფრანგეთში;

გ) ინგლისში.

*პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე*

# ფერთა გამაში გამოხატული ხასიათის თავისებურებანი ანუ რა ფერის ხასიათი გაქვთ

*სამყაროში უამრავი ფერი არსებობს, ადამიანებსაც განსხვავებული გემოვნება აქვთ: ზოგიერთი „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“ ეტრფის, ზოგი „ნარინჯისფერ ცასა და ნარინჯისფერ ზღვას“ უმღერს, ზოგი კი, ბევრად უფრო კომფორტულად გრძნობს თავს „მწვანე გარემოში“. სულაც არ არის აუცილებელი, რომ თქვენი საყვარელი ფერი, თქვენს სამოსში დომინირებდეს. შესაძლოა, ამ ფერის იყოს თქვენ გარშემო არსებული ნივთები ან უბრალოდ, კარგი განწყობა გეუფლებოდეთ მაშინ, როცა თქვენს საყვარელ ფერს მოჰკრავთ თვალს. იცით თუ არა, რომ თურმე, ამა თუ იმ ფერით ჩვენი გატაცება განპირობებულია არა იმდენად სილამაზის აღქმის უნარით, რამდენადაც ის ნაკარნახებია ადამიანის ხასიათის თავისებურებებით? ასე რომ, გაეცანით ქვემოთ მოყვანილ „სამყაროს ფერებს“ და გაარკვიეთ, თავად თქვენ რა ფერის ხასიათი გაქვთ.*



## წითელი

**ვინ არიან ისინი?**

ადამიანები, რომლებიც სხვა ნებისმიერ ფერს წითელს ამჯობინებენ, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციით გამოირჩევიან. ზოგჯერ მათი ენერგია ნაპირებიდანაც გადმოდის და ირგვლივ ყველას და ყველაფერს შთანთქავს. მოძრავი და ენერგიული „წითლები“ ძალზე შესამჩნევები არიან: ისინი ყოველთვის ყურადღების ცენტრში არიან მოქცეულნი, გამუდმებით ახალ-ახალ იდეებს აფრქვევენ და ყოველი ახალი მოვლენის მიმართ ინტერესს ავლენენ. ოპტიმიზმი მათი დამახასიათებელი თვისებაა და ადამიანებთან ურთიერთობაც უდიდეს სიამოვნებას ანიჭებთ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ემოციურმა „წითლებმა“ შესაძლოა, ისე გაანაწყენონ თანამოსაუბრე, რომ ვერც კი შენიშნონ ეს, რადგან ისინი ნამდვილად არ არიან ობიექტურობის გრძნობით გამორჩეულნი.

**როგორ მოვექცეთ მათ?**

ამ ტიპის ხასიათის მქონე მეგობრის ყოლა, ძალზე საინტერესოა, მაგრამ ამასთანავე, ძალზე რთულიც. უმჯობესია, თუ მასთან კამათს თავს აარიდებთ, რადგან „წითლების“ თავდაჯერებულობასთან შერწყმული სიჯიუტე, ხელს შეგიშლით კომპრომისის მიღწევაში. მათთვის ცხოვრებისეული რუტინა სიკვდილის ტოლფასია; ამიტომ, წინასწარ უნდა შეეგუოთ იმას, რომ ამგვარი ხასიათის მქონე ქმარი, ოჯახური საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებაში დიდად ვერ დაგეხმარებათ. უმჯობესი იქნება, თუ მას თქვენი შვილების თავისუფალი დროის სათანადოდ განაწილებას მიანდობთ. ეს სწორედ ის სფეროა, რომელიც ენერგიულ და შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს. თუკი უამრავი ოჯახური საზრუნავით გადაღლილს გულს სევდა შემოგაწვებათ, ამ შემთხვევაში, შეგიძლიათ „წითელს“ კატალიზატორის როლი დააკისროთ და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ის თქვენს მოწყენილობას ხელის ერთი მოსმით გააქარვებს.

## მწვანე

**ვინ არიან ისინი?**

ადამიანები, რომლებსაც ყველაზე მეტად სხვადასხვა ტონალობის მწვანე ფერი მოსწონთ, ძალზე გაწონასწორებული ხასიათით გამოირჩევიან. ისინი გულუხვები, მზრუნველები, კეთილსინდისიერები და შრომისმოყვარენი არიან. ხშირ შემთხვევაში, „მწვანეებს“ თვითშეფასების უნარი შედარებით დაქვეითებული აქვთ და ამიტომ მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია ირგვლივმყოფთა აზრი. ამის გამო, ისინი განსაკუთრებულად მონდომებით ცდილობენ, თავი მოაწონონ ირგვლივმყოფებს და კომფორტულად გრძნობენ თავს, როცა მათ სათანადოდ აფასებენ.

**როგორ მოვექცეთ მათ?**

შეგიძლიათ, „მწვანეებთან“ თავი სრულიად მშვიდად იგრძნოთ, თუკი ისინი თქვენი მოსიყვარულე ნათესავები არიან. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენი საზრუნავი მომენტალურად მათ საზრუნავადაც იქცევა. ოღონდ, იმ მამაკაცებს, რომლებიც კარგი აღნაგობის ქალებზე გიჟდებიან, ცოლად „მწვანე“ ხასიათის ქალბატონის მოყვანას არ ვურჩევთ, რადგან ცნობილია, რომ ამ ტიპის წარმომადგენლები გემრიელად ჭამაზე უარს არასოდეს ამბობენ და შესაბამისად, წონის პრობლემაც ექმნებათ. მეგობრებსა და თანამშრომლებს კი ვურჩევთ, რომ „მწვანეებთან“ სიფრთხილე გამოიჩინონ, რადგან ამ ტიპის ადამიანებს ჭორების გავრცელება სისხლში აქვთ გამჯდარი!

## ვარდისფერი

**ვინ არიან ისინი?**

იმ ადამიანთა უმრავლესობა, რომელიც უპირატესობას ვარდისფერს ანიჭებს, როგორც წესი, გამოუსწორებელი რომანტიკოსია. ისინი საოცრად ფაქიზი სულის პატრონები არიან და ამიტომ, აგრესიულად განწყობილ და ბილწსიტყვაობის მოყვარულ ადამიანებთან კონტაქტს თავს არიდებენ. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა გეჩვენოთ, ამ ფერის თაყვანისმცემელთა შორის, არცთუ ისე ცოტა მამაკაცია. მით უმეტეს, რომ ბოლო ხანებში „მამაკაცური მოდა“ იმდენად ლოიალური გახდა, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენლებსაც მიეცათ თავიანთი საყვარელი ფერის სამოსის ტარების საშუალება.

**როგორ მოვექცეთ მათ?**

ცნობილია, რომ „ვარდისფერი“ ხასიათის მქონენი, საურთიერთოდ ძალზე სასიამოვნო ადამიანები არიან. მხოლოდ საზოგადოების სუპერაქტიურ წევრებს, რომლებსაც ყოველგვარი მეოცნებეობის გამოვლინება ზიზღს ჰგვრით, არ სიამოვნებთ „ვარდისფრებთან“ ურთიერთობა. გულღია, მეგობრული ხასიათის წყალობით, რთულ და საჩოთირო სიტუაციებშიც კი, ისინი სწორი გადაწ-

ყვეტილების მიღებას აჩერხებენ. ოღონდ, უნდა გვახსოვდეს, რომ „ვარდისფრებს“ საოცრად ფაქიზი ბუნება აქვთ და მეტისმეტად მგრძნობიარენი არიან: როცა ისინი რაღაცას განსაკუთრებულად განიცდიან, მათი გულახდილ საუბარში გამოწვევა შეუძლებელი ხდება; ასეთ დროს ისინი საკუთარ თავში იკეტებიან და სიტყვის უთქმელად იტანჯებიან.

## ატმისფერი

**ვინ არიან ისინი?**

ჩვეულებრივ, ატმისფერი შეფერილობის მოყვარულნი, საოცრად რბილი და ადვილად შემგუებლური ხასიათით გამოირჩევიან. ოღონდ, ისინი სულაც არ არიან აპათიურნი! „ატმისფრები“ შრომისმოყვარეობით, პასუხისმგებლობის გრძნობითა და შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები არიან. მათ გულში გარკვეული ადგილი აზარტსაც უკავია, ოღონდაც, სერიოზიულ რისკზე წასვლა „ატმისფრებს“ არ სჩვევიათ. მათი აზრით, უმჯობესია, თუკი სხვები გარისკავენ, ისინი კი, შორიდან ადევნებენ თვალს განვითარებულ მოვლენებს.

**როგორ მოვექცეთ მათ?**

ამ ტიპის წარმომადგენლებს უშუალოდ ვინმეს ხელმძღვანელობით მუშაობა, სულაც არ აღიზიანებთ, შეიძლება ითქვას, რომ ეს მათ სიამოვნებთ კიდეც. გაითვალისწინეთ ეს და ნუ აიძულებთ მათ ერთპიროვნულად გადაჭრან ესა თუ ის საპასუხისმგებლო პრობლემა. ოღონდ, თუკი ხელმძღვანელობისას თქვენ გადაჭარბებულ სწორხაზოვნებას გამოავლენთ, წინასწარ უნდა იცოდეთ, რომ „ატმისფრებთან“ აუცილებლად დაგეძაბებათ ურთიერთობა. ისინი ხომ ვერ იტანენ ძალადობის ვერანაირ გამოვლინებას, მათ შორის — ფარულსაც.

## ყვითელი

**ვინ არიან ისინი?**

როგორც წესი, ყვითელი ფერის მოყვარულნი, ძალზე არაორდინარული პიროვნებები არიან, მათ ხასიათში სრულიად საპირისპირო თვისებებია შერწყმული. „ყვითლები“ რამდენადმე პედანტურები და კონსერვატიულებიც არიან. მართალია, ყოველგვარი სიახლე მათში ინტერესს იწვევს, მაგრამ ამ ინტერესს ყოველთვის თან ახლავს გაუთვალისწინებელი შედეგის შიში — რასაც „ყვითლები“ ყველაზე მეტად ვერ იტანენ. ისინი არასოდეს ღალატობენ მეგობრებს. გამჭრიახობით, ანალიტიკური ტვინითა და ამასთან, საოცრად შემოქმედებითი ნატურით არიან გამორჩეულნი.

**როგორ მოვექცეთ მათ?**

თუკი თქვენ აშკარად გამოკვეთილი ლიდერის თვისებები გაქვთ, ეცადეთ, რომ ნაკლები კონტაქტი იქონიოთ მასთან, ვისაც ყვითელი ფერი მოსწონს, წინააღმდეგ შემთხვევაში, პირველობისათვის ბრძოლამ, შესაძლოა, ეს ადამიანი სამუდამოდ დაგაკარგვინოთ. ნუ მოტყუვდებით ყვითლების გარეგნულად გამოხატული მზრუნველობით: მათ შეუძლიათ ოქროს მთებს დაგპირდნენ, დანაპირების შესრულებას კი სულაც არ იჩქარებენ. „ყვითლების“ ზოგიერთი წარმომადგენელი საშინელი ეგოისტია. სამაგიეროდ, „ყვითლები“ ძალზე სასურველი საქმიანი პარტნიორები არიან: ხშირად მათი მრავალმხრივი ტალანტი, მოქნილი აზროვნება და გამართლებული ამბიციურობა წამოწყებული საქმის კეთილად დაგვირგვინების საწინდარი გახლავთ.

## ზღვისტალღისფერი

**ვინ არიან ისინი?**

ადამიანები, რომლებიც უპირატესობას ზღვისტალღისფერს ანიჭებენ, მრავალმხრივ არიან გამორჩეულნი. ისინი ერთდროულად კონსერვატიულებიც არიან და არისტოკრატულებიც. ახასიათებთ აკურატულობა და მოუსვენრობა. ამ ტიპის წარმომადგენლები იმდენად იღბლიანები არიან, რომ ზოგჯერ, ცოტა არ იყოს, ზედმეტად თავდაჯერებული და ქედმაღალი ადამიანების შთაბეჭდილებას ტოვებენ.

**როგორ მოვექცეთ მათ?**

ამ ფერის მოყვარულ ადამიანებს, სიფრთხილით უნდა მოეკიდოთ. ისინი იმდენად მონდომებით ცდილობენ ყველას მოაწონონ თავი და ირგვლივმყოფებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვონ, რომ ხშირად თავიანთი საქციელით ამლაშებენ კიდეც და უამრავ ადამიანს შურის გრძნობას აღუძრავენ. ამასთან ისინი დიდი ეგოისტებიც არიან.

## შავი

**ვინ არიან ისინი?**

ჩვეულებრივ, შავ ტანსაცმელს გამოუსწორებელი ნიჰილისტები ატარებენ. შინაგანი კონფლიქტები, რომლებიც ამ ადამიანებს მოსვენებას არ აძლევს, მათ ამ ცხოვრებაში მხოლოდ არსებული ნაკლოვანებების დანახვისაკენ უბიძგებს. როგორც წესი, „შავები“ ძალზე გულჩათხრობილები და ამბიციურები არიან, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მათი უმრავლესობა, მართლაც, ძალზე ჭკვიანი და ნიჭიერია.

**როგორ მოვექცეთ მათ?**

ჩვეულებრივ, შავი სამოსის მოყვარული ადამიანები საზოგადოებაში ყოფნისას ყურადღების ცენტრში ექცევიან ხოლმე. მათ აქვთ გამორჩეული უნარი, თავიანთი პერსონით დააინტერესონ ირგვლივმყოფები და საკუთარი პიროვნების იდუმალების ბურუსში გახვევით აინტრიგებენ საზოგადოებას. მათთან ურთიერთობა ძალზე საინტერესოა, მაგრამ იმ პესიმიზმის ატანა, რომელიც ამ ტიპის ადამიანებს ახასიათებთ, ცოტა არ იყოს, ძნელია. ამიტომ, უმჯობესია, რომ „შავებთან“ ხშირი კონტაქტი არ იქონიოთ.

## ნარინჯისფერი

**ვინ არიან ისინი?**

თუკი თქვენ ნარინჯისფერი გიყვართ, სავარაუდოა, რომ ენერგიული და მუყაითი ადამიანი ბრძანდებით. შესაძლოა, თქვენთვის დამახასიათებელი იყოს აზარტული თამაშებისაკენ ლტოლვა, მაგრამ ეს მიდრეკილება კონტროლს ექვემდებარება. „ნარინჯისფრები“ კარგი საამხანაგოები და მხურვალე საყვარლები არიან — ყველაფერი მკვეთრი და მოელვარე ხომ ადამიანებს ანდამატივით იზიდავს.

**როგორ მოვექცეთ მათ?**

მათთან ურთიერთობა ძალზე სასიამოვნოა, ისინი ხომ ზრდილობიანობითა და თავაზიანობით განსაკუთრებით გამოირჩევიან. მაგრამ გაითვალისწინეთ, მათი მომხიბლავი ნიღბის მიღმა, ერთი სერიოზული ნაკლი იმალება — ეს გახლავთ მათი ცვალებადი ბუნება. თუკი თქვენს თაყვანისმცემელს ან ქმარს „ნარინჯისფერი“ ხასიათი აქვს, სასურველია, რომ მასთან ყოველი ლაპარაკი დიქტოფონზე ჩაიწეროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნახევარი საათის შემდეგ, ის გადაწყვეტილებას შეიცვლის და ამაო იქნება იმის მოლოდინი, რომ თავის დანაპირებს ოდესმე შეასრულებს!



*დასასრული შემდეგ ნომერში*



**როცა ნიკა ქავთარაძეს ინტერვიუს თაობაზე დავუკავშირდი და ვკითხე — როგორა ხარ-მეთქი? — მისთვის უჩვეულო სერიოზულობით მიპასუხა — ჭკვიანადო. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, მას ასეთი მინორული განწყობა ბოლო დროს თავს დატეხილი უამრავი პრობლემის გამო აქვს... რატომ დაშორდნენ ნიკა ქავთარაძე და მისი მეგობრები „ყველაზე მაგარ“ შალვა რამიშვილს და სად განაგრძობენ ისინი მოღვაწეობას — ამაზე „VIP-შოუს“ წამყვანი და ამჟამად დროებით უმუშევარი ნიკა გვესაუბრება.**

# „ეს ჩვენთვის ცხოვრებისეული იყო“...

*ნათია ქივიძე*

— **ალბათ ყველაზე „ცხელი“ და აქტუალური იქნება, თუ გკითხავ, რა მოხდა „202“-ში?**

— ორი კვირის წინ, მე და ჩემმა მეგობრებმა: შონზომ, ზვიომ, მიშა მშვილდაძემ და ა.შ., მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ არხი დაგვეტოვებინა, რადგან, დავრწმუნდით, რომ ის საქმე, რომელსაც ვაკეთებდით, წინ აღარ წაიწევდა. ძალიან ბევრი უნდა გვემუშავა, რომ მცირედით მაინც ასახულიყო ჩვენს ცხოვრებაზე, ბიზნესის თვალსაზრისით კი ეს არარენტაბელური და გაუმართლებელია, რადგან ადამიანური რესურსების ზღვარზე ვიყავით. წარმოიდგინე, 6 კაცი დილის 10-დან ღამის 11 საათამდე მთელ ტელევიზიას ვქმნიდით, თან სულ ვამბობდით, რომ გაკეთებულიყო კარგი რეკლამა და შემოსავალი გაზრდილიყო. შენ ხომ იცი, რომ განსაკუთრებულად რეიტინგული იყო ჩვენი ორი გადაცემა. ამას ჩვენდამი არცთუ ისე კარგად განწყობილი სააგენტოებიც აღიარებდნენ, მაგრამ რეკლამა არ მოდიოდა — ე.ი. რომელიღაც რგოლი ცუდად მუშაობდა. თორემ, მე ხომ პროდუქტს ვქმნიდი?!. მოკლედ, იდეამ, რომ ეს არის ჩვენი ტელევიზია, კრახი განიცადა. შესაბამისად, როცა ეს იდეა საერთოდ მოკვდა, წარმოუდგენელი იყო იმ ანაზღაურებაზე იქ მუშაობა, რომელზეც ამდენ ხანს ვმუშაობდით. ამ ყველაფერს ჩვენ შალვას სულ ვეუბნებოდით, მაგრამ ის გვამშვიდებდა — მომავალში ალბათ რაღაცა იქნება, რომ გავქაჩოთო. ბოლოს მივხვდით, რომ რაც არ უნდა გავქაჩოთ, აზრი არ აქვს, რადგან ნახევარ დღეს პრობლემებზე ფიქრში ვატარებდით და იუმორზე როდისღა უნდა გვეფიქრა?.. თუმცა, ეს მაყურებლისთვის არ გვიგრძნობინებია. ჩემი ბოლო გადაცემა ჩვეულებრივად დასრულდა და მერე იყო სიუჟეტი „რუსთავი 2“-ის ეთერში.

— **„202“-იდან წასვლა ყველამ ერთდროულად გადაწყვიტეთ?**

— ერთ ღამეს ბიჭებმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს. მაშინ მე იქ არ ვიყავი. დილით დამირეკეს, შევხვდით, ერთმანეთთან კონსულტაციები გვქონდა და მივხვდით, რომ ეს ერთობლივი აზრია და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

— **შალვა რამიშვილი როგორ შეხვდა თქვენს გადაწყვეტილებას?**

— შალვას ძალიან ეწყინა და გაუკვირდა. თუმცა, ჩვენ უფრო გაგვიკვირდა, მას რომ გაუკვირდა, რადგან მან იცოდა, ჩვენ რა მდგომარეობაში ვაკეთებდით ყველაზე მაგარ საქმეებს. შალვას ეგონა, რომ ეს ყველაფერი დიდხანს გასტანდა, მაგრამ ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ეს მდგომარეობა ჩვენთვის ნევროზული იქნებოდა. მან მხოლოდ ის გვთხოვა — ერთი კვირა კიდევ დარჩითო. ჩვენც დავრჩით და ყველა გადაცემას ჩვეულებრივად, შალვას გარეშე ვაკეთებდით. ეს კვირა ჩვენთვის კარგიც იყო, რადგან კიდევ ერთხელ დავრწმუნდით საკუთარ თავში. ახლა საზოგადოებას შალვამ უნდა დაუმტკიცოს, რომ ჩვენ გარეშე საქმის გაკეთება შეუძლია, თორემ, ყველას ჰგონია — შალვა აკეთებდა ამ ყველაფერს. ახლა ვნახოთ, რა იქნება...

— **წეღან აღნიშნე, რომ შენს ბოლო გადაცემაში დასასრულზე არაფერი გითქვამს, მაგრამ „მუსკულების“ ბოლო სერია ნამდვილად ჰგავდა დასასრულს...**

— მართალი ხარ. „მუსკულებში“ ეს ნამდვილად აისახა, თუმცა მე როგორც ვიცი, შალვა ამბობს, რომ ეს სერიალი ისევ გრძელდება. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ მგონი, ანი გიუნტერს იტოვებს.

— **ანი თქვენთან ერთად არ წამოვიდა?**

— რა თქმა უნდა, არა. ჩვენთან ერთად არავინ წამოსულა, რადგან ჩვენ ერთი მთლიანი გუნდი ვართ, თავიდანვე ერთად მოვდივართ. შეიძლება, შონზოს შალვასთან მეგობრობის ჩემზე ცოტა მეტი სტაჟი აქვს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, ჩვენ გუნდი ვიყავით, შალვა კი — პროდიუსერი, რომლის საქმიანობის სიავკარგეში ეჭვის შეპარვის შემდეგ, ტელევიზია დავტოვეთ.

— **ახლა თუ იცით, შალვა რას აკეთებს? „202“-ის ბედი როგორ გადაწყდება?**

— მისი ინტერვიუებიდან ვიცი, რომ შალვა ტელევიზიისთვის ფორმატის შეცვლას აპირებს, ცოტათი სერიოზულს გახდის, რადგან თუ იუმორს გააკეთებს, კონკურენტუნარიანი არ იქნება, რადგან ჩვენ ხომ არ დავიკარგებით, სადმე ხომ ვიქნებით...

— **როგორც ვიცი, ალეკო მალხაზიშვილმაც დაახლოებით იმავე მიზეზის გამო დატოვა „202“. თქვენც მასთან ერთად რატომ არ წახვედით?**

— არა, ალეკო სხვაა. ის ხელფასს ითხოვდა. მისთვის ეს ყველაფერი მხოლოდ საქმე და სამსახური იყო, ჩვენთვის კი — იდეა, რომლის გარშემოც ამდენ ხანს ვმუშაობდით. ასეთ დისკომფორტს „დარდუბალასა“ და „105“-შიც ვგრძნობ-



ე.ი. რომელიღაც რგოლი ცუდად მუშაობდა. თორემ, მე ხომ პროდუქტს ვქმნიდი?!.



რაც კი საქართველოში ტელევიზიებია, მათ შორის, ჯერ რომ არ გახსნილა, ისეთებიც, ყველამ მიგვიწვია...

დით, მაგრამ მაშინ ჩვენ ძალიან ცუდ მთავრობას ვებრძოდით. ახლა, „ანდერგრაუნდის“ ბიჭები ხომ აღარ ვართ?.. ხომ დაწყნარდა სიტუაცია?.. არ იტყვიან ალბათ – თავში ავარდნილი აქვთო, – თუ ვიტყვი, რომ ჩვენ უკვე ძალიან პოპულარულები ვართ. ანუ სხვა ცხოვრებით უნდა ვცხოვრობდეთ და არ უნდა ვიყოთ რევოლუციონერები. მოკლედ, ჩვენმა იდეამ კრახი განიცადა და გაკოტრდა.

**— რა თქმა უნდა, თქვენი ეს ნაბიჯი უყურადღებოდ არ დარჩებოდა. რომელმა ტელევიზიამ გადაწყვიტა თქვენთან თანამშრომლობა?**

– ალბათ აჯობებს, რომ ამ ეტაპზე არ დავაკონკრეტო. მაგრამ იმას გეტყვი, რომ რაც კი საქართველოში ტელევიზიებია, მათ შორის, ჯერ რომ არ გახსნილა, ისეთებიც, ყველამ მიგვიწვია. ერთოორ წარმომადგენელს უკვე შევხვდით, სხვებსაც შევხვდებით, მერე ერთმანეთში მოვილაპარაკებთ და საუკეთესოს და ჩვენთვის მისაღებ ვარიანტს ავირჩევთ. ალბათ ერთ კვირაში უკვე ჩამოყალიბებული ვიქნებით.

**— ახლა იმ დროზე ვისაუბროთ, როცა ჯერ კიდევ „202“-ის წარმომადგენელი იყავი. შენი გადაცემა — „VIP-შოუ“ მალე გახდა პოპულარული. ვისი იდეა იყო ამ ყველაფრის გაკეთება?**

– სახელი – „VIP-შოუ“ შონზომ მოიფიქრა. დანარჩენი კი ერთობლივად მოვიფიქრეთ. პირველსავე დღეს მივხვდით, რომ ეს მაგარი პროექტი იქნებოდა, ბევრი მიზეზის გამო: სხვა გადაცემებთან შედარებით, კონცეპტუალურად განსხვავებული მიმართულების იუმორისტული შოუა. ცოტა ხულიგნურია, ცოტათი იკბინება კიდეც; ამასთანავე, ეს არის ყოველდღიური შოუ, თანაც – პირდაპირ ეთერში. წარმოიდგინე, ერთ დღეში ვაკეთებდით ხუთ გადაცემას: „ანეკდოტებს“, „კენოს“, „შიშველ სიმართლეს“, „მუსკულებს“ და „VIP-შოუს“. ეს ჩვენთვის ტრეფიკინგივით იყო. ე.ი. „VIP-შოუსთვის“ წინასწარ დაწერილი სცენარი არ მქონია: როდისღა უნდა დამეწერა?.. თანაც, მე იმპროვიზებულად ხუმრობა შემიძლია და გადაცემისთვის ასე აჯობებს. ვწერდი მხოლოდ მონოლოგსა და სკეჩს. ერთ თვეში 25 გადაცემა გავიდა ეთერში.

**— არ გენანება, რომ ასეთი წარმატებული გადაცემა „მოკვდება“?**

– „VIP-შოუ“ არ მოკვდება. შეიძლება, იგივე სახელი არ ჰქონდეს და რაღაც შალვასეული ნიუანსებიც ამოვიღოთ, მაგრამ რომელ ტელევიზიაშიც გადავალთ, ამ ფორმატის გადაცემას იქ აუცილებლად განვაგრძობთ.

**— ამდენი „მამიდაშვილი“ სად იპოვე?**

– მე და შალვა წავედით სტუდია „თელაში“, რომლის ხელმძღვანელიც ძალიან დაგვეხმარა და სტუდიის გოგონები მამიდაშვილებად „მათხოვა“. აქვე აღვნიშნავ, რომ გული არაფერზე მწყდება, რადგან წარსულზე გულის დაწყვეტა მომავლის უიმედობას ნიშნავს. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მალე, შენ ჩემგან სულ სხვა ამპლუაში აიღებ ინტერვიუს. ჩვენ არა ვართ უბრალოდ კარგი ბიჭები, რომლებიც ხუმრობენ, ჩვენ ამით საქმეს ვაკეთებთ!.. ადამიანის ატირება უფრო ადვილია, ვიდრე გაცინება. აქედან გამომდინარე, ჩვენ ძალზე რთულ საქმეს ვაკეთებთ. შეიძლება მომავალში, ან პოლიტიკაში წავიდე, ან – საზღვარგარეთ. შენ „მუსკულების“ პანკ-ჯგუფის კლიპი ნანახი ხომ გაქვს?.. იქ ზვიოს ნიჭიერების მეორე მხარე გამოვავლინეთ. ადრე მას რაღაც ჯგუფი ჰქონდა. ჰოდა, თუ სხვა სამსახურს ვერ ვიშოვით, ავდგებით და მსგავს პანკ-ჯგუფს ჩამოვაყალიბებთ და სოლისტად ზვიო გვეყოლება. ისეთივე ჯგუფი ვიქნებით, როგორიც მოსკოვში „ლენინგრადია“. მაგრამ ჩვენ უმუშევრად ვინ დაგვტოვებს?.. მოკლედ, წარსულს არ მივტირი, მომავალზე არ ვფიქრობ, მხოლოდ აწმყოთი ვსაზრდოობ და ახლა ვჩალიჩობ, რომ კარგი საქმე ვიშოვო.

**— წარმატებას გისურვებ.**

– გაიხარე! ჯიგარი ხარ!

■

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

# ტესტი ერუდიციაზე

**1. რა არ არსებობს აშშ-ის სენატში?**



ა) ტრიბუნა – სიტყვით გამომსვლელთათვის;
ბ) სპიკერის თანამდებობა;
გ) მოსაწევი ადგილი.

**2. რის საწყისად მიიჩნევდა გაოცებას სოკრატე?**



ა) უცოდინარობის;
ბ) ამბიციურობის;
გ) სიბრძნის.

**3. ჩვეულებრივ ადამიანს რომელი უფრო სწრაფად ეზრდება თმა თუ წვერი?**



ა) თმა;
ბ) წვერი;
გ) ჩვეულებრივ (ნორმალურ) ადამიანს თმა და წვერი ერთნაირად ეზრდება.

**4. სად განისვენებს დღეს იაკობ გოგებაშვილის ნეშტი?**



ა) მთაწმინდის პანთეონში;
ბ) დიდუბის პანთეონში;
გ) უცნობია.

*პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე*

# ბორტგამცილებლის სოფთ-როკი უზარმაზარ თეთრ დარბაზში...

**ამ რამდენიმე დღის წინ, ფრიად ხმაურიანად ჩაირა კლიპის პრეზენტაციამ, რომელშიც მომღერლის ამპლუაში, უკვე მეორედ, ბორტგამცილებელი ანა ჯაკი მოგვევლინა. როგორც ცნობილია, ის სამთავრობო საავიაციო რაზმის წევრია და არცთუ ისე იშვიათად, საპრეზიდენტო რეისსაც ემსახურება.**

**კლიპის პრეზენტაცია ახალგახსნილი ბიზნესცენტრის დარბაზში გაიმართა. როგორც ჩანს, ორგანიზატორებმა საკმაოდ იზრუნეს იმაზე, რომ ეს თავყრილობა დასამახსოვრებელი ყოფილიყო მიწვეული სტუმრებისთვის და დარბაზის ფარგლებს გარეთაც რეზონანსი ჰქონოდა. თუ რამდენად დიდხანს დარჩებიან კლიპის პირველი მაყურებლები იქ მიღებული შთაბეჭდილების ქვეშ, ამას დრო გვიჩვენებს. ჩვენს მკითხველებს კი, იმ საღამოს მთავარი გმირის ანა ჯაკის სახელდახელო ინტერვიუს გთავაზობთ.**



— სიმღერის — „ალერსისთვის გემახი“ — ტექსტი ნანა ცინცაძეს, ხოლო მუსიკა — ავთო ბადუაშვილს ეკუთვნის. ეს სიმღერა უფრო, სოფთ-როკის სტილისაა. კლიპში გამოყენებულია დაიზაინერ გვანცა ჯანაშიას კოსტიუმები. მასში ჩემთან ერთად მონაწილეობენ ჩემი და ირმას (*შარიქაძე, კლიპის რეჟისორად მოვლენილი ფოტოგრაფი. — ავტ.*) ვაჟები: ილიკო ხოჭოლავა და დანიილ ჯაკი, აგრეთვე, სამოდელო სააგენტო „ამსას“ მამაკაცი მოდელები. დაფინანსებისთვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ულამაზეს ქალბატონებს — დალი ჩიტალაძესა და ნინო იოსელიანს. ამ კლიპით ძალიან კმაყოფილი ვარ.

— **პირველ კლიპში, რომელიც ზაზა ორაშვილმა გადაიღო, აბსოლუტურად სხვა იმიჯით გამოირჩეოდი...**

— მართალია. ზაზამ ისეთ ქალად დამინახა, ირმამ კი გადაწყვიტა, რომ უფრო რომანტიკული უნდა ვყოფილიყავი. სხვა რეჟისორი ალბათ, სულ სხვანაირად დამინახავს... ასეთ დროს, მე პრეტენზიებს არ გამოვხატავ, პროფესიონალებს ვენდობი. თუმცა, პირველად რომ ვნახე, არც ის კლიპი მომეწონა და არც — ეს. ამის გამო მაშინ ზაზა სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა, ახლა კი ირმა შოკში იყო ჩავარდნილი. მაგრამ რამდენჯერმე ნახვის შემდეგ მივხვდი,რომ ორივე კლიპი ძალიან კარგია.

— **კლიპიც და დღევანდელი საღამოც თეთრ ფერებშია გადაწყვეტილი. ამას რაიმე განსაკუთრებული დატვირთვა აქვს?**

— არა, არავითარი დატვირთვა არა აქვს. უბრალოდ, თეთრი ფერი სიყვარულთან, ღრუბლებთან და ანგელოზებთან ასოცირდება. ირმამ გადაწყვიტა, რომ ასე ყოფილიყო.

— **ამდენ ვარდის ფურცელს რევოლუციასთან რაიმე კავშირი ხომ არა აქვს?**

— არავითარი კავშირი არა აქვს. ვფიქრობ, რომ ვარდი თავისებურად ლამაზი ყვავილია. ის ყვავილების დედოფალია და სიყვარულის ყვავილადაც ითვლება.

— **ამ საღამოს ალბათ, ყველა ელოდა, რომ სტუმრებს შორის ბატონი მიშა სააკაშვილიც იქნებოდა...**

— პრეზიდენტს მეც ძალიან ველოდი, რადგან მოსაწვევი მასაც გავუგზავნეთ, ქალბატონ სანდრასაც და ბატონ ზურაბ ჟვანიასაც. სამწუხაროდ, არც ერთი მათგანი არ მოვიდა, მაგრამ მე ეს არ მწყენია, რადგან ვიცი, რომ ბატონ მიშას უამრავი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი. საქართველოში უკეთესი სიტუაცია რომ იყოს, პრეზიდენტი ალბათ მოვიდოდა. ის ხომ ახალგაზრდაა და ენერგიული, აქ გატარებული დროის წყალობით კი, ყოველდღიური საზრუნავისგან ცოტათი დაისვენებდა და განიმუხტებოდა.



ანა ჯაკი და ირმა შარიქაძე

— **შენს შემოქმედებაზე პრეზიდენტის აზრი თუ იცი?**

— ბატონი მიშა ჩემს შემოქმედებას ალბათ ალბომის გამოსვლის შემდეგ გაეცნობა და მერე პირადად მას ჰკითხეთ.

— **როგორც ადრე, ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნე, შოუბიზნესში საქმიანობას არ აპირებდი...**

— მართალია, რადგან შოუბიზნესს ძალიან მაგარი ნერვები სჭირდება...

— **ვფიქრობ, არანაკლები ნერვები სჭირდება ავიაციაში საქმიანობასაც...**

— კი, ასეა. მაგრამ მე ფრენა მირჩევნია. მართლაც, აღარ ვაპირებდი სიმღერას, მაგრამ ავთო ბადუაშვილმა ძალიან ლამაზი სიმღერები დამიწერა. დაახლოებით ორ თვეში მზად იქნება ჩემი ალბომი, რომელშიც ჩემი დაწერილი რამდენიმე სიმღერაც შევა.

— **გადაღების დროს რაიმე კურიოზი ხომ არ შეგემთხვათ?**

— გენერალური რეპეტიციის დროს ცხენიდან გადმოვვარდი და რესპუბლიკურ საავადმყოფოში აღმოვჩნდი. თავის ტრავმა მივიღე და სახეზე სამი იარა დამრჩა. ცხენზე ჯდომის ისეთი შიში დამეუფლა, რომ ეს კადრი კლიპიდან საერთოდ ამოვიღეთ, რადგან ველარ დავჯექი. ■

# „მახსენდები“ — თამთა გოგუაძის „ოჯახური“ კლიპი



ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ახალგაზრდა მომღერალი თამთა გოგუაძე სცენას დაუბრუნდა. როგორც ცნობილია, ეს შესვენება იმით იყო გამოწვეული, რომ თამთა დედა გახდა: ორი თვის წინ, პატარა ლუკა მოევლინა ქვეყანას, რომელიც ამ დღეებში მოინათლა.

ლუკას ნათლობა და თამთას ახალი კლიპის პრეზენტაცია ერთმანეთს დაამთხვიეს და ორი დღესასწაული ერთ-ერთ კლუბში აღნიშნეს. სიმღერის — „მახსენდები“ — მუსიკა ლილიკო ნემსაძეს, ტექსტი — მანანა გურგენიძეს, ხოლო კლიპის რეჟისურა — ლევან ტორონჯაძეს ეკუთვნის. კლიპის სიუჟეტის მიხედვით, თამთა თავის ქმარს — აჩიკო ცანკაშვილს ელოდება, რომელიც რაღაც კრიმინალურ საქმეებშია გარეული, რის გამოც საპატრულო პოლიცია დასდევს. ამ დროს, ორსული თამთა მეუღლეს ბნელ ქუჩებში დაეძებს. კლიპი ჰეფიენდით მთავრდება — ბედნიერ წყვილს პატარა ლუკა შეეძინება... უნდა აღვნიშნოთ, რომ თამთას ორსულობის კადრები რეალურ ცხოვრებაში მისი ამ მდგომარეობაში ყოფნის დროს არის გადაღებული. დანარჩენი ეპიზოდების გადასაღებად კი, ლუკას დაბადებას ელოდნენ... ■



# „მოგეფერო მინდა“ — ტინეიჯერებს ნინასგან

მომღერალმა ნინა წკრიალაშვილმა საკუთარ ხმის ჩამწერ სტუდიაში მხოლოდ ჟურნალისტებისთვის მოაწყო თავისი ახალი, რიგით მესამე კლიპის პრეზენტაცია. როგორც თავად ნინამ გვითხრა, ამ კლიპის პირველი ვერსია რეჟისორმა და მისმა ყოფილმა პროდიუსერმა რამაზ ჩაჩანიძემ გადაიღო, მაგრამ ის კადრები მომღერალს არ მოეწონა, რის გამოც სტუდიაში იჯდა და ტიროდა... რეჟისორმა გიგა აგლაძემ ნინას ცრემლებს ვერ გაუძლო და იმ დღესვე, იმავე სიმღერაზე ახალი კლიპი გადაიღო. სიმღერის — „ნუ ელოდები“ — მუსიკა და არანჟირება დიმკა თეიმურაზოვს, ხოლო ტექსტი — ბედინას ეკუთვნის.

კლიპი საკმაოდ სადა და ლამაზი სანახავია. სულ მალე, ნინა მეორე კლიპზე მუშაობას დაიწყებს. ეს იქნება დუეტი რეპერ კაბუსთან (კახა აბუაშვილი). მუსიკის ავტორი ლევან ჩიჩუაა, ტექსტი კაბუს ეკუთვნის, თუმცა ნინას პარტია მეორე რეპერმა — ძვალმა დაწერა. სიმღერის სახელწოდებაა — „სხვა“.

კლიპის რეჟისორი ვინ იქნება, ჯერ გაურკვეველია, რადგან გიგა აგლაძე (რომელმაც ნინას სამივე კლიპი გადაიღო) სულ მალე ფილმზე მუშაობას დაიწყებს და კლიპებისთვის აღარ ეცლება.

ნინამ კიდევ ერთი, საგანგებოდ ტინეიჯერებისთვის განკუთვნილი დუეტი ჩაწერა ძვალთან ერთად. სიმღერის — „მოგეფერო მინდა“ — მუსიკაც და ტექსტიც ირაკლი ვენეცკის ეკუთვნის. ■

***რუბრიკა მოამზადა ნათია ქივიძემ***

**ქორებს არავინ გაავრცელებდა, უამრავ ადამიანს რომ არ სწყუროდეს მისი მოსმენა.**

*მარლენ დიტრიხი*



**ფრაზები გენიალური**

# კვირის ასტროლოგიური პროგნოზი
## (8–14 ნოემბერი)

### ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: ვარსკვლავები სასიამოვნო შეხვედრას გპირდებიან. შეიძლება პირველ სიყვარულს შეხვდეთ, შეიძლება შეფმა მიგიპატიჟოთ ფინჯან ყავაზე... მოკლედ, კვირის დასაწყისში შექმნილი სასიამოვნო განწყობილება დიდხანს გაგყვებათ.

მამაკაცი: არ გირჩევთ, საკუთარ გეგმებზე ბევრი ილაპარაკოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება თქვენთვის ძვირფას არსებას უიღბლო მეოცნებედ მოეჩვენოთ.

### კურო – 21/IV-21/V

ქალი: კარგი იქნება, თუ სიფრთხილეს გამოიჩენთ და პირადი ცხოვრების შესახებ ჭორიკანა მეგობარს არ ესაუბრებით. წინააღმდეგ შემთხვევაში გულისტკენა არ აგცდებათ.

მამაკაცი: ნუ გაიმეორებთ წარსულის შეცდომებს. მოუფრთხილდით იმ ადამიანებს, რომლებთანაც ხანგრძლივი ურთიერთობა გაკავშირებთ და თუ რომელიმე მათგანთან თავს დამნაშავედ გრძნობთ, ნუ მოგერიდებათ ამის საჯაროდ აღიარება.

### მარჩბივი – 22/V-21/VI

ქალი: ნუ აჰყვებით ხმამაღალ საუბარში აღშფოთებულ ადამიანს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ საპირისპირო აზრის ბრძანდებით. შეინარჩუნეთ სიმშვიდე და დადებითი ემოცია.

მამაკაცი: არ ღირს იწუწუნოთ ცხოვრების ამაოების შესახებ. აქტიურობისკენ მოგიწოდებთ. საკმარისია გამოჩნდეს ქალი – როგორც შთაგონების წყარო და თქვენთვის აღარ იარსებებს გადაულახავი დაბრკოლება.

### კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: შეეცადეთ, ცხოვრებას უფრო ოპტიმისტურად შეხედოთ. იმხიარულეთ! თუ ამას მარტო ვერ ახერხებთ, მეგობრები მოიშველიეთ, მოკლედ, ნუ განმარტოვდებით დარდებთან.

მამაკაცი: როგორ ფიქრობთ, ადვილად ხომ არ ექცევით სხვა ადამიანის გავლენის ქვეშ? იყავით უფრო პრინციპული და მომთხოვნი, როგორც სხვების, ასევე საკუთარი თავის მიმართ.

### ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ. თუ შემოქმედი ადამიანი ბრძანდებით, საუკეთესო ნამუშევარს შექმნით. ამიტომ ნუ იზარმაცებთ და დროს უქმად ნუ დაკარგავთ.

მამაკაცი: კრიტიკული თვალით შეათვალიერეთ საკუთარი გამოსახულება სარკის წინ. ხომ არ სჯობს, იმიჯი შეიცვალოთ? შეიარეთ მაღაზიაში და შეარჩიეთ ტანსაცმელი, რომელიც თქვენს ინდივიდუალობას გაუსვამს ხაზს.

### ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: თუ სამსახურის შეცვლაზე ფიქრობთ, კარგი იქნება, ამ კვირაში იაქტიუროთ. შეაგროვეთ ინფორმაცია იმ სამსახურის ხელმძღვანელის უნარჩვევებსა და მუშაობის სტილზე, რომელთანაც თანამშრომლობას აპირებთ და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ საბოლოო გადაწყვეტილება.

მამაკაცი: მომჭირნეობისკენ მოგიწოდებთ. არ გირჩევთ ამ კვირაში ფულის სესხებას. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ ეს ფული საქმეში – ,,ჩასადებად“ გჭირდებათ და ვალის გასტუმრებას მოგებიდან ფიქრობთ.

### სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი კვირისთვის გადადეთ. ამ დღეებში ჯობს, მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე იფიქროთ. გაატარეთ დრო მეგობრებთან ერთად.

მამაკაცი: შორ გზაზე მგზავრობისგან თავის შეკავებას გირჩევთ. საოჯახო პრობლემების მოგვარებაზე იფიქრეთ. მეტი დრო დაუთმეთ ახლობელ ადამიანებს და დაინტერესდით მათი პრობლემებით.

### ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: ამ კვირაში წამოწყებული ყველა საქმე წარმატებით დასრულდება. სიყვარულში გიმართლებთ, თუმცა, თუკი თქვენს რჩეულს ეჭვიანობისკენ მიდრეკილებას შეამჩნევთ, სხვა მამაკაცებთან ურთიერთობისგან თავი შორს დაიჭირეთ.

მამაკაცი: გაბედულად მოითხოვეთ ინფორმაცია იმ საკითხის ირგვლივ, რომელიც გაინტერესებთ. ეს თქვენ ძალიან გამოგადგებათ გადაწყვეტილების მიღებაში.

### მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: ნაჩქარევად გადაწყვეტილების მიღებისგან თავის შეკავებას გირჩევთ. დაინტერესდით იმ ადამიანების წარსულით, ვინც საქმეში პარტნიორობას გთავაზობთ. კარგი იქნება, თუ მათ ყოფილ პარტნიორებსაც გაესაუბრებით.

მამაკაცი: თუ ოჯახის წევრების სურვილებს უგულისყუროდ მოეპყრობით, უახლოეს მომავალში ახლობლებთან ურთიერთობა გაგირთულდებათ. ამიტომ გირჩევთ ყურადღებით მოუსმინოთ მათ.

### თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: ამ კვირაში შეიძლება საინტერესო შემოთავაზება გქონდეთ, მაგრამ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ნუ მიიღებთ, ჰკითხეთ რჩევა მეგობრებს.

მამაკაცი: იყავით უფრო აქტიური და საქმიანი, როდესაც ხელმძღვანელებთან გიწევთ ურთიერთობა. გაბედულად შესთავაზეთ მათ ახალი იდეები და საქმიანი წინადადებები. ეს თქვენს კარიერაზე სასიკეთოდ იმოქმედებს.

### მერწყული – 21/I-19/II

ქალი: ეს კვირა თქვენთვის სიმშვიდის მომტანი არ იქნება. ამ დღეებში ადვილად დაკარგავთ წონასწორობას, თუკი მაქსიმალურად არ შეეცდებით ემოციების გაკონტროლებას. ამიტომ ჯობს კონფლიქტურ სიტუაციებს გაერიდოთ.

მამაკაცი: სარისკო საქმეებისგან თავის შეკავებას გირჩევთ. მეტი ყურადღება დაუთმეთ ჯანმრთელობას. დაინტერესდით სპორტით. ეს პრობლემებისგან განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა.

### თევზები – 20/II-20/III

ქალი: ნუ დაივიწყებთ მეგობრებს მაშინ, როდესაც კარგად გრძნობთ თავს. ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. ეს საშუალებას მოგცემთ, ახლობლები გაახაროთ და მათ საჩუქრები მიუძღვნათ.

მამაკაცი: ამ კვირაში ხიფათების რისკი დიდია. არავითარ შემთხვევაში არ მიუჯდეთ საჭეს ნასვამ მდგომარეობაში; არ შეყოთ ცხვირი კაზინოში და არ წამოიწყოთ ფლირტი გათხოვილ ქალთან.



| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | მუდმივი, მტკიცე | ჰ | თვითმკვლელობის წესი იაპონიაში | ს | თამბაქოს პროდუქტი | ბ | რომის პაპის ბრძანებულება | ლატვიის დედაქალაქი |
| | | | | | ს | ტ | ა | ბ | ი | ლ | უ | რ | ი |
| | | | | | ტ | მეფის ხელისუფლების მანიშნებელი საგანი | რ | ე | გ | ა | ლ | ი | ა |
| | | | | | ი | ნ | ა | ვ | ა | ლ | ა | გ | ვ |
| | | | | | ვ | ი | კ | ა | რ | ი | ციხესიმაგრის კედელი | ა | ა |
| ლაბორატორიული ჭურჭელი | ს | ლექსის სტროფი | კ | ეპისკოპოსის თანაშემწე | ე | მ | ი | რ | ე | მ | ფრანგი მწერალი | აშშ-ის შტატი | ჰ |
| ჭიკარტი | ი | ლ | უ | ტ | ნ | ა | რ | ა | ტ | შხამიანი ობობა | შ | ჩამოსაკიდებელი საწოლი | ა |
| პ | ნ | ო | პ | ი | | ს | ი | ბ | ი | ლ | ა | ჰოკეის სათამაშო დისკო | მ |
| ბილიარდის წითელი ბურთი | ჯ | ქართუკზე მკერებული თავსაბურავი | ლ | ო | ს | ი | წინსწარმეტყველი ქალი ძვ. რომში | უ | დიდი საყვირი / სასწორის თეფში | კ | ი | ნ | ა |
| პ | ა | პ | ე | ირმების ოჯახის დიდი ცხოველი | ი | რ | ე | კ | ო | რ | ბ | შუამავალი სავაჭრო გარიგებაში | კ |
| ა | რ | ა | ტ | ი | გ | ჩრდ. ამერიკის ინდიელთა ქოხი | ვ | ი | გ | ვ | ა | მ | ი |
| რ | ა | კ | ი | რ | ა | სიმებიანი მუს. ინსტრუმენტი | რ | | | | | | |
| ა | ფარიკაობის იარაღი | ი | შექსპირის „მეფე ...“ | ი | ლ | უ | ა | | | | | | |
| მ | ა | უ | გ | ლ | ი | ჩრდ. კავკასიელთა სოფელი | თხის ჯოგი / ნიადაგი | | | | | | |
| ბ | კიპლინგის „ჯუნგლების წიგნის“ პერსონაჟი | შ | ჩოგბურთის მოედანი | ი | ქალაქი საფრანგეთში | არქიტექტურულ-დეკორატიული სტილი | მ | | | | | | |
| ო | კ | ო | პ | ო | რ | ტ | ი | | | | | | |
| ლ | ე | ნ | ო | ნ | ი | სახელმწიფო აფრიკაში | ჩ | | | | | | |
| ი | „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი | ი | რ | ი | ჟ | ლ | ა | | | | | | |



52-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-ა; 4-ბ.
57-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ბ.



# გამოჩენილი ადამიანების მოსწრებული გამონათქვამები

## ჰუმანური კონტროლიორი

ერთ-ერთმა დრამატურგმა თავისი პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლის პრემიერაზე ბერნარდ შოუ მიიწვია, მაგრამ მოსაწვევთან ერთად ბილეთის გაგზავნა მხედველობიდან გამორჩა. თეატრში მისული გამოჩენილი მწერალი კონტროლიორმა არ შეუშვა. საქმეში თეატრის ადმინისტრაცია ჩაერია და შოუს მისი საკადრისი საპატიო ადგილი გამოუყო.

სპექტაკლის შემდეგ, დარბაზიდან გამოსვლისას, ბერნარდ შოუმ 1 გირვანქა სტერლინგი ამოიღო ჯიბიდან და კონტროლიორს გაუწოდა, თან დასძინა: დავრწმუნდი, რომ ჩემთვის ნამდვილად სიკეთე გსურდათ, როცა სპექტაკლზე არ მიშვებდითო...

## კომპოზიტორი ეისლერი და „უნიჭო“ აინშტაინი

როგორც ცნობილია, ალბერტ აინშტაინი კარგად უკრავდა ვიოლინოზე. ერთხელ, ის კომპოზიტორ ჰანს ეისლერთან ერთად აღმოჩნდა წვეულებაზე, გამოჩენილ მეცნიერს და მუსიკოსს სთხოვეს, ერთად დაეკრათ. ეისლერი როიალს მიუჯდა, მაგრამ პირველ ცდაზე აინშტაინი მასთან „ტაქტში ვერ ჩაჯდა“. იგივე გამეორდა მეორედ, შემდეგ — მესამე ცდაზეც. კომპოზიტორმა დაკვრაზე ხელი აიღო და გაოცებულმა წარმოთქვა:

— ვერაფრით გამიგია — რატომ მიაჩნია მთელ მსოფლიოს გენიოსად კაცი, რომელსაც სამამდე დათვლაც კი უჭირს...

## „ახლა გიცანით, მაესტრო!..“

ვაგნერი ლონდონში მართავდა გასტროლებს. ერთ დღეს, ის ლორდ პიტკინს გააცნეს, რომელიც მუდამ თავს იწონებდა იმით, რომ ვაგნერის შემოქმედების მოტრფიალე იყო. მან კომპოზიტორისგან შეიტყო, თუ როდის ჰქონდა დანიშნული მორიგი კონცერტი და აღუთქვა, რომ უეჭველად დაესწრებოდა.

აღნიშნული კონცერტის შემდეგ გამართულ დიდ წვეულებაზე ლორდი პიტკინი მიუახლოვდა ვაგნერს და უთხრა:

— გამოგიტყდებით — ასე ძლიერ ცხოვრებაში არასოდეს მიცინია. წარმოიდგინეთ — მთელი ნახევარი საათი გავიდა, სანამ გიცნობდით.

# ანეკდოტები

***

— თქვენთვის ცუდი ამბავი მაქვს.

— ვკვდები, ექიმო?!

— არა, უარესი... დიდხანს უნდა გიმკურნალოთ.



***

მელოტი ქმარი ცოლს:

— ძვირფასო, შენი ვარცხნილობა საოცარ სიზმარს მაგონებს.

— შენი კი — შიშველ რეალობას.

***

კახელი ცოლ-ქმარი ქუჩაში მისეირნობს. მიხო ლამაზ ქალებს ათვალიერებს. მარო ეკითხება:

— ხო არ გავიწყდება, რო ცოლიანი ხარ?

— მავიწყდება კი არა... პირიქით, ტვინს მიბურღამს...

***

ცოლ-ქმარი იყრება. მოსამართლე მიზეზს კითხულობს:

— ჩემი ცოლი ბატივით შტერია, — ეუბნება ანზორა.

— მერე, ქორწინებამდე ეს არ იცოდი?

— არ ვიცოდი...

— ტყვილია! იცოდა... — იკივლა ნაზიკიამ.

***

— არ გეწყინოს მიხო, მაგრამა შენი ბიჭი მუქთა პურსა ჭამს.

— ეჰ, მუქთა რო იყოს, რა მიჭირს!..

***

მაროს თავისი ძროხა მიჰყავს ბუღასთან. მეზობლის ქალი პელაგია ეკითხება:

— მარო, სად მიგყავს ე შენი საქონელი?

— ბუღასთან, — იყო პასუხი...

— მერედა, არ გეცოდება, ნენა, სამი კილომეტრი რომ უნდა ატარო? — უთხრა მეზობელმა.

— შენა, ქალო, მაგისთვინ, გურიიდან ჩამოხვედი და ეგა რა, ღირსი არ არის?! — იყო პასუხი;

***

ქმარი ცოლს ურეკავს:

— ალო, საყვარელო, ამაღამ აღარ მოვალ, აქ გიოსთან კარტს ვთამაშობთ.



ცოლი ყურმილს ხელს აფარებს:

— გესმის გიო, თურმე ეგენი შენთან კარტს თამაშობენ!

***

სტომატოლოგთან:

— გადმოაფურთხეთ-მეთქი... მე კი არ უნდა შემაფურთხოთ!

***

მიხო ბაღში საქმიანობს და ქვებს ისვრის ქუჩაში. გამოიარა მიტომ და მიხოს ეუბნება:

— რა ვირივით იქცევი, დაიძახე მაინცა.

— შენა, ჯოო, მოცლილი ხო არა ხარ?.. ვისაც მახვდება, იმან დაიძახოს!



***

პოლიციელი სახლში საღამოს ბრუნდება და რას ხედავს — ლოგინი აწეწილია, ცოლიც რაღაც უჩვეულოდ აფორიაქებული, მოკლედ, აშკარაა, რომ საყვარელია სახლში.

— სად არის?! მოვკლავ ადგილზე! — ღრიალებს პოლიციელი.

— ალბათ ლოგინის ქვეშ იმალება! — შეიხედავს, არაა.

— ალბათ აივანზე დაიმალა! — გაიხედავს, არც იქაა.

— ნაღდად კარადაში იქნება დამალული! — აღებს კარს და უცებ იქიდან აკანკალებული ხელით 10-ლარიანს უწვდიან:

— ვაჰ, არც კარადაში ყოფილა, ნეტავ სად უნდა იყოს?..

# რამდენად მზად ხართ მოულოდნელობებისათვის?

**მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ადამიანს მთელი დღის განმავლობაში უხდება წერა, არასოდეს ატარებს თან საწერ-კალამს. ზოგი კი, გამუდმებით ატარებს უამრავ ისეთ ნივთს, რომელიც შესაძლოა, არც არასოდეს დასჭირდეს. მეორე ტიპის ადამიანების აზრით, უმჯობესია, წინასწარ მოიმარაგო ყველა აუცილებელი ნივთი, ვიდრე გაუთვალისწინებელ სიტუაციაში აღმოჩნდე. ქვემოთ მოყვანილი ტესტი დაგეხმარებათ გაერკვეთ, რამდენად მზად ხართ გაუთვალისწინებელი სიტუაციებისთვის.**



1) ყოველთვის თან დაგაქვთ თუ არა სათადარიგო საწერ-კალამი?

2) წახვალთ თუ არა სამოგზაუროდ მანქანით, თუკი სათადარიგო ნაწილებით არ ხართ აღჭურვილი?

3) გყავთ თუ არა კატა?

4) ხშირად ხდება ისე, რომ წვიმის დროს არც ქოლგა გაქვთ და არც საწვიმარი?

5) ისე ძლიერ უბედური შემთხვევაც აღარ გაშინებს, თუკი წინასწარ მოასწარი დაზღვევა. ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას?

6) გაქვთ თუ არა შინ პირველადი დახმარების „აფთიაქი“?

7) ბუნებრივია, ერთი სპეციალობის ქონას, ორი სპეციალობის ქონა სჯობს. ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას?

8) ფულს ყოველთვის ორ საფულეში ანაწილებთ და ორივე თან დაგაქვთ – იმ შემთხვევისთვის, თუკი ერთ-ერთ მათგანს დაკარგავთ.

9) მიგაჩნიათ თუ არა, რომ ხშირად უნდა გარისკოთ – ყველაფერი სასწორზე შეაგდოთ, რათა ამ ცხოვრებაში რაიმეს მიაღწიოთ?

10) თქვენი მაცივარი ყოველთვის სავსეა სურსათ-სანოვაგით?

11) მიგაჩნიათ თუ არა, რომ აუცილებელია რამდენიმე მეგობრის ყოლა, რათა ბოლოს მარტო არ დარჩეთ?

**დააჯამეთ ქულები:** დადებითი პასუხის შემთხვევაში, 1, 2, 3, 6, 7, 8, 11 შეკითხვაში დაიწერეთ თითო ქულა. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, 4, 5, 9, 10 შეკითხვებში დაიწერეთ ასევე თითო ქულა.

## ტესტის შედეგები

**9-11 ქულა:** ქულათა ეს რაოდენობა მეტყველებს იმაზე, რომ თქვენ ყოველთვის ყველაფერს წინასწარ ითვალისწინებთ და დაუფიქრებლად ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამთ. თქვენ გამოუსადეგარ ნივთებსაც კი საგულდაგულოდ ინახავთ, რადგან მიგაჩნიათ, რომ ოდესმე შეიძლება კვლავ გამოიყენოთ ისინი. ერთ რამეს გირჩევთ, იქნებ გაგეთვალისწინებინათ ისიც, რომ ზოგჯერ დაუფიქრებლად გადადგმულმა ნაბიჯმა, შესაძლოა, ცხოვრება უფრო გაგიხალისოთ.

**3-8 ქულა:** თქვენ საკმაოდ წინდახედული ბრძანდებით, მაგრამ ღმერთს მადლობა შესწირეთ, რომ ეს თვისება სისხლში მეტისმეტად არ გაქვთ გამჯდარი.

**0-2 ქულა:** თქვენ აბსოლუტურად არ გაგაჩნიათ იმის უნარი, რომ წინასწარ განსაზღვროთ მოსალოდნელი შემთხვევა თუ მისი შედეგი.

# შეამოწმეთ, რამდენად კარგი მახსოვრობის უნარი გაქვთ

**ქვემოთ მოყვანილ შეკითხვებზე გაცემული პასუხები დაგეხმარებათ გაერკვეთ იმაში, თუ რამდენად კარგი მახსოვრობის უნარი გაქვთ და უთმობთ თუ არა სათანადო ყურადღებას ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს. მონიშნეთ ყოველი შეკითხვა, რომელსაც დადებითად უპასუხებთ.**

1. შეგიძლიათ თუ არა გაიხსენოთ, რა მიირთვით სადილად გასულ კვირა დღეს?

2. გახსოვთ თუ არა, როგორ აღნიშნეთ საკუთარი სრულწლოვანების იუბილე ანუ ის დახადების დღე, როცა თვრამეტი წლის გახდით?

3. შეგიძლიათ თუ არა გაიხსენოთ იმ წიგნის სათაური, რომელიც ბავშვობაში პირველად მოგეწონათ?

4. გახსოვთ თუ არა, რა თემას შეეხებოდა საინტერესო გადაცემა, რომელსაც თქვენ ამ ბოლო ხანებში, მართლაც რომ დიდი სიამოვნებით უყურეთ?

5. შეგიძლია თუ არა გაიხსენოთ, რა გეცვათ სკოლის გამოსაშვებ საღამოზე?

6. გახსოვთ თუ არა, იმ გოგონას სახელი, ვისაც პირველად დაუნიშნეთ პაემანი? (გახსოვთ თუ არა, იმ ვაჟის სახელი, ვინც პირველად დაგინიშნათ პაემანი?)

7. გახსოვთ თუ არა, პირველად დამოუკიდებლად რა ასაკში იმგზავრეთ მატარებლით?

8. გახსოვთ თუ არა მასწავლებლის სახელი, რომელიც პირველ კლასში გასწავლიდათ?

9. გახსოვთ თუ არა, ბოლოს როდის იყავით თეატრში?

## ტესტის შედეგები

თუკი თქვენ დადებითად უპასუხეთ 8-9 შეკითხვას, შეგიძლიათ, აბსოლუტურად მშვიდად იყოთ: თქვენ შესანიშნავი მახსოვრობის უნარი გაქვთ და ნათესავებსა და ნაცნობ-მეგობრებსაც არაჩვეულებრივად ექცევით. ბუნებრივია, თქვენ თითქმის ყოველი მათგანის დაბადების დღე გახსოვთ და არც ამ თარიღის მილოცვა გავიწყდებათ მათთვის. 6-7 დადებითი პასუხი მეტყველებს იმაზე, რომ თქვენ მშვენიერი მახსოვრობის უნარით გამოირჩევით. 4-5 დადებითი პასუხი კი, იმაზე მიგვანიშნებს, რომ თქვენ საშუალო მახსოვრობის უნარის მქონე ადამიანი ბრძანდებით. ხოლო, თუკი დადებითად მხოლოდ 3 შეკითხვას უპასუხეთ, ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენ დაუყოვნებლივ უნდა შეიძინოთ უბის წიგნაკი, რათა უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით, მასში ყოველდღიურად შეიტანოთ თქვენთვის მნიშვნელოვანი თარიღებისა თუ საქმეების სია. სხვათა შორის, არც გონების გავარჯიშება გაწყენდათ.

# სისხლიანი გამოფენა

სანტიაგოში მოწყობილმა გამოფენამ, რომელზეც ადგილობრივმა მხატვარმა — პრემ სარხომ, სისხლით შესრულებული ნამუშევრები წარმოადგინა, ჩილელების აღშფოთება გამოიწვია. ნახატებს შორის კი, საკმაოდ დიდი ზომის ტილოზე, ასევე სისხლითაა წაწერილი ჩილელი პოეტების ლირიკული ლექსები.

ჩილელებმა, პროტესტის ნიშნად, პრემ სარხოს რამდენიმე ნამუშევარი ღვინით „შეალამაზეს“; ერთ-ერთი დამთვალიერებელი კი, „სისხლიანი“ ნახატების ავტორს, სასამართლოში ჩივილითაც დაემუქრა.

აღსანიშნავია, რომ გამოფენაზე იმავე „მასალით“ შესრულებული ნამუშევრები კიდევ ორმა მხატ-



ვარმა წარმოადგინა.

როგორც ცნობილია, ეპატაჟი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულ ხერხია ყურადღების მისაპყრობად — ჟურნალისტებს ხომ სკანდალები ყოველთვის უყვარდათ! პრემ სარხომ მიზანს მიაღწია: ის ბულვარული გაზეთების გარეკანზე აუცილებლად მოხვდება.

თუმცა, საინტერესოა, მიაქცევს ვინმე ყურადღებას, ნამუშევრების მხატვრულ ღირებულებას? ან კი აქვთ ის მათ საერთოდ?

■

# სიბერის გეშინიათ? — შეიძინეთ საღეჭი რეზინი



ტოკიოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოიგონეს საღეჭი რეზინი, რომელიც დაბერების პროცესს აფერხებს. მისი ეფექტი დამყარებულია ორგანიზმიდან ე.წ. „აქტიური ჟანგბადის“ გამოდევნაზე, რომელსაც, თავის მხრივ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უჯრედების გაცვეთის ფუნქცია აკისრია. როგორც უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილი კომპანია „სიტეკის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, ახალი ტექნოლოგიების გამოყენების წყალობით, საღეჭი რეზინის თითოეული ბალიში დაახლოებით ერთი მილიონ გრამ პლატინას შეიცავს. მეცნიერები ირწმუნებიან, რომ პლატინა „აქტიური ჟანგბადის“ წარმოქმნას ზღუდავს და ამავე დროს, ორგანიზმიდან მის გამოდევნას უწყობს ხელს.

ახალი საქონელი მალე აფთიაქებსა და სუპერმარკეტების დახლებზე გამოჩნდება. ერთი შეკვრა, რომელშიც 100 ცალი „გამაახალგაზრდავებელი“ ბალიშია, დაახლოებით 23 დოლარი ეღირება.

უნივერსიტეტის ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ ხანგრძლივი ღეჭვა კონცენტრაციის უნარს ამაღლებს და ტვინის მუშაობას ააქტიურებს.

■

# ორანგუტანგებს რინგზე გასვლა აუკრძალეს



მაიმუნების ორთაბრძოლა ტაილანდის დედაქალაქის ერთ-ერთ პარკში, 20 წლის მანძილზე, ყოველდღიურად ტარდებოდა. მოკრივის ხელთათმანებსა და სხვადასხვაფერ შორტში გამოწყობილ, რინგზე გასულ ორანგუტანგებს, მუდამ უამრავი მაყურებელი ეხვია გარს, მაგრამ ცხოველთა დაცვის საზოგადოების წარმომადგენლებმის (რომლებიც, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ — ცხოველთა ფიზიკურ ჩაგვრას ვერ ეგუებიან), მრავალწლიანი, დაჟინებული მოთხოვნით, პოლიცია იძულებული გახდა, ორთაბრძოლა აეკრძალა.

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში სამართალდამცავებმა სპექტაკლის ორგანიზატორებს მალაიზიიდან და ინდოეთიდან უკანონოდ ჩამოყვანილი, 100 მაიმუნზე მეტი ჩამოართვეს.

პარკის ადმინისტრაცია მიღებული გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა და განმარტავს, რომ მაიმუნების ორთაბრძოლა მხოლოდ უწყინარი, გასართობი ღონისძიება იყო და მას ცხოველების ჩაგვრასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ამასთან ერთად, არსებობს ალბათობა იმისა, რომ შოუს ორგანიზატორები აკრძალვას არ დაემორჩილებიან და პაექრობა უკვე არალეგალურად გაიმართება.

■

# ფოტოკურიოზები












გამოვიდა ნოემბრის ნომერი
ყურადღება!
№10, ნოემბერი, 2004
ფასი 80 თეთრი
კარიბჭე
მართლმადიდებლური ჟურნალი
ნოემბრის თემა:
სნეულების მიზანი ადამიანის განწმენდა და ღმერთთან დაახლოებაა
შეჩერდი, შენ ხომ შვილები გყავს!
რაც უნდა დიდი განსაცდელი მქონდეს, უფლისა და ღვთისმშობლის შეწევნას ყოველთვის ვგრძნობ
ვილოცოთ უფლის სადიდებლად
„შაბათსა და კვირას მოძღვრის სადიდებლად როდი მივდივართ ტაძარში, არამედ იმისთვის, რომ მოძღვართან ერთად ვადიდოთ ღმერთი“
ჭეშმარიტებისაკენ

ნ65/42